

ბუღალტრული აღრიცხვა

შპს აპექსი

2018

შინაარსი

ლექცია №1	7
ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები	7
შესავალი	7
ბუღალტერიის არსი	8
ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები	11
აქტივები	13
ვალდებულებები	15
საკუთარი კაპიტალი	15
ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები	16
საგადასახადო კოდექსის განმარტებები	19
საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ	22
შრომის კოდექსის განმარტებები	24
კითხვები თვითშემოწმებისთვის	25
ლექცია №2	26
ბუღალტრული ანგარიშების არსი	26
სალაროს ოპერაციების აღრიცხვა	29
ოპერაციების ასახვა საბანკო ანგარიშებზე	30
წინასწარ გაწეული ხარჯების აღრიცხვა	31
საგადასახადო კოდექსის განმარტებები	32
საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ	36
საქართველოს შრომის კოდექსის განმარტებები	37
კითხვები თვითშემოწმებისთვის	38
ლექცია №3	39
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა	39
სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის მეთოდები	40
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია	43
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მოძრაობის დოკუმენტაცია	45
მზა პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრა	47
საგადასახადო კოდექსის განმარტებები	50
საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ	55
შრომის კოდექსის განმარტებები	57
კითხვები და ამოცანები თვითშემოწმებისთვის	59

ლექცია №4

60

დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) აღრიცხვა

60

საგადასახადო კოდექსის განმარტებები	64
საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ	73
საქართველოს შრომის კოდექსის მიხედვით შრომის პირობების დაცვა	74
კითხვები და ამოცანები თვითშემოწმებისთვის	75

ლექცია №5

76

მოკლევადიანი მოთხოვნების აღრიცხვა

76

მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნების აღრიცხვა	76
სათამასუქო მოთხოვნების აღრიცხვა	79
გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება	80
უიმედო და საეჭვო მოთხოვნები	81
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ	84
მოთხოვნები საწარმოს დაქირავებულ მუშაკთა, ხელმძღვანელობისა და პარტნიორების მიმართ	84
კაპიტალის შევსებაზე პარტნიორის გრძელვადიანი მოთხოვნის მიმდინარე ნაწილი	85
მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები	85
დარიცხული მოთხოვნები	86
საგადასახადო კოდექსის განმარტებები	87
კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ	93
შვებულება შრომის კოდექსის მიხედვით	93
კითხვები და ამოცანები თვითშემოწმებისთვის	95

ლექცია №6

96

მოკლევადიანი ვალდებულებების აღრიცხვა

96

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	96
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება უცხოურ ვალუტაში	98
მიღებული ავანსების აღრიცხვა	99
როიალტი და საკომისიო გადასახადი	100
სასესხო ვალდებულებების აღრიცხვა	100
გადასახდელი თამასუქები	102
გადასახდელი დივიდენდები	103
საგადასახადო კოდექსის განმარტებები	105
სამოქალაქო კოდექსის განმარტებები	109
შრომის ანაზღაურება და უქმე დღეები შრომის კოდექსის მიხედვით	110
კითხვები და ამოცანები თვითშემოწმებისთვის	112

ლექცია №7

113

გრძელვადიანი ვალდებულებები

113

ობლიგაციების აღრიცხვა	113
გასანადღებელი თამასუქები	114
საგარანტიო ანარიცხების აღრიცხვა	115
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე	116
ჩვეულებრივი იჯარის აღრიცხვა	118
საგადასახადო კოდექსის განმარტებები	119
სამოქალაქო კოდექსის განმარტებები	123
შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს უფლება	125
კითხვები და ამოცანები თვითშემოწმებისთვის	126

ლექცია №8

127

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

127

ძირითადი საშუალებების შეძენა, მონტაჟი	127
საკუთარი ძალებით მშენებლობა	130
ძირითადი საშუალებების ცვეთა	130
ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა	133
უსასყიდლოდ გადაცემა	134
ძირითადი საშუალებების გადაფასება	135
საგადასახადო კოდექსის განმარტებები	137
სამოქალაქო კოდექსის განმარტებები	140
შრომის კოდექსის განმარტებები	141
კითხვები და ამოცანები თვითშეფასებისთვის	143

ლექცია №9

144

არამატერიალური აქტივების აღრიცხვა

144

არამატერიალური აქტივების შეძენა	144
საწარმოში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივი	145
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	147
არამატერიალურ აქტივებთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვა	148
არამატერიალური აქტივების გადაფასება	149
გუდვილი	150
საგადასახადო კოდექსის განმარტებები	151
კანონი მეწარმეთა შესახებ	153
კითხვები და ამოცანები თვითშემოწმებისთვის	155

ლექცია №10

156

შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა

156

მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	157
გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა	158
სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება	159
ხარჯების ცნება და კლასიფიკაცია	160
საგადასახადო კოდექსის განმარტებები	162
სამოქალაქო კოდექსის განმარტებები	167
კითხვები და ამოცანები თვითშემოწმებისთვის	169

ლექცია №11

170

საგადასახადო ვალდებულებები

170

საშემოსავლო გადასახადი	170
ესტონური მოდელი	171
მოგების გადასახადი	172
ქონების გადასახადი	179
აქციზის აღრიცხვა	181
საგადასახადო კოდექსის განმარტებები	182
საწარმოს რეორგანიზაცია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით	199
სამოქალაქო კოდექსის განმარტებები	201
შრომის კოდექსის განმარტებები	201
კითხვები და ამოცანები თვითშემოწმებისთვის	202

ლექცია №12

203

საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

203

საწესდებო კაპიტალის აღრიცხვა შპს-ში	205
რეზერვების აღრიცხვა	206
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	207
საგადასახადო კოდექსის განმარტებები	208
კითხვები და ამოცანები თვითშემოწმებისთვის:	211

ლექცია №13

212

ინვესტიციების აღრიცხვა

212

გრძელვადიანი ინვესტიციების მიმდინარე ნაწილი	214
საგადასახადო კოდექსის განმარტებები	215
სამოქალაქო კოდექსის განმარტებები	216
კითხვები და ამოცანები თვითშემოწმებისთვის:	217

ლექცია №14

218

ბუღალტრული ბალანსი

218

ბუღალტრული ბალანსის არსი და მნიშვნელობა

218

საცდელი ბალანსი

218

საგადასახადო კოდექსის განმარტებები

227

კითხვები და ამოცანები თვითშემოწმებისთვის:

231

ლექცია №15

232

ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ

232

ფულადი ნაკადების არსი და მისი მნიშვნელობა

232

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

237

ფულადი ნაკადების ანგარიშგება არაპირდაპირი მეთოდით

238

ამოცანა

239

დანართი 1.

241

ანგარიშთა გეგმა

241

ლექცია №1

ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები

შესავალი

ბუღალტრის პროფესიას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორია მეტყველებს იმაზე, რომ ზუსტი აღრიცხვის გარეშე წარმოდგენილია საწარმოს სრულყოფილი მართვა, შეუძლებელია დადებითი შედეგის მომტანი ფინანსური აღრიცხვის უზრუნველყოფა. წლების განმავლობაში საბუღალტრო აღრიცხვის ევოლუცია, თეორიისა და პრაქტიკის მიზანმიმართული სრულყოფა მიმდინარეობდა. ცივილიზაციის ადრეულ სტადიებზე ადამიანები მხოლოდ გონებაში ასახავდნენ და ანგარიშობდნენ სამეურნეო მოვლენებისა და პროცესების ფაქტებსა და შედეგებს. დამწერლობისა და მათემატიკის წარმოშობამ და გავრცელებამ შექმნა აღრიცხვის პრაქტიკის გაფართოების ობიექტური წინამძღვრები. შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შედეგად გაჩნდა ახალი სპეციალური პროფესია - „მონაგარიშე მუშაკები“. ეგვიპტესა და მესოპოტამიაში შეიქმნა სპეციალური სკოლები, რომლებიც ამზადებდნენ მონაგარიშე მუშაკებს. „მათ შეეძლოთ კითხვა, წერა და ჯადოქრობა“ (თ. მანი). ისინი აღრიცხავდნენ ინვენტარს, ქონებას, მუშა-ხელს, გასამრჯელოს, ვალებს, ანგარიშობდნენ შედეგებს, ითვლიდნენ ფულს და ა.შ. მარტივი მეთოდებითა და ხერხებით უზრუნველყოფდნენ ნატურალურ და უბრალო ანგარიშწარმოების პროცესს. რაც შეეხება თანამედროვე ბუღალტერიას, მისი ჩანასახები პირველად გამოიკვეთა XIII საუკუნის იტალიაში, როცა გაჩნდა აღრიცხვის მონაცემების ორმაგი ჩაწერის სისტემა. ეს სისტემა სრულად ორიენტირებული იყო ისეთი სიდიდეების მიზანმიმართულ აღრიცხვაზე, როგორიცაა კაპიტალი, მოგება, ფული, ვალები, საქონელი, ქონება და სხვა მატერიალური ფასეულობები. ეს იყო აღრიცხვის, კონტროლისა და მართვის ერთიანი მწყობრი სისტემა. ამ სისტემის მთავარ მონაპოვარს წარმოადგენდა ანგარიშთა გეგმა და ეკონომიკური და იურიდიული შინაარსის მიხედვით სამეურნეო ფაქტებისა და შედეგების სარკისებური გააზრება და ადექვატური ასახვა. ბუღალტერიის პირველი თეორეტიკოსია იტალიელი მეცნიერი და მათემატიკოსი ლუკა პაჩიოლი /Luca Pacioli; Tractatus de computis et scripturis/1445–1514წ./, რომელიც ბუღალტერიას განიხილავდა, როგორც უნივერსალურ მეთოდოლოგიურ მეცნიერებას. მან დაამკვიდრა სამეურნეო ოპერაციების ორმაგი ჩანაწერის ძირითადი პრინციპი, ასევე დებეტის, კრედიტის და ბალანსის ცნება. იგი, ასევე, არის „ღვთაებრივი პროპორციის“ შესახებ ტრაქტატის ავტორი.

ბუღალტერიის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე სხვადასხვა დროისა და ეპოქის თეორეტიკოსები და პრაქტიკის მკვლევარები სხვადასხვანაირად ხსნიდნენ ამ მეცნიერების საგანს, მეთოდოლოგიას, მიზნებს, ამოცანებსა და ფუნქციებს.

ბუღალტერიის არსი

ადამიანთა საზოგადოების არსებობის საფუძველს მატერიალური დოვლათის წარმოება წარმოადგენს. ადამიანის მიზანმიმართულ საქმიანობას მატერიალური დოვლათის წარმოების, განაწილებისა და მოხმარების მიზნით სამეურნეო საქმიანობა ეწოდება.

ბუღალტრული აღრიცხვა ასახავს საწარმოს ეკონომიკური რესურსებისა და მათი ფორმირების წყაროების, სამეურნეო ფაქტების ცვლილებების შესახებ ინფორმაციას, გამოხატულს ფულად ერთეულში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბუღალტრული აღრიცხვის საშუალებით ხდება საწარმოს სამეურნეო ოპერაციებისა და ფინანსური შედეგების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, განზოგადება და წარდგენა. ბუღალტრული აღრიცხვა საშუალებას იძლევა განისაზღვროს სამეურნეო სუბიექტის ქონება/მთლიანი კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და საბოლოო ფინანსური შედეგი. ბუღალტრული აღრიცხვისთვის დამახასიათებელია საწარმოს დაარსებიდან მიმდინარე პერიოდამდე მასში მომხდარი ოპერაციების განუწყვეტელი აღრიცხვა, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტების საფუძველზე.

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების სფეროში აღიარებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს) და მიღებულია შესაბამისი ნორმატიული აქტი - კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (გებგვერდი matsne.gov.ge, 24/06/2016).

ბუღალტრული აღრიცხვის საინფორმაციო სისტემა მოიცავს **ფინანსურ და მმართველობით** აღრიცხვას.

ფინანსური აღრიცხვა ასახავს საწარმოში მიმდინარე სამეურნეო ოპერაციებს. მასში თავს იყრის ინფორმაცია საწარმოს მიმდინარე ხარჯებისა და შემოსავლების, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების, ფინანსური ინვესტიციებისა და სხვა მნიშვნელოვანი მაჩვენებლების შესახებ. ფინანსური აღრიცხვის ინფორმაციას ეყრდნობა საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური აღრიცხვის მიზანია მოამზადოს ინფორმაცია გარე მომხმარებლებისთვის (თუმცა ფინანსურ ინფორმაციას შიდა მომხმარებლებიც იყენებენ). ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლები არიან: ხელმძღვანელები, აქციონერები/მესაკუთრეები, ინვესტორები, კრედიტორები/მომწოდებლები, დაქირავებული მუშაკები, კონკურენტები, ხელისუფლება, საზოგადოება.

- ხელმძღვანელებს აინტერესებთ დეტალური ინფორმაცია საწარმოს გასაკონტროლებლად და გეგმების შესამუშავებლად; კომპანიების მენეჯერები ვერ მიიღებენ მართებულ სამეურნეო გადაწყვეტილებებს, თუ მათ არ გააჩნიათ გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ინფორმაცია;
- მესაკუთრეებისთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა უკუგება გააჩნია მათ მიერ დაბანდებულ სახსრებს;
- ინვესტორებსა და კრედიტორებს (ფიზიკურ და იურიდიული პირებს) აინტერესებთ გაცემული სესხების დაბრუნების შესაძლებლობა, მათ მიერ ჩადებული კაპიტალის უსაფრთხოება ანუ რამდენად მომგებიანი იქნება მათ მიერ განხორციელებული ინვესტიცია ამა თუ იმ საწარმოში;
- მომწოდებლებისთვის მნიშვნელოვანია კომპანიის გადახდისუნარიანობის საკითხი; სანამ ისინი დათანხმდებიან პროდუქციის მიწოდებაზე, მანამ ინტერესდებიან მყიდველი კომპანიის ფინანსური მდგომარეობით;
- დაქირავებულ მუშაკებს, ძირითადად, აინტერესებთ დაქირავებულის ფინანსური სტაბილურობის საკითხი - შეძლებს თუ არა მომავალში საწარმო არსებობას;
- კონკურენტებს აინტერესებთ ფინანსური მდგომარეობის შედეგები, რათა მიიღონ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია სხვა კომპანიების შესახებ;
- ხელისუფლება დაინტერესებულია, რამდენად დროულად შეძლებს საწარმო შეასრულოს კანონით განსაზღვრული ვალდებულებები, მაგალითად, რესურსების რაციონალურად განაწილების შესახებ;
- საზოგადოება, შესაძლოა, დაინტერესდეს კომპანიის საქმიანობის გავლენით ეკონომიკაზე, ეკოლოგიაზე და ა.შ.

მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაცია განკუთვნილია მხოლოდ საწარმოს შიდა მომხმარებლებისთვის (წარმოების მენეჯერებისთვის და სხვ.) და გამოქვეყნებას არ ექვემდებარება. მმართველობითი აღრიცხვა იყენებს ნატურალურ, შრომით და ფულად საზომ ერთეულებს (განსხვავებით ფინანსური აღრიცხვისგან, რომელიც იყენებს მხოლოდ ფულად საზომ ერთეულს).

მმართველობითი აღრიცხვის საფუძველზე განისაზღვრება კომპანიის მიერ პროდუქციის წარმოებასა და მომსახურებაზე გაწეული დანახარჯები, მოიპოვება სტრატეგიული, ტაქტიკური და ოპერატიული ინფორმაცია შემდგომი დაგეგმვის, მართვისა და კონტროლის მიზნით.

ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი წარმოადგენს იმ წესებისა და ხერხების ერთობლიობას, რომელთა გამოყენებითაც მოიპოვება, მუშავდება და გადაეცემა ინფორმაცია საწარმოს აქტივების, საკუთარი კაპიტალისა და ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ.

ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის ელემენტები შესაძლოა შემდეგი სახით წარმოვადგინოთ:

ინფორმაციის შეგროვება	დოკუმენტაცია
	ინვენტარიზაცია
ინფორმაციის ღირებულებითი გაზომვა	შეფასება
	კალკულაცია
ინფორმაციის დაჯგუფება	ანგარიშთა სისტემა
	ორადი ჩაწერა
ინფორმაციის განზოგადება და გადაცემა	ფინანსური ანგარიშგება

დოკუმენტი არის სამეურნეო ფაქტების მოხდენის წერილობითი დადასტურება.

დოკუმენტაცია ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველს წარმოადგენს. სამეურნეო საქმიანობა შედგება სხვადასხვა, ერთმანეთისგან განსხვავებული ოპერაციებისგან, რომელთა ასახვისთვის გამოიყენება განსხვავებული დოკუმენტები: საქონლის შესყიდვის, გაყიდვის, ხარჯების, ფულის მოძრაობის, სესხის აღების და სხვა.

საწარმოს ეკონომიკური რესურსების ოდენობა ზოგჯერ არ შეესაბამება დოკუმენტებში ასახულ ციფრებს. ამის მიზეზი შეიძლება იყოს რესურსების გაფლანგვა, გარემო პირობებით გამოწვეული დანაკარგი, შესაძლოა საწარმოში დაფიქსირდეს ფასეულობათა ზედმეტობაც.

ინვენტარიზაცია არის საწარმოს ფასეულობათა შესახებ დოკუმენტებში ასახული სააღრიცხვო მონაცემების მათ ფაქტიურ მდგომარეობასთან შედარება. ინვენტარიზაციას ექვემდებარება საწარმოს მთელი ქონება, დგინდება დანაკლისი ან ზედმეტობა.

ბუღალტრული აღრიცხვის ობიექტები მრავალფეროვნებით ხასიათდება. ქონება წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების, ფულადი საშუალებების, ფინანსური დაბანდებების სახით. შესაბამისად, ვალდებულებებიც სხვადასხვა კომპონენტისგან შედგება. ერთიანი საინფორმაციო მოდელის შესაქმნელად საჭიროა მათი გამოსახვა ერთიან ფულად საზომ ერთეულში.

შეფასება ბუღალტრული აღრიცხვის ობიექტების განზოგადებული ფულადი საზომით გამოსახვის ხერხია. შეფასება უდევს საფუძვლად წარმოებული პროდუქციის ერთეულის, შეძენილი მარაგების, ფასეულობების, შესრულებული სამუშაოს თვითღირებულების განსაზღვრას.

კალკულაცია პროდუქციის, შესრულებული სამუშაოს ერთეულის თვითღირებულების განსაზღვრას ეწოდება. კალკულაცია ლათინური სიტყვაა და გამოთვლას ნიშნავს.

ბუღალტრული აღრიცხვის ობიექტების სიმრავლემ წარმოშვა მათი დაჯგუფების აუცილებლობა. ამ მიზნით ჩამოყალიბდა ანგარიშთა სისტემა, რომელშიც თითოეულ საბუღალტრო ოპერაციას მიკუთვნებული აქვს ანგარიში, ანუ შიფრი.

ანგარიში არის ბუღალტრული აღრიცხვის ობიექტების ფულად საზომ ერთეულში მიმდინარე ასახვის, კონტროლის და დაჯგუფების ხერხი.

სამეურნეო ფაქტის ერთდროულ ასახვას ეკონომიკურ რესურსებზე (აქტივებზე) და მათი ფორმირების წყაროებზე (საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები), ფულადი სახით, ორადი ჩაწერის ხერხი ეწოდება, რომელიც განიმარტება, როგორც ნებისმიერი სამეურნეო მოვლენის ორი ასპექტი.

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ერთიან ფინანსურ სურათს საწარმოს მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში არსებული ცვლილებების შესახებ. ის თავს უყრის დოკუმენტალურად დადასტურებულ ფინანსური აღრიცხვის ინფორმაციას, რომელიც მთელი სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში მუშავდება საწარმოში და რომელიც ეხმარება ინფორმაციის მომხმარებლებს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები

ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდების ნაკრებს, რომლის საშუალებითაც ხდება აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლების, ხარჯების აღიარება და შეფასება.

ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებია:

1. ორმხრივობის;
2. ფულადი შეფასების;
3. არსებითობის (მატერიალურობის);
4. უწყვეტობის;
5. თვითღირებულების (პირვანდელი ღირებულების);
6. მყარი ფულადი ერთეულის;
7. ავტონომიურობის;
8. წინდახედულობის;
9. რეალიზაციის;
10. შესაბამისობის.

ორმხრივობის პრინციპი შეიძლება წარმოვიდგინოთ ტოლობის სახით, რომლის ორივე მხარეს ტოლფასი სიდიდეები თავსდება. კერძოდ,

$$\text{აქტივები} = \text{ვალდებულებებს} + \text{საკუთარი კაპიტალი}$$

ამ პრინციპით, ქონების ერთი ნაწილი იზრდება მისი სხვა ნაწილის შემცირების ხარჯზე, შესაბამისად, მომხდარ სამეურნეო ოპერაციებს ორი მხარე აქვს და იწვევს ორად გავლენას საწარმოს აქტივებსა და ვალდებულებებზე.

ფულადი შეფასების პრინციპის თანახმად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას ექვემდებარება ის ობიექტები, რომელთა ფულადი საზომით გამოსახვა შესაძლებელია.

არსებითობა - ინფორმაცია ითვლება არსებითად, თუ მისი გამოტოვება ან არასრული ასახვა გამოიწვევს ფინანსური აღრიცხვის ინფორმაციის დამახინჯებას.

უწყვეტობა - ნიშნავს, რომ საწარმო მომავალშიც აგრძელებს აქტიურ საქმიანობას, უწყვეტობის პრინციპი დაკავშირებულია ბასს-ის ერთ-ერთ ძირითად დაშვებასთან - „ფუნქციონირებადი საწარმო“, რომელიც ასევე გულისხმობს საწარმოს საქმიანობის გაგრძელების უნარს (რომ საწარმოს საქმიანობის შეწყვეტა უახლოეს საპროგნოზო მომავალშიც (მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში) მოსალოდნელი არ არის).

პირვანდელი ღირებულების პრინციპით - აქტივები აღირიცხება მათი შემენისას გადახდილი ფულის ოდენობით, ხოლო ვალდებულებები იმ აქტივის თანხის ოდენობით, რაც ვალდებულების სანაცვლოდაა მიღებული.

საწარმოს ავტონომიურობის პრინციპის თანახმად ფინანსური ინფორმაცია ასახავს მხოლოდ საწარმოს მიერ გაწეულ საქმიანობას და არა მისი მესაკუთრისას. საწარმო დამოუკიდებელია მისი მესაკუთრეებისგან. გამიჯნულია საწარმოსა და მისი მესაკუთრის ქონება.

მყარი ფულადი ერთეულის პრინციპის თანახმად, ფინანსური ანგარიშგება ემყარება მყარ ვალუტას. ინფლაციის პირობებში ფინანსური ანგარიშგება სათანადო კორექტირებას მოითხოვს.

სიფრთხილის ანუ წინდახედულების პრინციპი გულისხმობს შეფასებების გაკეთებისას გადაწყვეტილების მიღებისადმი ფრთხილ, წინდახედულ დამოკიდებულებას.

რეალიზაციის პრინციპი გულისხმობს, რომ საწარმოს შემოსავლების აღიარება ხდება მყიდველზე აქტივის გადაცემისას ან მომსახურების გაწევისას. მაგალითად, ამონაგების აღიარება უნდა მოხდეს მაშინ, როცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული რისკი და სარგებელი მყიდველებს გადაეცემა.


შესაბამისობის პრინციპი - გულისხმობს შემოსავლებისა და ხარჯების ურთიერთდაკავშირებას. ხარჯების ასახვა უნდა მოხდეს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როცა წარმოიქმნა შემოსავლები ამ ხარჯების გაწევის შედეგად. რეალიზაციისა და შესაბამისობის პრინციპები მჭირდო კავშირშია დარიცხვის მეთოდთან, რაც გულისხმობს, რომ სამეურნეო მოვლენების აღრიცხვა ხდება მათი მოხდენისთანავე და არა ფულის მიღებისა და გადახდის დროს.

აქტივები

სამეურნეო სუბიექტის სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ქონება, ეკონომიკური რესურსები, რაც წარმოადგენს საწარმოს აქტივს. აქტივები არის საწარმოს განკარგულებაში მყოფი მატერიალური და არამატერიალური რესურსები, რომლებიც წარსულში განხორციელებული სამეურნეო მოვლენების შედეგს წარმოადგენენ და რომელთაგანაც საწარმო მომავალში ეკონომიკური სარგებელის მიღებას მოელოს. საწარმოს აქტივები გამოიყენება პროდუქციის საწარმოებლად, სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად და მომსახურების გასაწევად.

სამეურნეო ოპერაციებში მონაწილეობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე აქტივები შეიძლება იყოს მოკლევადიანი (მიმდინარე) და გრძელვადიანი. გრძელვადიან აქტივებად ითვლება ძირითადი საშუალებები (მიწა, შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები), ფინანსური დაბანდებები, არამატერიალური აქტივები, რომელთაც ეკონომიკური სარგებელი მოაქვთ 1 წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

აქტივების კლასიფიკაციის საილუსტრაციოდ განვიხილოთ სქემა:



მიმდინარე აქტივები იყოფა ფულად და არაფულად აქტივებად. მიმდინარე ფულად აქტივებს მიეკუთვნება ფულადი საშუალებები სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ისეთი აქტივებია, რომლებიც:

- შეძენილია და გათვალისწინებულია გასაყიდად;
- მონაწილეობს წარმოების პროცესში და გათვალისწინებულია გასაყიდად;
- წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით და განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად.

ასეთ აქტივებს მიეკუთვნება: საქონელი, ნედლეული და მასალები, მზა პროდუქცია, დაუმთავრებელი წარმოება, საწარმოო მარაგები, სათადარიგო ნაწილები და სხვა.

საქონელი არის მატერიალური ფასეულობა, რომელიც შეძენილია სხვა სამეურნეო სუბიექტისგან და განკუთვნილია გასაყიდად ყოველგვარი დამატებითი დამუშავების გარეშე.

ნედლეული წარმოადგენს მზა პროდუქციის ნივთიერ საფუძველს. მაგ.: ქვანახშირი მეტალურგიული წარმოებისთვის.

მასალები იყოფა ძირითად და დამხმარე მასალებად. ძირითადი მასალები პროდუქციის ძირითად შემადგენლობას წარმოადგენს. მაგ.: ქსოვილი ტრიკოტაჟის წარმოებაში. დამხმარე მასალები საჭიროა იმისთვის, რომ ნაწარმმა დასრულებული სახე მიიღოს მაგ.: შეფუთვა.

მზა პროდუქცია ისეთი მატერიალური ფასეულობაა, რომელმაც გაიარა დამუშავების ყველა სტადია, შესაბამისად დადგენილ სტანდარტებს და გამზადებულია სარეალიზაციოდ.

დაუმთავრებელი წარმოება წარმოადგენს მატერიალურ ფასეულობას, რომელსაც გავლილი აქვს დამუშავების გარკვეული სტადიები, მაგრამ დასრულებული სახე ჯერ არ მიუღია.

მოკლევადიანი ინვესტიციების შემადგენლობაში აღირიცხება საწარმოთა მიერ ფასიან ქაღალდებში ერთ წლამდე ვადით განხორციელებული ინვესტიციები, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოსთვის ეკონომიკური სარგებლის მოტანას.

მოთხოვნები წარმოიშობა, როდესაც მიწოდება ან მომსახურება განხორციელებულია ღირებულების შემდგომი გადახდით.

მოკლევადიანი მოთხოვნები წარმოიშვება საქონლის მიწოდებიდან, მომსახურების გაწევიდან, შესრულებული სამუშაოდან და სხვ. და მათი განაღდების ვადა ერთ წელს არ აღემატება.

მიმდინარე აქტივებს მიეკუთვნება ასევე მომავალი პერიოდის ხარჯები, რომლის გაწევა ხდება წინასწარ, მიმდინარე პერიოდში, ხოლო ეკონომიკური სარგებელი მათგან მიიღება მომავალში. ასეთია: წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა, წინასწარ გადახდილი დაზღვევის თანხა, ახალი პროდუქციის ათვისების ხარჯები და სხვ.

ძირითად საშუალებებს მიეკუთვნება მიწა, შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები, მანქანა-დანადგარები, ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი.

არამატერიალური აქტივები ეკონომიკური სარგებლის მომტანი არაფულადი, იდენტიფიცირებადი აქტივებია, რომელთაც ფიზიკური ფორმა არ გააჩნიათ. მათ მიეკუთვნება: პატენტები, ლიცენზიები, საავტორო უფლებები, სავაჭრო მარკა და სხვ.

გრძელვადიანი ინვესტიციების შემადგენლობაში აღირიცხება საწარმოთა მიერ ფასიან ქაღალდებში ერთ წელზე მეტი ვადით განხორციელებული ინვესტიციები, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოსთვის ეკონომიკური სარგებლის მოტანას მიმდინარე პერიოდში ან მომავალში.

გრძელვადიან მოთხოვნებს მიეკუთვნება მოთხოვნები, რომლის განაღდების ვადა ერთ წელს აღემატება.

ვალდებულებები

ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნა გასული პერიოდის სამეურნეო ოპერაციების შედეგად და რომლის დასაფარად მოსალოდნელია საწარმოდან ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა.

ვალდებულებების წარმოშობის საფუძველია საწარმოში მიღებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, მიღებული მომსახურება ან შესრულებული სამუშაო, თუ მათი მოწოდებისთანავე ან წინასწარ გადახდას არ ჰქონია ადგილი.

ვალდებულებები იყოფა მოკლევადიან (მიმდინარე) და გრძელვადიან ვალდებულებებად.

მოკლევადიანია (მიმდინარეა) ვალდებულება, თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია მიმდინარე საწარმოო ციკლის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. მოკლევადიანი ვალდებულებებია: მოკლევადიანი სესხები, დარიცხული ვალდებულებები, როგორიცაა გადასახდელი პროცენტები, გადასახდელი დივიდენდები და სხვა.

ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე ბიუჯეტის მიმართ წარმოქმნილი ვალდებულებები საგადასახადო ვალდებულებებს - მოკლევადიან ვალდებულებებს - წარმოადგენს. მათ მიეკუთვნება: გადასახდელი მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი, ქონების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი.

გრძელვადიანი ვალდებულებები იფარება 1 წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში. ასეთებია: გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები, ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე, გასანაღდებელი ობლიგაციები, გადავადებული გადასახადები.

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს ვალდებულებების სრულად დაფარვის შემდეგ მის განკარგულებაში დარჩენილი აქტივების ნაწილი. იგი შედგება: საწესდებო კაპიტალის, სარეზერვო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან (მიმდინარე პერიოდისთვის საკუთარი კაპიტალის ნაწილში აღირიცხება მიმდინარე მოგება ან დაუფარავი ზარალი).

საწესდებო კაპიტალი არის დამფუძნებელთა მიერ წესდებით განსაზღვრული ინვესტირებული კაპიტალი საწარმოში. იგი წარმოადგენს საწარმოს ვალდებულებას მისი დამფუძნებლების (მესაკუთრეების) მიმართ.

საწესდებო კაპიტალი შეიძლება გაიზარდოს დამფუძნებელთა მიერ დამატებითი ქონების შეტანის გზით. საწესდებო კაპიტალის გაზრდა საჭიროებს საწარმოს წესდების ხელახალ რეგისტრაციას.

სარეზერვო კაპიტალს წარმოადგენს წესდებით განსაზღვრული რეზერვის თანხას, რომლის დანიშნულებაც არის მესაკუთრეთა ზარალისგან დაცვა.

საკუთარი კაპიტალის ზრდა შეიძლება მოხდეს ქონების ღირებულების გადაფასებისას, თუ ადგილი აქვს მის ზრდას. აქტივების პირვანდელი ღირებულების გაზრდისას წარმოიქმნება გადაფასების რეზერვი, რომელიც საკუთარი კაპიტალის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

გაუნაწილებელი მოგება არის წმინდა მოგების ის ნაწილი, რომელიც რჩება დივიდენდებისა და რეზერვების შემქნის შემდეგ. წმინდა მოგება ეს არის მოგებას დაბეგვრამდე მიწუს მოგების გადასახადი.

დივიდენდი წარმოადგენს წმინდა მოგების ნაწილს, რომელიც ნაწილდება აქციონერებს შორის ფულის ან სხვა აქტივების სახით აქციების რიცხვის ან წილის პროპორციულად.

ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1. ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ბალანსი) (IAS 1 - a statement of financial position (balance sheet) at the end of the period);
2. მოგება-ზარალის ანგარიშგება (IAS 1 - a statement of profit or loss and other comprehensive income for the period (presented as a single statement, or by presenting the profit or loss section in a separate statement of profit or loss, immediately followed by a statement presenting comprehensive income beginning with profit or loss);
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება (IAS 1 - a statement of changes in equity for the period);
4. ფულადი ნაკადების ანგარიშგება (IAS 1 - a statement of cash flows for the period);
5. ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (IAS 1 - notes, comprising a summary of significant accounting policies and other explanatory notes);
6. შესადარისი ინფორმაცია, რომელიც განსაზღვრულია სტანდარტით (IAS 1 - comparative information prescribed by the standard)

ბალანსი

ტერმინი „ბალანსი“ წონასწორობას ნიშნავს. ბალანსში ასახულია ინფორმაცია საწარმოს რესურსებისა და მათი ფორმირების წყაროების შესახებ, გამოხატული ფულად საზომ ერთეულში. ბალანსი ორი ნაწილისგან შედგება. ერთი მხარე ასახავს აქტივებს, ხოლო მეორე - ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის ჯამს.

ორმხრივობის პრინციპის თანახმად, საწარმოს ქონება წარმოგვიდგება შემდეგი ტოლობის სახით:

$$\text{აქტივები} = \text{ვალდებულებები} + \text{საკუთარი კაპიტალი}$$

ეს ტოლობა ყოველთვის უნდა იყოს დაცული, თუ ბუღალტრული შეცდომა არ არის დაშვებული. მას საბალანსო განტოლებას უწოდებენ და სხვა ფუნდამენტურ პრინციპებს შორის ერთ-ერთი პირველია.

ბალანსის ზოგადი სტრუქტურა ასეთია:

მოკლევადიანი აქტივები	X
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	X
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	X
საქონელი	X
სხვა მოკლევადიანი აქტივები	X
გრძელვადიანი აქტივები	X
ძირითადი საშუალებები (მიწა, შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები)	X
ძირითადი საშუალებების ცვეთა	(X)
გადავადებული საგადასახადო აქტივი	X
არამატერიალური აქტივები	X
არამატერიალური აქტივების ცვეთა	(X)
სხვა გრძელვადიანი აქტივები	X

ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	X
მოკლევადიანი ვალდებულებები	X
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	X
მიმდინარე მოგების გადასახადი	X
გადასახდელი პროცენტები	X
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	X
გრძელვადიანი ვალდებულებები	X
გრძელვადიანი სესხები	X
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	X
საკუთარი კაპიტალი	X
საწესდებო კაპიტალი	X
გაუნაწილებელი მოგება	X
დაუფარავი ზარალი	(X)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი	X
გადაფასების რეზერვები	X

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

ბასს 1-ის მიხედვით, ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის შემადგენელი მეორე ძირითადი კომპონენტი შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებისა და სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების სახით. მოგებისა და ზარალის ანგარიშგება გვიჩვენებს საწარმოს ფინანსური საქმიანობის შედეგს დროის მოცემულ მონაკვეთში, ხოლო სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება ამონაგები, ფინანსური დანახარჯები, საგადასახადო ხარჯი და სხვ.

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება მზადდება დარიცხვის პრინციპის შესაბამისად, რაც ნიშნავს იმას, რომ შემოსავლები და ხარჯები აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში წარმოშობისთანავე, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ფულადი სახსრები მიღებული ან გადახდილი.

მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი სტრუქტურა ასეთია:

ამონაგები	X
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(X)
საერთო მოგება	X
ადმინისტრაციული ხარჯები	(X)
სხვა ხარჯები	(X)
მოგება დაბეგვრამდე	X
მოგების გადასახადის ხარჯი	(X)
წმინდა მოგება	X

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშგება ეს არის ინფორმაცია, რომელიც ეხება გარკვეულ პერიოდში საწარმოს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ცვლილებებს. ფულადი ნაკადები კლასიფიცირდება საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების მიხედვით, რომელიც აისახება ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. ეს უკანასკნელი უნდა მომზადდეს ბასს 7 „ფულადი ნაკადების ანგარიშგების“ მოთხოვნათა შესაბამისად და ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარდგენილ იქნეს, როგორც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

მფობელის მიერ საკუთარი კაპიტალის ცვლილება არ აისახება ბალანსში ან ანგარიშგებაში მოგება-ზარალის შესახებ, იგი აისახება ანგარიშგებაში კაპიტალის ცვლილებების შესახებ. იგი ასახავს ძირითადი საშუალებებისა და ინვესტიციების გადაფასებით მიღებულ ნამეტს, სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით გამოწვეულ შედეგებს საანგარიშგებო პერიოდში, საწარმოს მესაკუთრეთათვის განაწილებული დივიდენდების ოდენობას და შესაბამის შემოსავალს ერთ აქციაზე.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ფინანსურ ანგარიშგებას თან უნდა ერთვოდეს წერილობითი ახსნა-განმარტებები, სადაც წარმოდგენილი იქნება დამატებითი ინფორმაცია ანგარიშგების სხვა კომპონენტებთან დაკავშირებით, მაგალითად, როგორიცაა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის მეთოდის, ინვენტარიზაციის ჩატარების დეტალების შესახებ და სხვ.

საგადასახადო კოდექსის განმარტებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საგადასახადო კოდექსის და მათ შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისგან [\[სსკ მ.2\]](#).

გადასახადებით დაბეგვრის მიზნებისთვის გამოიყენება საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დღისთვის მოქმედი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს მთავრობა, საქართველოს ფინანსთა მინისტრი საგადასახადო კოდექსის აღსრულების მიზნით იღებს/გამოსცემს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) უფროსი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების მიზნით გამოსცემს ბრძანებებს, შიდა ინსტრუქციებსა და მეთოდურ მითითებებს საგადასახადო ორგანოების მიერ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე

საქართველოს საგადასახადო კოდექსში გამოყენებულ ძირითად ტერმინთა განმარტება [\[სსკ მ.8\]](#):

არაამორტიზებადი ძირითადი საშუალება – ძირითადი საშუალება, რომელიც ექსპლუატაციის დროს არ კარგავს თავის ღირებულებას.

არაპირდაპირი გადასახადი – გადასახადი (დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, იმპორტის გადასახადი), რომელიც დგინდება მიწოდებული (იმპორტირებული) საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი (იმპორტიორი) ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან/და მომსახურების შეძენისას (იმპორტისას). არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება ეკისრება საქონლის მიმწოდებელს (იმპორტიორს) ან/და მომსახურების გამწევს, რომელიც ამ კოდექსის მიზნებისთვის გადასახადის გადამხდელად იწოდება.

ბიოლოგიური აქტივი - ცხოველი ან მცენარე.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (შემდგომში - ბასს) - ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომისიის მიერ დამტკიცებული და საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილებით სამოქმედოდ შემოღებული სტანდარტები.

დანაკლისი – გადასახადის გადამხდელის ბუღალტრულ ჩანაწერებთან შედარებისას გამოვლენილი (მათ შორის, ინვენტარიზაციის საშუალებით) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ან/და ძირითადი საშუალებების ნაკლებობა.

დივიდენდი – აქციონერის/მოწილის მიერ აქციებიდან ან უფლებებიდან (წილებიდან) მიღებული (მათ შორის, პრივილეგირებული აქციებიდან პროცენტის სახით მიღებული) ნებისმიერი შემოსავალი, რომელიც მიიღება მოგების განაწილების შედეგად და რომელსაც იურიდიული პირი უნაწილებს აქციონერებს/მოწილებს, კაპიტალში მათი კუთვნილი აქციების/უფლებების პროპორციულად ან პროპორციის დაცვის გარეშე.

კომპენსაცია – პირის მიერ საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ხარჯების, დანაკარგის ან დანაკლისის ანაზღაურების მიზნით მიღებული ქონება ან/და სარგებელი.

პირი – ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის](#) შესაბამისად, საწარმო ან ორგანიზაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

გადასახადის სახეები

გადასახადი არის ამ კოდექსის მიხედვით სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე [\[სსკ მ.6\]](#).

გადასახადის სახეებია საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია ამ კოდექსით დაწესებული გადასახადები, რომელთა გადახდაც სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ადგილობრივი გადასახადია საგადასახადო კოდექსით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით შემოღებული გადასახადი (ზღვრული განაკვეთების ფარგლებში), რომლის გადახდაც სავალდებულოა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე.

საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთვნება:

- ა) საშემოსავლო გადასახადი;
- ბ) მოგების გადასახადი;
- გ) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);
- დ) აქციზი;
- ე) იმპორტის გადასახადი.

ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება ქონების გადასახადი.

[საქართველოს კონსტიტუციის](#) 94-ე მუხლის მიხედვით სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით, ხოლო გადასახადისგან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ კანონით.

გადასახადის სავალდებულო ხასიათი უზრუნველყოფილია სახელმწიფოს საგადასახადო, სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების მიერ, რაც მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ გადასახადების გადახდა ატარებს არა ნებაყოფლობით, არამედ იძულებით ხასიათს.

ბიუჯეტში თავმოყრილი ფულადი სახსრები, ხმარდება სახელმწიფოებრივი, ადგილობრივი და რეგიონალური მნიშვნელობის ეკონომიკური, სოციალური, საგარეო-ეკონომიკური, კულტურული, ქვეყნის თავდაცვისა და სუვერენული ქვეყნის ვალდებულებათა შესრულებისთვის საჭირო ღონისძიებებს.

ეკონომიკური საქმიანობა

ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა [თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული] [\[სსკ მ.9\]](#).

ეკონომიკურ საქმიანობას არ მიეკუთვნება:

ა) სახელმწიფო ხელისუფლების, ეროვნული მარეგულირებელი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მათთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციების შესრულებასთან, გარდა ხელშეკრულების საფუძველზე ფასიანი მომსახურების გაწევისა;

ბ) საქველმოქმედო საქმიანობა;

გ) რელიგიური საქმიანობა;

დ) დაქირავებით მუშაობა;

ე) ფიზიკური პირის მიერ ფულადი სახსრების განთავსება ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში დეპოზიტებსა და ანაზღაურებაზე;

ვ) საქმიანობის ან/და ოპერაციების სახეები ან/და ოპერაციების ერთობლიობა, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით.

ზოგიერთი საქმიანობა შეიძლება აკმაყოფილებდეს მისი ეკონომიკურად ჩათვლის კრიტერიუმს, ანუ სუბიექტს ჰქონდეს შემოსავლის მიღების მიზანი, მაგრამ კოდექსი თავიდანვე არ განიხილავდეს მას ასეთად.

მაგალითად, სახელმწიფოს მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის პირის დასჯის ერთ-ერთი მიზანი ჯარიმის თანხით სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებაა, მაგრამ ასეთ საქმიანობას კოდექსი არ განიხილავს ეკონომიკურად.

საქველმოქმედო საქმიანობა

საქველმოქმედო საქმიანობად ითვლება დახმარების უშუალოდ ან მესამე პირის მეშვეობით, ნებაყოფლობით და უანგაროდ გაწევა იმ პირებისთვის, რომლებიც ამ დახმარებას საჭიროებენ, მაგალითად, იმ ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც სოციალურ დაცვას, სამედიცინო დახმარებას საჭიროებენ და სხვ. [\[სსკ მ.10\]](#).

რელიგიური საქმიანობა

რელიგიურ საქმიანობად ითვლება დადგენილი წესით რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციის (გაერთიანების) საქმიანობა, რომლის მიზანია აღმსარებლობისა და სარწმუნოების გავრცელება, მათ შორის, ისეთი გზით, როგორიცაა რელიგიური წეს-ჩვეულებების, ცერემონიების, ლოცვების, სხვა საკულტო მოქმედებათა ორგანიზება და ჩატარება და სხვ. [\[სსკ მ.11\]](#).

რელიგიურ ორგანიზაციად ითვლება ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია რელიგიური საქმიანობის განსახორციელებლად და ასეთად რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით [\[სსკ მ.33\]](#). რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის წესი დადგენილია [საქართველოს სამოქალაქო კოდექსით](#) [\[მ.1509¹\]](#).

დაქირავებით მუშაობა

დაქირავებით მუშაობად ითვლება ფიზიკური პირის მიერ ვალდებულების შესრულება იმ ურთიერთობათა ფარგლებში, რომლებიც რეგულირდება საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის შრომის კანონმდებლობით [\[სსკ მ.12\]](#).

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ

კანონი მეწარმეთა შესახებ აწესრიგებს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთა სამართლებრივ ფორმებს. სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

მეწარმე სუბიექტები არიან: ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და კოოპერატივი.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი არიან იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმოები (კომპანიები). ამ კანონით განსაზღვრული ინდივიდუალური მეწარმე არ არის იურიდიული პირი. ინდივიდუალური მეწარმე საქმიან ურთიერთობებში თავის უფლებებს ახორციელებს და მოვალეობებს ასრულებს, როგორც ფიზიკური პირი.

ინდივიდუალური მეწარმე თავისი სამეწარმეო საქმიანობიდან გამომდინარე წარმოშობილი ვალდებულებებისთვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი (პარტნიორი) ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და საზოგადოების ვალდებულებებისთვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, ანუ თითოეული პარტნიორი ვალდებულებებისთვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. სპს-ს შექმნისთვის აუცილებელია მინიმუმ ორი პარტნიორი.

კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისთვის კრედიტორების წინაშე პასუხს არ აგებენ. კომანდიტები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ მათ მიერ შეუტანელი შესატანითაც, თუ პასუხისმგებლობა დადგა პარტნიორთა მიერ შეთანხმებული შენატანის სრულად შეტანამდე [კმშ მ.3].

კომანდიტორული საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას. საზოგადოების ზოგიერთი წევრის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე წესდებით განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება. ამ პირებს კომანდიტები ეწოდებათ. დანარჩენი პარტნიორების პასუხისმგებლობა კი შეზღუდული არ არის. ისინი პასუხს აგებენ მთელი თავისი ქონებით. მათ კომპლემენტარები ეწოდებათ. კომანდიტორული საზოგადოების პარტნიორი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. საზოგადოების კაპიტალში წილები შეიძლება განაწილდეს მხოლოდ კომანდიტებს შორის.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. ასეთი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც. შპს-ს კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით. იგი დაყოფილია წილებად. პარტნიორთა უფლება-მოვალეობები და წილების განაწილების წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით. საწარმოს პარტნიორები უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით.

სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად. აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებას პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში. საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს აქციების ნომინალური (პირველადი) ღირებულება. სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე განისაზღვრება მთელი მისი ქონებით. სააქციო საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებისთვის. სააქციო საზოგადოების დაფუძნების კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით.

კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე. კოოპერატივებს მიეკუთვნება:

- ნედლეულის მომპოვებელი კოოპერატივები, რომლებიც ნედლეულს მოიპოვებენ საკუთარი წევრებისთვის;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი საწარმოო კოოპერატივები;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების კოოპერატივები და სხვა.

შრომის კოდექსის განმარტებები

საქართველოს შრომის კოდექსი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით [სშკ მ.1].

საჯარო მოსამსახურეთა შრომით სამართლებრივ ურთიერთობებს შრომის კოდექსთან ერთად არეგულირებს საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“.

შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კანონი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით.

შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისთვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ [სშკ მ.2].

შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით.

შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო.

დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხყოფელი გარემოს შექმნას, ან/და პირისთვის ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.

დისკრიმინაციად არ ჩაითვლება პირთა განსხვავების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება.

შრომითი ურთიერთობისას მხარეებმა უნდა დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან დამსაქმებელი ან დამსაქმებელთა გაერთიანება და დასაქმებული ან დასაქმებულთა გაერთიანება, რომელიც შექმნილია „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №87 და №98 კონვენციებით გათვალისწინებული მიზნებითა და წესით (შემდგომ – დასაქმებულთა გაერთიანება) [სშკ მ.3].

დამსაქმებელი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, ანდა პირთა გაერთიანება, რომლისთვისაც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სრულდება გარკვეული სამუშაო.

დასაქმებული არის ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, დამსაქმებლისთვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს.

ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან დამსაქმებელი და დასაქმებული, ხოლო კოლექტიური შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან ერთი ან მეტი დამსაქმებელი ან ერთი ან მეტი დამსაქმებელთა გაერთიანება და ერთი ან მეტი დასაქმებულთა გაერთიანება.

კითხვები თვითშემოწმებისთვის

1. რა არის აქტივი?
2. რა არის ბალანსის ძირითადი ელემენტები?
3. როგორი სახე აქვს საბალანსო ტოლობას?
4. რა არის ვალდებულება?
5. რა არის საკუთარი კაპიტალი?
6. რა შემთხვევაში წარმოიშობა მოთხოვნა?
7. რის მიხედვით კლასიფიცირდება აქტივები?
8. როგორია საქონლის განმარტება და არის თუ არა ის გრძელვადიანი აქტივი?
9. რას წარმოადგენს არამატერიალური აქტივი?
10. ჩამოთვალეთ ძირითადი საშუალებები.
11. განმარტეთ დაუშთავრებელი წარმოება და მზა პროდუქცია.
12. რა შემთხვევაში წარმოიშობა ვალდებულებები?
13. ჩამოთვალეთ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები.
14. რა ოდენობით განისაზღვრება შპს-ს კაპიტალი?
15. რამდენმა პირმა შეიძლება დააფუძნოს ინდივიდუალური საწარმო?
16. რას წარმოადგენს აქცია სააქციო საზოგადოებაში?
17. რომელი საკანონმდებლო აქტებისგან შედგება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა?
18. რას ნიშნავს ინვენტარიზაცია, კალკულაცია და შეფასება?
19. ჩამოთვალეთ გადასახადების სახეები.
20. რომელი საქმიანობა ითვლება და რომელი არ ითვლება ეკონომიკურ საქმიანობად?
21. განმარტეთ: აქტივი, ბიოლოგიური აქტივი, დივიდენდი.
22. განმარტეთ ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდები: ორმხრივობის, ფულადი შეფასების, არსებითობის (მატერიალურობის), უწყვეტობის, თვითღირებულების (პირვანდელი ღირებულების); მყარი ფულადი ერთეულის; ავტონომიურობის; წინდახედულობის; რეალიზაციის; შესაბამისობის.
23. განმარტეთ ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა და განსხვავება მათ შორის.
24. რა არის შრომითი კოდექსის მოქმედების სფერო?
25. რა ითვლება და რა არ ჩაითვლება დისკრიმინაციად შრომის კოდექსის მიხედვით?

ლექცია №2

ბუღალტრული ანგარიშების არსი

ბუღალტრული აღრიცხვის ობიექტების სიმრავლე იწვევს დიდი რაოდენობის ანგარიშების გამოყენების საჭიროებას. ანგარიშები დაჯგუფებულია ერთგვაროვანი ნიშნის მიხედვით და ქმნის ანგარიშთა გეგმას. ფინანსურ ანგარიშგებასთან დამოკიდებულების მიხედვით ანგარიშები ჯგუფდება ნომინალურ და რეალურ ანგარიშებად. ანგარიშები, რომლებსაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს რჩებათ სალდო [დებეტისა და კრედიტის ბრუნვებს შორის სხვაობა, რომელიც ბალანსში გადაიტანება] რეალურ, ანუ მუდმივ ანგარიშებად იწოდებიან, ხოლო ანგარიშები, რომლებიც ასახავენ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საკუთარი კაპიტალის ცვლილებას - ნომინალურ/დროებით ანგარიშებად. რეალური ანუ მუდმივი ანგარიშები ასახავენ აქტივებს, ვალდებულებებსა და კაპიტალს, ნომინალური (დროებითი) კი - შემოსავლებს, ხარჯებსა და კაპიტალის ამოღებას.

ბას-ის მიხედვით რეგლამენტირებულია ანგარიშთა გეგმა, რომელიც გამოიყენება სამეურნეო ოპერაციების ასახვისთვის. საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ მიღებული [დადგენილებით](#) მოქმედებს ანგარიშთა გეგმა ([იხ. დანართი 1.](#)), სადაც ანგარიშთა გეგმის თითოეული მუხლისთვის მინიჭებულია შესაბამისი შიფრი/კოდი (ნომერი). ანგარიშთა გეგმის თითოეულ განყოფილებაში გაერთიანებულია სინთეზური ანგარიშები. სინთეზური ანგარიშის დაქვემდებარებაში მყოფ ანგარიშს ანალიზურს უწოდებენ. მაგ.: სინთეზური ანგარიშია 1100 - ნაღდი ფული საღაროში, ხოლო ანალიზური ანგარიშებია: 1110 - ნაღდი ფული ეროვნული ვალუტით, 1120 - ნაღდი ფული უცხოურ ვალუტით და სხვ.

ანგარიშის კოდი ოთხ ციფრიანია. პირველი მიუთითებს ჯგუფის, მეორე ქვეჯგუფის, ხოლო ბოლო ორი ციფრი - უშუალოდ სამეურნეო ოპერაციის ნომერს. მაგ.: ანგარიში 1110 - ნაღდი ფული ეროვნული ვალუტით: 1 - ნიშნავს რომ იგი მიეკუთვნება აქტივების ჯგუფს, შემდეგი 1 - აღნიშნავს ნაღდ ფულს საღაროში. საღაროში ნაღდი ფული შესაძლებელია იყოს ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად, ბოლო ორი ციფრი (10) აღნიშნავს ნაღდ ფულს ეროვნული ვალუტით. ანალოგიურად 1120 აღრიცხავს ნაღდ ფულს უცხოურ ვალუტაში.

გარდა ზემოთ მოცემულისა, ბუღალტრულ ანგარიშებში გამოიყენება ე.წ. დამხმარე ანგარიშები, ანუ ქვეანგარიშები. მაგალითად, 1610 ანგარიში აღრიცხავს საქონელს, მაგრამ საწარმო ყიდის არა ერთ, არამედ მრავალ დასახელების საქონელს. ამ შემთხვევაში 1610 ანგარიშზე დაემატება ქვეანგარიში თითოეული დასახელებისთვის: 1610 001; 1610 002; 1610 003 და ა.შ. თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფა, მაგალითად [Apex ERP](#), საშუალებას იძლევა 1610-ის ერთ კონკრეტულ ქვეანგარიშზე აღრიცხოს საწყობში არსებული ათი ათასობით საქონელი (რომელთაგან თითოეულს უნიკალრი იდენტიფიკატორი გააჩნია შტრიხკოდის სახით).

ყოველი სამეურნეო ოპერაცია ორმხრივად მოქმედებს საბალანსო ტოლობაზე. ამას ფინანსური ოპერაციის ორმაგ ასპექტს უწოდებენ (როგორც წინა ლექციაში აღვნიშნეთ).

ბუღალტრულ ბალანსში სამეურნეო ოპერაციებით გამოწვეული ცვლილებები ოთხ ჯგუფად იყოფა:

1. **ცვლილება ბალანსის აქტივში, რომლის შედეგადაც აქტივის ერთი მუხლი იზრდება, ხოლო მეორე მცირდება ერთი და იმავე თანხით:**
 - საწარმომ შეიძინა ავტომობილი. ამით გაიზარდა საწარმოს აქტივი, და, ამავე დროს, შემცირდა ფულის სიდიდე საწარმოში;
2. **ცვლილება ბალანსის კაპიტალისა და ვალდებულებების ნაწილში, რომლის შედეგადაც იზრდება კაპიტალის ან ვალდებულებების ერთი რომელიმე მუხლი, ხოლო მეორე იგივე თანხით მცირდება:**
 - მოგების ხარჯზე გადაფასების რეზერვის შექმნა;
3. **ცვლილება ბალანსის ორივე ნაწილში, რომლის დროსაც იზრდება აქტივის ერთი მუხლი და შესაბამისად იზრდება კაპიტალის ან ვალდებულებების რომელიმე მუხლი იგივე თანხით, ანუ საბალანსო ტოლობა არ ირღვევა:**

- ნაღდი ფულის შეტანა საწესდებო კაპიტალში;
- 4. ცვლილება ბალანსის ორივე ნაწილში, რომლის დროსაც მცირდება აქტივის ერთი მუხლი და შესაბამისად მცირდება კაპიტალის ან ვალდებულებების, რომელიმე მუხლი ერთი და იგივე თანხით:
 - კრედიტორული დავალიანების დაფარვა.

ამრიგად, ყოველი სამეურნეო ოპერაცია იწვევს ორმაგ ცვლილებას, ამიტომ ყოველი სამეურნეო ოპერაციის ჩაწერა საჭიროებს მინიმუმ ორ ანგარიშს, რომელთაგან ერთი იწერება დებეტში, ხოლო მეორე კრედიტში. ბუღალტრული გატარება ეწოდება სამეურნეო ოპერაციის ჩაწერას ერთი ანგარიშის დებეტში და მეორე ანგარიშის კრედიტში ერთი და იმავე თანხით. ბუღალტრული გატარება შეიძლება იყოს მარტივი და რთული. მარტივში მონაწილეობს ორი ანგარიში, ხოლო რთულში ორზე მეტი. რთულ გატარებაში ერთი ანგარიშის დებეტი შეიძლება დაუკავშირდეს ორი ან მეტი ანგარიშის კრედიტს, ასევე ორი ან მეტი სადებეტო ანგარიში დაუკავშირდეს ერთი ანგარიშის კრედიტს. ნებისმიერი ანგარიში თანასწორუფლებიანია, მაგრამ ყოველთვის ერთი ანგარიში არის ძირითადი აზრის გამომხატველი, ხოლო მეორე თანმხლები. ამ მეორე ანგარიშს მოკორესპონდენტო ანგარიში ეწოდება. ანგარიშთა დაკავშირებას კი ანგარიშთა კორესპონდენცია.

პირველი ჩანაწერი ბუღალტრულ ანგარიშზე არის ნაშთი (საღდო), რომელიც არის საწყისი მდგომარეობის მაჩვენებელი. შემდეგ იწერება სამეურნეო ოპერაციებით გამოწვეული ცვლილებები, მატება ან კლება და თვის ბოლოსთვის გამოითვლება ნაშთი, რომელიც მომდევნო თვეში გადავა, როგორც საწყისი ნაშთი. დებეტში არსებული ციფრების ჯამი წარმოადგენს დებეტურ ბრუნვას, ხოლო კრედიტში ასახული ციფრების ჯამი კრედიტის ბრუნვას.

ანგარიშთა გეგმაში განსახვავებენ ორი სახეობის ანგარიშს: აქტიურსა და პასიურს. აქტიურ ანგარიშებში ზრდა იწერება დებეტის მხარეს, ხოლო შემცირება კრედიტის მხარეს. ნაშთის გასაანგარიშებლად სადებეტო ბრუნვას აკლდება საკრედიტო ბრუნვა. ნაშთი აქტიურ ანგარიშებს აქვთ სადებეტო. **აქტიური ანგარიშებია:** აქტივებისა და ხარჯების ამსახველი ანგარიშები. **პასიური ანგარიშებია:** ვალდებულებების, კაპიტალისა და შემოსავლების ანგარიშები. მათი ზრდა იწერება კრედიტის მხარეს, შემცირება დებეტის მხარეს, ნაშთის გამოსათვლელად, კრედიტის ჯამს აკლდება დებეტის ჯამი, ნაშთი იწერება კრედიტის მხარეს, ანუ პასიურ ანგარიშებს ყოველთვის აქვთ საკრედიტო ნაშთი.

განვიხილოთ მაგალითი:

- I დღე: შპს „A“ იწყებს საქმიანობას, მისი საწყისი კაპიტალი შეადგენს 10 000 ლარს;
- II დღე: ნაღდი ანგარიშსწორებით ყიდულობს ავტომობილს 4 000 ლარად;
- III დღე: ნაღდი ანგარიშსწორებით ყიდულობს საქონელს 200 ლარად;
- IV დღე: ყიდის მესამე დღეს შეძენილ საქონელს 300 ლარად ნაღდი ფულით;
- V დღე: კრედიტით ყიდულობს 400 ლარის ღირებულების საქონელს.

თუ საწარმომ ფუნქციონირება დაიწყო მიმდინარე პერიოდში, მაშინ ანგარიშებს საწყისი ნაშთი არ ექნება. მოცემული 5 დღის ოპერაციების შედეგად გავიანგარიშოთ ნაშთი საღაროში:

1100 - ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში

დებიტი		კრედიტი	
1) კაპიტალი	10 000	2) ავტომობილის შეძენა	4 000
4) შემოსავალი რეალიზაციიდან	300	3) საქონლის შეძენა	200
<i>ბრუნვა</i>	10 300	<i>ბრუნვა</i>	4 200
<i>ნაშთი</i>	<u>6 100</u>		

განვიხილოთ მაგალითი:

საღაროში თვის დასაწყისში ნაღდი ფულის ნაშთი იყო 500 ლარი. გაყიდვებიდან მიღებულია 3000 ლარი. საღაროდან გაიცა იჯარის თანხა 800 ლარი, მასალების შესაძენად 1,000 ლარი, გაიცა ელექტროენერგიის საფასური 100 ლარი. დავიანგარიშოთ საღაროს ნაშთი ამ ოპერაციების შემდეგ:

1100 - ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში

დებიტი		კრედიტი	
1) საღაროს საწყისი ნაშთი	500	4) იჯარის ხარჯი	800
2) შემოსავალი რეალიზაციიდან (საღარო)	3 000	5) მასალების შეძენა	1 000
		6) ელექტროენერგიის ხარჯი	100
<i>ბრუნვა</i>	3 500	<i>ბრუნვა</i>	1 900
<i>ნაშთი</i>	<u>1 600</u>		

1110 (ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში) არის აქტივების ამსახველი ანგარიში, იგი მიეკუთვნება აქტიურ ანგარიშებს. აქტიურ ანგარიშებს აქვთ სადებეტო ნაშთი, ზრდა იწერება დებიტის მხარეს, ხოლო შემცირება კრედიტის მხარეს. შესაბამისად, საწყისი ნაშთი და შემოსული თანხა (თანხის გაზრდა) აისახა დებიტის მხარეს, ხოლო თანხის გასვლა, შემცირება - კრედიტის მხარეს. სადებეტო ბრუნვას აკლდება სარედიტო ბრუნვა და მიიღება საბოლოო ნაშთი, რომელიც გვექნება აუცილებლად უნდა იყოს სადებეტო. მიმდინარე პერიოდის საბოლოო ნაშთი წარმოადგენს მომდევნო დღის საწყის ნაშთს.

საღაროს ოპერაციების აღრიცხვა

საწარმოში ნაღდი ფულის მოძრაობის აღრიცხვისთვის ანგარიშთა გეგმა ითვალისწინებს ანგარიშთა ჯგუფს 1100 ნაღდი ფული საღაროში. აღრიცხვა უნდა მოხდეს ვალუტის სახეობების მიხედვით. 1110 - ნაღდი ფული ეროვნული ვალუტაში; 1120 - ნაღდი ფული უცხოური ვალუტაში. ამ ანგარიშს შეიძლება გაეხსნას იმდენი ქვეანგარიში, რამდენი სახის უცხოური ვალუტაც იქნება გამოყენებული საწარმოში.

ზემოთ როგორც უკვე აღინიშნა, 1110 აქტიური ანგარიშია. მის დებეტში აისახება ფულის მიღება საღაროში, ხოლო კრედიტში - ფულის გასვლა.

1110 - ს შეიძლება ეკორესპონდენტებოდნენ სხვადასხვა ანგარიშები:

- 1410 - მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან;
- 1430 - მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ;
- 6110 - შემოსავალი რეალიზაციიდან;
- 3210 - მოკლევადიანი სესხები;
- 3110 - ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან და სხვ.

ქვემოთ განხილულია საღაროს სხვადასხვა ოპერაციის შესაბამისი ბუღალტრული ჩანაწერების ფორმირების სტილი.

ფულის მიღება საღაროში

1. ანგარიშვალდებული პირის მიერ ბანკიდან საღაროში შეტანილია 1 000 ლარი;
2. საცალო ვაჭრობიდან რეალიზებული პროდუქციის ღირებულება 1 500 ლარი შეტანილია საღაროში;
3. აღებულია მოკლევადიანი სესხი 2 500 ლარი და შეტანილია საღაროში;
4. მყიდველის მიერ დაფარულია მოთხოვნა 700 ლარი.

ქვემოთ მოცემულია გატარებების ფორმა, რომელიც შეესაბამება ბუღალტრული გატარებების აღრიცხვის ჟურნალში არსებული ჩანაწერების ფორმას:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	12/05/2017	1110	1430	1 000	ანგარიშვალდებული პირის მიერ თანხის შეტანა საღაროში
2	20/11/2017	1110	6110	1 500	შემოსულია თანხა რეალიზაციიდან საღაროში
3	02/02/2017	1110	3210	2 500	აღებულია მოკლევადიანი სესხი
4	30/12/2017	1110	1410	700	დაფარულია დებიტორული დავალიანება

ფულის გაცემა საღაროდან:

ანალოგიურად შესრულდება საღაროდან თანხის გასვლის ოპერაციები:

1. გადახდილია შესყიდული საქონლის საფასური 1 800 ლ.
2. დაიფარა მოკლევადიანი სესხი 2 500 ლ.
3. გადახდილია საიჯარო ქირა 700 ლ.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	15/05/2017	3110	1110	1 800	დაფარულია სავაჭრო ვალდებულება
2	20/06/2017	3210	1110	2 500	დაფარულია სასესხო ვალდებულება
3	30/08/2017	3190	1110	700	დაფარულია საიჯარო ვალდებულება

საღაროს შემოსავლის ორდერში ფიქსირდება ნაღდი ფულის შემოსვლა. თითოეულ ოპერაციაზე ფორმდება ცალკე საღაროს შემოსავლის ორდერი, რომელსაც მიენიჭება ნომერი, მიეთითება ოპერაციის

თარიღი, ვისგანაა შემოსული ეს თანხა, თანხის ოდენობა და ოპერაციის მოკლე შინაარსი - თუ რის საფუძველზე შემოვიდა თანხა. ასეთ საბუთს ხელს აწერს მთავარი ბუღალტერი, მოწმდება ბეჭდით ისე, რომ ბეჭდის ნაწილი გადადიოდეს მოსახვევ კვითარზე.

საწარმოს ნაღდი ფულის შემოსვლის გარდა გააჩნია მისი გასავალიც, რასაც აფორმებენ სალაროს გასავლის ორდერით. მასში აუცილებლად მიეთითება ნომერი, შევსების თარიღი, თანხა, ის, თუ ვისზე გაიცა თანხა და ოპერაციის მოკლე შინაარსი. საბუთს ხელს აწერს მთავარი ბუღალტერი, ხელმძღვანელი, თანხის მიმღები, რომელიც პირადად მიუთითებს, თუ რა თანხა მიიღო და ადასტურებს ხელმოწერით.

ოპერაციების ასახვა საბანკო ანგარიშებზე

უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციებისთვის გამოიყენება საბანკო დაწესებულებები, სადაც ნებისმიერ იურიდიულ პირს უფლება აქვს გახსნას ანგარიშსწორების ანგარიშები, როგორც ეროვნული, ასევე უცხოური ვალუტით.

საბანკო ოპერაციების განხორციელებისთვის ბანკთან ფორმდება ხელშეკრულება. ბანკში ბარდება ორგანიზაციის იმ პირთა ხელმოწერის ნიმუშები, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი უფლებამოსილება. საბანკო დაწესებულება ორგანიზაციებზე დამატებითი განაცხადის გარეშე ნებისმიერ დროს გასცემს ანგარიშის ამონაწერს (ავიზოს), განხორციელებული ოპერაციების შესახებ. მას თან უნდა ახლდეს პირველადი საბუთები, თუ რის საფუძველზე გადაირიცხა ესა თუ ის თანხა.

საბანკო ოპერაციების აღრიცხვისთვის ანგარიშთა გეგმით გათვალისწინებულია 1200 - სინთეზური ანგარიშების ჯგუფი, რომელიც იყოფა შემდეგ ანალიზურ ანგარიშებად:

- 1210 - ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში (ადგილობრივ ბანკში);
- 1220 - უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში;
- 1230 - უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში (საზღვარგარეთის ბანკში).

ამ ჯგუფის ნებისმიერი ანგარიშის დებეტში ასახვა გვიჩვენებს ფულადი სახსრების შემოსავალს უნაღდო ანგარიშსწორებით, ხოლო კრედიტში ასახვა გვიჩვენებს ფულადი სახსრების გასავალს.

განვიხილოთ ტრადიციული საბანკო ოპერაციები:

1. ანგარიშვალდებულმა პირმა ბანკში განახორციელა შენატანი 5,000 ლარი;
2. მყიდველმა დაფარა მოთხოვნა და გადმორიცხა 2,000 ლარი;
3. ანგარიშზე ჩაირიცხა ბანკის მოკლევადიანი სესხი 6,000 ლარი;
4. ბიუჯეტში გადარიცხულია მოგების გადასახადი 4,000 ლარი;
5. გადმორიცხულია სხვა საწარმოდან ავანსი 1,500 ლარი;
6. ბანკიდან ანგარიშვალდებულმა პირმა გაიტანა 2,500 ლარი.

შევასრულოთ შესაბამისი საბუღალტრო გატარებები:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	30/08/2017	1210	1430	5 000	ანგარიშვალდებული პირის მიერ ბანკში თანხის შეტანა
2	30/08/2017	1210	1410	2 000	დებიტორის მიერ თანხის ჩარიცხვა
3	12/09/2017	1210	3210	6 000	აღებულია მოკლევადიანი სესხი
4	16/09/2017	3310	1210	4 000	გადარიცხულია მოგების გადასახადი
5	26/09/2017	1210	3120	1 500	მიღებულია ავანსი
6	16/10/2017	1430	1210	2 500	ანგარიშვალდებულმა პირმა განახორციელა ბანკიდან თანხის გატანა

ამ მონაცემების გამოყენებით გავიანგარიშოთ ნაშთი საბანკო ანგარიშზე:

1210 - ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში

დებიტი		კრედიტი	
1) ანგარიშვალდებული პირის მიერ ბანკში თანხის შეტანა	5 000	4) გადარიცხულია მოგების გადასახადი	4 000
2) დებიტორის მიერ თანხის ჩარიცხვა	2 000	6) ანგარიშვალდებული პირის მიერ გატანილია თანხა ბანკიდან	2 500
3) მოკლევადიანი სესხის აღება	6 000		
5) მიღებულია ავანსი	1 500		
ბრუნვა	14 500	ბუნვა	6 500
ნაშთი	8 000		

წინასწარ გაწეული ხარჯების აღრიცხვა

წინასწარ გაწეული ხარჯები ისეთი ხარჯებია, რომელიც გაიწევა მიმდინარე პერიოდში, ხოლო ეკონომიკური სარგებელი მათგან მიიღება მომავალში. ასეთია: წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა, წინასწარ გადახდილი დაზღვევის თანხა, ახალი პროდუქციის ათვისების ხარჯები და სხვა.

წინასწარ გადახდილი გადასახდელები წარმოადგენს აქტივს, მაგრამ წლის ბოლოს აუცილებლად უნდა მოხდეს გადანაწილება, თუ აქედან რა ნაწილი მიეკუთვნება მიმდინარე წელს და გადატანილი იქნას მიმდინარე პერიოდის ხარჯების ანგარიშზე, ხოლო დარჩენილი თანხა გადავიდეს ბალანსში აქტივის სახით.

განვიხილოთ მაგალითი:

საწარმომ 1 წლის საიჯარო ქირა გადაიხადა 1 ივლისს 12 000 ლარი, 1 წლის დაზღვევის თანხა 3 600 ლარი 30 სექტემბერს, ხოლო წინასწარ გადახდილი მომსახურების თანხის 1 000 ლარის მომსახურება საწარმოს გაეწია იმავე წელს.

აქედან გამომდინარე, 1 000 ლარი მთლიანად მიეკუთვნება მიმდინარე პერიოდის ხარჯებს, საიჯარო ქირიდან - მხოლოდ 6 თვის თანხა 6 000 ლ (12 000 / 12 × 6), ხოლო დაზღვევის თანხიდან - 900 ლ (3 600 / 12 × 3).

№	თარიღი	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	12/01/2017	1710	1210	1 000	წინასწარ გადახდილი მომსახურების თანხა
2	20/02/2017	7490	1710	1 000	მიმდინარე პერიოდის ხარჯი
3	01/07/2017	1720	1210	12 000	წინასწარ გადახდილია საიჯარო ქირა
4	30/09/2017	1790	1210	3 600	წინასწარ გადახდილია დაზღვევა
5	30/12/2017	7420	1720	6 000	აღიარდა მიმდინარე პერიოდის ხარჯად
6	30/12/2017	7435	1790	900	აღიარდა მიმდინარე პერიოდის ხარჯად

საგადასახადო კოდექსის განმარტებები

საქონელი, მომსახურება

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა – პირის მიერ ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში გამოყენებული ნედლეული, მასალა, ნახევარფაბრიკატები, სამარაგო ნაწილები, ტარა და მზა პროდუქცია (საქონელი) ბასს-ის მიხედვით [სსკ მ.8].

საქონელი არის მატერიალური ან არამატერიალური ქონება, მათ შორის, ელექტრო და თბოენერგია, გაზი და წყალი. დღგ-ს მიზნებისთვის საქონელს არ მიეკუთვნება ფული [სსკ მ.13].

მომსახურებად ითვლება საქმიანობა, რომელიც არ არის საქონლის მიწოდება, თუ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მომსახურებას მიეკუთვნება შემდეგი საქმიანობა: სამშენებლო-სამონტაჟო, სარემონტო, სარესტავრაციო, საცდელ-საკონსტრუქტორო, გეოლოგიურ - საძიებო, სატრანსპორტო, მათ შორის, გაზის, ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ელექტრო- და თბოენერგიის ტრანსპორტირება, ქონების გაცემა ქირით, იჯარით, ან ლიზინგით, საშუამავლო, პერსონალის შერჩევა, პატენტების, მოწმობების, ლიცენზიების, სავაჭრო ნიშნების, მომსახურების ნიშნების, ინტელექტუალური საკუთრებისა და სხვა არაქონებრივი უფლების გამოყენებაზე უფლების გადაცემა, ვალდებულების შესრულება – მოქმედება ან მოქმედებისგან თავის შეკავება, კავშირგაბმულობის, საყოფაცხოვრებო და საბინაო-კომუნალური მომსახურება, სარეკლამო მომსახურება, ინოვაციური მომსახურება, ფინანსური ოპერაციები ან/და ფინანსური მომსახურება, სადაზღვევო მომსახურება, საკონსულტაციო, იურიდიული, ბუღალტრული, აუდიტორული, მარკეტინგული მომსახურება, მონაცემთა დამუშავებისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის მომსახურება, საქონლის სარეალიზაციოდ მომზადების მომსახურება, მათ შორის, პარტიის დანაწილება, გასაგზავნად ფორმირება, დახარისხება, შეფუთვა, გადაფუთვა, ჩამოსხმა, საქონლის ან სხვა ქონების შენახვის მომსახურება, დაცვის მომსახურება, დამკვეთის ნედლეულით (მასალით) საქონლის ან სხვა ქონების წარმოება, სატრანსპორტო ტვირთების, მათ შორის, საექსპედიტორო, გადატვირთვის მომსახურება, ხომალდების მომსახურება, მათ შორის, საპორტო მომსახურება, საპორტო ფლოტის გემების მომსახურება, საჰაერო ხომალდების მომსახურება, მათ შორის, საქართველოს აეროპორტებში, საჰაერო სივრცესა და კოსმოსურ სივრცეში გაწეული აერონავიგაციის მომსახურება და სხვა მომსახურება [სსკ მ.14].

მაგალთად, აქციის დათმობა - გაყიდვა წარმოადგენს არამატერიალური ქონებრივი სიკეთის სხვის საკუთრებაში გადაცემას, მაგრამ, ვინაიდან, მიიჩნევენ, რომ ის განეკუთვნება ფინანსურ ოპერაციას და, შესაბამისად, მომსახურების მიწოდებას ამიტომ საქონლის/მომსახურების ჭრილში ამ მიწოდების ობიექტი – აქცია წარმოადგენს საქონელს, მაგრამ მისი სხვისთვის გადაცემის მოქმედება – მომსახურებას.

ლიზინგი [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის](#) შესაბამისად, თუ ლიზინგის საგანი არის ამორტიზაციას დაქვემდებარებული აქტივი.

[სსკ მ.576/1] ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი ვალდებულია ლიზინგის მიმღებს სარგებლობაში გადასცეს განსაზღვრული ქონება ხელშეკრულებით დათქმული ვადით, ამ ქონების შესყიდვის უფლებით ან ასეთი უფლების გარეშე, ხოლო ლიზინგის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს საზღაური დადგენილი პერიოდულობით, იმ პირობით, რომ:

ა) ლიზინგის მიმღები განსაზღვრავს ქონებას და ირჩევს მიმწოდებელს, რომლისგანაც ხდება ქონების შესყიდვა ან მისი სხვაგვარად მიღება;

ბ) ლიზინგის გამცემი ქონებას იძენს ლიზინგით გასაცემად და მიმწოდებლისთვის ეს ფაქტი ცნობილია.

[სსკ მ.576/2] მიმწოდებელი შეიძლება იმავდროულად იყოს ლიზინგის გამცემი, თუ მიმწოდებლის ჩვეულებრივი საქმიანობა არის ქონების მიწოდება ან ქონების ლიზინგით გაცემა. ქონება შეიძლება შეძენილ იქნეს ასევე ლიზინგის მიმღებისგან.

[სსკ მ.576/3] ლიზინგით გაცემული ქონება ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან ვადაზე ადრე შეწყვეტისას განმეორებით შეიძლება გაიცეს ლიზინგით, მაგრამ იმისათვის, რომ მასზე გავრცელდეს ამ თავის დებულებები, ლიზინგის გამცემმა უნდა მოიპოვოს ლიზინგის მიმღებისგან ქონების დამოუკიდებელი შერჩევის დადასტურება.

[[სსკ მ.576/4](#)] ლიზინგის საგანი არ შეიძლება იყოს ფული, ფასიანი ქაღალდი, წილი ან პაი სამეწარმეო საზოგადოებაში.

საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა

საქონლის მიწოდებად ითვლება პირის მიერ სხვა პირისთვის საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა სასყიდლით (მათ შორის, საქონლის რეალიზაცია, გაცვლა, ხელფასის ან ნატურალური ფორმით ანაზღაურება) ან უსასყიდლოდ [[სსკ მ.16](#)].

წინამდებარე მუხლი, შეიძლება ითქვას, წარმოადგენს იმ ფუნდამენტს, რომელზეც მთლიანად აგებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსი. ეს ფუნდამენტი, თავის მხრივ, ეფუძნება საკუთრების უფლებას. საყურადღებოა, რომ კოდექსისთვის მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა სახის გარიგების საფუძველზე გადავა ქონებაზე საკუთრების უფლება სხვა პირზე. არც იმას აქვს მნიშვნელობა, საკუთრების უფლების გადაცემა სასყიდლიანი იყო თუ უსასყიდლო. მთავარია, რომ ადგილი ჰქონდეს საკუთრების უფლების გადაცემას. საკუთრების უფლების სხვა პირზე გადასვლა კი შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ტიპის კერძო სამართლებრივი გარიგების ან კანონის საფუძველზე. კერძო სამართლებრივი ხელშეკრულების მთავარ მაგალითად დავასახელებთ ნასყიდობის ხელშეკრულებას, რომლის კერძო შემთხვევებს წარმოადგენენ გაცვლის, გამოსყიდვის, გადახდის განვადებით ნასყიდობისა და უპირატესი შესყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულებები. ქონებაზე საკუთრების გადაცემა შეიძლება განხორციელდეს ასევე ჩუქების, ანდერძის, ნარდობის, სესხის, და სხვა საფუძველზე.

მომსახურების გაწევად ითვლება პირის მიერ სხვა პირისთვის მისივე ნებით, კომპენსაციის მიზნით ან უსასყიდლოდ ისეთი მოქმედების შესრულება, რომელიც არ არის საქონლის მიწოდება. დამატებული ღირებულების გადასახადის მიზნებისთვის მომსახურების მიწოდებას არ მიეკუთვნება ისეთი მომსახურების გაწევა, რომელიც გულისხმობს ფულზე საკუთრების უფლების გადაცემას ან დაქირავებით მუშაობას.

მომსახურების გაწევა - ეს არის მოქმედების შესრულება, მაგრამ ისეთის, რომელიც მიმართულია სხვა პირის სურვილების დასაკმაყოფილებლად, ამასთან, ეს სურვილები გამოხატული უნდა იყოს ამ სხვა პირის ნების გამოვლენით. საქონლის მიწოდების მსგავსად, აქაც მნიშვნელობა არ აქვს მოქმედება სასყიდლიანია თუ უსასყიდლო. არ არის საქონლის მიწოდება ნიშნავს, რომ მომსახურებას უნდა გამოეყოს საქონლის მიწოდება. მაგ.: ავტომანქანის დეტალის შეკეთებისას ხელოსანმა გამოიყენა საკუთარი მასალა. მომსახურებად უნდა განიხილოს შეკეთება მასალის გარეშე.

საქონლის/მომსახურების ფასის განსაზღვრის პრინციპები

[[სსკ მ.18](#)]

გადასახადებით დაბეგვრის მიზნებისთვის გამოიყენება გარიგებაში საქონლის/მომსახურების ფაქტობრივი ფასი, თუ კოდექსით საბაზრო ფასის ან სხვა ღირებულების გამოყენება არ არის გათვალისწინებული.

საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასად ითვლება ფასი, რომელიც ყალიბდება საქონლის/მომსახურების ბაზარზე იდენტური (ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – მსგავსი) საქონლის/მომსახურების მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთემოქმედების შედეგად და შესაბამის ბაზარზე იმ პირებს შორის დადებული გარიგების საფუძველზე, რომლებიც, [სსკ მე-19 მუხლის](#) მიხედვით, არ არიან ურთიერთდამოკიდებული პირები. ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის გარიგება მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ პირობით, რომ მათი ურთიერთდამოკიდებულება გავლენას არ მოახდენს ასეთი გარიგების შედეგებზე

ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებიან ის პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე. განსაკუთრებულ ურთიერთობებს მიეკუთვნება ურთიერთობები, რომელთა დროსაც:

- ა) პირები არიან ერთი საწარმოს დამფუძნებლები (მონაწილეები), თუ მათი ჯამური წილი არანაკლებ 20 პროცენტია;

- ბ) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირ საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი არანაკლებ 20 პროცენტია;
- გ) პირი ახორციელებს საწარმოს კონტროლს;
- დ) ფიზიკური პირი თანამდებობრივად ექვემდებარება სხვა ფიზიკურ პირს;
- ე) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორე პირს;
- ვ) პირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი;
- ზ) პირები ერთად, პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ მესამე პირს;
- თ) პირები ნათესავები არიან;
- ი) პირები ამხანაგობის წევრები არიან.

პირველადი საგადასახადო დოკუმენტი - არის წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარეთა იდენტიფიცირება, აქვს თარიღი და მოიცავს მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების ჩამონათვალსა და ღირებულებას. საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერულ) ოპერაციაზე გამოწერილ პირველად საგადასახადო დოკუმენტში საქონლის ღირებულების (მათ შორის, საქონლის ერთეულის ფასის) მითითება სავალდებულო არ არის [სსკ მ.72].

პირველადი საგადასახადო დოკუმენტი დგება არანაკლებ ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომლებიც რჩება სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარეებთან.

პირი ვალდებულია პირველადი საგადასახადო დოკუმენტი შეინახოს იმ კალენდარული წლის დასრულებიდან არანაკლებ 3 წლის განმავლობაში, რომლის საგადასახადო ვალდებულების დადგენისთვისაც იგი არის აუცილებელი.

ცალკეულ შემთხვევებში გადასახადით დაბეგვრა

შემოსავალი გადასახადით იბეგრება იმ შემთხვევაშიც, როცა მისი კანონიერება სადავოა [სსკ მ.73].

დაბეგვრისთვის მნიშვნელობა არა აქვს, საქმიანობა მართლზომიერად განხორციელდა თუ არა. მაგალითად, თუ თევზჭერის ლიცენზიის არმქონე პირი ეწევა ზღვიდან არამართლზომიერად მოპოვებული თევზების რეალიზაციას, იგი დაიბეგრება.

თუ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს გადაწყვეტილებით შემოსავალი სრულად ექვემდებარება ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებას, იგი არ იბეგრება.

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, პირის საგადასახადო ვალდებულებები განსაზღვროს არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით (აქტივების სიდიდის, საოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების, პირის შესახებ ინფორმაციის მისი საქმიანობის სხვა საგადასახადო პერიოდთან ან სხვა ამგვარი გადასახადის გადამხდელის შესახებ მონაცემების შედარების, აგრეთვე სხვა მსგავსი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე):

- ა) თუ პირს არ აქვს სააღრიცხვო დოკუმენტაცია ან სააღრიცხვო დოკუმენტაციით შეუძლებელია

დაბეგვრის ობიექტის დადგენა;

- ბ) ერთზე მეტი ნებისმიერი შემდეგი პირობის არსებობისას:

ბ.ა) ადგილი აქვს პირის აქტივების დაუსაბუთებელ ზრდას;

ბ.ბ) პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობისთვის ან/და პირადი მოხმარებისთვის გაწეული ხარჯი აჭარბებს დეკლარირებულ შემოსავალს;

ბ.გ) მიმდინარე საგადასახადო კონტროლის ღონისძიებების შედეგად საგადასახადო შემოწმების დაწყების შესახებ საგადასახადო ორგანოს შესაბამისი აქტით განსაზღვრულ შესამოწმებელ პერიოდში გამოვლენილია პირის მიერ საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენის ორი ან მეტი შემთხვევა;

ბ.დ) გამოვლენილია არსებითი სხვაობა პირის მიერ საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენილ/დეკლარირებულ დაბეგვრასთან დაკავშირებულ მონაცემებსა და მიმდინარე საგადასახადო კონტროლის ღონისძიებების შედეგად ფაქტობრივად დაფიქსირებულ მონაცემებს შორის.

ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის გარიგებისას შემოსავლები და ხარჯები ისე უნდა განაწილდეს, როგორც დამოუკიდებელ პირებს შორის დადებული გარიგების დროს.

საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის მიზნით საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს:

- ა) მხედველობაში არ მიიღოს სამეურნეო ოპერაციები, რომლებსაც არა აქვს არსებითი ეკონომიკური გავლენა;
- ბ) სამეურნეო ოპერაციის ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით შეცვალოს მისი კვალიფიკაცია, თუ ოპერაციის ფორმა არ შეესაბამება მის შინაარსს.

დასაბეგრი ბაზის განსაზღვრის მიზნით გონივრული განსჯის პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნას მხოლოდ დიდი ალბათობის მქონე ცდომილებები, და არა უმნიშვნელო. თუ კომპიუტერებით მოვაჭრე საწარმომ დაკარგა/გაანადგურა სააღრიცხვო დოკუმენტაცია, მაგრამ ანალიზით გაირკვა, რომ გაყიდულ იქნა სულ მცირე 10 კომპიუტერი საერთო თანხით 10,000 ლარი, მაშინ დასაბეგრი მოგების გამოთვლისთვის, შესწავლილ უნდა იქნას, ასევე, ამ კომპიუტერების სავარაუდო შესასყიდი ფასი იმ სავარაუდო მომწოდებლებისგან, რომლებთანაც ეს საწარმო ჩვეულებრივ კომერციულ ურთიერთობაში იყო. თუ ნაკლებ სავარაუდოა, რომ საწარმო წარმოდგეს დასაჩუქრებულად, მაშინ რეალიზებული კომპიუტერების შესაძენად გაწეული სავარაუდო ხარჯი უნდა გამოიქვითოს.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაცია, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას, ასევე საბაჟო ღირებულების და იმპორტის/ექსპორტის გადასახდელების ოდენობის განსაზღვრისას, უცხოური ვალუტა გადაიანგარიშება ლარებში:

- ა) ოპერაციის დღისათვის/საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ბ) კურსით, რომელიც განისაზღვრება ლარის მიმართ უცხოური ვალუტის გამოქვეყნებული კურსით, მათ შორის, სხვა სახელმწიფოებში გამოქვეყნებული კურსით იმ ვალუტის მიმართ, რომელზედაც არსებობს ლარის გაცვლის ოფიციალური კურსი, თუ ოპერაციის დღისათვის/საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღისთვის არ არსებობს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი.

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ

საწარმოს დაფუძნების უმთავრესი ეტაპი მისი რეგისტრაციაა, რადგან საწარმო ჩამოყალიბებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან. მათი დამფუძნებლების მიერ მანამდე განხორციელებული ნებისმიერი ქმედება (მაგ.: დადებული გარიგება) გამოიწვევს მათ პერსონალურ პასუხისმგებლობას საწარმოს დაფუძნების შემდეგაც.

მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია [კმმ მ.4]

მეწარმეთა შესახებ კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული მეწარმე სუბიექტის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაცია სავალდებულოა.

მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – მარეგისტრირებელი ორგანო).

მეწარმე სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. მეწარმე სუბიექტის არსებობა დგინდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე საგადასახადო რეგისტრაციას. მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ ძალაში შედის მხარისთვის ოფიციალურად გაცნობისთანავე ან გამოქვეყნებისთანავე. გადაწყვეტილების გამოქვეყნებად ითვლება მისი მარეგისტრირებელი ორგანოს ვებგვერდზე განთავსება.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში დაცული მონაცემები რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებებისა და მათი გაუქმების შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ელექტრონულად ეგზავნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს.

მეწარმე სუბიექტი რეგისტრირდება მის მიერ განცხადებული მისამართის მიხედვით. დაინტერესებულმა პირმა იურიდიულ მისამართად უნდა მიუთითოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მისამართი, რომელზედაც შესაძლებელი იქნება წერილობითი შეტყობინების (კორესპონდენციის) გაგზავნა. რეგისტრირებულ მისამართზე გაგზავნის შემდეგ წერილობითი შეტყობინება (კორესპონდენცია) ითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად (კორესპონდენციად).

საწარმოსთვის და უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალისთვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის წარმოების პირობები და რეესტრიდან ამონაწერების ფორმები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციით“.

საქართველოს შრომის კოდექსის განმარტებები

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და განმტკიცებულია შრომითი საქმიანობისა და პროფესიის არჩევის თავისუფლება. აკრძალულია იძულებითი შრომა.

შრომითი ურთიერთობის სუბიექტად მუშაკის აღიარების დამადასტურებელი ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტია შრომითი ხელშეკრულება. იგი წარმოადგენს მხარეების წერილობით შეთანხმებას, რომლითაც ორგანიზაციის ადმინისტრაცია კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს მუშაკი შრომის სათანადო პირობებით, გადაუხადოს ხელფასი, ხოლო მუშაკი კისრულობს ვალდებულებას კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, დაიცვას შრომის დისციპლინა, გაუფრთხილდეს ორგანიზაციის ქონებას.

ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშვება 16 წლიდან [\[სმკ მ.4\]](#)

16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშვება მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობა ძალაში რჩება მსგავსი ხასიათის შემდგომი შრომითი ურთიერთობის მიმართაც.

14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.

აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება სათამაშო ბიზნესთან, დამის გასართობ დაწესებულებებთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად.

აკრძალულია არასრულწლოვანთან, ასევე ორსულ ან მეძუძურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად.

დამსაქმებელი ვალდებულია კანდიდატს მიაწოდოს ინფორმაცია:

- ა) შესასრულებელი სამუშაოს შესახებ;
- ბ) შრომითი ხელშეკრულების ფორმის (წერილობითი ან ზეპირი) და ვადის (განსაზღვრული ან განუსაზღვრელი) შესახებ;
- გ) შრომის პირობების შესახებ;
- დ) შრომითი ურთიერთობისას დასაქმებულის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ;
- ე) შრომის ანაზღაურების შესახებ

კითხვები თვითშემოწმებისთვის

1. როგორ ჯგუფდება ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმაში ანგარიშები?
2. რისთვის გამოიყენება ქვეანგარიშები?
3. რას აღნიშნავს შიფრის თითოეული ელემენტი?
4. რატომ გვჭირდება ორი ანგარიშის გამოყენება ბუღალტრულ გატარებებში?
5. რატომ გვჭირდება დებეტისა და კრედიტის გამოყენება ბუღალტრულ აღრიცხვაში?
6. რას ნიშნავს აქტიური და პასიური ანგარიშები?
7. როგორ აღირიცხება ზრდა და კლება აქტიურ და პასიურ ანგარიშებში?
8. ჩამოთვალეთ სამეურნეო ოპერაციებით გამოწვეული 4 სახის ცვლილება ბალანსში და მოიყვანეთ მაგალითები;
9. რას ნიშნავს სადებეტო და საკრედიტო ბრუნვა?
10. როგორ გამოიყენება ანგარიშის საბოლოო ნაშთი?
11. რა არის საწყისი ნაშთი?
12. რას ნიშნავს ანგარიშთა კორესპონდენცია?
13. როგორ აღირიცხება ბუღალტრული გატარებით სალაროში ფულის შესვლა და სალაროდან გასვლა?
14. რა ძირითადი ინფორმაცია ივსება სალაროს შემოსავლის და გასავლის ორდერებში?
15. როგორ აღირიცხება საბანკო ანგარიშზე ფულადი სახსრების შესვლა და ანგარიშიდან გადარიცხვა?
16. რა არის საქონელი? მომსახურება?
17. ითვლება თუ არა საქონლის/მომსახურების უსასყიდლო მიწოდება მიწოდებად?
18. რა არის ლიზინგი?
19. რას ნიშნავს საქონლის/ მომსახურების საბაზრო ფასი?
20. რომელი ფასი გამოიყენება გადასახადით დაბეგვრის მიზნებისთვის?
21. ვინ ითვლებიან ურთიერთდამოკიდებულ პირებად?
22. რას ნიშნავს პირველადი საგადასახადო დოკუმენტი?
23. როგორ ხდება ცალკეულ შემთხვევებში გადასახადით დაბეგვრა?
24. განმარტეთ საქონლის საბაზრო ფასი, საქონლის მიწოდება?
25. რამდენ ხანს ინახება პირველადი საგადასახადო დოკუმენტი?

ლექცია №3

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

საწარმო თავისი საქმიანობის პროცესში იყენებს მატერიალურ აქტივს, რომელიც გამოყენების პროცესში იცვლის სახეს. იმის გამო, რომ იგი ხანმოკლე დროით არის საწარმოს საკუთრება ან ხანმოკლე დროით ინარჩუნებს თავის სახეს, კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივი.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები წარმოადგენენ ისეთ აქტივებს, რომლებიც:

- ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში;
- ბ) მონაწილეობენ წარმოების პროცესში და გათვალისწინებულია გასაყიდად;
- გ) წარმოადგენილია ნედლეულისა და მასალების სახით და განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად.

აქტივი, რომელიც თავისი ძირითადი დანიშნულების მიხედვით გრძელვადიან აქტივს წარმოადგენს (მიწა, შენობა-ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვ.), შესაძლოა შეძენილი იყოს შემდგომი გაყიდვის მიზნით. ამ შემთხვევაში მათ სხვა მიზნობრივი დატვირთვა აქვს და საქონელს (შესაბამისად, სასაქონლო-მატერიალურ მარაგს) წარმოადგენს.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შემადგენლობაში შედის საქონელი, ნედლეული და მასალები, დაუმთავრებელი წარმოება, მზა პროდუქცია, სხვა მარაგები და ფასეულობები, როგორიცაა: ტარა, ყუთები, შესაფუთი მასალები, სათადარიგო ნაწილები, სათბობი (მაგ.: ნავთობი) და სხვა.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის საწარმოები განსაზღვრვენ რეალიზებული და ნაშთად დარჩენილი საქონლის თვითღირებულებას.

განვიხილოთ მაგალითი:

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში ჰქონდა 30 000 ლარის საქონლის მარაგი. საანგარიშგებო პერიოდში შეიძინა 170 000 ლარის საქონელი. ამავე პერიოდში, რეალიზაციიდან მიღებულმა ამონაგებმა შეადგინა 180 000 ლარი, ფასნამატი 25%.

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (რსთ) განისაზღვრება გაანგარიშებით: $180\,000 \times 100 / 125 = 144\,000$ (180 000 ლარი მოიცავს ფასნამატს, 25%-ს, ანუ ფასნამატი გამოითვლება $180\,000 \times 25\% / 125\% = 36\,000$ (ლარი),

ხოლო რსთ = $180\,000 - 36\,000 = 144\,000$).

ნაშთად დარჩენილი საქონლის თვითღირებულება იქნება: $(30\,000 + 170\,000) - 144\,000 = 56\,000$ ლარი.

ამრიგად, რეალიზებული საქონლის თვითღირებულება 144 000 ლარი შეიტანება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. ასევე, გაიანგარიშება საანგარიშგებო პერიოდში მიღებული მოგება სხვაობით: $180\,000 - 144\,000 = 36\,000$, ხოლო ბალანსში აისახება 56 000 $(30\,000 + 170\,000 - 144\,000)$ ლარის საქონლის მარაგი.

მარაგის შეფასება ბასს 2-ის მიხედვით ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მიმდინარე აღრიცხვაში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, მაგრამ წინდახედულების პრინციპის შესაბამისად, გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება მიზანშეწონილი იყოს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით შეფასება. მაგ.: დაზიანების, მოძველების შემთხვევაში, იმის გამო, რომ საქონელი ნელა იყიდება და საბაზრო ფასის შემცირებაა მოსალოდნელი. ბალანსის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იქნას შესაძლო ზარალიც. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება ეს არის ამონაგები, რომლის მიღებაც მოსალოდნელია მომავალში, საქონლის გაყიდვის შემდეგ, ყველა სარეალიზაციო ხარჯის გამოკლებით.

განვიხილოთ მაგალითი:

საწარმომ შეიძინა 400 ლარის საქონელი, რომლის გაყიდვას გეგმავს 1 000 ლარად. რეალიზაციის დანახარჯები შეადგენს 200 ლარს. შევავსოთ მარაგი ბალანსში ასახვისთვის.

ამრიგად, მარაგის თვითღირებულება 400 ლარია, ხოლო ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სხვაობა გაყიდვის ფასსა და რეალიზაციის დანახარჯებს შორის $= 1\,000 - 200 = 800$. ამდენად, უმცირესი თანხა მარაგის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის არის 400 ლარი და ამ ღირებულებით აისახება სასაქონლო მარაგი ბალანსში.

სააღრიცხვო მიზნით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულების განსაზღვრას საფუძვლად უდევს საერთაშორისო სტანდარტით დადგენილი წესი, რომლითაც განსაზღვრულია თვითღირებულების ელემენტები, როგორც შემენილი, ასევე საკუთარი წარმოების სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისთვის.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულებაში შედის მის შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, ასევე ყველა დანახარჯი, რაც დაკავშირებულია მის სათანადო მდგომარეობაში მოყვანასთან და ადგილსამყოფელამდე ტრანსპორტირებასთან. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შემენის დანახარჯები მოიცავს: მათი შემენისას მომწოდებლისთვის გადახდილ თანხას, იმპორტთან დაკავშირებულ საბაჟო გადასახადს, სხვა არადაზღვრებად გადასახადებს, საექსპედიტორო, ტრანსპორტირების, შენახვის გადაზიდვის ხარჯებს და სხვ. მარაგების თვითღირებულებაში არ უნდა შევიდეს რეალიზაციის ხარჯები (რადგან ისინი მიეკუთვნება გაყიდულ საქონელს და არა საქონლის არსებულ მარაგს), შენახვის ხარჯები, ნედლეულისა და მასალების დანაკარგების, შრომისა და სხვა საწარმოო ხარჯების ზენორმატიული თანხები, ადმინისტრაციული ზედნადები ხარჯები.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის მეთოდები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაყიდვის შემდეგ უნდა მოხდეს მათი ჩამოწერა მარაგის შემადგენლობიდან. ამ მიზნით აუცილებელია ჩამოსაწერი ფასეულობის თვითღირებულების დადგენა. პრაქტიკაში საწარმოდან გასული ან წარმოებაში გამოყენებული მარაგის თვითღირებულების დასადგენად მიმართავენ ერთეულის ინდივიდუალური თვითღირებულების, ფიფო ან საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდებს. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების გაანგარიშების სხვადასხვა მეთოდი ფასების ცვლილების პირობებში განსხვავებულ შედეგს იძლევა.

ერთეულის ინდივიდუალური თვითღირებულების (სპეციფიკური იდენტიფიკატორის) მეთოდი გამოიყენება მაღალი ღირებულების მქონე მარაგების შეფასების შემთხვევაში (მაგალითად, ხელოვნების ნიმუშები, საიუველირო ნაკეთობანი და სხვ.). შეფასების გაკეთებისას მარაგის განსაზღვრული ღირებულება წარმოადგენს იდენტიფიცირებადი მარაგის ფაქტობრივ ღირებულებას.

ფიფო (First In, First Out) მეთოდის არსი მდგომარეობს შემდეგში: პირველ რიგში გაიყიდება ის მარაგი, რომელიც პირველად იყო შემენილი, ან წარმოებული. მარაგის ხარჯვა ფასდება შემენის თანმიმდევრობით, ვიდრე არ იქნება გახარჯული (რეალიზებული) პირველად შემენილი ფასეულობები. საანგარიშგებო წლის ბოლოს ნაშთად რჩება ბოლოს შემენილი ფასეულობები, რაც ახლოა მის რეალურ ღირებულებასთან.

საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპის მიხედვით, საქონლის ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება პერიოდის დასაწყისში არსებული ერთეულების თვითღირებულებისა და პერიოდის განმავლობაში შემენილი ან წარმოებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საშუალო შეწონილი ღირებულების მიხედვით. მისი გამოთვლის მიზნით, პერიოდის დასაწყისში არსებული მარაგის მთლიან თვითღირებულებას ემატება პერიოდის განმავლობაში შემოსული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება და იყოფა მთლიან რაოდენობაზე. რეალიზაციის დროს ხარჯად აღიარდება საქონლის საშუალო ფასი ერთეულისთვის, დარჩენილ ნაშთს დაემატება მომდევნო პერიოდის შესყიდვები და საქონლის თვითღირებულება თავიდან გაანგარიშდება მომდევნო რეალიზაციამდე.

საშუალო შეწონილი ღირებულება გაიანგარიშება მატერიალური ფასეულობების თითოეული ელემენტისთვის ცალ-ცალკე. საანგარიშგებო წლის ბოლოს მარაგის რაოდენობის გამრავლებით საშუალო შეწონილ ღირებულებაზე, მიიღება მარაგის მთლიანი ღირებულება.

განვიხილოთ მაგალითი:

საწარმოს საქონლის ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 200 ერთეულს, ერთეულის ღირებულებაა 5 ლარი (ჯამში 1 000 ლარი). ქვემოთ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია შესყიდვების შესახებ:

თარიღი	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ღირებულება	თანხა (ლარი)
10 იანვარი	400	5.2	2 080
5 თებერვალი	250	5.4	1 350
25 მარტი	550	5.6	3 080
15 მაისი	600	5.3	3 180
22 ივნისი	500	5.5	2 750
ჯამი	2,500	-	13 440

პერიოდის ბოლოსთვის საქონლის ნაშთი 800 ერთეულს შეადგენს. განვსაზღვროთ ნაშთად დარჩენილი მარაგის თვითღირებულება ფიფო და საშუალო შეწონილი მეთოდების გამოყენებით.

ფიფო მეთოდის მიხედვით ჯერ გაიყიდება ისეთი მარაგი, რომელიც პირველად იყო შეძენილი, ხოლო დარჩენილი მარაგი ფასდება ბოლო შესყიდვის ღირებულებით:

$$(500 \times 5.5) + (300 \times 5.3) = 2\,750 + 1\,590 = 4\,340$$

საშუალო შეწონილი მეთოდით ერთეულის საშუალო ღირებულება იქნება: $13\,440 / 2\,500 = 5.38$

მარაგის ღირებულება ტოლია: $5.38 \times 800 = 4\,304$

მარაგის შეფასების მეთოდის გავლენის საილუსტრაციოდ მოტანილია ფინანსური შედეგის ამსახველი შემდეგი ცხრილი:

მაჩვენებლები	FIFO მეთოდი	საშუალო შეწონილი მეთოდი
ამონაგები	22 000	22 000
საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	1 000	1 000
საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შეძენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	12 440	12 440
საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	4 340	4 304
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(9 100)	(9 136)
საერთო მოგება	12 900	12 864

საერთო მოგება = ამონაგები - რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (რსთ)

რსთ = საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები + პერიოდის განმავლობაში შეძენილი სასაქონლო მატერიალური ფასეულობები - საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

აღნიშნულ მაგალითში ნათლად ჩანს საქონლის შეფასების დროს გამოწვეული სხვაობა: ფიფო მეთოდით გაანგარიშებული მოგება აღემატება საშუალო შეწონილი მეთოდის მიხედვით გაანგარიშებულ მოგებას.

ამრიგად, თუ მარაგის საბოლოო ფასი მაღალია, ფიფო მეთოდის დროს მოგებაც მაღალია, ხოლო თუ წლის განმავლობაში ფასები დაეცა, მაშინ საშუალო შეწონილი მეთოდის დროს უფრო მაღალი იქნება მარაგის საბოლოო ნაშთის ღირებულება.

განვიხილოთ მაგალითი:

საწარმოს 1 იანვრის შემდგომ პერიოდში განხორციელებული აქვს შემდეგი შესყიდვები:

თვე	რაოდენობა	ერთ. ფასი	სულ ღირებულება
იანვარი	450	2.70	1 215
თებერვალი	470	2.90	1 363
მარტი	420	2.90	1 218
აპრილი	490	2.85	1 396.5
მაისი	500	3.90	1 950
ივნისი	510	4.10	2 091

საწარმომ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გაყიდა 1530 ცალი საქონელი, ერთეულის თვითღირებულებაა 5.56 ლარი.

გამოვთვალოთ ფიფო მეთოდის გამოყენებით მარაგის საბოლოო ნაშთის ღირებულება და მიღებული მოგება.

მარაგის ნაშთი ფასდება ბოლოს შესყიდული

ღირებულებით: $510 \times 4.10 = 2\,091$

$500 \times 3.90 = 1\,950$

$2840 - 1530 - (510 + 500) = 300 \times 2.85 = 855$

სულ 1 310 4 896

მ/ზ ანგარიშგება		
მუხლი	ლარი	ლარი
ამონაგები		8 500
რსთ:		
შესყიდვები	9 233.5	
საბოლოო ნაშთი	(4 896)	(4 337.5)
საერთო მოგება		4 162.5

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია

ინვენტარიზაცია ბუღალტრული აღრიცხვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია, რომლის საშუალებით ზუსტდება ორგანიზაციის მთელი ქონების, მათ შორის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ფაქტიური მდგომარეობა. ყველა საწარმო ვალდებულია ყოველი სამეურნეო წლის დამთავრებისას ჩაატაროს ინვენტარიზაცია და შეადგინოს საინვენტარიზაციო აღწერილობა დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის, თანხის და სხვა მახასიათებლების მიხედვით.

ინვენტარიზაციის საბოლოო შედეგები განისაზღვრება შედარების უწყისით, სადაც გამოვლინდება სხვაობა საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებსა და ინვენტარიზაციით დადგენილ ფაქტიურ ნაშთებს შორის.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ფაქტიური მდგომარეობის ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებთან შედარებისას ერთმანეთს უნდა დაემთხვეს, მაგრამ პრაქტიკაში შეიძლება გამოვლინდეს სხვაობა, კერძოდ: დანაკლისი ან ზედმეტობა. დანაკლისი ორი სახისაა: ნორმატიული და ზენორმატიული. ნორმატიული დანაკლისი მოსალოდნელი დანაკარგია, რაც გამოწვეულია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით, ხოლო ზენორმატიული - გაუთვალისწინებელი დანაკარგია.

ბას 2-ის მიხედვით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკარგის თანხები უნდა აღიარდეს პერიოდის ხარჯად.

ნორმირებული/ნორმატიული დანაკარგი ხარჯებში ჩამოიწერება შემდეგი გატარებით (შესაბამის თარიღში და შესაბამისი თანხით):

№	დებეტი	კრედიტი	ოპერაციის შინაარსი
1	7190	1600	დანაკარგი ნორმის ფარგლებში

ზენორმატიული დანაკარგი, რაც გამოწვეულია, დატაცებით, გაფუჭებით და სხვ. დაეწერება დამნაშავე პირებს (შესაბამის თარიღში და შესაბამისი თანხით):

№	დებეტი	კრედიტი	ოპერაციის შინაარსი
1	1431	8190	არასაოპერაციო შემოსავალი სარეალიზაციო ფასით
2	7190	1600	დანაკარგი ნორმის ფარგლებში თვითღირებულებით

თუ კონკრეტული დამნაშავეს დადგენა ვერ მოხერხდა, ხელმძღვანელის განკარგულებით მოხდება დანაკლისის ჩამოწერა გატარებით (შესაბამის თარიღში და შესაბამისი თანხით):

№	დებეტი	კრედიტი	ოპერაციის შინაარსი
1	8290	1600	სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი, როცა დამნაშავე დაუდგენელია

თანამედროვე ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკული გამოცდილებით ნათელია, რომ დამნაშავეს დადგენა თუ ვერ მოხერხდა, საწარმოები მსგავს დანაკლისს აღიარებენ საქონლის რეალიზაციად და ასრულებენ შემდეგ გატარებებს:

№	დებეტი	კრედიტი	ოპერაციის შინაარსი
1	1490	8190	საქონლის სარეალიზაციო ფასით აღიარებული არასაოპერაციო შემოსავალი
2	8290	1600	სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი, როცა დამნაშავე დაუდგენელია

ბუღალტრული აღრიცხვა

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზედმეტობა აღიარდება საწარმოს შემოსავლად (შესაბამის თარიღში და შესაბამისი თანხით):

№	დებიტი	კრედიტი	ოპერაციის შინაარსი
1	1610	8190	სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზედმეტობა

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მოძრაობის დოკუმენტაცია

მოცემულ ქვეთავში განხილულია ის პირველადი დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც ხდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემოსავალში აღიარება.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენას, როგორც წესი საფუძვლად უდევს მომწოდებელსა და მყიდველს შორის დადებული გარიგება, რომელიც ფორმდება ხელშეკრულებით. მასში აისახება მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა.

ქვეყნის შიგნით საქონლის მიღების ძირითადი დოკუმენტია **სასაქონლო ზედნადები** [[ფინანსთა მინისტრის ბრძანება N996](#)], რომლის გარეშეც აკრძალულია საქონლის ტრანსპორტირება, შენახვა და რეალიზაცია. მასში ასახულია საქონლის დასახელება, ზომის ერთეული, ერეულის ფასი, ჯამური თანხა, ტრანსპორტირების დაწყებისა და დასრულების ადგილები, მომწოდებლისა და მყიდველის რეკვიზიტები, გაცემასა და მიღებაზე უფლებამოსილი. ზედნადები ივსება ელექტრონულად (rs.ge-ს პორტალის გამოყენებით) საქონლის გამყიდველის/გამგზავნის მიერ, საქონლის მიწოდებისთანავე ან საქონლის ტრანსპორტირების დაწყებისთანავე.

თუ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ელექტრონული სერვისების ტექნიკური გაუმართაობის გამო ვერ ხერხდება სისტემასთან დაკავშირება და შეუძლებელია ზედნადების ელექტრონულად შევსება, აღნიშნულის შესახებ შეტყობინება - „ტექნიკური მიზეზების გამო, ელექტრონული სერვისებით სარგებლობა დროებით შეუძლებელია. ზედნადების ქაღალდური ვერსიის გამოსაწერად ისარგებლეთ ღილაკით „დამატებითი სერვისი““ - ავტომატურად განთავსდება სამსახურის ვებგვერდზე (www.rs.ge) და ვებგვერდზე – www.eservices.rs.ge. ასეთ შემთხვევაში, პირი ხელით ავსებს ღილაკი „დამატებითი სერვისი“-ის საშუალებით ამობეჭდილ, ზედნადების (დანართი №II-012) შესაბამის ცარიელ ფორმას, რომელსაც უნიკალური სარეგისტრაციო ნომერი ენიჭება სისტემის მიერ. ზედნადების ხელით შევსებისას, როდესაც ერთი ზედნადები არასაკმარისია, შესაძლებელია ამობეჭდილ და გამოყენებულ იქნას „სასაქონლო ზედნადების დანართი“, რომლის პირველ სტრიქონში სისტემის მიერ იწერება იმ ზედნადების სარეგისტრაციო ნომერი, რომლის გაგრძელებასაც წარმოადგენს მოცემული დანართი. „სასაქონლო ზედნადების დანართი“ ივსება ზედნადებთან ერთად. საქონელზე ინფორმაცია შეიტანება „სასაქონლო ზედნადების დანართში“ მოცემული სახით.

მიმდინარე პერიოდისთვის სასაქონლო ზედნადების გამოწერა ხდება rs.ge-ს პორტალით ელექტრონულად. სასაქონლო ზედნადების სხვადასხვა ტიპი არსებობს. ესენია:

- შიდა გადაზიდვა - გამოიყენება კომპანიის ერთი ფილიალიდან მეორე ფილიალში საქონლის ტრანსპორტირებისთვის;
- ტრანსპორტირებით - გამოიწერება გამყიდველის მიერ, როდესაც მყიდველისთვის საქონლის მიწოდება ხდება სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით. მაგალითად, იურიდიულმა პირმა შეისყიდა საქონელი და მოხდა ამ საქონლის დატვირთვა სატვირთო ავტომანქანაში. ამ დროს სავალდებულოა სასაქონლო ზედნადებში მიეთითოს ავტომობილის ნომერი, მძღოლის პირადი ნომერი;
- ტრანსპორტირების გარეშე - გამოიწერება გამყიდველის მიერ, როდესაც საქონლის შეძენისას არ ხდება სატრანსპორტო საშუალების გამოყენება მყიდველის მიერ;
- დისტრიბუცია - ზედნადები გამოიყენება სადისტრიბუციო კომპანიების მიერ ისეთ შემთხვევებში, როდესაც წინასწარ არ არის განსაზღვრული ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (ამ დროს სატვირთო მანქანაზე ხდება დიდი მოცულობით საქონლის დატვირთვა და ასეთი მანქანა მიემგზავრება საქონლის სარეალიზაციოდ, მაგალითად, სხვადასხვა რეგიონში). ასეთი ტიპის ზედნადებში სრულად აისახება ტრანსპორტში არსებული საქონლის რაოდენობა, ხოლო კონკრეტული მოცულობის საქონლის რეალიზაციისას კონკრეტულ მყიდველზე გამოიწერება ე.წ. ქვე-ზედნადები, რომელში მოცემული საქონლის რაოდენობები ავტომატურად აკლდება დისტრიბუციის ზედნადებში არსებულ საქონლის რაოდენობებს და გამყიდველისთვის ნათლად ჩანს სატვირთო ავტომობილზე საქონლის ნაშთად არსებული რაოდენობა;

- უკან დაბრუნება - ზედნადები გამოიწერება მომწოდებელი მხარის მიერ იმ შემთხვევაში, თუ მომწოდებლის საქონლის დაბრუნება ხდება თავად მომწოდებლის მიერ.

დღგ-ს გადამხდელი მომწოდებლისგან შეძენილ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს თან ახლავს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რომელიც არის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი. მასში აღნიშნულია მომწოდებლისა და მყიდველის რეკვიზიტები, საქონლის დასახელება, ერთეული, ერთეულის ფასი, ჯამური თანხა და დღგ-ს თანხა.

იმპორტის გზით შეძენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისთვის პირველად დოკუმენტს წარმოადგენს სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია, ანგარიშ-ფაქტურა (Invoice), გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები.

განვიხილოთ მაგალითი:

შპს „გლუკომეტრმა“ ოქტომბერში შეიძინა 200 ცალი გლუკომეტრი თითოეული 35 ლარად და გადაიხადა მომწოდებელი საქონლის ღირებულება უნადლო ანგარიშსწორებით:

თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
15/10/2017	1610	3110	7 000	შეძენილია საქონელი კრედიტით
17/10/2017	3110	1210	7 000	გადახდილია დავალიანების თანხა მომწოდებლისთვის

საქონლის გაყიდვისას, როგორც აღვნიშნეთ, უნდა მოხდეს მარაგის ჩამოწერა თვითღირებულებით. ჩამოწერისთვის გამოიყენება ანგარიში 7210 - გაყიდული/შეძენილი საქონელი, რაც ნიშნავს თვითღირებულების ხარჯად აღიარებას. საქონლის თვითღირებულებით ჩამოწერისას 7210-ის დებეტში აისახება შესაბამისი თანხა.

განვიხილოთ მაგალითი:

შეძენილია კრედიტით „A“ საქონელი 1000 ცალი, თითოეული 15 ლარად. მომწოდებლისთვის გადახდილია საქონლის ღირებულება 15,000 ლარი უნადლო ანგარიშსწორებით.

თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
15/10/2017	1610	3110	15 000	შეძენილია საქონელი კრედიტით
15/10/2017	3110	1210	15 000	გადახდილია დავალიანების თანხა მომწოდებლისთვის

გაყიდულია 20 ერთეული „A“ საქონელი, თითოეული 25 ლარად და ჩამოწერილია თვითღირებულებით 300 ლარად ($20 \times 15 = 300$):

თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
16/10/2017	1410	6110	500	გაყიდულია საქონელი კრედიტით
16/10/2017	7210	1610	300	ჩამოწერილია თვითღირებულებით


ნედლეულისა და მასალების შეძენა შესაბამისად აისახება 1620-ზე შემდეგი გატარებით:

თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
15/10/2017	1620	3110	15 000	შეძენილია ნედლეული კრედიტით
20/10/2017	3110	1210	15 000	გადახდილია დავალიანების თანხა მომწოდებლისთვის

მზა პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრა

საწარმოების მიერ წარმოებული მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან.

დანახარჯების კლასიფიკაციას ახდენენ ელემენტების, შინაარსის, ქცევისა და ფუნქციების მიხედვით.



ელემენტების მიხედვით კლასიფიკაცია აერთიანებს მასალების, შრომისა და ყველა სხვა დანახარჯს, რომელიც არ არის მასალა ან შრომითი დანახარჯი. მაგალითად: იჯარის ქირა, სატელეფონო მომსახურება და სხვ.



შინაარსის მიხედვით დანახარჯები იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ დანახარჯებად.

პირდაპირია დანახარჯი, რომელიც პირდაპირ შეიძლება მიეკუთვნოს დანახარჯის ერთეულს ან დანახარჯის ცენტრს (მაგ.: შემფუთავი სამეჭრო, მარკეტინგის განყოფილება და სხვ.). ასეთი დანახარჯებია: პირდაპირი მასალა, პირდაპირი შრომა და სხვა პირდაპირი გასავლები. მაგ.: ძირითადი და დამხმარე მასალების ხარჯი (ქსოვილი მაისურების წარმოებაში), პირდაპირი ხელფასი (წარმოებაზე დასაქმებული მუშების ხელფასი), მაისურების შესაკერად გამოყენებული დანადგარის ტექნიკური მომსახურების დანახარჯები.



არაპირდაპირია დანახარჯი, რომლის უშუალო გაიგივება დანახარჯთა რომელიმე კონკრეტულ ერთეულთან ან დანახარჯთა ცენტრთან შეუძლებელია: არაპირდაპირი მასალა (მაგ.: მაისურის შესაკერად გამოყენებული ძაფი), არაპირდაპირი შრომა (მაგ.: ზედამხედველების ხელფასი), სხვა არაპირდაპირი გასავლები (სამკერვალო ფაბრიკის საიჯარო ქირის ხარჯი).

ქცევის (ქცევა ნიშნავს, თუ როგორ იცვლება დანახარჯები საქმიანობის სხვადასხვა დონეზე) მიხედვით გამოყოფენ ცვლად, მუდმივ, ეტაპობრივად მუდმივ და ნახევრად ცვლად დანახარჯებს.


ცვლადი დანახარჯი იცვლება საქმიანობის დონის ცვლილებასთან ერთად. მაგალითად, პირდაპირი მასალა, პირდაპირი შრომა.





მუდმივია დანახარჯი, რომელიც გაწეულია ერთ საანგარიშგებო პერიოდში და საქმიანობის გარკვეული დონის ფარგლებში უცვლელი რჩება. მაგალითად, საიჯარო ქირა.




ეტაპობრივად მუდმივს უწოდებენ დანახარჯს, რომელიც უცვლელი რჩება საქმიანობის გარკვეული დონის ფარგლებში. მაგალითად, ზედამხედველების ხელფასი (რაც მეტია თანამშრომელი, მით მეტია ხელფასიც).



ნახევრად ცვლადია დანახარჯი, რომელიც შედგება მუდმივი და ცვლადი ელემენტებისგან. მაგალითად, ელექტროენერგიის გადასახადი, სატელეფონო მომსახურების გადასახადი.



ფუნქციების მიხედვით გამოყოფენ საწარმოო და არასაწარმოო დანახარჯებს.



საწარმოო დანახარჯები გაიწევა ნედლეულის მზა პროდუქციად გარდაქმნის პროცესში, ხოლო არასაწარმოო დანახარჯები უშუალოდ არ არის დაკავშირებული წარმოების პროცესთან.

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები არ იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილების მიხედვით (მაგ: საიჯარო ქირა), ხოლო ცვლადი ზედნადები ხარჯები იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილების პირდაპირპროპორციულად (მაგ: დამხმარე მასალები, დამხმარე მუშების ხელფასი).

ადმინისტრაციული დანახარჯები საჭიროა საერთო ადმინისტრაციული დანიშნულების ქვედანაყოფების ასამოქმედებლად (მაგ.: ბუღალტერიის დეპარტამენტის).

რეალიზაციის დანახარჯები დაკავშირებულია მომხმარებლებისგან ორგანიზაციის პროდუქციის შეძენაზე შეკვეთების მღებასთან (გაყიდვების განყოფილებისა და მარკეტინგის დანახარჯები (რეკლამაზე დანახარჯები)).

კომერციული დანახარჯები მონაწილეობს ორგანიზაციის მზა პროდუქციის დისტრიბუციაში, როგორცაა მაგ.: საწყობების შენახვის დანახარჯები ან პროდუქციის მიწოდების დანახარჯები.

ფინანსური დანახარჯები გაიწევა ორგანიზაციის დასაფინანსებლად. მაგ.: სესხის აღება.

პროდუქციის მწარმოებელ საწარმოში მზა პროდუქციის თვითღირებულების ფორმირებისთვის განკუთვნილია ანგარიში 1630 - დაუმთავრებელი წარმოება. პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ყველა დანახარჯი, ხარჯების ანგარიშზე ასახვის შემდეგ, გადავა ამ ანგარიშის დებეტში.

ბუღალტრული აღრიცხვა

მაგალითად, 100 ცალი „A“ სახის საქონლის წარმოებაზე დაიხარჯა 20,000 ლარის ძირითადი მასალები და 3,000 ლარის დამხმარე მასალები.

დარიცხულია პირდაპირი ხელფასი 5,000 ლარი, ხოლო მანქანა დანადგარებს დაერიცხა 1500 ლარი ცვეთა, გადახდილია საწარმოო მიზნით მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება 800 ლარი.

თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
15/10/2017	7110	1620 1	20 000	ძირითადი მასალის დანახარჯები
15/10/2017	1630	7110	20 000	დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე გადატანა
15/10/2017	7140	1620 2	3 000	დამხმარე მასალის დანახარჯები
15/10/2017	1630	7140	3 000	დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე გადატანა
15/10/2017	7120	3130	5 000	პირდაპირი ხელფასი
15/10/2017	1630	7120	5 000	დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე გადატანა
15/10/2017	7170	2250	1 500	დანადგარის ცვეთა
15/10/2017	1630	7170	1 500	დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე გადატანა
15/10/2017	7190	3190	800	ელექტროენერგიის ხარჯი
15/10/2017	1630	7190	800	დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე გადატანა

განხილული მაგალითის შესაბამისად, „A“ საქონლის თვითღირებულება 100 ერთეულისთვის შეადგენს 30,300 ლარს ($20,000+3,000+5,000+1,500+800=30,300$), ხოლო ერთეულის თვითღირებულება კი 303 ლარს ($30,300/100$).

მზა პროდუქციის შემოსავალში ასახვისათვის უნდა შესრულდეს შემდეგი გატარებები:

№	დებეტი	კრედიტი	თანხა	რაოდენობა
1	1640 - მზა პროდუქცია	1630 - დაუმთავრებელი წარმოება	30 300	100 ერთ.

გაყიდულია 2 ერთეული „A“ საქონელი, ერთეულის სარეალიზაციო ფასი შეადგენს 360 ლარს, ხოლო წარმოებული საქონლის თვითღირებულება მოცემული მაგალითის საფუძველზე 303 ლარს. ბუღალტერიაში აღნიშნული ოპერაცია აისახება შემდეგი გატარებებით:

თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
16/10/2012	1410	6110	720	გაყიდულია მზა პროდუქცია კრედიტით
16/10/2012	7210	1640	606	ჩამოწერილია თვითღირებულებით

საგადასახადო კოდექსის განმარტებები

ერთობლივი შემოსავალი

ერთობლივი შემოსავალი და მასთან დაკავშირებული გამოქვითვები საგადასახადო კოდექსის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს, ვინაიდან ამის საფუძველზე ხდება მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების გაანგარიშება, რაც ბიუჯეტის შემოსულობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

[სსკ მ.100]

რეზიდენტის ერთობლივი შემოსავალი შედგება საქართველოში არსებული წყაროდან და საქართველოს ფარგლების გარეთ მიღებული შემოსავლებისგან, ხოლო არარეზიდენტის ერთობლივი შემოსავალი შედგება საქართველოში არსებული წყაროებიდან მიღებული შემოსავლებისგან.

ერთობლივ შემოსავალს განეკუთვნება ნებისმიერი ფორმით ან/და საქმიანობით მიღებული შემოსავალი კერძოდ:

- ა) ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები;
- ბ) ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან;
- გ) სხვა შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან.

ერთობლივ შემოსავალში ასახვას არ ექვემდებარება:

- სახელმწიფოსთვის ან/და ადგილობრივი თვითმმართველობისთვის საქონლის უსასყიდლოდ გადაცემა ან/და მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა;
- საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული პროექტების (მათ შორის, მოსამზადებელი ეტაპის) განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ, რომლებთანაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გაფორმებული აქვს პროექტის განხორციელების უფლებამოსილების შესახებ ხელშეკრულება, ამ პროექტების ფარგლებში საქონლის სხვა პირებისთვის გადაცემა;
- მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის მიერ დაქირავებულისთვის გადახდილი ხელფასი, [საგადასახადო კოდექსის 94-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის](#) (მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება არ ევალება კალენდარული წლის განმავლობაში ერთობლივი შემოსავლის 25%-ის ფარგლებში გაცემული ხელფასის ხარჯზე) გათვალისწინებით;
- [საგადასახადო კოდექსის 115-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით](#) გათვალისწინებულ შემთხვევაში ძირითადი საშუალების მეიჯარისთვის დაბრუნება;
- გადასახადის გადამხდელთან გაფორმებული საგადასახადო შეთანხმების საფუძველზე გადასახადების ან/და სანქციების შემცირებით, საგადასახადო დავალიანების ჩამოწერით, აგრეთვე [საგადასახადო კოდექსის](#) 269-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე საგადასახადო სანქციისაგან გათავისუფლებით მიღებული სარგებელი; (ვრცელდება 2011 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე);
- 2018 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივსა და მის წევრთა (მეპაიეთა) შორის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული, საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება ან/და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა;
- საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის უსასყიდლოდ მიწოდებული უძრავი ქონების (მათ შორის, მიწის ნაკვეთის) საბაზრო ღირებულება, თუ ქონების მიმღები ორგანიზაცია ქველმოქმედებას ახორციელებს ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის ან/და მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ არანაკლებ ბოლო 3 კალენდარული წლის განმავლობაში;

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრისთვის, რომელიც არ არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 41-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების საფუძველზე გადახდილი ხარჯების ანაზღაურება, გარდა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისათვის გადახდილი ხარჯების ანაზღაურებისა;
- ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის გამოყენებით ტურისტული საწარმოს მიერ სასტუმრო მომსახურების გაწევის (სასტუმრო ნომრებად/აპარტამენტებად გამოყენების) შედეგად მიღებული შემოსავალი – ფიზიკური პირისთვის.

ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები

[სსკ მ.101]

1. ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება ფიზიკური პირის მიერ დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი საზღაური ან სარგებელი, მათ შორის, წინა სამუშაო ადგილიდან პენსიის ან სხვა სახით მიღებული შემოსავალი, ან შემოსავალი მომავალი სამუშაო ადგილიდან;
2. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიზნებისთვის სარგებლის ღირებულებად ითვლება ქვემოთ მითითებული თანხა, რომელიც მცირდება დაქირავებულის მიერ ამ სარგებლის მიღებისას დამქირავებლისათვის გადახდილი თანხით:
 - ა) ნებისმიერი სახეობის ავტომობილის პირადი სარგებლობისათვის გამოსაყენებლად მიღებისას – შესაბამისი საგადასახადო წლის დასაწყისისათვის ამ ავტომობილის საბალანსო ღირებულების 0,1 პროცენტი დაქირავებულის მიერ ავტომობილის კერძო სარგებლობის მიზნით გამოყენების ყოველი დღისათვის;
 - ბ) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის [საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრულ](#) საპროცენტო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის გაცემისას – [საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთით](#) გადასახდელი პროცენტის შესაბამისი თანხა;
 - გ) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის საქონლის/ მომსახურების მიწოდებისას ან კომპენსაციის გარეშე გადაცემისას – ასეთი საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი;
 - დ) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის საცხოვრებლის სარგებლობაში გადაცემისას – საიჯარო ქირის წლიური საბაზრო ღირებულება (შესაბამისი პერიოდის პროპორციულად);
 - ე) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისთვის ან მის კმაყოფაზე მყოფთათვის განათლების მისაღებად დახმარების გაწევისას (დაქირავებულის ვალდებულებათა შესრულებასთან უშუალოდ დაკავშირებული მომზადების პროგრამის ჩათვლელად) – დამქირავებლის მიერ განათლების მისაღებად გაწეული დახმარების ღირებულება;
 - ვ) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის ხარჯების ანაზღაურებისას – ანაზღაურების თანხა;
 - ზ) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის ვალის ან ვალდებულების პატიებისას – ვალის ან ვალდებულების თანხა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფულადი მოთხოვნის იძულებითი გადახდევინების მიზნით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განსაზღვრულწესად გასაწევი ხარჯი აღემატება ფულადი მოთხოვნის თანხას;
 - თ) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში ან საპენსიო დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით სადაზღვევო პრემიის ან სხვა თანხის გადახდისას – დამქირავებლის მიერ გადახდილი სადაზღვევო პრემიის ან სხვა თანხის მოცულობა;
 - ი) სხვა შემთხვევაში – სარგებლის საბაზრო ფასი [საგადასახადო კოდექსის მე-18 მუხლის](#) მიხედვით.
3. ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალში არ შედის:
 - ა) დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება [საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული](#) ნორმის ფარგლებში;

- ბ) წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურება;
- გ) დაქირავებულის მიერ საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაო ადგილამდე ან სამუშაო ადგილიდან საცხოვრებელ ადგილამდე დაქირავებულის ორგანიზებულად გადაყვანა, თუ ამის საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენებით განხორციელება შეუძლებელია ან თუ მგზავრობა დაქირავებულის მიერ არაგონივრული ხარჯების გაწევას ან/და არაგონივრული დროის დახარჯვას საჭიროებს.
4. ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული თანხა მოიცავს აქციზს, დამატებული ღირებულების გადასახადს და სხვა გადასახადს, რომელიც უნდა გადაიხადოს დაქირავებულმა.
5. ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის საპროცენტო განაკვეთის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

ეკონომიური საქმიანობით მიღებული შემოსავლები

[სსკ მ.102]

- საქონლის/მომსახურების მიწოდებით მიღებული შემოსავლები;
- აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი;
- ეკონომიური საქმიანობის შეზღუდვის ან/და საწარმოს დახურვის შედეგად მიღებული შემოსავლები;
- ძირითად საშუალებათა რეალიზაციით მიღებული თანხები, ხოლო ძირითად საშუალებათა უსასყიდლოდ მიწოდებისას საბაზრო ღირებულება შემოსავალში შეიტანება [საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლის მე-7 ნაწილის](#) მიხედვით;
- კომპენსირებული გამოქვითვები [საგადასახადო კოდექსის 146-ე მუხლის](#) მიხედვით
- პროცენტების სახით მიღებული შემოსავლები, გარდა ფიზიკური პირის მიერ ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში დეპოზიტებსა და ანაზღაურებზე ფულადი სახსრების განთავსებიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავლისა
- დივიდენდი;
- როიალტი;
- პირისთვის ვალის ჩამოწერით მიღებული სარგებელი;
- ლიზინგით, უზუფრუქტით, იჯარით, ქირით ან სხვა ამგვარი ფორმით გაცემული ქონებიდან მიღებული შემოსავლები;
- სხვა ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი.

საქონლის/მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდებისას ერთობლივ შემოსავალში ასახვას ექვემდებარება ამ საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი. ეს არ ეხება იმ სარეკლამო საქონლის უსასყიდლოდ გავრცელებას, მათ შორის, საცალო რეალიზატორის მეშვეობით, რომელსაც დამოუკიდებელი სამომხმარებლო მახასიათებლები არ გააჩნია და ძირითადი საქონლის/მომსახურების მიწოდების განუყოფელი ნაწილია.

შემოსავლები, რომლებიც არ არის დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან

[სსკ მ.103]

შემოსავლებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან, განეკუთვნება ნებისმიერი შემოსავალი ან სარგებელი, გარდა:

- პარტნიორთა შენატანებისა, რომლებიც ზრდიან იმ საწარმოს წმინდა აქტივს, რომელთა პარტნიორებიც არიან შენატანების განმახორციელებელი პირები;
- დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით:
 - ა) ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველის მიერ დაზღვეული ფიზიკური პირისათვის გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურებისა;

- ბ) დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველის მიერ დაზღვეული ფიზიკური პირისათვის გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურებისა, რომელიც არ აღემატება დამდგარი ზიანის ოდენობას;
- საგადასახადო კოდექსის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საკონტროლო შესყიდვის მიზნით შეძენილი საქონლისა და მომსახურების ღირებულებისა, აგრეთვე იმ პირის მიერ ფარულად მიღებული შემოსავალი ან სარგებელი, რომელიც ფარულად უწევს დახმარებას სისხლის სამართლის გამოძიების ორგანოებს.
 - პირის მიერ სხვა პირისგან ქონების ან სარგებლის მიღების შემთხვევაში ერთობლივ შემოსავალში შესატანი ქონების ან სარგებლის ღირებულება განისაზღვრება [საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის მე-2 ნაწილით](#) დადგენილი წესით.

საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი

თავისთავად შემოსავალს არ გააჩნია გეოგრაფიული ადგილმდებარეობა. რიგ შემთხვევებში, მისი მიკუთვნება კონკრეტული ტერიტორიისთვის პირობითია. დამკვიდრებული პრაქტიკით, შემოსავლის წყაროს ადგილს საზღვრავენ იმ აქტივებისა და საქმიანობების ადგილით, რომლებიც გამოიყენება შემოსავლის შექმნისთვის. როდესაც ყველა ასეთი აქტივი მდებარეობს ერთ ქვეყანაში საქმიანობის ადგილსაც ეს ქვეყანა წარმოადგენს, მაშინ დიდი ალბათობით შეიძლება ითქვას, რომ შემოსავლის წყაროც ეს ქვეყანაა. მაგრამ, როდესაც შემოსავლის შექმნისთვის გამოყენებული აქტივები მდებარეობს ერთზე მეტ ქვეყანაში ან შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული საქმიანობები ხორციელდება ერთზე მეტ ქვეყანაში, დამატებითი წესების შემოღების გარეშე პრობლემატურია შემოსავლის წყაროს ადგილის დადგენა. დაქირავებულისთვის გადახდილი თანხები, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე ამ პირის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებას, განხილულ უნდა იქნეს საქართველოს წყაროდან მიღებულ შემოსავლად, მიუხედავად დაქირავებულის სტატუსისა (რეზიდენტი, არარეზიდენტი) და პირიქით: გადახდილი თანხები, რომლებიც წარმოადგენენ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე პირის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებას, არ უნდა იქნეს განხილული საქართველოს წყაროდან მიღებულ შემოსავლად.

საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალს განეკუთვნება: [\[სსკ მ.104\]](#)

- საქართველოში დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავალი;
- საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის მიწოდებით მიღებული შემოსავალი ან სარგებელი;
- საქართველოში მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი. ამ მიზნით, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მომსახურება საქართველოში გაწეულად ითვლება, თუ:
 - ა) მომსახურება ფაქტობრივად გაიწევა საქართველოს ტერიტორიაზე;
 - ბ) მომსახურება დაკავშირებულია უშუალოდ უძრავ ქონებასთან, რომელიც მდებარეობს საქართველოში;
 - გ) მომსახურება დაკავშირებულია უშუალოდ მოძრავ ქონებასთან, რომელიც მდებარეობს საქართველოში;
 - დ) მომსახურება დაკავშირებულია საქართველოს რეზიდენტის მიერ გამოშვებულ ფასიან ქალაქდებთან;
 - ე) მომსახურების ფაქტობრივად გაწევის ადგილი არის საქართველო და მომსახურება გაიწევა კულტურის, ხელოვნების, განათლების, ტურიზმის, დასვენების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროებში;
 - ვ) მომსახურების გაწევა დაკავშირებულია ტვირთების გადატანასთან ან მგზავრთა გადაყვანასთან და ტრანსპორტირების დაწყებისა და დასრულების ადგილი არის საქართველო;
 - ზ) მომსახურების გამწევი და მომსახურების მიმღები სხვადასხვა სახელმწიფოში არიან და მომსახურების გამწევი საქართველოს რეზიდენტია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომსახურების გამწევის მიერ მომსახურების გაწევა ხორციელდება სხვა ქვეყანაში მისი მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, რომელიც ადასტურებს, რომ მომსახურების გამწევა სხვა ქვეყანაში (გარდა საქართველოსი) გასწია მომსახურება;

თ) მომსახურების გამწევი და მომსახურების მიმღები სხვადასხვა სახელმწიფოში არიან და მომსახურების გამწევის მიერ მომსახურების გაწევა ხორციელდება საქართველოში მისი მუდმივი დაწესებულების, დაქირავებულის მეშვეობით ან სხვაგვარად (მათ შორის, მომსახურების გამწევის მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯი გაწეულია საქართველოში, მიუხედავად მისი ფაქტობრივად გადახდის ადგილისა), რაც ადასტურებს, რომ მომსახურების გამწევმა საქართველოში გასწია მომსახურება.

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ

მეწარმე იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობები

[[კმშ მ.5](#)]

საწარმოს რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს საწარმოს ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული სარეგისტრაციო განაცხადი, რომელიც იმავდროულად არის პარტნიორთა შეთანხმების ნაწილი და რომელშიც უნდა მიეთითოს:

- ა) საწარმოს სახელწოდება/საფირმო სახელწოდება;
- ბ) საწარმოს სამართლებრივი ფორმა;
- გ) საწარმოს იურიდიული მისამართი;
- დ) საწარმოს პარტნიორის (პარტნიორების) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ხოლო თუ პარტნიორი იურიდიული პირია – მისი საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ;
- ე) საწარმოს მმართველობის ორგანო, გადაწყვეტილების მიღების წესი, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში – მონაცემები პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის შესახებ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების პარტნიორთა წილები გამოხატული უნდა იყოს წილადი რიცხვებით/პროცენტებში და მათი ჯამი უნდა შეადგენდეს 1 მთელს;
- ე¹) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების პარტნიორთა წილის მმართველის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი;
- ვ) კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში – რომელი პარტნიორია შეზღუდული და რომელი – სრული;
- ზ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში – პარტნიორთა წილებზე საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულებები;
- თ) საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ასევე უფლებამოსილების ვადა;
- ი) პროკურისტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი;
- კ) თუ საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი ჰყავს – ისინი ერთად წარმოადგენენ საწარმოს თუ ცალ-ცალკე;
- ლ) სარეგისტრაციო განაცხადის ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ხოლო თუ სარეგისტრაციო განაცხადის ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირი იურიდიული პირია, – მისი საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ;
- მ) ელექტრონული ფოსტის მისამართი და ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული იურიდიული მისამართისგან განსხვავებული მისამართი, რომლებზე მიღებული გზავნილიც ჩაბარებულად ჩაითვლება.

თუ საწარმოს პარტნიორის, საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების), წილის მმართველის, რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი განსხვავდება მისი რეგისტრაციის ადგილის მისამართისაგან, სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართის მითითება სავალდებულოა.

საწარმოს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) დანიშვნისთვის/რეგისტრაციისთვის სარეგისტრაციო დოკუმენტაციით უნდა დასტურდებოდეს ამ პირის (პირების) ნება.

თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაციით განსაზღვრული არ არის საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) უფლებამოსილების ვადა, იგი ითვლება შეუზღუდავად. თუ ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ კანონით დადგენილი წესით არ მოხდება უფლებამოსილების ახალი ვადის ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ცვლილების რეგისტრაცია, რეგისტრირებული პირის (პირების) უფლებამოსილების ვადა ითვლება უვადაოდ გაგრძელებულად.

პარტნიორებს უფლება აქვთ, რეესტრში მიუთითონ სარეგისტრაციო განაცხადის ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირი და მისი უფლებამოსილების ფარგლები, მათ შორის, იზღუდება თუ არა [ამ კანონის 5¹ მუხლით](#) გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილ პირთა უფლებამოსილება, განახორციელონ სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილება. სარეგისტრაციო განაცხადის ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

სარეგისტრაციო განაცხადის საწარმოო წესით დამოწმება სავალდებულო არ არის, თუ უფლებამოსილი პირები მას ხელს მარეგისტრირებელ ორგანოში აწერენ ან იგი დადგენილი წესით დამოწმებულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ხელმოწერის დამოწმების წესი და პირობები განისაზღვრება [„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონითა](#) და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით.

თუ საწარმოს პარტნიორი (პარტნიორები), ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები), სარეგისტრაციო განაცხადის ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არიან საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირები ან უცხო ქვეყნის იურიდიული პირები, ისინი სარეგისტრაციოდ წარადგენენ შესაბამისად საქართველოს მოქალაქისათვის ან საქართველოში რეგისტრირებული საწარმოსათვის დადგენილ ეკვივალენტურ მონაცემებს. სარეგისტრაციოდ წარსადგენი დოკუმენტების ეკვივალენტურობის დადგენის წესი განისაზღვრება ინსტრუქციით. უცხო ქვეყნის იურიდიული პირის შემთხვევაში მისი იურიდიულ პირად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები დამოწმებული ან ლეგალიზებული უნდა იყოს სათანადო წესით.

საწარმოს რეგისტრაციისათვის ან საქმიანობისათვის არ არის სავალდებულო საწარმოს ბეჭდის არსებობა. დაუშვებელია, ნორმატიული აქტით ან სახელმწიფო ორგანოს მიერ მოთხოვნილი იქნეს საწარმოს ბეჭდით დამოწმებული ნებისმიერი დოკუმენტი.

საწარმოს რეგისტრაციის მიზნებისათვის კაპიტალის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა არ მოითხოვება.

შრომის კოდექსის განმარტებები

შრომითი ხელშეკრულების დადება

[სშკ მ.6]

შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით.

შრომითი ხელშეკრულება იდება აუცილებლად წერილობითი ფორმით, თუ შრომითი ურთიერთობა 3 თვეზე მეტ ხანს გრძელდება.

გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შრომითი ხელშეკრულების ვადაა 1 წელი ან მეტი, შრომითი ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით იდება მხოლოდ მაშინ, როცა:

- ა) შესასრულებელია კონკრეტული მოცულობის სამუშაო;
- ბ) შესასრულებელია სეზონური სამუშაო;
- გ) სამუშაოს მოცულობა დროებით იზრდება;
- დ) ხდება შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძველით სამუშაოზე დროებით არმყოფი დასაქმებულის ჩანაცვლება;
- ე) არსებობს სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს ხელშეკრულების განსაზღვრული ვადით დადებას.

თუ შრომითი ხელშეკრულება დადებულია 30 თვეზე მეტი ვადით, ან თუ შრომითი ურთიერთობა გრძელდება ვადიანი შრომითი ხელშეკრულებების ორჯერ ან მეტჯერ მიმდევრობით დადების შედეგად და მისი ხანგრძლივობა აღემატება 30 თვეს, ჩაითვლება, რომ დადებულია უვადო შრომითი ხელშეკრულება. ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები მიმდევრობით დადებულად ჩაითვლება, თუ არსებული შრომითი ხელშეკრულება გაგრძელდა მისი ვადის გასვლისთანავე ან მომდევნო ვადიანი შრომითი ხელშეკრულება დაიდო პირველი ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 60 დღის განმავლობაში.

ვადიანი შრომითი ხელშეკრულების დადებაზე ამ მუხლით დაწესებული შეზღუდვები არ ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მეწარმე სუბიექტზე, თუ მისი სახელმწიფო რეგისტრაციიდან არ გასულა 48 თვე (დამწყები საწარმო) და იგი აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ დამატებით პირობებს (ასეთი პირობების დადგენის შემთხვევაში), იმ პირობით, რომ ამ პუნქტის მიზნებისთვის ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს 3 თვეზე ნაკლები.

ამ მუხლის 1⁴ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება მეწარმე სუბიექტზე, რომელიც შექმნილია რეორგანიზაციის შედეგად, სხვა მეწარმე სუბიექტის აქტივების საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემის ან თვალთმაქცური გარიგების საფუძველზე.

გარდა ამ მუხლის 1² პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თუ შრომითი ურთიერთობა დაწყებულია ამ მუხლის 1⁴ პუნქტით განსაზღვრულ 48-თვიან პერიოდში, ამ ვადის ამოწურვის შემდეგ ჩაითვლება, რომ დადებულია უვადო შრომითი ხელშეკრულება.

წერილობითი შრომითი ხელშეკრულება იდება მხარეთათვის გასაგებ ენაზე. წერილობითი შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს რამდენიმე ენაზე. თუ წერილობითი შრომითი ხელშეკრულება რამდენიმე ენაზეა დადებული, იგი უნდა შეიცავდეს დათქმას იმის თაობაზე, თუ რომელ ენაზე დადებულ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესობა ხელშეკრულებების დებულებებს შორის განსხვავების შემთხვევაში.

პირის განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე, უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას.

დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს ცნობა დასაქმების შესახებ, რომელიც მოიცავს მონაცემებს შესრულებული სამუშაოს, შრომის ანაზღაურების, შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობის თაობაზე.

შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს, რომ შრომის შინაგანაწესი ხელშეკრულების ნაწილია. ამ შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია პირს შრომითი ხელშეკრულების დადებაზე გააცნოს

შრომის შინაგანაწესი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო შემდგომ – მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება.

თუ დასაქმებულთან დადებულია რამდენიმე შრომითი ხელშეკრულება, რომლებიც მხოლოდ ავსებს და მთლიანად არ ცვლის ერთმანეთს, ყველა ხელშეკრულება ინარჩუნებს ძალას და განიხილება, როგორც ერთი შრომითი ხელშეკრულება.

წინა შრომითი ხელშეკრულება ძალას ინარჩუნებს იმდენად, რამდენადაც მისი დებულებები შეცვლილი არ არის შემდგომი ხელშეკრულებით.

დასაქმებულთან ერთსა და იმავე პირობაზე დადებული რამდენიმე შრომითი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ბოლოს დადებულ ხელშეკრულებას.

შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობებია:

- ა) მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა;
- ბ) სამუშაო დრო და დასვენების დრო;
- გ) სამუშაო ადგილი;
- დ) თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე;
- ე) შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი;
- ვ) ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი;
- ზ) ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და შვებულების მიცემის წესი.

ბათილია ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების ან ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის ის პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კანონს ან იმავე დასაქმებულთან დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულება აუმჯობესებს დასაქმებულის მდგომარეობას.

შენიშვნა: საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის 1¹-1³ პუნქტების მოქმედება ვრცელდება ამ კანონის [\(12.06.2013, №729\)](#) ამოქმედების შემდეგ დადებულ ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებაზე ან/და კოლექტიურ ხელშეკრულებაზე. მე-6 მუხლის 1³ პუნქტის პირობების მიუხედავად, ვადიანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მომუშავე დასაქმებულთან, რომლის შრომითი ურთიერთობები ერთსა და იმავე დამსაქმებელთან გრძელდება 5 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში, უვადო შრომითი ხელშეკრულება მე-6 მუხლის 1³ პუნქტის შესაბამისად დადებულად ჩაითვლება ამ კანონის [\(12.06.2013, №729\)](#) ამოქმედებიდან 1 წლის შემდეგ, ხოლო თუ ასეთივე დასაქმებულის შრომითი ურთიერთობები ერთსა და იმავე დამსაქმებელთან გრძელდება 5 წელზე ნაკლები ხნის განმავლობაში, მასთან უვადო შრომითი ხელშეკრულება მე-6 მუხლის 1³ პუნქტის შესაბამისად დადებულად ჩაითვლება ამ კანონის [\(12.06.2013, №729\)](#) ა მოქმედებიდან 2 წლის შემდეგ).

კითხვები და ამოცანები თვითშემოწმებისთვის

№	კითხვა/ამოცანა
1	საწარმომ შეიძინა 500 ცალი ტელეფონის აპარატი, თითოეული 80 ლარად. გაყიდულია 10 ტელეფონის აპარატი თითო 100 ლარად და ჩამოწერილია თვითღირებულებით. შეასრულეთ ბუღალტრული გატარებები.
2	შემენილია იმპორტით საქონელი 5000 დოლარად (კურსი 2.42), საზღვარგარეთ ტრანსპორტირების ხარჯი 500 დოლარია, გადახდილია იმპორტის გადასახადი 1500 ლარი, ტრანსპორტირების 1600 ლარი, საწყობში შენახვის 100 ლარი. გამოთვალეთ საქონლის თვითღირებულება.
3	საწარმო ამზადებს მზა პროდუქციას, რისთვისაც შეიძინა ძირითადი ნედლეული კრედიტით 5000 ლარის, დამხმარე მასალები 800 ლარის. გადაუხადა მომწოდებელს ნედლეულის 5000 ლარი და მასალების 800 ლარი. გაიცა ძირითადი ხელფასი პროდუქციის მწარმოებელი თანამშრომლებზე 1500 ლარი, ხოლო ადმინისტრაციის თანამშრომლებზე 2000 ლარი, საწარმოს რემონტზე დაიხარჯა 1200 ლარი, მანქანა დანადგარებს დაერიცხა ცვეთა 300 ლარი. გამოიანგარიშეთ და განახორციელეთ მზა პროდუქციის რეალიზაცია 20%-იანი ფასნამატით. შეასრულეთ შესაბამისი გატარებები.
4	საწარმო ყიდულობს და ყიდის „B“ სახის პროდუქციას, პერიოდის დასაწყისში 15/03/2018 წლისთვის საქონლის ნაშთი იყო 500 ერთეული, რომლის ჯამური ღირებულებაც შეადგენდა 2250 ლარს. ✓ 17/03/2018 შეძენილია „B“ სახის საქონელი 1200 ერთეული, ერთეულის ფასი შეადგენს 5 ლარს; ✓ 18/03/2018 რეალიზებულია 1400 ერთეული, ერთეულის სარეალიზაციო ფასი შეადგენს 7.5 ლარს; ✓ 19/03/2018 შეძენილია „B“ სახის საქონელი 1800 ერთეული 7,560 ლარად; ✓ 25/03/2018 რეალიზებულია 650 ერთეული (სარეალიზაციო ფასი უცვლელია). მოგეთხოვებათ: განსაზღვროთ 31/03/2018 წლის მდგომარეობით „B“ საქონლის ნაშთი, როგორც FIFO, ასევე საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.
5	რა ვალდებულებები აქვს დამსაქმებელს?
6	რა დოკუმენტაციაა საჭირო საწარმოს რეგისტრაციისთვის?
7	რა ითვლება ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლად და სარგებლად?
8	სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გასვლისას თვითღირებულების განსაზღვრის რომელი მეთოდები გამოიყენება და რას გულისხმობს თითოეული?
9	როგორ აღირიცხება ინვენტარიზაციით გამოვლენილი დანაკლისი ან ზედმეტობა?
10	რა დოკუმენტებია საჭირო საქონლის ადგილობრივი და იმპორტით შემენისას?
11	რისგან შედგება რეზიდენტისა და არარეზიდენტის ერთობლივი შემოსავალი?
12	რა მიეკუთვნება ერთობლივ შემოსავალს?
13	რა მიეკუთვნება ხელფასის სახით მიღებული შემოსავლებს?
14	რა მიეკუთვნება ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებს?
15	საქონლის/მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდებისას რა თანხა აისახება ერთობლივ შემოსავალში?

ლექცია №4

დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) აღრიცხვა

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) არაპირდაპირი გადასახადია¹ და წარმოადგენს ყველა დასაბეგრი საქონლის ან მომსახურების ღირებულების ნაწილის სავალდებულო შენატანს ბიუჯეტში. დღგ თანამედროვე საგადასახადო სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადასახადია. მას ზოგიერთ ქვეყანაში ბრუნვის გადასახადს უწოდებენ.

დღგ დგინდება ფასზე დანამატით და მას იხდის საბოლოო მომხმარებელი. ეს ნიშნავს იმას, რომ მისი გადახდის სიმძიმის საბოლოო მატარებელია არა გამყიდველი, არამედ საქონლისა თუ მომსახურების საბოლოო მომხმარებელი.

პრაქტიკაში უნდა განვასხვავოთ ჩასათვლელი და გადასახადელი დღგ. შესყიდვის ოპერაციების გატარებისას მყიდველი კომპანია გამოყოფს ე.წ. ჩასათვლელ, ანუ გადახდილ დღგ-ს (აღირიცხება 3340 ანგარიშზე), ხოლო გაყიდვებისას გამოყოფს - გადასახდელ დღგ-ს (აღირიცხება 3330 ანგარიშზე). ჩასათვლელ და გადასახდელ დღგ-ს თანხებს შორის სხვაობას საწარმო იხდის ბიუჯეტში.

დღგ-ით დაბეგვრის სისტემის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ დაბეგვრის ტვირთი ნაბიჯ-ნაბიჯ გადაეცეს საბოლოო მომხმარებელს, რომელსაც უკვე აღარ აქვს შესაძლებლობა, მიიღოს კომპენსაცია სახელმწიფოსგან. გამომდინარე აქედან, დღგ წარმოადგენს უფრო მოხმარების გადასახადს.

დღგ-ს განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ბრუნვის² ან საქონლის იმპორტის თანხის **18%-ს** (დამატებით იხ. საგადასახადო კოდექსის განმარტებები).

დღგ-ის ჩათვლა არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის უფლება, შეიმციროს ბიუჯეტში გადასახდელი დღგ-ის თანხა მიღებული ჩათვლის დოკუმენტების საფუძველზე.

დღგ-ს ჩათვლის დოკუმენტებია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, საბაჟო დეკლარაცია და სხვ. (დამატებით იხ. [სსკ მ.173](#)).

საქართველოს საგადასახადო კოდექსით, დღგ-ის ჩასათვლელი თანხა არის დღგ-ის თანხა, რომელიც გადახდილია ან გადასახდელია ჩათვლის დოკუმენტების მიხედვით, მათ შორის, დღგ-ის რეგისტრაციის ძალაში შესვლის მომენტისთვის არსებულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ნაშთზე. მაშასადამე, დღგ-ს ჩათვლა შესაძლებელია იმის მიუხედავად, მომწოდებლის დავალიანება დაფარულია თუ არა. თუმცა დღგ-ს ჩათვლა შეუძლებელია ისეთ სასაქონლო ოპერაციაზე, ან მომსახურებაზე, რომელზეც საწარმოს ანგარიშ-ფაქტურა არ მიუღია. საწარმოს თუ მიმდინარე თვეში არ აქვს ჩასათვლელი დღგ, მაშინ იგი, საქონლის რეალიზაციიდან გამომდინარე, სრულად გადაიხდის ბიუჯეტის მიმართ წარმოქმნილ ვალდებულებას (გადასახდელ დღგ-ს). ამასთან, თუ დღგ-ს გადახდილი თანხა აჭარბებს მიღებულს, ბიუჯეტი საწარმოს უბრუნებს სხვაობას.

დამატებული ღირებულების გადასახადის მიზნებისთვის საქონელს არ მიეკუთვნება ფული [\[სსკ მ.13\]](#), ასევე დამატებული ღირებულების გადასახადის მიზნებისთვის მომსახურების მიწოდებას არ მიეკუთვნება ისეთი მომსახურების გაწევა, რომელიც გულისხმობს ფულზე საკუთრების უფლების გადაცემას ან დაქირავებით მუშაობას [\[სსკ მ.16\]](#).

დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია გამოიყენოს აღრიცხვის **დარიცხვის მეთოდი** [\[სსკ მ.136\]](#). ბასს-ის მიხედვით, დარიცხვის მეთოდი გულისხმობს

¹ არაპირდაპირი გადასახადი - გადასახადი (დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, იმპორტის გადასახადი), რომელიც დგინდება მიწოდებული (იმპორტირებული) საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი (იმპორტიორი) ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან/და მომსახურების შეძენისას (იმპორტისას). არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება ეკისრება საქონლის მიმწოდებელს (იმპორტიორს) ან/და მომსახურების გამწევს, რომელიც საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის გადასახადის გადამხდელად იწოდება [\[სსკ მ.8\]](#)

² დასაბეგრი ბრუნვა - არის საანგარიშო პერიოდში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების, საქონლის ექსპორტისა და საქონლის რეექსპორტის თანხის ჯამი

აღიარებას მათი მოხდენისთანავე, მაშასადამე, საქონელი გაყიდულად ითვლება მისი მიწოდებისთანავე. შესაბამისად, საგადასახადო კოდექსით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება საქონლის/მომსახურების მიწოდების მომენტი, რაც ნიშნავს, რომ დღე-ს გადახდის ვალდებულება დგება საქონლის ან მომსახურების მიწოდებისთანავე იმისდა მიუხედავად კომპენსაციის თანხის მიღებას აქვს თუ არა ადგილი.

• *განვიხილოთ მაგალითი:*

საქონლის შეძენისას საწარმომ უცხოელ მომწოდებელს გადაუხადა: 10 000 აშშ დოლარი, ეროვნული ბანკის კურსი დოლართან მიმართებით შეადგენს 2.4512 ლარს ($10\,000 \times 2.4512 = 24\,512$), ტრანსპორტირების ხარჯი 1 200 ლარია. საქონლის განბაჟებისთვის გადახდილია დღე 3 186 ლარი, საბაჟო გადასახადი 3 000 ლარი, საბაჟო დეკლარაციის გაფორმება 60 ლარი საქონლის შენახვისთვის 240 ლარი, რომელიც შეიცავს დღე-ს 36.61 ლარს ($240 / 1.18 = 203.39$).

საქონლის თვითღირებულებაში არ შევა დღე-ს თანხები (თუ საწარმო რეგისტრირებულია დღე-ს გადამხდელად), რადგან დღე წარმოადგენს დაბრუნებად გადასახადს. უცხოურ ვალუტაში მომწოდებლისთვის გადახდილი თანხა გადაიანგარიშება განბაჟების დღისთვის არსებული ეროვნული ბანკის შესაბამისი კურსით ლარში. შესაბამისად საქონლის თვითღირებულება ტოლი იქნება: $24\,512 + 1\,200 + 3\,000 + 60 + 203.39 = 28\,975.39$.

• *განვიხილოთ მაგალითი:*

საწარმომ მიმდინარე თვეში გაყიდა 2 000 ლარის დღე-ით დასაბეგრი საქონელი. მყიდველმა საწარმოს გადაუხადა 2 360 ლარი ($2000 + 2000 \times 18\% = 2\,360$). 360 ლარი ($2000 \times 18\%$) საწარმოსთვის იქნება გადასახდელი დღე. ამავე პერიოდში საწარმომ შეიძინა 1 500 ლარის საქონელი, რისთვისაც მომწოდებელს გადაუხადა 1 770 ($1\,500 + 1\,500 \times 18\%$) ლარი. 270 ლარი ($1\,500 \times 18\% = 270$) საწარმოსთვის არის გადახდილი ანუ ჩასათვლელი დღე. ბიუჯეტის მიმართ წარმოქმნილი ვალდებულება აღნიშნული ოპერაციების შემდეგ იქნება 90 ლარი ($360 - 270 = 90$).

• *განვიხილოთ მაგალითი:*

1) საწარმომ კრედიტით შეიძინა ნედლეული 23 600 ლარად (20 000 ლარი ნედლეულის ღირებულებაა, ხოლო 3 600 დღე-ს თანხა):

თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
10/05/2017	1620	3110	20 000	შეძენილია ნედლეული
10/05/2017	<u>3340</u>	3110	3 600	გამოყოფილია ჩასათვლელი დღე

2) გაყიდულია საქონელი, დაფარულია დებიტორული დავალიანება უნაღდო ანგარიშსწორებით 29 500 ლარი, მათ შორის დღე 4 500 ლარია, ხოლო რეალიზებული საქონლის თვითღირებულება შეადგენს 18 000 ლარს.

თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
10/05/2017	7210	1610	18 000	ჩამოწერილია საქონელი თვითღირებულებით
10/05/2017	1410	6110	25 000	გაყიდულია საქონელი
10/05/2017	1410	<u>3330</u>	4 500	გამოყოფილია გადასახდელი დღე
10/05/2017	1210	1410	29 500	მიღებულია თანხა მყიდველისგან

ბუღალტრული აღრიცხვა

როგორც ვხედავთ, შეძენისას გადახდილი დღგ აისახება 3340 ანგარიშის დებეტის მხარეს, ხოლო გადასახდელი დღგ, როგორც ვალდებულება - 3330-ის კრედიტის მხარეს.

3) შეძენილია 2000 ლარის საქონელი, დღგ-ს ჩათვლით გადახდილია 2 360 ლარი.

თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
10/05/2017	1610	3110	2 000	შეძენილი საქონლის თვითღირებულება
10/05/2017	<u>3340</u>	3110	360	ჩასათვლელი დღგ

სხვაობა გადასახდელ და გადახდილ დღგ-ს შორის ტოლია 540 ლარის ($4\,500 - (3\,600 + 360) = 4\,500 - 3\,960 = 540$). 540 ლარი წარმოადგენს ბიუჯეტში გადასახდელ დღგ-ს.

ურთიერთჩათვლა გადასახდელ დღგ-სა და გადახდილ დღგ-ს შორის ხდება ამ ორ თანხას შორის უმცირესი თანხით და სრულდება საპირისპირო (უკუგატარება) გატარება:

თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
10/05/2017	3330	3340	3 960	დღგ-ს ჩათვლა

ხოლო დღგ-ს ვალდებულების დაფარვისას შესრულდება ბუღალტრული გატარება

თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
10/05/2017	3330	1210	540	დღგ-ს გადახდა

იმისათვის რომ მთლიანი თანხიდან გამოვყოთ დღგ, რიცხვს ვყოფთ 1.18-ზე. მაგ.: შეძენილია საქონელი 5 900 ლარად, რომელშიც შედის დღგ. $5\,900 / 1.18 = 5\,000$ ე.ი. 5,000 ლარი არის საქონლის ღირებულება, ხოლო $5\,900 - 5\,000 = 900$ ან $5\,000 \times 18\% = 900$ ლარი არის ჩასათვლელი დღგ-ს თანხა.

- განვიხილოთ მაგალითი:

საწარმო რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად. მოცემული გვაქვს იანვრის თვის საქონლის რეალიზაციის და შესყიდვის ოპერაციები, რომლებზეც მომწოდებლებისგან მიღებულია ანგარიშ-ფაქტურები.

N	გაყიდვები			N	შესყიდვები		
1	03/01/2018	10 000	არ შეიცავს დღგ-ს	1	05/01/2018	5 000	არ შეიცავს დღგ-ს
2	10/01/2018	8 850	შეიცავს დღგ-ს	2	08/01/2018	14 160	შეიცავს დღგ-ს
3	12/01/2018	6 700	არ შეიცავს დღგ-ს	3	15/01/2018	2 950	შეიცავს დღგ-ს
4	17/01/2018	23 600	შეიცავს დღგ-ს	4	20/01/2018	11 250	არ შეიცავს დღგ-ს

გამოვთალოთ იანვრის თვის გადასახდელი და ჩასათვლელი დღგ-ს თანხები.

გადასახდელი დღგ-ს თანხა		ჩასათვლელი დღგ -ს თანხა ტოლია:	
$10\,000 \times 18\%$	= 1 800	$5\,000 \times 18\%$	= 900
$8\,850 - 8\,850 / 1.18$	= 1 350	$14\,160 - 14\,160 / 1.18$	= 2 160
$6\,700 \times 18\%$	= 1 206	$2\,950 - 2\,950 / 1.18$	= 450
$23\,600 - 23\,600 / 1.18$	= 3 600	$12\,500 \times 18\%$	= 2 250
სულ	7 956	სულ	5 760

ბუღალტრული აღრიცხვა

ბიუჯეტში გადასახდელი დღგ-ს თანხა ტოლია $7\,956 - 5\,760 = 2\,196$

შევასრულოთ დღგ-ს ჩათვლისა და გადახდის ოპერაციები :

№	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	3330	3340	5 760	დღგ-ს ჩათვლა
2	3330	1210	2 196	სხვაობა გადასახდელ და ჩასათვლელ დღგ-ებს შორის გადაირიცხება ბიუჯეტში

საგადასახადო კოდექსის განმარტებები

დღგ-ის გადამხდელად ითვლება [\[სსკ მ.156\]](#):

1. პირი³, რომელიც რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად;
2. პირი, რომელიც ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად;
3. პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის იმპორტს ან დროებით შემოტანას საქართველოში, მხოლოდ ამ იმპორტზე ან დროებით შემოტანაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე;
4. არარეზიდენტი (გარდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირისა), რომელიც ეწევა მომსახურებას საქართველოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისა და საქართველოში საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფი არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების [\[იხ. სსკ მ.29 „მუდმივი დაწესებულება“\]](#) გარეშე, მხოლოდ ამ მომსახურებაზე და ექვემდებარება უკუდაბეგვრას;
5. პირი, რომელიც სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ახორციელებს მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) კრედიტორის საკუთრებაში გადაცემას მხოლოდ ამ ოპერაციაზე და ექვემდებარება უკუდაბეგვრას, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე;
6. პირი, რომლის საქონლის რეალიზაციაც ხდება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების მიზნით, აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით, მხოლოდ ამ ოპერაციაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე;
7. პირი, რომლის სამეურვეო ქონების რეალიზაციაც ხდება [„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით](#) განსაზღვრული წესით, მხოლოდ ამ ოპერაციაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე.

სავალდებულო რეგისტრაცია [\[სსკ მ.157\]](#)

პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და რომლის მიერ ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100,000 ლარს (გარდა [\[სსკ მ.157-ით](#) მუხლის 1¹ ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა), ვალდებულია დარეგისტრირდეს დღგ-ს გადამხდელად. პირმა უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხის 100,000 ლარზე გადაჭარბების დღიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

პირი, რომელიც აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში, ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისთვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს აქციზური საქონლის მიწოდებამდე.

პირი, რომელიც ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქციზური საქონლის საქართველოში იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-ის გადახდისგან, ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისთვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს საქართველოში აქციზური საქონლის მიწოდებამდე [\[სსკ მ.157\]](#).

დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციას დაქვემდებარებული პირის რეგისტრაციის გარეშე გამოვლენისას საგადასახადო ორგანო ატარებს ამ პირს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად. ამასთანავე, პირი დღგ-ის გადამხდელად ითვლება რეგისტრაციის ვალდებულების წარმოშობის მომენტიდან.

დღგ-ს გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულების განსაზღვრისას არ გათვალისწინება:

- ა) ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციები;
- ბ) ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციები;

³ პირი – ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი [\[საქართველოს სამოქალაქო კოდექსის](#) შესაბამისად, საწარმო ან ორგანიზაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად

გ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისთვის – ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

პირს შეუძლია ნებაყოფლობით გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად. იგი დღგ-ის გადამხდელად ითვლება საგადასახადო ორგანოსთვის მიმართვის დღიდან, მაგრამ არა უგვიანეს სავალდებულო რეგისტრაციისთვის განსაზღვრული ვადისა [სსკ მ.158].

დღგ-ს გადამხდელის რეგისტრაციის გაუქმება

[სსკ მ.159]

დღგ-ის გადამხდელის, მათ შორის, საქართველოში არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია:

- ა) საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაცია;
- ბ) ფიზიკური პირის გარდაცვალება;
- გ) გადასახადის გადამხდელის წერილობითი მიმართვა ან საგადასახადო ორგანოს მიმართვის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის თან ხმოვა;
- დ) „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება.

თუ გადასახადის გადამხდელის მიერ ბოლო 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების (გარდა ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციებისა და ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციებისა) საერთო თანხა დღგ-ის გარეშე არ აღემატება 100 000 ლარს და მისი დღგ-ის გადამხდელად უკანასკნელი რეგისტრაციის თარიღიდან გასულია 1 წელი:

- ა) გადასახადის გადამხდელს შეუძლია მიმართოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით;
- ბ) საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, წერილობით მიმართოს დღგ-ის გადამხდელს რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე და მისი თანხმობის შემთხვევაში გააუქმოს რეგისტრაცია.

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია უქმდება:

- ა) სსკ მ.159-ის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სახელმწიფო/სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების თარიღიდან;
- ბ) სსკ მ.159-ის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – პირის გარდაცვალების თარიღიდან;
- გ) სსკ მ.159-ის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – გადასახადის გადამხდელის წერილობითი მიმართვის/ თანხმობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან;
- დ) სსკ მ.159-ის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სასამართლოს მიერ გამოტანილი გაკოტრების შესახებ განჩინების გამოქვეყნებიდან.

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

დღგ-ით დაბეგვრის ობიექტია [სსკ მ.160]:

- ა) დასაბეგრი ოპერაცია;
- ბ) იმპორტი;
- გ) ექსპორტი, რეექსპორტი;
- დ) დროებითი შემოტანა.

დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციებია [სსკ მ.161]:

- საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა, რომლის დროსაც დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება დღგ-ის გადამხდელის მიერ მიღებული ან მისაღები კომპენსაციის თანხის მიხედვით, ხოლო ამ ნაწილის „ა.ბ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – მიღებული კომპენსაციის თანხის მიხედვით

(გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის ან/და პირგასამტეხლოს გარეშე, გარდა 161-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის მომენტი, მაგრამ:

- არაუგვიანეს მიწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლისათვის ან გაწეული მომსახურებისათვის ანაზღაურების მოთხოვნის (ინვოისის) წარდგენის მომენტისა, გარდა ამ ნაწილის „ა.ბ.ბ“-„ა.ბ.დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- არაუგვიანეს ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლო დღისა, თუ საქონლის (გარანტირებული სიმძლავრის, ელექტრო- ან თბოენერგიის, გაზის ან წყლის) მიწოდება ხდება რეგულარულად ან უწყვეტად. ამასთანავე, თუ პირი მიწოდებას აღრიცხავს საანგარიშო პერიოდის სხვადასხვა დღეს არა კალენდარული თვის, არამედ გარკვეული პერიოდის (ციკლის) განმავლობაში მიწოდებული საქონლის ოდენობის მიხედვით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს როგორც საანგარიშო პერიოდს, ისე საანგარიშოს წინა პერიოდს, ასეთ შემთხვევაში საანგარიშო პერიოდში მიწოდებულად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდის სხვადასხვა დღის მიხედვით აღრიცხული (გარკვეული პერიოდის (ციკლის) განმავლობაში მიწოდებული საქონლის ოდენობის მიხედვით აღრიცხული) საქონლის ოდენობა, მიუხედავად საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად მიწოდებულისა;
- არაუგვიანეს ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლო დღისა, თუ მომსახურების გაწევა ხდება რეგულარულად ან უწყვეტად;
- არაუგვიანეს მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის გადახდის მომენტისა, თუ თანხის გადახდა ხორციელდება საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე, გარდა ამ ნაწილის „ა.ბ.ბ“ და „ა.ბ.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

(დამატებით იხ. [სსკ მ.161](#)).

საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენება, რომლის დროსაც:

- დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება აქტივების ღირებულებით, რომელშიც შეიტანება მათი შესყიდვის, წარმოების, მშენებლობის, მონტაჟისა და დადგმის ხარჯები (დანახარჯები), აგრეთვე სხვა ხარჯები (დანახარჯები), რომლებიც ზრდის აქტივების ღირებულებას;
- დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება ძირითადი საშუალების ექსპლუატაციაში მიღების მომენტი.

დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის გარეშე, მათ შორის საქონლის/მომსახურების თანამშრომლებისთვის მიწოდებისა და საქონლის/მომსახურების კომპენსაციის გარეშე მიწოდების შემთხვევაში.

საერთაშორისო სატელეფონო საკომუნიკაციო მომსახურებისას დასაბეგრი ოპერაციის თანხაში არ გაითვალისწინება არარეზიდენტი საწარმოსთვის გაწეული ასეთი მომსახურებიდან მიღებული ან მისაღები თანხა.

იმპორტის დროს [სსკ მ.162](#): იმპორტის თანხა არის ჯამი: საბაჟო ღირებულებისა; იმპორტისას გადასახდელი გადასახდელებისა [საქართველოში გადასახდელი დღგ-ის ჩათვლელად]; მომსახურების ღირებულებისა, დღგ-ის გარეშე, რომელიც საქონლის იმპორტის მიმართ დამხმარე ხასიათისაა და ითვლება ამ საქონლის იმპორტის ნაწილად [სსკ მ.177](#).

ექსპორტის/რეექსპორტის დროს ექსპორტის/რეექსპორტის თანხა არის საბაჟო ღირებულება. საქონლის ექსპორტი/რეექსპორტი ხორციელდება მაშინ, როდესაც ხდება დეკლარირება საქონლის ექსპორტის/რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევის შესახებ. საქართველოდან ექსპორტის შემთხვევაში ამ საქონლის მიწოდების ადგილად ითვლება საქართველო [სსკ მ.163](#).

საქონლის მიწოდების ადგილი [სსკ მ.165]

თუ საქონლის მიწოდების პირობა ითვალისწინებს ტრანსპორტირებას, მაშინ საქონლის მიწოდების ადგილად ითვლება ტრანსპორტირების დაწყებისას საქონლის ადგილსამყოფელი. სხვა შემთხვევაში საქონლის მიწოდების ადგილად ითვლება საქონლის გადაცემის ადგილი.

ელექტრო- ან თბოენერგიის, გაზის ან წყლის მიწოდების ადგილად ითვლება ამ საქონლის მიღების ადგილი. საქართველოდან ექსპორტის შემთხვევაში ამ საქონლის მიწოდების ადგილად ითვლება საქართველო.

მომსახურების გაწევის ადგილი [სსკ მ.166]

მომსახურების გაწევის ადგილად [საგადასახადო კოდექსის მეVI კარის მიზნებისთვის] ითვლება:

- ა) ადგილი, სადაც მდებარეობს უძრავი ქონება, თუ მომსახურება უკავშირდება უძრავ ქონებას, მათ შორის:
 - ა.ა) ქონების აგენტებისა და ექსპერტების მომსახურება;
 - ა.ბ) სამშენებლო საქმიანობის მომზადებისა და კოორდინაციასთან დაკავშირებული მომსახურება;
 - ა.გ) არქიტექტურისა და სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობის მომსახურება;
- ბ) მომსახურების ფაქტობრივად გაწევის ადგილი, თუ:
 - ბ.ა) მომსახურება უკავშირდება მოძრავ ქონებას, მათ შორის, მოძრავი ქონების შეფასება;
 - ბ.ბ) მომსახურება გაიწევა კულტურის, ხელოვნების, განათლების, ტურიზმის, დასვენების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროებში;
 - ბ.გ) გაიწევა დამატებითი სატრანსპორტო მომსახურება, როგორცაა დატვირთვა და გადმოტვირთვა;
- გ) ტვირთების გადატანის ან მგზავრთა გადაყვანის ადგილსამყოფელი ტრანსპორტირების დაწყებისას, თუ მომსახურება დაკავშირებულია ამ გადაზიდვებთან;
- დ) თუ მომსახურების მიმღებ და გამწევ პირთა ადგილსამყოფელი სხვადასხვა სახელმწიფოშია, მაშინ მომსახურების მიმღები პირის რეგისტრაციის ადგილი ან მართვის ადგილი ან მომსახურების მიმღები პირის მუდმივი დაწესებულების ადგილმდებარეობა, თუ მომსახურება დაკავშირებულია უშუალოდ ამ მუდმივ დაწესებულებასთან. ამ ქვეპუნქტის დებულებები გამოიყენება შემდეგი მომსახურების მიმართ:
 - დ.ა) პატენტების, ლიცენზიების, სავაჭრო მარკების, საავტორო უფლებების ან სხვა მსგავსი არამატერიალური აქტივის გადაცემა;
 - დ.ბ) საკონსულტაციო, იურიდიული, საბუღალტრო, საინჟინერინგო და სხვა მსგავსი მომსახურების გაწევა, აგრეთვე მონაცემებისა და ინფორმაციის დამუშავება-მიწოდება;
 - დ.გ) პერსონალით უზრუნველყოფა;
 - დ.დ) მოძრავი ქონების იჯარით გადაცემა, გარდა სატრანსპორტო საშუალებების იჯარისა;
 - დ.ე) სარეკლამო მომსახურება;
 - დ.ვ) ბიზნესსაქმიანობისგან ან ამ ქვეპუნქტში აღწერილი უფლების გამოყენებისგან თავის შეკავების ვალდებულება;
 - დ.ზ) ფინანსური და დაზღვევის ოპერაციები, მათ შორის, გადაზღვევა;
 - დ.თ) სატელეკომუნიკაციო, რადიო- და ტელემაუწყებლობის მომსახურება;
 - დ.ი) ელექტრონულად გაწეული მომსახურება;
 - დ.კ) მომსახურების გაწევა შუამავლის მეშვეობით, რომელიც მოქმედებს სხვა პირის დავალებით და მონაწილეობს ამ ქვეპუნქტში აღწერილი მომსახურების გაწევაში;
- ე) იმ პირის ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ადგილი, რომელიც ეწევა მომსახურებას.

თუ მომსახურების გაწევის ადგილი აღწერილია ზემოთ მოცემული [სსკ](#) 166-ე მუხლის პირველი ნაწილის ერთზე მეტ ქვეპუნქტში, მომსახურების გაწევის ადგილი განისაზღვრება მომსახურების აღმწერი რიგით პირველი ქვეპუნქტის მიხედვით.

[სსკ](#) 166-ე მუხლის მიზნებისთვის, ელექტრონულად გაწეულ მომსახურებას განეკუთვნება:

- ა) ვებგვერდის მიწოდება, ვებჰოსტინგი, პროგრამებისა და მოწყობილობების დისტანციური ტექნიკური მომსახურება;
- ბ) პროგრამული უზრუნველყოფა და შესაბამისი განახლება;
- გ) გამოსახულებების, ტექსტებისა და ინფორმაციის მიწოდება მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;
- დ) მუსიკის, ფილმებისა და თამაშების (აზარტული თამაშების ჩათვლით) მიწოდება, პოლიტიკური, კულტურული, ხელოვნების, სპორტული, სამეცნიერო და გასართობი პროგრამების ტრანსლაცია და გაშუქება;
- ე) დისტანციური სწავლების მიწოდება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს, განსაზღვროს ამ მუხლის (სსკ მ.116) მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მომსახურების სახეებისთვის გარკვეულ საქმიანობათა მიკუთვნების კრიტერიუმები.

გადასახადისგან გათავისუფლება და მისი გამოყენების წესი [სსკ მ.167]

დღგ-ისგან გათავისუფლება არსებობს ჩათვლის უფლებით და ჩათვლის უფლების გარეშე.

ოპერაციის გათავისუფლება ჩათვლის უფლებით გულისხმობს, რომ ოპერაცია არ ექვემდებარება დღგ-ის დარიცხვას (არ იხვევრება) და გამოიყენება ჩათვლის უფლება.

ოპერაციის გათავისუფლება ჩათვლის უფლების გარეშე გულისხმობს, რომ ოპერაცია არ ექვემდებარება დღგ-ის დარიცხვას (არ იხვევრება) და არ გამოიყენება ჩათვლის უფლება.

გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, დასაბეგრი ოპერაციების მიმართ არ გამოიყენოს ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლება, რაც გულისხმობს, რომ დასაბეგრი ოპერაცია ექვემდებარება დღგ-ის დარიცხვას და მიიღება ჩათვლა. ეს შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

ა) საგადასახადო ორგანოსთვის მიმართვის შემდეგი საანგარიშო პერიოდის პირველი რიცხვიდან;

ბ) უფლების გამოყენების დღიდან 12 თვის განმავლობაში, ყველა დასაბეგრი ოპერაციის მიმართ.

ასეთი უფლების გამოყენების შემთხვევაში:

ა) საგადასახადო ორგანო ვალდებულია გადასახადის გადამხდელი გაატაროს რეგისტრაციაში;

ბ) გადასახადის გადამხდელი ვალდებულია დაბეგროს გათავისუფლებული ოპერაციები და ამ კარის მიზნებისათვის ასეთი ოპერაციები აღარ ითვლება ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულ ოპერაციად.

დღგ-ისგან გათავისუფლების გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

გადასახადისგან გათავისუფლება [სსკ მ.168]

1. ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლებულია შემდეგი საქონლის მიწოდება, იმპორტი ან დროებითი შემოტანა:

- ეროვნული ან/და უცხოური ვალუტის (გარდა ნუმისმატიკური ან საკოლექციო მიზნებით გამოსაყენებლად გათვალისწინებულისა), ფასიანი ქაღალდების მიწოდება ან/და იმპორტი;
- საქართველოს ეროვნული ბანკისთვის გადასაცემი ოქროსა და ოქროს ზოდების იმპორტი;
- განმეულობის, სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული უძრავი ქონების მიწოდება ან/და იმპორტი, რომელთა რეალიზაციით მიღებული შემოსავლები შეიტანება ბიუჯეტში;
- სახელმწიფო ქონების მიწოდება პრივატიზაციის პროგრამის მიხედვით;
- საქართველოს საპატრიარქოს მიერ ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნის, კალენდრისა და სხვა საღვთისმსახურო საგნების მიწოდება, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ რელიგიური მიზნით;
- საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 4820 20 000 00 კოდში მითითებული საქონლის (რვეულების) მიწოდება;

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი ნუსხის მიხედვით სამკურნალო (ფარმაცევტული) მიზნებისათვის განკუთვნილი [საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის](#) 28-ე და 29-ე ჯგუფებით გათვალისწინებული წარმოდგენილი ნედლეულისა და სუბსტანციების, 30-ე ჯგუფით გათვალისწინებული ფარმაცევტული პროდუქციის (გარდა სადეჰი რეზინისა), მათ შორის, ვაქცინების, მიწოდება ან/და იმპორტი;
- [საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის](#) 8419 20 000 00, 9001 30 000 00, 9001 40, 9001 50, 9018–9022 (გარდა 9019 10 900 00), 9025 11 200 00 და 9402 90 000 00 კოდებში მითითებული სამედიცინო ან ვეტერინარული დანიშნულების საქონლის (მათ შორის, ინსულინის შპრიცების/ნემსების), 8713 და 8714 20 000 00 კოდებში აღნიშნული ეტლებისა და მათი ნაწილების და საკუთონების, სამედიცინო დანიშნულების რენტგენის ფირების, სამედიცინო დანიშნულების სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების, გლუკომეტრების (რომელთა ტესტ-სისტემები რეგისტრირებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ) მიწოდება ან/და იმპორტი;
- [საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის](#) 8703 კოდში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილის მიწოდება ან/და იმპორტი;
- [საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის](#) 4901, 4902, 4903 00 000 00 და 4904 00 000 00 კოდებში მითითებული საქონლის (წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, ნოტები) მიწოდება (მათ შორის, ელექტრონული ფორმით) ან/და იმპორტი, ასევე ელექტრონული მატარებლების (დისკების) საშუალებით სალექციო კურსების მიწოდება, რომელიც საგანმანათლებლო ხასიათისაა და შეიძლება გამოცემულ იქნეს ასევე წიგნის ფორმით;
- [საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი ნუსხის მიხედვით](#) ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების ან/და ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის მიწოდება ან/და იმპორტი, რომლებიც მარკირებულია ასეთად მიწოდებისას;
- დიაბეტური პურის მიწოდება ან/და იმპორტი, რომელიც მარკირებულია ასეთად მიწოდებისას;
- მიწის ნაკვეთის მიწოდება;
- თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოებს შორის საქონლის მიწოდება;
- შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შერჩეული პირის მიერ იმ საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია აქციზური ან/და არააქციზური საქონლის სავალდებულო ნიშანდების/მარკირების განსახორციელებლად;

შენიშვნა: დამატებით იხილეთ [სსკ](#) მუხლი 168.

1. ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლებულია შემდეგი სახის მომსახურების გაწევა:

- ფინანსური ოპერაციების განხორციელება ან/და ფინანსური მომსახურების გაწევა;
- საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია და მოხატვა;
- დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო (მათ შორის, ავტოტრანსპორტით) მომსახურების გაწევა;
- სამედიცინო მომსახურების გაწევა;
- სააღმშრდელი დაწესებულებებში ან/და ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ბავშვთა მოვლა-პატრონობის მომსახურების გაწევა ან/და ავადმყოფთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა) და 60 წლის და 60 წელზე მეტი ასაკის პირთა მოვლა-პატრონობის მომსახურების გაწევა;
- ამ მუხლით ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული საქონლის ლიზინგით გაცემა;
- 18 წლამდე ასაკის ფიზიკური პირის სახელოვნებო და სასპორტო სწავლების მომსახურების გაწევა;

- რეგულირებადი ფასებითა და ტარიფებით საქალაქო და შიგარაიონულ მარშრუტებზე სამგზავრო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა) მომსახურების გაწევა;
- საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიერ გაწეული განათლების მომსახურება;
- ადგილობრივი თვითმმართველობისთვის დასახლებულ ტერიტორიაზე დაგვა - დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების გაწევა.

შენიშვნა: დამატებით იხილეთ [სსკ](#) მუხლი 168.

2. ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულია:

- საქონლის რეექსპორტი ან ექსპორტი მხოლოდ იმ საანგარიშო პერიოდისათვის, რომელშიც განხორციელებულია დეკლარირება საქონლის რეექსპორტის ან საქონლის ექსპორტში გაშვების შესახებ;
- საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა და დიპლომატიური მისიების წევრების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის და რომლის [გამოყენების წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი](#);
- აქტივების მიწოდება საწარმოს რეორგანიზაციის შემთხვევაში;
- საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის (გარდა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 0407 00 190 00 და 0407 00 300 00 კოდებში მითითებული საქონლისა (კვერცხისა) და 0207 11 სუბპოზიციის მითითებული საქონლისა (შინაური ქათამი აუქნელი, ახალი ან გაციებული)) მიწოდება მის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე);
- ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულია საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა ან/და საქონლის იმპორტი, თუ აღნიშნული ხორციელდება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში და ამ ხელშეკრულებების შესაბამისად ასეთი საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა ან/და საქონლის იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-ისგან;

შენიშვნა: დამატებით იხილეთ [სსკ](#) მუხლი 168.

დღგ-ს განაკვეთები [\[სსკ მ.169\]](#):

1. დღგ-ის განაკვეთი შეადგენს:

- ა) დასაბეგრი ბრუნვის ან საქონლის იმპორტის თანხის 18 პროცენტს;
- ბ) საქონლის დროებითი შემოტანისას [საგადასახადო კოდექსის 164-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით](#) გათვალისწინებული დროებითი შემოტანის თანხის 0.54 პროცენტს ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე, მაგრამ არა უმეტეს საქონლის დროებითი შემოტანისას დროებითი შემოტანის თანხის 18 პროცენტისა;
- გ) უკუდაბეგვრის წესით დასაბეგრი ოპერაციის თანხის 18 პროცენტს.

2. დასაბეგრი ბრუნვა არის საანგარიშო პერიოდში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების, საქონლის ექსპორტისა და საქონლის რეექსპორტის თანხის ჯამი.

ბიუჯეტში შესატანი დღგ [\[სსკ მ.170\]](#):

ბიუჯეტში შესატანი დღგ მოიცავს:

- ა) დასაბეგრი ბრუნვიდან ბიუჯეტში შესატან დღგ-ის თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა დასაბეგრი ბრუნვაზე დარიცხულ დღგ-ის თანხასა და ჩასათვლელ დღგ-ის თანხებს შორის;

- ბ) საქონლის იმპორტისას ბიუჯეტში შესატან დღგ-ის თანხას;
- გ) საქონლის დროებითი შემოტანისას ბიუჯეტში შესატან დღგ-ის თანხას;
- დ) უკუდაბეგვრის წესით დასაბეგრი ოპერაციიდან ბიუჯეტში შესატან დღგ-ის თანხას.

დეკლარაციის წარდგენა და დღგ-ს გადახდა [\[სსკ მ.171\]](#):

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია შესაბამის საგადასახადო ორგანოში წარადგინოს დღგ-ის დეკლარაცია ყოველ საანგარიშო პერიოდზე არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა და ამავე ვადაში გადაიხადოს დღგ.

დღგ-ის საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე [\[სსკ მ.172\]](#).

დღგ-ს ჩათვლა [\[სსკ მ.173\]](#)

დღგ-ის ჩათვლა არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის უფლება, შეიმციროს გადასახდელი დღგ-ის თანხა მიღებული ჩათვლის დოკუმენტების საფუძველზე, გარდა ამ კარით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ჩათვლის დოკუმენტებია:

- საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;
- საბაჟო დეკლარაცია;
- საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გაწეული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელთა მიერ მიწოდებული საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ტარიფები დადგენილია დღგ-ის ჩათვლით, კანონით ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით;
- [სსკ 176¹ მუხლით](#) გათვალისწინებულ შემთხვევებში – მყიდველის მიერ საქონლის შეძენის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საქონლის შესაძენად გადახდილი თანხის (მათ შორის, დღგ-ის თანხის) ოდენობა;
- საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქონლის იმპორტთან ან/და საქონლის დროებითი შემოტანასთან დაკავშირებით დარიცხული დღგ-ის გადასახადის გადამხდელის მიერ ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

შენიშვნა: დამატებით იხ. [სსკ მუხლი 173, 174, 175](#).

უკუდაბეგვრა [\[სსკ მ.176\]](#):

დღგ-თი უკუდაბეგვრას ექვემდებარება:

- ა) არარეზიდენტი ფიზიკური პირის (გარდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირისა) ან არარეზიდენტი საწარმოს მიერ საგადასახადო აგენტისათვის საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული მომსახურება;
- ბ) პირის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემა;
- გ) საგადასახადო აგენტისთვის საქართველოს ტერიტორიის გარეთ გაწეული მომსახურების ან/და საქონლის პროდუქტის (საპროექტო დოკუმენტაცია, ტექნიკური დოკუმენტაცია, ტექნოლოგიური სქემა, პროგრამა და სხვა) მიწოდება ინტერნეტით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვაგვარი საშუალებით, თუ იგი არ კვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს ინტეგრირებული სქემის ან სხვა სახის ინფორმაციის მატარებლის საშუალებით.

შენიშვნა: დამატებით იხ. [სსკ მ.176](#).

დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირება [სსკ მ.179]:

დასაბეგრი ოპერაციის თანხა კორექტირდება შემდეგი გარემოებების დადგომისას:

1. გაუქმებულია დასაბეგრი ოპერაცია, მათ შორის, ხელახალი რეგისტრაციის დროს დღგ-ის გადამხდელად წინა რეგისტრაციის გაუქმებისას მიწოდებად განხილული საქონლის არსებულ ნაშთზე;
2. შეცვლილია დასაბეგრი ოპერაციის სახე;
3. ფასების შემცირების ან სხვა მიზეზით შეცვლილია ოპერაციაზე ადრე შეთანხმებული კომპენსაციის თანხა, გარდა ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებისა;
4. საქონელი/მომსახურება სრულად ან ნაწილობრივ უბრუნდება დღგ-ის გადამხდელს.

ზემოთ აღნიშნული ერთ-ერთი გარემოების დადგომისას დასაბეგრი ოპერაციის თანხა კორექტირდება, თუ გადამხდელის მიერ:

- ა) საგადასახადო ორგანოში წარდგენილია ან/და დღგ-ის დეკლარაციაში ასახულია დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურა, რომელშიც დღგ-ის თანხა არასწორად არის აღნიშნული;
- ბ) დღგ-ის დეკლარაციაში არასწორად არის აღნიშნული დღგ-ის თანხა;
- გ) გამოწერილია დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურა, რომელშიც დღგ-ის თანხა არასწორად არის აღნიშნული.

კორექტირების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა არის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დასაბეგრი ოპერაციის კორექტირება. კორექტირების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერისა და წარდგენის წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ

საწარმოს რედომიცილება - ეს არის უცხო ქვეყნის საწარმოს რეგისტრაციის საქართველოში გადმოტანა საწარმოს უწყვეტობის დაურღვევლად.

რედომიცილებული საწარმო შეიძლება დარეგისტრირდეს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი ფორმით.

საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოს უფლება აქვს, გადაიტანოს რეგისტრაცია უცხო ქვეყანაში შემდეგი საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაურღვევლად, შემდეგი პირობების არსებობისას:

- ა) ამ ქვეყანასთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით არ არის აკრძალული საწარმოს რედომიცილება;
- ბ) საწარმოს წინააღმდეგ საქართველოში არ მიმდინარეობს სასამართლო დავა ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოება ან სისხლის სამართლის საქმის წარმოება;
- გ) საწარმოს რედომიცილების დროისათვის საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიმართ არ გააჩნია საგადასახადო დავალიანება.

ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

[[კმმ მ.9](#)]

ხელმძღვანელობის უფლება აქვთ: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში – ყველა პარტნიორს, კომანდიტურ საზოგადოებაში – სრულ პარტნიორებს (კომპლემენტარებს), კომპლემენტარი იურიდიული პირის შემთხვევაში – მის მიერ დანიშნულ ფიზიკურ პირს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში – დირექტორებს, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს საწარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც, თუ პარტნიორთა შეთანხმებით (წესდებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ხელმძღვანელებს უფლება არა აქვთ პარტნიორთა თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა საზოგადოება.

შენიშვნა: დამატებით იხ. [კმმ მ.9](#).

საქართველოს შრომის კოდექსის მიხედვით შრომის პირობების დაცვა

დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ასრულებს სამუშაოს, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს, ხოლო სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოში, სადაც წარმოების/შრომითი პროცესი ითვალისწინებს 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს, – კვირაში 48 საათს. [სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა](#). სამუშაო დროში არ ითვლება შესვენების დრო და დასვენების დრო [სმკ მ.14].

თუ დამსაქმებლის საქმიანობა ითვალისწინებს წარმოების/შრომითი პროცესის 24-საათიან უწყვეტ რეჟიმს, მხარეები უფლებამოსილი არიან, დადონ შრომითი ხელშეკრულება ცვლაში მუშაობის შესახებ, ამ მუხლის მე-2 პუნქტის პირობების გათვალისწინებით და დასაქმებულისთვის ნამუშევარი საათების ადეკვატური დასვენების დროის მიცემის პირობით.

სამუშაო დღეებს (ცვლებს) შორის დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები.

16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 36 საათს.

14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 24 საათს.

[სმკ მ.15] ცვლაში მუშაობა და ერთი ცვლიდან მეორეში გადასვლა განისაზღვრება ცვლიანობის განრიგით, რომელსაც ამტკიცებს დამსაქმებელი სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით. ცვლიანობის განრიგის ცვლილების შესახებ დასაქმებულს უნდა ეცნობოს 10 დღით ადრე, თუ ეს შეუძლებელი არ არის უკიდურესი საწარმოო აუცილებლობის გამო.

[სმკ მ.16] სამუშაოს პირობების გათვალისწინებით, როდესაც შეუძლებელია ყოველდღიური ან ყოველკვირეული სამუშაო დროის ხანგრძლივობის დაცვა, დასაშვებია სამუშაო დროის შეჯამებული აღრიცხვის წესის შემოღება.

[სმკ მ.17] დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო:

- ა) სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის – ანაზღაურების გარეშე;
- ბ) საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის – სათანადო ანაზღაურებით.

აკრძალულია ორსული ან ახალნამშობიარები ქალის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, არასრულწლოვნის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება მისი თანხმობის გარეშე.

ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა სრულწლოვნისთვის აღემატება კვირაში 40 საათს, 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის – კვირაში 36 საათს, ხოლო 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის – კვირაში 24 საათს.

ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. ამ ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ დასაქმებულისათვის დამატებითი დასვენების დროის მიცემაზე.

კითხვები და ამოცანები თვითშემოწმებისთვის

№	კითხვა/ამოცანა
1	რას წარმოადგენს დღგ-ს გადასახადი?
2	როდის ხდება დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაცია?
3	ვინ არის დღგ-ს გადამხდელი?
4	ჩამოთვალეთ დღგ-თი დასაბეგრი ოპერაციები
5	რა არის ოპერაციის თანხა და დრო?
6	მოხდა ორი საწარმოს რეორგანიზაცია (შეერთება), რომელთაგან მხოლოდ ერთი იყო დღგ-ს გადამხდელი. წარმოიშვა ახალი საწარმო. ევალება თუ არა მას დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაცია?
7	რა ოპერაციებია განთავისუფლებული დღგ-საგან?
8	რას ნიშნავს ჩათვლის უფლებით და მის გარეშე განთავისუფლება?
9	რას ნიშნავს გადასახდელი და ჩასათვლელი დღგ?
10	როგორ გამოვყოფთ მთლიანად გადახდილი თანხიდან დღგ-ს?
11	საწარმო ასრულებს საბუღალტრო მომსახურების ოპერაციებს, რომლის შემოსავალმა 12 თვეში გადააჭარბა 100 000-ს. ვალდებულია თუ არა იგი დარეგისტრირდეს დღგ-ს გადამხდელად?
12	ჩამოთვალეთ დღგ-ს ჩათვლის დოკუმენტები.
13	როდის ხდება დღგ-ს დეკლარაციის წარდგენა და დღგ-ს გადახდა?
14	რა სახის ოპერაციები ექვემდებარება უკუდაბეგვრას?
15	რა შემთხვევაში ხდება დღგ-ს კორექტირების ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა?
16	შვედურმა კომპანიამ საქართველოს საწარმოს კუთვნილი ავტომობილის ნაწილი გაარემონტა თავის სათავო ოფისში. ჩაითვლება თუ არა მომსახურება საქართველოში გაწეულად და დაიბეგრება თუ არა დღგ-თი?
17	შ.პ.ს. „ალფამ“ განახორციელა 80 000 ლარის მის მიერ წარმოებული აქციზური საქონლის - არყის მიწოდება. არის თუ არა ვალდებული იგი დარეგისტრირდეს დღგ-ს გადამხდელად და როდიდან?
18	უცხოურმა კომპანიამ, რომელსაც საქართველოში არ გააჩნია მუდმივი დაწესებულება, საქართველოს საწარმოს შეუსრულა საპროექტო სამუშაო, საქართველოში შენობის ასაშენებლად. ჩაითვლება თუ არა მომსახურება საქართველოში გაწეულად და დაიბეგრება თუ არა დღგ-თი?
19	შემდეგი ოპერაციები ანგარიშებზე, დღგ-ს გადახდა და განაშთავა. ა) შეძენილია 10 000 ლარის საქონელი კრედიტით დღგ-ს გარეშე ბ) გაყიდულია საქონელი კრედიტით 5 000 ლარად. მიღველმა დღგ-ს ჩათვლით გადაიხადა 5 900 გ) გაწეულია საიჯარო ქირის ხარჯი 726 ლარი საიდანაც ჩასათვლელია დღგ. დ) შემოტანილია 3 000 ლარის საქონელი იმპორტით, რაზედაც გადახდილია საბაჟო დღგ 360 ლ.
20	რას ნიშნავს საწარმოს რედომიცილება?
21	ვის აქვს ხელმძღვანელობის უფლება და რა უფლებები აქვთ ხელმძღვანელებს?
22	როგორ ხდება შრომის კოდექსის მიხედვით შრომის პირობების დაცვა?
23	რას ნიშნავს ზეგანაკვეთური სამუშაო?
24	როგორია ღამის სამუშაოს შესრულების პირობები?

ლექცია №5

მოკლევადიანი მოთხოვნების აღრიცხვა

საწარმოს საქმიანობის პროცესში წარმოიქმნება მოთხოვნები, რომელთა წარმოშობა დაკავშირებულია სხვადასხვა გარემოებასთან. ასეთებია: პროდუქციის მიწოდება, მომსახურების გაწევა, სესხების გაცემა და ა.შ. მოთხოვნის წარმოშობის საფუძველი, ასევე, არის მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები, მოთხოვნები საწარმოს პერსონალისა და ხელმძღვანელების მიმართ და სხვ.

მოთხოვნები გადახდის ვადებთან მიმართებით შეიძლება იყოს მოკლევადიანი (მიმდინარე) და გრძელვადიანი. მოკლევადიან მოთხოვნებს მიეკუთვნება ისეთი მოთხოვნები, რომელთა დაფარვის ვადა ბალანსის შედგენის თარიღიდან არ აღემატება 1 წელს, ხოლო გრძელვადიანია 1 წელზე მეტი დაფარვის ვადის მქონე მოთხოვნები.

მოკლევადიან მოთხოვნებს მიეკუთვნება: მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან, მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ, მოკლევადიანი სათამაშუო მოთხოვნები, დარიცხული მოთხოვნები. მოკლევადიანი მოთხოვნები (ისევე, როგორც გრძელვადიანი მოთხოვნები) აქტიური ანგარიშებია. მათ დებეტში აღირიცხება მოთხოვნის ზრდა, ხოლო კრედიტში - შემცირება. მოთხოვნები კი ბალანსში აისახება მიწოდებული აქტივის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით.

მოკლევადიანი მოთხოვნების აღრიცხვისთვის გამოიყენება ანგარიშთა შემდეგი ჯგუფები:

- 1400 - მოკლევადიანი მოთხოვნები;
- 1500 - მოკლევადიანი სათამაშუო მოთხოვნები;
- 1800 - დარიცხული მოთხოვნები.

მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნების აღრიცხვა

საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა შეიძლება მოხდეს როგორც იმავდროული გადახდით, ასევე შემდგომი გადახდის პირობით. ამ უკანასკნელს კრედიტით რეალიზაცია ეწოდება. ამის საფუძველზე გამყიდველს წარმოექმნება მოთხოვნა მყიდველის მიმართ, ე.ი. წარმოიქმნება დებიტორული დავალიანება, ხოლო მყიდველს ეწოდება დებიტორი.

თუ საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა წარმოებს კრედიტით (ანუ შემდგომი გადახდის პირობით), წარმოიქმნება მოთხოვნა, რომელსაც უწოდებენ სავაჭრო მოთხოვნას.

საქონლის კრედიტით რეალიზაცია ან მომსახურების გაწევა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა პირობით:

- ✓ ჩვეულებრივი;
- ✓ ფასდათმობით;
- ✓ განვადებით და სხვ.

ჩვეულებრივ სავაჭრო მოთხოვნას პროცენტი არ ერიცხება. მისი გადახდის ვადები და პირობები გათვალისწინებულია ხელშეკრულებით.

განვიხილოთ მაგალითი:

გაყიდულია 3,500 ლარის თვითღირებულების საქონელი 5,000 ლარად (დღგ-ს გარეშე) 20 დღეში გადახდის პირობით. მყიდველმა საქონლის ღირებულება გადაიხადა კრედიტის ვადის ამოწურვისას უნაღდო ანგარიშსწორებით:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/09/2017	1410	6110	5 000	აღიარებულია მოთხოვნა და შემოსავალი რეალიზაციიდან
2	10/09/2017	1410	3330	900	დარიცხულია გადასახდელი დღგ
3	10/09/2017	7210	1610	3 500	ჩამოწერილია საქონელი თვითღირებულებით
4	30/09/2017	1210	1410	5 900	დებიტორის მიერ ჩარიცხულია თანხა

საქონლის უცხოური ვალუტით რეალიზაციის შემთხვევაში აღიარდება მოთხოვნა ლარებში ოპერაციის მოხდენის დღისთვის არსებული ეროვნული ბანკი კურსით, ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის მოხდება სავალუტო ანგარიშებზე არსებული თანხების გადაანგარიშება ბალანსის შედგენის თარიღისთვის (31 დეკემბრის მდგომარეობით) არსებული კურსით.

განვიხილოთ მაგალითი:

გაყიდულია 10,000 დოლარის ღირებულების საქონელი ექსპორტით. ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული დოლარის გაცვლითი კურსი ლართან მიმართებით ოპერაციის მოხდენის დღისთვის შეადგენდა 2.4472-ს, ხოლო 31 დეკემბრისთვის 1 დოლარის ღირებულება შეადგენდა 2.6468 ლარს.

ამდენად, ექსპორტის დღისთვის შემოსავალი ლარებში 24,472 ლარია, ხოლო წლის ბოლოს 10,000 დოლარი გადაანგარიშებული ეროვნული ბანკის კურსით - 26,468 ლარი. შესაბამისად, დაფიქსირდა მოგება ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან $26,468 - 24,472 = 1,996$ ლარი.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/03/2017	1410	6110	24 472	აღიარებულია მოთხოვნა და შემოსავალი რეალიზაციიდან
2	31/12/2017	1410	8140	1 996	მოგება ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან

განვიხილოთ მაგალითი:

გაყიდულია 10 000 ლარის საქონელი ფასდათმობით: თუ მყიდველი გადაიხდის დავალიანებას 30 დღეში, ფასდათმობა პროდუქციაზე იქნება 5%.

ფასდათმობის პირობით საქონლის რეალიზაციისას გამოიყენება აღრიცხვის ორი მეთოდი: მთლიანი თანხისა და წმინდა თანხის. ქვემოთ მოყვანილია გატარებები ორივე მეთოდის მიხედვით:

მთლიანი თანხის მეთოდი

№	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	1410	6110	10 000	აღიარებულია მოთხოვნა და შემოსავალი
2	1210	1410	9 500	ჩარიცხულია თანხა ბანკში ფასდათმობის თანხის გამოკლებით - თუ მომხმარებელმა დავალიანება დაფარა 30 დღეში
3	6120	1410	500	ფასდათმობის თანხით ხდება მოთხოვნის შემცირება
4	6110	6120	500	ფასდათმობის თანხით ხდება შემოსავლის კორექტირება
5	1210	1410	10 000	ჩარიცხულია სრული თანხა ბანკში - თუ მომხმარებელი დავალიანებას დაფარავს 30 დღის შემდეგ

წმინდა თანხის მეთოდი

№	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	1410	6110	9 500	აღიარებულია მოთხოვნა და შემოსავალი
2	1210	1410	9 500	ჩარიცხულია წმინდა თანხა (მომხმარებელმა დავალიანება დაფარა 30 დღეში)
3	1210	1410	10 000	ჩარიცხულია სრული თანხა ბანკში - თუ მომხმარებელი დავალიანებას დაფარავს 30 დღის შემდეგ
4	1410	6190	500	გამოუყენებელი ფასდათმობისა და მოთხოვნის გაზრდა (სხვა არასაოპერაციო შემოსავალი ან 6125 - გამოუყენებელი ფასდათმობა)
5	6190	6110	500	შემოსავლის კორექტირება გამოუყენებელი ფასდათმობის თანხით

საცალო ვაჭრობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს საქონლის განვადებით გაყიდვა. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: მყიდველი თავდაპირველად იხდის პირველად შენატანს, მთლიანი თანხის განსაზღვრულ ნაწილს (უმეტესად ეს თანხა შეადგენს საქონლის სარეალიზაციო ფასის 20-25%-ს), ხოლო დარჩენილ თანხაზე ხდება გადავადება, რომელიც დაფარული უნდა იქნას განსაზღვრულ ვადაში.

ბასს 18 - „ამონაგების“ მიხედვით ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება. მაგრამ ზოგჯერ ამონაგების აღიარება არ არის მართებული მანამ, სანამ არ აღმოიფხვრება ოპერაციის შესრულებასთან დაკავშირებული საეჭვო პირობები.

საცალო ვაჭრობაში საქონლის განვადებით გაყიდვას თან ახლავს ბანკის მიერ დამტკიცებული განვადების ხელშეკრულება, შესაბამისად ბანკი იღებს აღნიშნული თანხის დაფარვის ვალდებულებას.

განვიხილოთ მაგალითი:

განვადებით გაყიდულია 800 ლარის თვითღირებულების მქონე ტელევიზორი 1 180 ლარად (დღგ-ს ჩათვლით). მყიდველმა გადაიხადა პირველადი შენატანი 236 ლარი ($1\ 180 \times 20\% = 236$), ხოლო დარჩენილი თანხა არსებული ხელშეკრულების საფუძველზე დაიფარება ბანკის მიერ, ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/09/2017	1410	6110	1 000	აღიარებულია მოთხოვნა და შემოსავალი რეალიზაციიდან
2	10/09/2017	1410	3330	180	დარიცხულია გადასახდელი დღგ
3	10/09/2017	7210	1610	800	ჩამოწერილია საქონელი თვითღირებულებით
4	10/09/2017	1110	1410	236	დებიტორის მიერ დაფარულია დავალიანება
5	10/09/2017	1490	1410	944	აღიარებულია მოთხოვნა განვადების ხელშეკრულების საფუძველზე
6	13/09/2017	1210	1490	944	განვადების ხელშეკრულების საფუძველზე დაფარულია მოთხოვნა

სათამასუქო მოთხოვნების აღრიცხვა

სათამასუქო მოთხოვნა მოთხოვნის განსაკუთრებული სახეა. იგი სხვა მოთხოვნებისგან განსხვავდება იმით, რომ გადამხდელი წერილობით დებს ვალდებულებას გადახდაზე მოთხოვნისთანავე, ან წინასწარ განსაზღვრულ ვადაში.

თამასუქი არსებობს მარტივი და გადასაპირებელი (ტრატა). მარტივ თამასუქში მონაწილეობს ორი პიროვნება თამასუქის გამცემი და მიმღები, ხოლო ტრატას ადგენს კრედიტორი. იგი წარმოადგენს საგადასახადო დავალებას, რომელიც გულისხმობს კრედიტორის წერილობით ბრძანებას გადამხდელისადმი, გადაუხადოს განსაზღვრული თანხა მესამე პირს.

თამასუქი, დაფარვამდე დარჩენილი პერიოდის მიხედვით, შეიძლება იყოს მოკლევადიანი, ან გრძელვადიანი.

თამასუქს გააჩნია შემდეგი აუცილებელი რეკვიზიტები: დასახელება, ნომინალი, გაცემის თარიღი, რემიტენტი (თამასუქის წარმომდგენი), დაფარვის თარიღი, საპროცენტო განაკვეთი, თამასუქის გამცემი და მისი ხელმოწერა.

თამასუქის ვადა განისაზღვრება იმ დღითა რაოდენობით, რომელშიც იგი მოქმედებს. თამასუქის ვადა გადასახდელი პროცენტის გაანგარიშების აუცილებელი ელემენტია.

განვიხილოთ მაგალითი:

10 სექტემბერს გაცემულია მარტივი თამასუქი 20 ნოემბერს განაღდებას პირობით. თამასუქის ვადა ტოლია:

სექტემბერში დარჩენილი დღეები	30 - 10 = 20
ოქტომბრის დღეები	31
ნოემბრის დღეები	20
სულ	71

მოკლევადიანი თამასუქის მიღება გატარდება:

№	დებეტი	კრედიტი	ოპერაციის შინაარსი
1	1510	1210	მიღებულია მოკლევადიანი თამასუქი

განვიხილოთ მაგალითი:

მიღებულია 90 დღიანი თამასუქი 20 000 ლარის გაცემულ სესხზე. წლიური საპროცენტო განაკვეთი 12%-ია. პროცენტის თანხის გამოთვლა:

$$\frac{20\,000 \times 12/100}{365} \times 90 = 591.78$$

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/01/2017	1510	1210	20 000	მიღებულია მოკლევადიანი თამასუქი
2	10/04/2017	1820	8110	591.78	საპროცენტო შემოსავალი

გრძელვადიანი თამასუქის მიღების შემთხვევაში გვექნება:

№	დებეტი	კრედიტი	ოპერაციის შინაარსი
1	2310	1210	მიღებულია გრძელვადიანი თამასუქი

თუ გრძელვადიანი თამასუქის განაღდება ვადა იწურება და არ აღემატება ერთ საანგარიშგებო პერიოდს (1 წელი), უნდა განხორციელდეს მისი მიმდინარე ნაწილზე გადმოტანა.

№	დებეტი	კრედიტი	ოპერაციის შინაარსი
1	1520	2310	გრძელვადიანი თამასუქის მიმდინარე ნაწილის გამოყოფა

განვიხილოთ მაგალითი:

A საწარმომ B საწარმოს კრედიტით მიჰყიდა საქონელი 15 000 ლარად 50 დღეში გადახდის პირობით. საწარმომ ვერ შესძლო აღნიშნული თანხის დაფარვა 50 დღეში, რის შემდეგაც მოხდა დამატებითი შეთანხმება 2 წლის განმავლობაში 15 000 ლარის გასტუმრებაზე 8%-იანი წლიური განაკვეთით. გადახდა უნდა განხორციელდეს ორ ეტაპად, წელიწადში 7,500 ლარი. 1 წლის საპროცენტო თანხა იქნება $15\,000 \times 8\% = 1\,200$ (ლარი).

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/10/2017	1410	6110	12 711.86	ადიარებულია მოთხოვნა და შემოსავალი რეალიზაციიდან
2	10/10/2017	1410	3330	2 288.14	დარიცხულია გადასახდელი დღგ-ს ვალდებულება
3	01/12/2017	2310	1410	15 000	მიღებულია გრძელვადიანი თამასუქი
4	01/12/2017	1520	2310	7 500	მოხდა გრძელვადიანი თამასუქიდან მიმდინარე ნაწილის გამოყოფა
5	01/12/2017	1820	8110	1 200	პროცენტის დარიცხვა

გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება

კომპანიებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია განხორციელდეს გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება.

განვიხილოთ მაგალითი:

გაყიდულია 10,000 ლარის ღირებულების საქონელი სამ თვეში უკან დაბრუნების პირობით. ამ პერიოდის განმავლობაში მყიდველის მიერ გაყიდულია 5,800 ლარის ღირებულების საქონელი, ხოლო 4,200 ლარის ღირებულების საქონელი დაბრუნებულია მომწოდებელთან.

№	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	1410	6110	10,000	აღიარებულია მოთხოვნა და შემოსავალი
2	7210	1610	8,000	ჩამოწერილია საქონელი თვითღირებულებით
3	1210	1410	5,800	ჩარიცხულია დებიტორული დავალიანების თანხა
4	6120	1410	4,200	დაკორექტირებულია დებიტორული დავალიანების თანხა
5	1610	7220	3,360	მიღებულია დაბრუნებული საქონელი საწყობში
6	6110	6120	4,200	შემოსავლის კორექტირება უკან დაბრუნებული საქონლის თანხით
7	7220	7210	3,360	თვითღირებულების ანგარიშის კორექტირება დაბრუნებული საქონლის თვითღირებულების თანხით

უიმედო და საექვო მოთხოვნები

დარიცხვის პრინციპის თანახმად, ამონაგების აღიარება ხდება საქონლის მიწოდებისთანავე, მიუხედავად იმისა მიღებულია თუ არა ფულადი სახსრები. კრედიტით გაყიდვებისას, საწარმოს შეიძლება პრობლემები წარმოექმნას ფულის ამოღებასთან დაკავშირებით. ისეთი ვალები, რომელთა დაფარვის პირობები აღარ არსებობს, იწოდება უიმედო ვალებად და ექვემდებარება ჩამოწერას. თუ საწარმოს საკმარისი მტკიცებულება გააჩნია, რომ დებიტორი ვერ შეძლებს დავალიანების გადახდას, მან ასეთი მოთხოვნა უნდა აღიაროს ხარჯად და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არ ასახოს ბალანსში მოთხოვნების ნაწილში. მოთხოვნის უიმედოდ აღიარების საკმარისი მტკიცებულებას წარმოადგენს:

- განცხადება მყიდველის გაკოტრების შესახებ;
- თუ შეუძლებელია მისი ადგილსამყოფელის დადგენა (ქვეყნიდან გაქცევა);
- სასარჩელო ვადა გასულია და სასამართლოს წესით თანხების ამოღების ალბათობა აღარ არსებობს/დაკარგულია;
- სასამართლო გადაწყვეტილებით მყიდველი მთლიანად, ან ნაწილობრივ გათავისუფლებულია თავისი ვალდებულების შესრულებისგან და სხვ.

უიმედო ვალები ექვემდებარება ჩამოწერას შემდეგი გატარებით:

№	დებიტი	კრედიტი	ოპერაციის შინაარსი
1	7460	1410	საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯების აღიარება და უიმედო მოთხოვნების ჩამოწერა
2	5330	7460	უიმედო ვალის ჩამოწერა მოგება-ზარალის ანგარიშზე საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის

თუ საწარმოს კლიენტისგან შეუძლია თანხის მიღება, მაგრამ არსებობს გარკვეული ეჭვი დებიტორის საიმედოობის შესახებ, ასეთი ვალის აღსარიცხად იქმნება დებიტორული დავალიანების ანარიცხი. იგულისხმება, რომ კვლავ არსებობს ასეთი ვალის მიღების იმედი და ამიტომ იგი დარჩება ბუღალტრულ ანგარიშებში, თუმცა წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით, ასეთი ვალებისთვის იქმნება ანარიცხები. ეს ნიშნავს, რომ ფულადი სახსრების მიუღებლობის შედეგად შესაძლო დანაკარგი მაშინვე აღიარდება, ხოლო თავდაპირველი ვალი კვლავ რჩება ბუღალტრულ ანგარიშზე იმ შემთხვევისთვის, თუ კლიენტი ნამდვილად დაფარავს ვალს.

უიმედო ვალისგან განსხვავებით, საექვო ვალის დაფარვის შესაძლებლობა კიდევ არსებობს. ამრიგად, საექვოდ ითვლება ვალი, რომელსაც საწარმო ელოდება, მაგრამ მისი მიღება საექვოა. საექვო მოთხოვნის ორი

სახე არსებობს: კონკრეტული და საერთო. კონკრეტულია ისეთი საექვო მოთხოვნა, რომელიც დადგენილია ინდივიდუალურად, თითოეული მყიდველის გადახდისუნარიანობიდან გამომდინარე. ასეთი საექვო მოთხოვნის კორექტირების თანხას კონკრეტული ანარიცხი ეწოდება. იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტულად შეუძლებელია საექვო ვალის შესაბამისი დებიტორის განსაზღვრა, დებიტორული დავალიანების გარკვეული პროცენტის მიხედვით ანგარიშდება დებიტორული დავალიანების ანარიცხის თანხა, ასეთ ანარიცხს საერთო ანარიცხი ეწოდება. საერთო ანარიცხები იქმნება დებიტორული დავალიანების თანხიდან უიმედო ვალებისა და კონკრეტული ანარიცხების გამოკლების შემდეგ დარჩენილი ვალიდან.

საექვო მოთხოვნების კორექტირების აღსარიცხად გამოიყენება 1415 ანგარიში, რომელიც თავისი შინაარსით პასიურია, ამიტომ მას აქვს საკრედიტო ნაშთი, მისი ზრდა იწერება კრედიტში, ხოლო შემცირება დებეტში. კორექტირების თანხის განსაზღვრა ხდება საწყისი ნაშთის გათვალისწინებით.

საექვო მოთხოვნის ანარიცხის პირველად შექმნისას დავალიანების თანხის აღიარება ხდება შემდეგი გატარებით:

№	დებეტი	კრედიტი	ოპერაციის შინაარსი
1	7460	1415	საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები და საექვო მოთხოვნების კორექტირება
2	1415	1410	იმ შემთხვევაში, თუ საექვო მოთხოვნა აღიარებული იქნება უიმედო ვალად, საწარმო აკეთებს უიმედო დებიტორული დავალიანების ჩამოწერას და საექვო მოთხოვნის კორექტირების ანგარიშზე არსებული თანხაც შემცირდება

თუ მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში საჭირო ანარიცხები მეტია მის საწყის ნაშთზე, მაშინ საწყის ნაშთსა და ანარიცხს შორის სხვაობის თანხით შეიქმნება დამატებითი ანარიცხის თანხა. ხოლო თუ საანგარიშგებო პერიოდში საექვო ვალების ანარიცხი ნაკლებია საწყის ნაშთზე, ე.ი. საჭიროზე მეტი ანარიცხია შექმნილი, ამ თანხით უნდა შემცირდეს საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები, ხოლო შემოსავალი გაიზრდება.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში თუ კლიენტი დაფარავს იმ ვალს, რომლისთვისაც შექმნილი იყო ანარიცხები, ეს წარმოადგენს საწარმოს შემოსავალს და შესრულდება შემდეგი გატარება:

№	დებეტი	კრედიტი	ოპერაციის შინაარსი
1	1415	6130	შემოსავალი საექვო მოთხოვნებიდან

განვიხილოთ მაგალითი:

მყიდველის გაკოტრებულად გამოცხადების გამო ჩამოიწერა მისი დებიტორული დავალიანება 800 ლარი:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/09/2017	7460	1415	800	ანარიცხის ხარჯებში გადატანა
2	30/12/2017	1415	1410	800	უიმედო ვალის ჩამოწერა კორექტირების ანგარიშზე
3	30/12/2017	5330	7460	800	ხარჯის გადახურვა მოგება/ზარალის ანგარიშზე

განვიხილოთ მაგალითი:

2015 წლის 31 დეკემბერს A კომპანიის მიერ აღრიცხული დებიტორული დავალიანება შეადგენს 10,000 ლარს. წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით კომპანიამ განსაზღვრა, რომ კლიენტების 3% ვერ გადაიხდის ვალებს და ამიტომ გადაწყვიტა საერთო ანარიცხის შექმნა ამ თანხისთვის.

2016 წლის განმავლობაში A კომპანიის კრედიტით გაყიდვებმა შეადგინა 100,000 ლარი, ხოლო კლიენტებისგან მიიღო 94,000 ლარი. კომპანიის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, 3%-იანი ანარიცხების შექმნა მაინც საჭიროა.

2017 წლის განმავლობაში A კომპანიის გაყიდვებმა შეადგინა 95 000 ლარი, ხოლო დებიტორებისგან მიიღო 96 000 ლარი. კომპანიის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, 3%-იანი ანარიცხების შექმნა მაინც საჭიროა.

გამოვთვალოთ დებიტორული დავალიანების ანარიცხები და უიმედო ვალების ხარჯები, ასევე დებიტორული დავალიანების საბოლოო ნაშთები 2015, 2016, 2017 წლების ბოლოსთვის.

შესრულდება შემდეგი გატარებები:

წელი	№	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
2015	1	7460	1415	300	დებიტორული დავალიანების ანარიცხის შექმნა
	2	5330	7460	300	უიმედო ვალების ხარჯის გადახურვა მოგება-ზარალის ანგარიშზე
2015 წლის ბოლოს ბალანსში მოკლევადიანი მოთხოვნების თანხა იქნება 1410-ზე არებული საბოლოო ნაშთისა და საექვო მოთხოვნების კორექტირების თანხებს შორის სხვაობა: $10\ 000 - 300 = 9\ 700$					
2016	1	1410	6110	100 000	მოთხოვნისა და შემოსავლის აღიარება
	2	1210	1410	94 000	დებიტორისგან თანხის მიღება
	3	7460	1415	180	საექვო მოთხოვნების გაზრდა. გაანგარიშება: $10\ 000 + 100\ 000 - 94\ 000 = 16\ 000$ $16\ 000 \times 3\% = 480$ $480 - 300 = 180$
	4	5330	7460	180	უიმედო ვალების ხარჯის გადახურვა მოგება-ზარალის ანგარიშზე
2016 წლის ბოლოს ბალანსში მოკლევადიანი მოთხოვნების თანხა იქნება 1410-ზე არებული საბოლოო ნაშთისა და საექვო მოთხოვნების კორექტირების (1415) თანხებს შორის სხვაობა: $16\ 000 - 480 = 15\ 520$					
2017	1	1410	6110	95 000	მოთხოვნისა და შემოსავლის აღიარება
	2	1210	1410	96 000	დებიტორისგან თანხის მიღება
	3	1415	7460	30	საექვო მოთხოვნების შემცირება. გაანგარიშება: $16\ 000 + 95\ 000 - 96\ 000 = 15\ 000$ $15\ 000 \times 3\% = 450$ $450 - 480 = \text{შემცირება } 30 \text{ ლარით}$
	4	7460	5330	30	უიმედო ვალების ხარჯის გადახურვა მოგება-ზარალის ანგარიშზე
2017 წლის ბოლოს ბალანსში მოკლევადიანი მოთხოვნების თანხა იქნება 1410-ზე არებული საბოლოო ნაშთისა და საექვო მოთხოვნების კორექტირების (1415) თანხებს შორის სხვაობა: $15\ 000 - 450 = 14\ 550$					

მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენის უფლება და ამავე დროს არ მონაწილეობს ერთობლივ საქმიანობაში. მოთხოვნა მეკავშირე საწარმოს მიმართ აღირიცხება 1420 ანგარიშის დებეტი, ხოლო მოთხოვნის დაფარვა მეკავშირე საწარმოს მიერ 1420 ანგარიშის კრედიტში.

განვიხილოთ მაგალითი:

მეკავშირე საწარმოს კრედიტით მიეყიდა 3 000 ლარის საქონელი, დღგ 540 ლარი. მეკავშირე საწარმომ დათქმულ ვადაში, საბანკო ანგარიშზე გადმორიცხვით, გადაიხადა მიწოდებული საქონლის ღირებულება 3 540 ლარი.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/09/2017	1420	6110	3,000	საქონლის რეალიზაცია მეკავშირე საწარმოზე
2	10/09/2017	1420	3330	540	დარიცხულია გადასახდელი დღგ-ს ვალდებულება
3	20/09/2017	1210	1420	3 540	მიღებულია თანხა მეკავშირე საწარმოსაგან

მოთხოვნები საწარმოს დაქირავებულ მუშაკთა, ხელმძღვანელობისა და პარტნიორების მიმართ

საწარმოს თავისი პარტნიორებისა და საწარმოში დასაქმებულების მიმართ მოთხოვნები შეიძლება წარმოემართოს სესხის გაცემასთან, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან, საქონლის კრედიტით მიყიდვასთან, საწესდებო კაპიტალის შევსებასთან და სხვ. დაკავშირებით.

განვიხილოთ მაგალითი:

მომუშავეზე გაყიდულია კრედიტით 300 ლარის საქონელი. მის მიერ დაფარულია დავალიანება ნაღდი ანგარიშსწორებით. ამ შემთხვევაში სრულდება შემდეგი გატარება:

№	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	1430	6110	300	საქონლის რეალიზაცია თანამშრომელზე

საწარმოს თანამშრომელი, რომელიც ასრულებს გარკვეულ დავალებას და ამ მიზნით საწარმოსაგან იღებს თანხას, ხდება ანგარიშვალდებული პირი. თუ მან დახარჯა მიღებულ თანხაზე ნაკლები, დარჩენილ თანხას დააბრუნებს საღაროში.

განვიხილოთ მაგალითი:

ანგარიშვალდებულ პირზე გაცემულია 336 ლარი საღაროდან. 236 ლარით მან შეიძინა საჭირო ნედლეული, ხოლო დარჩენილი 100 ლარი დააბრუნა საღაროში.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/10/2017	1430	1110	336	ანგარიშვალდებულ პირზე თანხის გაცემა
2	10/10/2017	1620	3110	200	ნედლეულის შეძენა
3	10/10/2017	3340	3110	36	გადახდილი დღგ-ს დარიცხვა
4	10/10/2017	3110	1430	236	კრედიტორული დავალიანების დაფარვა და ანგარიშვალდებულ პირის მიმართ მოთხოვნის შემცირება
5	10/10/2017	1110	1430	100	საღაროში თანხის შემოსვლა და ანგარიშვალდებულ პირის მიმართ მოთხოვნის შემცირება

განვიხილოთ მაგალითი:

საწარმოს მენეჯერზე სალაროდან გაცემულია სამივლინებო ავანსი 500 ლარი.

№	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	1440	1110	500	სამივლინებო ავანსის გაცემა

განვიხილოთ მაგალითი:

სალაროდან გაცემულია საწარმოს პარტნიორზე სესხი 1 წლის ვადით 2 000 ლარი. საწარმოს პარტნიორმა დათქმულ დროს დააბრუნა სესხი 2000 ლარი სალაროში.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/03/2017	1450	1110	2 000	გაცემულია სესხი პარტნიორზე
2	10/03/2018	1110	1450	2 000	დაბრუნებულია თანხა პარტნიორისგან

კაპიტალის შევსებაზე პარტნიორის გრძელვადიანი მოთხოვნის მიმდინარე ნაწილი

1460 ანგარიში (კაპიტალის შევსებაზე პარტნიორების გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი) განკუთვნილია კაპიტალის შევსებაზე პარტნიორის ნაკისრი ვალდებულების იმ ნაწილის აღსარიცხად, რომელიც უნდა დაიფაროს 1 წლის განმავლობაში.

განვიხილოთ მაგალითი:

პარტნიორმა 5 წლის განმავლობაში 10 000 ლარით უნდა შეავსოს საწესდებო კაპიტალი (5150 - საწესდებო კაპიტალი). აქედან თანხის ნაწილი 2 000 ლარი უნდა შეიტანოს მიმდინარე წელს. გვექნება გატარება:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/01/2017	2330	5150	10 000	გრძელვადიანი მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე
2	10/01/2017	1460	2330	2 000	კაპიტალის შევსებაზე გრძელვადიანი მოთხოვნის მიმდინარე ნაწილი

მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები

ეკონომიკური შინაარსის მიხედვით, მოთხოვნებს მიეკუთვნება წინასწარ გადახდილი თანხები. ასეთი თანხები მოთხოვნად რჩება მანამ, სანამ არ იქნება მოწოდებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, გაწეული მომსახურება, შესრულებული სამუშაო და ა.შ.

თუ საქონლის ან მომსახურების მოსაწოდებლად მომწოდებელზე წინასწარ მოხდა თანხის გადახდა, საწარმოს წარმოექმნება მოთხოვნა მომწოდებლის მიმართ გადახდილ ავანსზე.

განვიხილოთ მაგალითი:

A საწარმომ B საწარმოს საქონლის მოსაწოდებლად ავანსად გადაურიცხა 1 500 ლარი, 2 თვეში საქონლის მიღების პირობით. 2 თვის შემდეგ საწარმომ მიიღო ავანსად გადახდილი 1 500 ლარის საქონელი.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/10/2017	1480	1210	1 500	მომწოდებელზე გადახდილი ავანსი
2	10/12/2017	1610	3110	1 500	ნედლეულის შეძენა
3	10/12/2017	3110	1480	1 500	ავანსის გადახურვა

თუ ორივე კომპანია არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ ავანსის თანხიდან გამოიყოფა ჩასათვლელი დღგ. თუ ავანსად ირიცხება მისაღები საქონლის/მომსახურების ღირებულების მხოლოდ ნაწილი, დღგ-ს ჩათვლა უნდა განხორციელდეს მხოლოდ ავანსის თანხის ფარგლებში, ხოლო დღგ-ს დარჩენილი ნაწილის ჩათვლა მოხდება საქონლის მიღების დროს.

დარიცხული მოთხოვნები

მოკლევადიან მოთხოვნებს მიეკუთვნება დარიცხული მოთხოვნები. დარიცხული ნიშნავს გამომუშავებულ, მაგრამ მიუღებელ შემოსავალს. ხშირ შემთხვევაში დარიცხული მოთხოვნები წარმოიქმნება არასასაქონლო ოპერაციების განხორციელების შედეგად. როდესაც საწარმოს აქტივს იყენებენ სხვა სუბიექტები, მათგან მიიღება შემოსავალი პროცენტის, როიალტის დივიდენდის სახით.

განვიხილოთ მაგალითი:

საწარმოს შეძენილი აქვს სააქციო საზოგადოების აქციები. სააქციო საზოგადოების მიერ დივიდენდის გამოცხადების შემდეგ საწარმო კუთვნილი დივიდენდის დარიცხვას ასახავს ერთის მხრივ დარიცხული მოთხოვნისა (დებეტი 1810) და მეორეს მხრივ არასაოპერაციო შემოსავლების ანგარიშზე (კრედიტი 8120), ხოლო მიღებას ასახავს შემდეგი გატარებებით:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/10/2017	1810	8120	10 000	მისაღები დივიდენდი
2	10/10/2017	1210	1810	10 000	დივიდენდის მიღება

მისაღებ პროცენტებზე მოთხოვნა კი საწარმოს წარმოექმნება გაცემული სესხებიდან, მიღებული თამასუქებიდან და სხვა.

საპროცენტო შემოსავლების დარიცხვა და მიღება აისახება გატარებით:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/10/2017	1820	8110	1 000	მისაღები პროცენტის დარიცხვა
2	10/10/2017	1210	1820	1 000	პროცენტის მიღება

საგადასახადო კოდექსის განმარტებები

საგადასახადო დეკლარაცია

[სსკ მ.67]

საგადასახადო დეკლარაცია არის პირის ანგარიშგება საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადის გამოანგარიშების შესახებ.

საგადასახადო დეკლარაციაში ჯამური საგადასახადო ვალდებულების თანხის გაანგარიშება ხორციელდება სრულ ლარებში. ამ მიზნით 1 ლარამდე საგადასახადო ვალდებულება ნულდება.

პირს უფლება აქვს, პირადად წარადგინოს საგადასახადო დეკლარაცია საგადასახადო ორგანოში, აგრეთვე გაგზავნოს იგი დაზღვეული საფოსტო გზავნილით ან ელექტრონული ფორმით.

თუ პირი არ წარადგენს საგადასახადო დეკლარაციას, ითვლება, რომ მან წარადგინა დეკლარაცია, რომლის საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხა ნულის ტოლია. ამ საანგარიშო პერიოდზე შემდგომ წარდგენილი საგადასახადო დეკლარაცია დავიანებულად წარდგენილად ჩაითვლება.

საგადასახადო დეკლარაციის ფორმებს, მისი შევსებისა და ელექტრონული დეკლარირების წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის გაგრძელება

დეკლარაციის წარდგენის ვადის გაგრძელება ნიშნავს, რომ გაგრძელებული ვადის მიმართ არ გამოიყენება [სსკ](#) 274-ე მუხლით (საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის ვადის დარღვევა) გათვალისწინებული ჯარიმა. თუ პირისთვის მოგების გადასახადის დეკლარაციის წარდგენის ვადა გაგრძელდა 3 თვით – 1 ივლისამდე, მაშინ ამ ვადისთვის არ გამოიყენება აღნიშნული ჯარიმა.

[სსკ მ.68]

წლიური საშემოსავლო, მოგების ან ქონების გადასახადის საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადა გრძელდება 3 თვით, თუ პირს გადახდილი აქვს დასადეკლარირებელი პერიოდის მიმდინარე გადასახდელები (ან არა აქვს მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვალდებულება) და საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის გასვლამდე წერილობით მიმართავს საგადასახადო ორგანოს ვადის გაგრძელების თაობაზე. საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის გაგრძელებით არ იცვლება გადასახადის გადახდის ვადა.

საგადასახადო დეკლარაციაში ცვლილების ან დამატების შეტანა

[სსკ მ.69]

თუ პირი წარდგენილ საგადასახადო დეკლარაციაში აღმოაჩენს შეცდომას, რომელიც იწვევს საგადასახადო ვალდებულების ცვლილებას, იგი ვალდებულია საგადასახადო დეკლარაციაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილება ან/და დამატება.

შესწორებული საგადასახადო დეკლარაცია ჩაითვლება თავდაპირველად წარდგენილად, თუ იგი საგადასახადო ორგანოში წარდგენილია ამ საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის გასვლამდე.

იმ პერიოდზე ან საკითხზე, რომელზედაც საგადასახადო ორგანომ უკვე განახორციელა საგადასახადო შემოწმება ან დარიცხვა, პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციის (მათ შორის, შესწორებული საგადასახადო დეკლარაციის) წარდგენის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, აღრიცხვა განახორციელოს ამ საგადასახადო დეკლარაციის (მათ შორის, შესწორებული საგადასახადო დეკლარაციის) მიხედვით. აღნიშნულის შესახებ საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი გამოსცემს მოტივირებულ ბრძანებას.

იმ პერიოდზე ან საკითხზე, რომელზედაც მიმდინარეობს ან უნდა ჩატარდეს საგადასახადო შემოწმება, პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციის (მათ შორის, შესწორებული საგადასახადო დეკლარაციის) წარდგენა დაუშვებელია საგადასახადო შემოწმების ჩატარების შესახებ სასამართლოს ან საგადასახადო ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ან საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან შესაბამისი საგადასახადო მოთხოვნის ამ პირისთვის ჩაბარებამდე პერიოდში. ეს შეზღუდვა არ მოქმედებს, თუ საგადასახადო ორგანოს შეტყობინება საგადასახადო კოდექსის 264-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად ძალადაკარგულად ჩაითვლება [\[სსკ მ.69\]](#).

ხშირად ხდება, როდესაც დაუდევრობით, არასაკმარისი ინფორმაციის გამო, თუ სხვა მიზეზით გადამხდელის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილია, გადამხდელის თვალსაზრისით, არასწორი დეკლარაცია, რომლის შეცვლის სურვილიც მას შემდგომ გაუჩნდა. შეცვლის მთავარი მიზანი შეიძლება იყოს ჯარიმის (მ.275) თავიდან აცილება, ან სულაც კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა.

თუ წარდგენილ დეკლარაციაში პირი, თავისი აზრით, აღმოაჩენს შეცდომას, ის ვალდებულია, დეკლარაციაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილება და ახალი სახით წარუდგინოს იგი საგადასახადო ორგანოს. 1-ლი ნაწილის კონტექსტიდან იკვეთება, რომ საგადასახადო ორგანოც ვალდებულია, მიიღოს ის, როგორც შესაბამისი საგადასახადო პერიოდის დეკლარაცია.

პრაქტიკულად, საგადასახადო ორგანო ღებულობს მრავალჯერ შეცვლილ დეკლარაციას. შესაბამისად, დეკლარაციის ბოლო ვერსია გაითვალისწინება მ.275-ით (საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირება) დასარიცხი ჯარიმის გამოანგარიშებისთვის. ამ ჯარიმის ამოსავალი თანხა გადასახადის დარიცხული თანხა, მათ შორის, დეკლარაციით ნაჩვენებია.

პირველადი საგადასახადო დოკუმენტი

[[სსკ მ.72](#)]

პირველადი საგადასახადო დოკუმენტი არის წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარეთა იდენტიფიცირება, აქვს თარიღი და მოიცავს მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების ჩამონათვალსა და ღირებულებას. საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერულ) ოპერაციაზე გამოწერილ პირველად საგადასახადო დოკუმენტში საქონლის ღირებულების (მათ შორის, საქონლის ერთეულის ფასის) მითითება სავალდებულო არ არის.

პირველადი საგადასახადო დოკუმენტი დგება არანაკლებ ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომლებიც რჩება სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარეებთან.

პირი ვალდებულია პირველადი საგადასახადო დოკუმენტი შეინახოს იმ კალენდარული წლის დასრულებიდან არანაკლებ 3 წლის განმავლობაში, რომლის საგადასახადო ვალდებულების დადგენისთვისაც იგი არის აუცილებელი.

პირველადი საგადასახადო დოკუმენტების (პსდ) მოწესრიგებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება [სსკ](#) მუხლი 286.4-ით გათვალისწინებული ჯარიმის თავიდან აცილებისთვის, რომელიც ეხება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების „ზედმეტობის“ გამოვლენას. სხვა შემთხვევებში აუცილებელი არ არის, რომ პირველადი დოკუმენტი წარმოადგენდეს პირველად საგადასახადო დოკუმენტს, მათ შორის, ხარჯის გამოსაქვითად განხილვისთვის. პირველადი საგადასახადო დოკუმენტის სახეს განეკუთვნება, მაგალითად, სასაქონლო ზედნადები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, საქონლის/მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი. პსდ უნდა იყოს წერილობითი სახის, მატერიალური ფორმის, ან ელექტრონული. ამ დოკუმენტით უნდა ირკვეოდეს, თუ რისი მიწოდება განხორციელდა. ისეთი ზოგადი ჩანაწერები, როგორიცაა „მიწოდებულ იქნა 5 ტომარა საქონელი“, ხელს უშლის დოკუმენტის პსდ-ად განხილვას. გარდა ჩამონათვალისა, პსდ-ში მითითებული უნდა იყოს ყოველი მათგანის ის ღირებულება, რა ღირებულებაც გათვალისწინებულია მხარეთა ნასყიდობის, თუ სხვა სახის ხელშეკრულებით (ნასყიდობის ფასი, საიჯარო ქირა და ა.შ.). საქონლის თვითღირებულების მითითება არ მოითხოვება. მხოლოდ ჯამური ფასის მითითებამ შეიძლება შექმნას პრობლემები ჯარიმის დაკისრების კუთხით. საქონლის შემთხვევაში, მითითებული უნდა იყოს ერთეულის ფასიც.

მიკრო ბიზნესისა და მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება**[სსკ მ.84]:**

1. მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს;
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი 30 000-ლარიანი ზღვარი არ ვრცელდება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ საქმიანობის სახეებზე;
3. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით, საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, აკრძალოს ცალკეული საქმიანობის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც მიკრო ბიზნესის სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს;
4. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით, საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, განსაზღვროს შემოსავლის სახეები, რომლებიც არ დაიბეგრება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით და ამ მუხლის პირველი ნაწილის მიზნებისათვის არ გაითვალისწინება ერთობლივ შემოსავალში;
5. მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭება, გაუქმება და მიკრო ბიზნესის სერტიფიკატის გაცემა ხდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

[სსკ მ.85]

ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს საგადასახადო კოდექსის 84-ე მუხლით დადგენილ პირობებს, უფლებამოსილია მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭების მიზნით მიმართოს საგადასახადო ორგანოს, რომელიც გასცემს მიკრო ბიზნესის სერტიფიკატს.

მიკრო ბიზნესის სტატუსი მიმდინარე საგადასახადო წელს უქმდება, თუ:

- ა) ფიზიკურმა პირმა საგადასახადო ორგანოს მიმართა მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმების ან მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით;
- ბ) საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად დადგინდა, რომ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი აღემატება 45 000 ლარს.
- გ) ფიზიკური პირი დარეგისტრირდა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად.

თუ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი საგადასახადო კოდექსის 84-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი მოთხოვნის (ერთობლივი შემოსავლის ოდენობის შეზღუდვა) დარღვევიდან 15 დღის ვადაში არ მიმართავს საგადასახადო ორგანოს მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მიზნით, მას გაუუქმდება მიკრო ბიზნესის სტატუსი და გამოვა სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან.

საგადასახადო ორგანოს მიერ მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმების და სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან გამოსვლის საფუძველია ფიზიკური პირის მიერ საგადასახადო კოდექსის 84-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნის დარღვევა.

ფიზიკური პირისათვის მინიჭებული მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმების შემთხვევაში ამ მომენტისთვის ფიზიკური პირის შემოსავალი ექვემდებარება დაბეგვრას:

- ა) მცირე ბიზნესის სტატუსის მიღების შემთხვევაში – მცირე ბიზნესისთვის დადგენილი წესის შესაბამისად;
- ბ) სხვა შემთხვევაში – საგადასახადო კოდექსის 79-ე–82-ე მუხლების შესაბამისად.

[სსკ მ.86]

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს.

[სსკ მ.87]

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირი პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გამოწერისას ვალდებულია დოკუმენტში მოუთითოს თავისი სტატუსის შესახებ და სტატუსის სერტიფიკატის ნომერი.

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირი მისთვის ან მის მიერ პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის შემთხვევაში ვალდებულია შეინახოს აღნიშნული დოკუმენტი.

[სსკ მ.88]

1. მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს.
2. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით, საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, აკრძალოს ცალკეული საქმიანობის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც მცირე ბიზნესის სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს.
3. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით, საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, განსაზღვროს შემოსავლის სახეები, რომლებიც არ დაიბეგრება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით და რომელიც ამ მუხლის პირველი ნაწილის მიზნებისათვის არ გაითვალისწინება ერთობლივ შემოსავალში.

[სსკ მ.89]

1. მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლით დადგენილ პირობებს, უფლებამოსილია მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მიზნით მიმართოს საგადასახადო ორგანოს, რომელიც გასცემს მცირე ბიზნესის სერტიფიკატს.
2. მცირე ბიზნესის სტატუსი მიმდინარე საგადასახადო წელს უქმდება, თუ:
 - ა) მეწარმე ფიზიკურმა პირმა საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოს არა უგვიანეს საგადასახადო წლის დასრულებისა მიმართა მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების მოთხოვნით;
 - ბ) დაირღვა საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა (ერთობლივი შემოსავლის ოდენობის შეზღუდვა);
 - გ) მეწარმე ფიზიკური პირი დარეგისტრირდა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად;
 - დ) საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა, რომ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი აღემატება 150 000 ლარს.
3. საგადასახადო ორგანოს მიერ მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების და სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან გამოსვლის საფუძველია:
 - ა) მეწარმე ფიზიკური პირის მიერ საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება;
 - ბ) მეწარმე ფიზიკური პირისთვის საკონტროლო-სალარო აპარატების გამოუყენებლობისათვის სანქციის კალენდარული წლის განმავლობაში 3-ჯერ დაკისრება.
4. თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში გადააჭარბებს 100 000 ლარს და მოეხსნება სტატუსი, მას უფლება აქვს, კვლავ მიიღოს სტატუსი ყველა შემდეგი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში:
 - ა) თუ სტატუსის გაუქმებიდან მომავალი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა არ აღემატება 100 000 ლარს;
 - ბ) ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, სტატუსის გაუქმებიდან 12 კალენდარული თვის მომდევნო წლიდან, თუ პირი არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი.

[სსკ მ.90]

1. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, იბეგრება 5 პროცენტით.
2. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 3 პროცენტით, თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს აქვს ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ერთობლივი შემოსავლის 60 პროცენტის ოდენობის ხარჯების (გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯისა) დამადასტურებელი დოკუმენტები.
3. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი შედგება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლებისაგან, გარდა ხელფასის სახით მიღებული შემოსავლებისა.

[სსკ მ.91]

1. გარდა ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს უფლება აქვს, არ აღრიცხოს შემოსავლები და ხარჯები.
2. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის მიერ ხარჯების დადასტურება ხდება საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.
3. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი მისთვის ან მის მიერ პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის შემთხვევაში ვალდებულია შეინახოს აღნიშნული დოკუმენტი.
4. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი ვალდებულია დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციაზე დადგომის ვალდებულების წარმოშობის მომენტიდან ამ კოდექსით დადგენილი წესით აღრიცხოს შემოსავლები და ხარჯები.
5. მცირე ბიზნესის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული ზარალი მომდევნო წელს არ გადაიტანება, თუ არ ხდება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან გამოსვლა.
6. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს სტატუსის გაუქმებისას:
 - ა) უფლება აქვს, ამ მომენტისთვის არსებული სასაქონლო ნაშთები აღრიცხოს შესაბამის დოკუმენტში, რომელიც მომავალში, გარდა ამ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული შემთხვევისა, არ ჩაითვლება ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტად, მაგრამ საქონელი [საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის](#) მიზნებისათვის ითვლება აღრიცხულად;
 - ბ) უფლება აქვს, ამ მომენტისთვის არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთები შეაფასოს საბაზრო ღირებულებით და შესაბამის დოკუმენტში აღრიცხოს სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთად, რომლის საერთო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს. აღნიშნული დოკუმენტი არის მარაგებზე ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც შეტანილი იქნება ინფორმაცია ამ მარაგების სახეობის, ოდენობისა და ღირებულების შესახებ;
 - გ) ვალდებულია აქვს, თუ იგი იყენებს ამ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ უფლებას, აღრიცხული სასაქონლო-მატერიალური მარაგის ნაშთის საერთო ღირებულების თანხით გაზარდოს მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმებისას არსებული დასაბეგრი შემოსავალი.
7. [მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურმა პირმა უნდა აწარმოოს ხარჯების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალი \(მათ შორის, ელექტრონული ფორმით\), რომლის წესები რეგულირდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.](#)

[სსკ მ.92]

1. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი, რომელსაც დაუდგა დამატებული ღირებულების გადასახადი ს გადამხდელის სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება, [საგადასახადო კოდექსის 157-ე მუხლის](#) შესაბამისად ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში და გამოდის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან.
2. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულების დადგომისას ვალდებულია აღრიცხოს ამ მომენტისთვის არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი.

- მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის მომენტიდან უფლება აქვს, ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთზე მიიღოს დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლა ამ კოდექსით განსაზღვრული წესის შესაბამისად, თუ არსებობს შესაბამისი დოკუმენტაცია.

[სსკ მ.93]

- გარდა საგადასახადო კოდექსის 26-ე მუხლში აღნიშნული შემთხვევებისა, საგადასახადო ორგანოს საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე დეკლარაციას წარუდგენენ:
 - მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი;
 - მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი.
- მიკრო ან მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტისას საგადასახადო ორგანოს 30 სამუშაო დღის ვადაში წარუდგენს დეკლარაციას.
- (ამოღებულია – 20.12.2011, №5556).
- მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირების მიერ დეკლარაციის წარდგენის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

[სსკ მ.94]

- მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი არ იხდის მიმდინარე გადასახდელებს.
- მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი ვალდებულია მიმდინარე გადასახდელების თანხები ბიუჯეტში შეიტანოს გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის მიხედვით, შემდეგი ოდენობით:
 - არაუგვიანეს 15 მაისისა – 25 პროცენტი;
 - არაუგვიანეს 15 ივლისისა – 25 პროცენტი;
 - არაუგვიანეს 15 სექტემბრისა – 25 პროცენტი;
 - არაუგვიანეს 15 დეკემბრისა – 25 პროცენტი.
- მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირს გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება არ ევალება მიღებული მომსახურების ანაზღაურების შემთხვევაში.
- მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება არ ევალება:
 - კალენდარული წლის განმავლობაში ერთობლივი შემოსავლის 25 პროცენტის ფარგლებში გაცემული ხელფასის ხარჯზე;
 - მიღებული მომსახურების ანაზღაურების შემთხვევაში.

გენერალური სავაჭრო მინდობილობა (პროკურა) და იურიდიულ მოქმედებათა განხორციელების უფლებამოსილება „მეწარმეთა კანონის“ მიხედვით

- მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში დასახელებულ პირებსა და ინდივიდუალურ მეწარმეს შეუძლიათ წერილობით მისცენ მინდობილობა ამა თუ იმ პირს. მინდობილობა შეიძლება ორ ან რამდენიმე პირს ერთობლივად მიეცეს და განისაზღვროს, რომ ისინი – ორივე ან ყველა ერთად წარმოადგენენ საწარმოს (საერთო მინდობილობა).
- წარმომადგენლობითი უფლებამოსილება იურიდიულ მოქმედებათა განხორციელებისას უნდა შეესაბამებოდეს მინდობილობის შინაარსს. მინდობილობის შეწყვეტისათვის აუცილებელია მისი გაუქმება ან ძალადაკარგულად აღიარება. ძალადაკარგულად აღიარება უნდა გამოქვეყნდეს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში.
- გენერალური სავაჭრო მინდობილობის მფლობელი პირი (პროკურისტი) რეგისტრირდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. პროკურა იძლევა უფლებამოსილებას, სასამართლოში და სხვა ურთიერთობებში განხორციელდეს ყველა საქმიანობა და

სამართლებრივი მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან. მიწის ნაკვეთის გასხვისების ან ვალდებულებებით დატვირთვის უფლებამოსილება პროკურისტს აქვს მხოლოდ მაშინ, როცა მას ეს უფლებამოსილება სპეციალურად მიეცემა. პროკურის მოცულობის შეზღუდვა ბათილია მესამე პირისათვის. ეს წესი შეეხება, კერძოდ, შეზღუდვას, რომ პროკურა გამოყენებულ იქნეს მხოლოდ განსაზღვრული გარიგებებისა და გარიგებათა განსაზღვრული სახეებისათვის, ან მხოლოდ გარკვეულ გარემოებათა არსებობისას, ან განსაზღვრული დროისათვის, ანდა ცალკეულ ადგილში. პროკურის შემოფარგვლას ერთი ან რამდენიმე ფილიალით მხოლოდ მაშინ აქვს ძალა მესამე პირისათვის, თუ ფილიალები იმართება სხვადასხვა საფირმო სახელწოდებით. ამ წესის თანახმად, საფირმო სახელწოდებათა განსხვავებულობა იმითაც გამოისახება, რომ „ფილიალს“ დაერთვება დამატება, რომელშიც აღინიშნება ფილიალის საფირმო სახელწოდება.

4. პროკურისტი და სავაჭრო წარმომადგენელი ხელმოწერისას საფირმო სახელწოდებას დაურთავენ თავიანთ სახელსა და გვარს და პროკურის და სავაჭრო მინდობილობის აღმნიშვნელ დამატებას.
5. პროკურა და სავაჭრო მინდობილობა შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების უფლების ხელყოფის გარეშე.

კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ

1. ბუღალტრული აღრიცხვა, ანგარიშგების მომზადება და წარდგენა ხდება და აუდიტი ხორციელდება [„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“](#) საქართველოს კანონის შესაბამისად.
2. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საზოგადოებრივი დაინტერესების პირი (შემდგომ – სდპ), პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, ყოველწლიურად უზრუნველყონ საკუთარი ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის განხორციელება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
3. აუდიტის განხორციელებაში მეწარმე სუბიექტის აქციონერების/პარტნიორების, მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ჩარევამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას აუდიტორის დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას.
4. მეწარმე სუბიექტის მმართველობის ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ერთობლივად არიან პასუხისმგებელი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენისათვის.

შვებულება შრომის კოდექსის მიხედვით

[[სშკ](#) მ.21-30]

დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით – წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღით.

დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით – წელიწადში სულ მცირე 15 კალენდარული დღით.

შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს ამ მუხლით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ვადები და პირობები, რომლებიც არ უნდა აუარესებდეს დასაქმებულის მდგომარეობას.

[სშკ](#)-ის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ვ“, „თ“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს აუნაზღაუროს გამოუყენებელი შვებულება შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობის პროპორციულად.

დასაქმებულს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მუშაობის თერთმეტი თვის შემდეგ. დასაქმებულს მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს აღნიშნული ვადის გასვლამდეც.

მუშაობის მეორე წლიდან დასაქმებულს მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს სამუშაო წლის ნებისმიერ დროს.

მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შვებულების ნაწილ-ნაწილ გამოყენება.

შვებულებაში არ ითვლება დროებითი შრომისუნარობის პერიოდი, შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო.

თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დამსაქმებელი უფლებამოსილია დაადგინოს დასაქმებულთათვის წლის განმავლობაში ანაზღაურებად შვებულებათა მიცემის რიგითობა.

ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას დასაქმებული ვალდებულია 2 კვირით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი შვებულების აღების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაფრთხილება შეუძლებელია გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო.

შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობის გამოსათვლელ ვადაში ითვლება დასაქმებულის მიერ ფაქტობრივად ნამუშევარი, აგრეთვე დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დრო.

შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობის გამოსათვლელ ვადაში არ ითვლება დასაქმებულის მიერ სამუშაოს არასაკმატო მიზეზით გაცდენის ან 7 სამუშაო დღეზე მეტი ხნით ანაზღაურების გარეშე შვებულებაში ყოფნის დრო.

თუ დასაქმებულისათვის მიმდინარე წელს ანაზღაურებადი შვებულების მიცემამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სამუშაოს ნორმალურ მიმდინარეობაზე, დასაქმებულის თანხმობით დასაშვებია შვებულების გადატანა მომდევნო წლისათვის. აკრძალულია არასრულწლოვნის ანაზღაურებადი შვებულების გადატანა მომდევნო წლისათვის.

აკრძალულია ანაზღაურებადი შვებულების გადატანა ზედიზედ 2 წლის განმავლობაში.

დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო ანაზღაურებიდან, თუ მუშაობის დაწყებიდან ან უკანასკნელი შვებულების შემდეგ ნამუშევარი დრო 3 თვეზე ნაკლებია – ნამუშევარი თვეების საშუალო ანაზღაურებიდან, ხოლო ყოველთვიური ფიქსირებული ანაზღაურების შემთხვევაში – ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით.

დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება 730 კალენდარული დღის ოდენობით.

ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან ანაზღაურებადია 183 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 200 კალენდარული დღე.

ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შვებულება დასაქმებულს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია გადაანაწილოს ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდებზე.

დასაქმებულს, რომელმაც იშვილა ერთ წლამდე ასაკის ბავშვი, თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება ბავშვის დაბადებიდან 550 კალენდარული დღის ოდენობით. ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 90 კალენდარული დღე.

ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება ანაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობაა არაუმეტეს 1000 ლარისა. დამსაქმებელი და დასაქმებული შეიძლება შეთანხმდნენ დამატებით ანაზღაურებაზე.

დასაქმებულს თავისივე თხოვნით, უწყვეტად ან ნაწილ-ნაწილ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში 2 კვირისა, ეძლევა ანაზღაურების გარეშე შვებულება ბავშვის მოვლის გამო – 12 კვირის ოდენობით, სანამ ბავშვს შეუსრულდება 5 წელი.

ბავშვის მოვლის გამო დამატებითი შვებულება შეიძლება მიეცეს ნებისმიერ პირს, რომელიც ფაქტობრივად უვლის ბავშვს.

კითხვები და ამოცანები თვითშემოწმებისთვის

№	კითხვა/ამოცანა
1	რა შემთხვევაში წარმოიშვება დებიტორული დავალიანება?
2	როგორ აღირიცხება მოთხოვნის წარმოშობა? მოთხოვნის დაფარვა?
3	რას ნიშნავს საექვო მოთხოვნები?
4	როგორ აღირიცხება საექვო მოთხოვნა?
5	რა პირობებია საჭირო საექვო მოთხოვნის ხარჯად აღიარებისათვის?
6	როგორ აღირიცხება მოთხოვნები საწარმოს პერსონალისა და ხელმძღვანელების მიმართ?
7	როგორ აღირიცხება მოთხოვნა პარტნიორზე გაცემული სესხიდან?
8	როგორ აღირიცხება კაპიტალის შევსებაზე პარტნიორების გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი?
9	როგორ აღირიცხება მომწოდებლისათვის გადახდილი ავანსები?
10	როგორ ხდება განვადების აღრიცხვა?
11	როგორ აღირიცხება დარიცხული მოთხოვნები?
12	გაყიდულია კრედიტით 2 000 ლარის საქონელი 10 დღეში გადახდის პირობით. დებიტორმა 10 დღეში გადაიხადა აღნიშნული თანხა უნაღდო ანგარიშსწორებით. შევასრულოთ შესაბამისი გატარებები.
13	საწარმო „კომპლაინმა“ 20 ოქტომბერს სკოლა „იმედს“ კრედიტით მიყიდა 5 კომპიუტერი 3 000 ლარად. ხელშეკრულების თანახმად, დებიტორი თანხის ნაწილს დაფარავს 30 ოქტომბერს, ხოლო დანარჩენს 20 ნოემბერს. 30 ოქტომბერს „იმედმა“ უნაღდო ანგარიშსწორებით გადაიხადა 1 800 ლარი, ხოლო 20 ნოემბერს 1 200 ლარი. შევასრულოთ შესაბამისი გატარებები
14	ანგარიშვალდებულ პირზე სალაროდან გაცემულია 2 000 ლარი საქონლის შესაძენად. ანგარიშვალდებულმა პირმა შეიძინა 2 000 ლარის საქონელი. შევასრულოთ შესაბამისი გატარებები.
15	მიღებულია 2 წლიანი თამასუქი 40 000 ლარი გაცემულ სესხზე წლიური 10%-იანი განაკვეთით. მიმდინარე წელს საწარმომ უნდა მიიღოს 20 000 ლარი და საპროცენტო თანხა. საწარმომ მიიღო გრძელვადიანი თამასუქის მიმდინარე ნაწილი და საპროცენტო თანხა. შევასრულოთ შესაბამისი გატარებები.
16	მყიდველის გაკოტრების გამო მოთხოვნა 800 ლარი აღიარდა საექვო მოთხოვნად და წლის ბოლოს მოხდა მისი ჩამოწერა ხარჯებიდან. შევასრულოთ გატარებები.
17	ანგარიშვალდებულ პირზე სალაროდან გაცემულია 900 ლარი კომპიუტერის შესაძენად (2160-ოფისის აღჭურვილობა). ანგარიშვალდებულმა პირმა შეიძინა კომპიუტერი 850 ლარად, ხოლო დარჩენილი 50 ლარი დააბრუნა სალაროში. შევასრულოთ შესაბამისი გატარებები.
18	პარტნიორზე სალაროდან გაცემულია სესხი 1 000 ლარი. 1 თვის შემდეგ პარტნიორმა დააბრუნა სესხი 1 000 ლარი. შევასრულოთ შესაბამისი გატარებები.
19	პარტნიორის მიმართ წაყენებულია მოთხოვნა 4 000 ლარით კაპიტალის შევსებაზე 4 წლის განმავლობაში. მიმდინარე წელს პარტნიორს საწარმოს კაპიტალში შესატანი აქვს 1 000 ლარი. პარტნიორმა საწარმოს ანგარიშსწორების ანგარიშზე შეიტანა 1,000 ლარი. შევასრულოთ შესაბამისი გატარებები.
20	მომწოდებლისათვის ავანსად გადარიცხულია 3 500 ლარი 1 თვის შემდეგ საქონლის მოსაწოდებლად. 1 თვის შემდეგ საწარმომ მიიღო მომწოდებლისაგან კუთვნილი 3 500 ლარის საქონელი. შევასრულოთ შესაბამისი გატარებები.
21	რა არის საგადასახადო დეკლარაცია? პირველადი დოკუმენტი?
22	რა შემთხვევაში შეიძლება საგადასახადო დეკლარაციის ვადის გაგრძელება და დეკლარაციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა?
23	ვის შეიძლება მიენიჭოს მიკრო ბიზნესის სტატუსი? მცირე ბიზნესის სტატუსი?
24	ვის ეძლევა გენერალური სავაჭრო მინდობილობა და რა პირობებით?
25	რა სახის საწარმოებშია სავალდებულო აუდიტის ჩატარება?
26	როგორია ანაზღაურებადი შვებულების აღების პირობები?

ლექცია №6

მოკლევადიანი ვალდებულებების აღრიცხვა

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ვალდებულება. ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნა გასული პერიოდის სამეურნეო მოვლენების შედეგად და რომლის შესრულება გულისხმობს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლას საწარმოდან. მაგალითად, საქონლის შეძენა ან მომსახურების მიღება კრედიტით წარმოშობს სავაჭრო ვალდებულებას, ბანკიდან სესხის მიღება წარმოშობს ვალდებულებას სესხზე. ვალდებულება ბალანსში აისახება მხოლოდ მაშინ, თუ მისი დაფარვა იწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლას საწარმოდან და თუ შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ვალდებულების დაფარვა გულისხმობს ეკონომიკური რესურსების გადინებას მევალის ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ვალდებულების დაფარვა ხდება სხვადასხვა გზით:

- ა) ფულადი სახსრების გადახდით;
- ბ) სხვა აქტივების გადაცემით;
- გ) მომსახურების გაწევით.

ვალდებულება ჩაითვლება მოკლევადიან ვალდებულებად, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

- ა) მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საწარმოო ციკლის განმავლობაში;
- ბ) ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- გ) უნდა დაიფაროს ბალანსის შედგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში;

ყველა სხვა ვალდებულება მიიჩნევა გრძელვადიან ვალდებულებად.

სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას საწარმო გარეშე პირებისგან იძენს საწარმოო მარაგს ან მომსახურებას, რაც შეიძლება მოხდეს წინასწარი გადახდით, იმავდროული გადახდით ან შემდგომი გადახდის პირობით. შემდგომი გადახდის პირობით შეძენას კრედიტით შეძენას უწოდებენ, რის შედეგადაც წარმოიქმნება კრედიტორული დავალიანება. იგი გულისხმობს გადახდის გადავადებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ვადით.

საბალანსო ანგარიში 3100 - ანგარიშთა გეგმაში წარმოდგენილია, როგორც მოკლევადიანი ვალდებულებები, შესაბამისად, მის დაქვემდებარებაში არსებული ანგარიშები ჯგუფდება ამავე შინაარსის მიხედვით:

- 3110 - მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები;
- 3120 - მიღებული ავანსები;
- 3130 - გადასახდელი ხელფასები;
- 3140 - როიალტი;
- 3150 - საკომისიო გადასახადები;
- 3160 - ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე;
- 3170 - ვალდებულებები მეკავშირე საწარმოს წინაშე;
- 3190 - სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება

საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების პროცესში ესაჭიროება გარკვეული რაოდენობის სასქონლო-მატერიალური ფასეულობები. შეძენა შეიძლება განხორციელდეს წინასწარი, იმავდროული ან შემდგომი გადახდის პირობით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში წარმოიშვება სავაჭრო კრედიტორული დავალიანება, რომლის დაფარვის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულებით. მომწოდებლისთვის გადასახდელი თანხა მოიცავს სასქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულებასა და არაპირდაპირ გადასახადებს (დღგ, აქციზი).

ვალდებულებების აღრიცხვის საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემდეგი ოპერაციები:

მომწოდებლისაგან მიღებულია ნედლეული და მასალები 20 დღის ვადაში გადახდის პირობით. მარაგის ღირებულება 2 000 ლარია. დღგ - 360 ლარი სულ გადასახდელია 2 360 ლარი.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	05/02/2017	1620	3110	2 000	შემენილია ნედლეული
2	05/02/2017	3340	3110	360	გადახდილი დღგ
3	25/03/2017	3110	1210	2 360	დაფარულია ვალდებულება

იმპორტის შემთხვევაში საქონლის თვითღირებულებაში შეიტანება საქონლის შესყიდვის ფასი, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი, იმპორტის გადასახადი, ხოლო გადახდილი საბაჟო დღგ ექვემდებარება ჩათვლას. იმ საწარმოსთვის, რომელიც არ არის დღგ-ს გადამხდელი დღგ-ს თანხაც ჩაირთვება საქონლის თვითღირებულებაში.

განვიხილოთ მაგალითი:

- შემენილია უცხოელი მომწოდებლისგან 5 000 \$-ის საქონელი, 1\$ = 2.47;
- ტრანსპორტირების ხარჯმა შეადგინა 1 000 \$;
- გეზ-ის გადასახადი 300 ლარი;
- იმპორტის გადასახადი 600 ლარი.
- ❖ ვალუტის თანხების გადაანგარიშება ლარში ხდება განბაჟების დღისთვის ეროვნული ბანკის არსებული კურსით: $(5\,000 \times 2.47) + (1\,000 \times 2.47) + 300 + 600 = 15\,720$ ლარი
- ❖ დღგ = $15\,420 \times 18\% = 2\,775.6$ ლარი (გეზ-ის გადასახადი არ შედის საქონლის თვითღირებულებაში საბაჟო დღგ-ს გაანგარიშების დროს)

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	05/02/2017	1610	3110	12 350	ვალდებულება უცხოელი მომწოდებლის მიმართ
2	05/02/2017	1610	3111	2 470	ვალდებულება სატრანსპორტო კომპანიის მიმართ
3	05/02/2017	1610	3390	300	გეზ-ის გადასახადის ვალდებულება
4	05/02/2017	1610	3391	600	იმპორტის გადასახადის ვალდებულება
5	05/02/2017	1485	3390	2 775.6	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი თანხებით
6	05/02/2017	3390	1210	2 775.6	საბაჟოზე ჩასათვლელი დღგ
7	05/02/2017	3340	1485	2 775.6	საბაჟო დღგ-ს გადახდა

გეზ-ის გადასახადის თანხიდან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლა საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გაწეული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

დღგ-ს გადამხდელი ორგანიზაციის შემთხვევაში $300/1.18 = 254.24$ ლარი მიეკუთვნება საქონლის თვითღირებულებას, ხოლო $300 - 254.24 = 45.76$ ლარი დაემატება ჩასათვლელი დღგ-ს თანხას და, ამ მაგალითის მიხედვით, შესრულდება შემდეგი გატარებები:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	05/02/2017	1610	3110	12 350	ვალდებულება უცხოელი მომწოდებლის მიმართ
2	05/02/2017	1610	3111	2 470	ვალდებულება სატრანსპორტო კომპანიის მიმართ
3	05/02/2017	1610	3390	254.24	გეზ-ის გადასახადის ვალდებულება

4	05/02/2017	3340	3390	45.76	გეზ-ის გადასახადის დღე
5	05/02/2017	1610	3391	600	იმპორტის გადასახადის ვალდებულება
6	05/02/2017	1485	3390	2 775.6	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი თანხებით
7	05/02/2017	3340	1485	2 775.6	საბაჟოზე ჩასათვლელი დღე
8	05/02/2017	3390	1210	2 775.6	საბაჟო დღე-ს გადახდა

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება უცხოურ ვალუტაში

განვიხილოთ მაგალითი, რომელიც დაკავშირებულია ვალუტის კურსის ცვლილებასთან მოწოდებისა და გადახდის თარიღებისთვის:

შემენილია უცხოელი მომწოდებლისგან 10,000 აშშ დოლარის ღირებულების საქონელი. ღირებულება გადახდილი იქნება ერთი თვის ვადში. ეროვნული ბანკის კურსი დოლართან მიმართებით შემენის დღისთვის არის 2.45 ლარი:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	05/02/2017	1620	3110	24,500	შემენილია საქონელი

1 თვის შემდეგ გადახდილია ბანკიდან მომწოდებლისთვის 10,000 დოლარი კურსი ამ დღისთვის $1\$ = 2.49$ ლარი. მოცემული ოპერაციის გატარებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ვალუტის კურსი შემენისას და ვალდებულების დაფარვისას სხვადასხვაა. მოცემულ შემთხვევაში უნდა ვისარგებლოთ ბასს-ის დებულებით, რომლის მიხედვითაც საკურსო სხვაობები მოგების ან ზარალის ანგარიშებში აისახება:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	05/03/2017	3110	1210	24,900	ვალდებულების დაფარვა
2	05/03/2017	8240	3110	400	ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან

განვიხილოთ მაგალითი:

2017 წლის 21 ნოემბერს შემენილია 12 000 ევროს ღირებულების სუნამოები 60 დღეში გადახდის პირობით. დავალიანების დაფარვა მოხდა 2018 წლის 19 იანვარს.

ვალუტის გაცვლითი კურსები სხვადასხვა თარიღში შეადგენდა:

- 2017 წლის 21 ნოემბერი: $1\text{€} = 2.5759 \text{ ლ}$
- 2017 წლის 31 დეკემბერი: $1\text{€} = 2.6169 \text{ ლ}$
- 2018 წლის 19 იანვარი $1\text{€} = 2.6448 \text{ ლ}$

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	21/11/2017	1610	3110	30 910.8	შემენილია საქონელი

2017 წლის 31 დეკემბერს ვალდებულება დაფარული არ იყო, ამიტომ ბალანსის შედგენის თარიღისთვის საჭირო გახდა ვალდებულების გადაფასება (ანუ კორექტირება).

2017 წლის 31 დეკემბრისთვის ევროს კურსმა ლართან მიმართებით შეადგინა 2.6169 ლარი, რაც გამოიწვევს ვალდებულების გაზრდას 492 ლარით: $12,000 \times 2.6169 = 31,402.8$. სხვაობა = $30,910.8 - 31,402.8 = 492$ ლარი.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	31/12/2017	8240	3110	492	აღიარებულია ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან

ამრიგად, 31 დეკემბრის მდგომარეობით მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები ბალანსში აისახება 31 402.8 ლარის ოდენობით, ხოლო 492 ლარი (ზარალი) შეიტანება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

2018 წლის 19 იანვარს დაფარულია კრედიტორული დავალიანება უცხოური ვალუტით. 19 იანვრის მდგომარეობით ევროს გაცვლითი კურსი შეადგენდა 2.6448 ლარს. ამდენად, კვლავ მოცემულია ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ($12\,000 \times 2.6448 = 31\,737.6$; $31\,737.6 - 31\,402.8 = 334.8$).

იმ შემთხვევაში, თუ 31 დეკემბერთან შედარებით 19 იანვრის კურსი შემცირდებოდა და, მაგალითად, იქნებოდა 2.6 ლარი 1 ევროსთან მიმართებით, მიღებული იქნებოდა მოგება კურსთა შორის სხვაობიდან და შესრულდებოდა შემდეგი გატარებები:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	19/01/2018	3110	8140	202.8	მოგება კურსთა შორის სხვაობიდან
2	19/01/2018	3110	1210	31 402.8	ვალდებულების დაფარვა

მიღებული ავანსების აღრიცხვა

მყიდველსა და მომწოდებელს შორის სავაჭრო ურთიერთობაში ხშირად გამოიყენება წინასწარი გადახდა. მყიდველის მიერ წინასწარ გადახდილი თანხები მიმწოდებელ საწარმოში აისახება როგორც მიღებული ავანსები, რომელიც მოკლევადიან ვალდებულებას წარმოადგენს, რადგან საწარმოს ევალება მიღებული ავანსის სანაცვლოდ აქტივის მიწოდება ან მომსახურების გაწევა.

მიღებული ავანსი წარმოადგენს გამოუმუშავებელ შემოსავალს.

ავანსი შეიძლება მიღებული იქნას სრულად ან ნაწილობრივ.

განვიხილოთ მაგალითი:

ხელშეკრულების პირობების თანახმად, მყიდველი ვალდებულია ავანსის სახით 2 950 ლარი ჩარიცხოს საბანკო ანგარიშზე, ხოლო საქონელი უნდა მიაწოდოს თანხის ჩარიცხვიდან 2 თვის განმავლობაში.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	05/02/2018	1210	3120	2 950	მიღებულია მოკლევადიანი ავანსი

საქონლის მიწოდებისას წარმოიქმნება დებიტორული დავალიანება და აღიარდება შემოსავალი, რომელიც გადაიხურება მიღებული ავანსის ანგარიშზე.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	05/04/2018	1410	6110	2 950	შემოსავლისა და მოთხოვნის აღიარება
3	05/04/2018	3120	1410	2 950	მოთხოვნის შემცირება ავანსით

ავანსის ნაწილის მიღების აღრიცხვისთვის განვიხილოთ მაგალითი:

შესასრულებელია 11 800 ლარის სამუშაო, რისთვისაც 15 მარტს წინასწარ გადმორიცხულია 20% ანუ 2 360 ლარი, ხოლო დანარჩენი 9 440 ლარის გადმორიცხვა მოხდება სამუშაოს ჩაბარების შემდეგ, რაც განხორციელდება 1 თვის შემდეგ.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	15/03/2018	1210	3120	2 360	მიღებულია ავანსი
2	15/04/2018	1410	6110	11 800	შემოსავლის აღიარება
4	15/04/2018	3120	1410	2 360	მოთხოვნის შემცირება ავანსით
5	15/04/2018	1210	1410	9 440	დარჩენილი თანხის მიღება

თუ კომპანია არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიღებული ავანსის თანხიდან გამოიყოფა გადასახდელი დღგ. თუ ავანსად ირიცხება საქონლის/მომსახურების ღირებულების მხოლოდ ნაწილი, გადასახდელი დღგ-ს დარიცხვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ ავანსის თანხის ფარგლებში, ხოლო დღგ-ს ვალდებულების დარჩენილი ნაწილის დარიცხვა მოხდება საქონლის მიღების დროს.

როიალტი და საკომისიო გადასახადი

ანგარიში 3140 - როიალტი ეს არის გადასახადი, რომელსაც პირი იხდის კონკრეტული ფასეულობის დროებით გამოყენებისთვის (მაგ.: სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სარგებლობის უფლების საფასური, პატენტის გამოყენების საფასური, ნოუჰაუთი მიღებული შემოსავალი და სხვა).

მაგალითად: საწარმო მამდიწარე თვეში მოიპვა ქვანახშირი, რომელზეც გადასახდელია როიალტი 800 ლარი:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	05/03/2018	1620	3140	800	ვალდებულება როიალტზე
2	05/03/2018	3140	1210	800	ვალდებულების დაფარვა

საკომისიო გადასახდელები - 3150 გამოიყენება იმ მოკლევადიანი ვალდებულების აღსარიცხად, რომელიც უნდა გადაიხადონ შუამავლზე გაწეული მომსახურებისთვის.

განვიხილოთ მაგალითი:

შემენილია ინვესტიციები 5,000 ლარად და ბროკერის მიერ გაწეული მომსახურებისთვის გადასახდელია საკომისიო 300 ლარი.

გადახდილია ბროკერისთვის საკომისიო 300 ლ.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	05/03/2018	1310	3190	5 000	ინვესტიციების შეძენა
2	05/03/2018	1310	3150	300	ვალდებულება საკომისიო გადასახადზე
3	05/03/2018	3150	1210	300	ვალდებულების დაფარვა

სასესხო ვალდებულებების აღრიცხვა

საბრუნავი სახსრების შევსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა სესხები. დაფარვის ვადების მიხედვით განასხვავებენ მოკლევადიან (1 წლამდე ვადით) და გრძელვადიან (1 წელზე მეტი ვადის) სესხებს. სესხებთან დაკავშირებული ყველა საკითხი რეგულირდება სასესხო ხელშეკრულების საფუძველზე.

არსებობს უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი სესხები. სესხები უზრუნველყოფილი შეიძლება იყოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებით, ფასიანი ქაღალდებით, უძრავი ქონებით, თამასუქით და სხვ..

მოკლევადიანი სესხების აღრიცხვისთვის გამოიყენება ანგარიშები:

- 3210 - მოკლევადიანი სესხები;
- 3220 - სესხები პარტნიორებისგან;
- 3230 - გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი.

ოვერდრაფტი წარმოადგენს მოკლევადიან სესხს, რომელიც დაიშვება მომხმარებლის მიმდინარე ანგარიშზე და აძლევს მას საშუალებას გამოიყენოს იმაზე მეტი თანხა, ვიდრე რეალურად აქვს განთავსებული ანგარიშზე. ოვერდრაფტის მაქსიმალური თანხა განისაზღვრება ინდივიდუალურად, მომხმარებლის საკრედიტო ისტორიისა და მისი შემოსავლის შესაბამისად. ოვერდრაფტი ძალიან ჰგავს საკრედიტო ბარათს. განსხვავება არის ის, რომ ოვერდრაფტი, ჩვეულებრივ, მიბმულია მომხმარებლის მიმდინარე ანგარიშზე და ათვისებულ თანხაზე არ მოქმედებს საშელავათო პერიოდი.

№	დებეტი	კრედიტი	ოპერაციის შინაარსი
1	8210	3410	საპროცენტო ხარჯისა და გადასახდელი პროცენტის ვალდებულების აღიარება

სესხს ერიცხება გადასახდელი საპროცენტო თანხა, რომელიც უნდა აღიარდეს საანგარიშო პერიოდის ხარჯად და შესაბამისად დარიცხულ ვალდებულებად:

განვიხილოთ მაგალითი:

აღებულია მოკლევადიანი სესხი 2 000 ლარის ოდენობით, 5 თვით.

სესხს დაერიცხა გადასახდელი საპროცენტო თანხა წლიური 15%-იანი განაკვეთით

$$2\,000 \times 0.15 \times \frac{5}{12} = 125$$

125 ლარი იქნება 5 თვის საპროცენტო ხარჯი, შესაბამისად, 1 თვის ხარჯი ტოლია $125/5 = 25$. იმის მიხედვით, თუ წლის რომელ პერიოდშია აღებული სესხი, საპროცენტო თანხის ხარჯად აღიარება უნდა მოხდეს საანგარიშგებო პერიოდში დარჩენილი თვეების მიხედვით. მაგ.: თუ სესხი აღებულია 20 სექტემბერს, საპროცენტო თანხის ყოველი თვის 20 რიცხვში გადახდის პირობით. წლის ბოლომდე გადასახდელი იქნება 3 თვის საპროცენტო თანხა:

$$300 \times \frac{3}{12} = 75$$

მაგალითის შესაბამისად, შესრულდება შემდეგი საბუღალტრო გატარებები:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	20/09/2017	1210	3210	2 000	სესხის აღება
2	20/10/2017	3210	1210	400	სასესხო ვალდებულების ნაწილის დაფარვა (ოქტომბერი)
3	20/10/2017	8210	3410	25	ოქტომბრის საპროცენტო ხარჯი
4	20/10/2017	3410	1210	25	გადახდილია ოქტომბრის პროცენტის თანხა
5	20/11/2017	3210	1210	400	დაფარულია სასესხო ვალდებულების ნაწილი (ნოემბერი)
6	20/11/2017	8210	3410	25	ნოემბრის საპროცენტო ხარჯი
7	20/11/2017	3410	1210	25	გადახდილია ნოემბრის პროცენტის თანხა
8	20/12/2017	3210	1210	400	დაფარულია სასესხო ვალდებულების ნაწილი (დეკემბერი)

9	20/12/2017	8210	3410	25	დეკემბრის საპროცენტო ხარჯი
10	20/12/2017	3410	1210	25	გადახდილია დეკემბრის პროცენტის თანხა

გრძელვადიანი სესხის აღების შემთხვევაში გამოვიყენებთ გრძელვადიანი სესხის ანგარიშს - 4140, რომელიც მიეკუთვნება გრძელვადიანი ვალდებულებების ჯგუფს.

განვიხილოთ მაგალითი:

აღებულია გრძელვადიანი სესხი 20 000 ლარი, 5 წლით.

მიმდინარე წელს სესხს დაერიცხა გადასახდელი საპროცენტო თანხა წლიური 15%-იანი განაკვეთით.

მიმდინარე წელს ასევე გადასახდელია სესხის ნაწილი 4 000 ლარი, რომელიც განიხილება გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილის სახით და აღირიცხება 3230 ანგარიშზე.

გადახდილია გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი და საპროცენტო თანხა:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	04/01/2018	1210	4140	20 000	სესხის აღება
2	04/01/2018	4140	3230	4 000	სესხის მიმდინარე ნაწილის დარიცხვა
3	04/02/2018	8210	3410	3 000	საპროცენტო ხარჯისა და გადასახდელი პროცენტის ვალდებულებების აღიარება
4	04/02/2018	3410	1210	250	გადახდილია პროცენტის თანხა
5	04/02/2018	3230	1210	333.33	დაფარულია სესხის მიმდინარე ნაწილი

გადასახდელი თამასუქები

სათამასუქო ვალდებულება კრედიტორული დავალიანების მნიშვნელოვანი ფორმაა. ვალდებულება ფორმდება თამასუქით, რომელიც ფორმდება შეძენილი ფასეულობების, აღებული სესხების ან გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

გასანადღებელი თამასუქები მიღებული თამასუქის მსგავსად შეიძლება იყოს მოკლევადიანი, გრძელვადიანი, პროცენტიანი, უპროცენტო, სავაჭრო და სასესხო.

განვიხილოთ მაგალითი:

საწარმოს მიერ აღებულია სესხი 8 000 ლარი, 6 თვით, წლიური 15%-იანი განაკვეთით, მასზე გაცემულია თამასუქი:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	04/01/2018	1210	3190	8 000	სათამასუქო სესხის აღება
3	04/02/2018	8210	3410	100	პროცენტის დარიცხვა (პირველი თვის)
4	04/02/2018	3410	1210	100	გადახდილია პროცენტის თანხა (პირველი თვის)
5	04/07/2018	3190	1210	8 000	დაფარულია თამასუქი

განვიხილოთ თამასუქით აქტივის შემენა.

კომპანიამ 1 ივლისს შეიძინა 15 000 ლარად შეფასებული საოფისე ავეჯი, მასზე გასცა 1 წლიანი თამასუქი. წლიური განაკვეთი 17%. პროცენტის გადახდა ხდება 6 თვეში ერთხელ.

$(15\,000 \times 17\%) / 12 = 212.5$ (ერთი თვის გადასახდელი პროცენტი):

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	01/07/2017	2170	3190	15,000	სათამასუქო ვალდებულება
2	01/07/2017	8210	3410	212.5	პირველი თვის საპროცენტო ხარჯი
3	01/08/2017	8210	3410	212.5	მეორე თვის საპროცენტო ხარჯი
4	01/09/2017	8210	3410	212.5	მესამე თვის საპროცენტო ხარჯი
5	01/10/2017	8210	3410	212.5	მეოთხე თვის საპროცენტო ხარჯი
6	01/11/2017	8210	3410	212.5	მეხუთე თვის საპროცენტო ხარჯი
7	01/12/2017	8210	3410	212.5	მექვესე თვის საპროცენტო ხარჯი
8	31/12/2017	3410	1210	1,275	საპროცენტო თანხის გადახდა (6 თვის)

ანალოგიურად მოხდება მომდევნო 6 თვის საპროცენტო თანხის დარიცხვა. თამასუქის გაცემიდან 1 წლის შემდეგ თამასუქის განაღდება და პროცენტის გადახდა აისახება გატარებებით:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	30/06/2018	3190	1210	15,000	სათამასუქო ვალდებულება
4	30/06/2018	3410	1210	1,275	გადახდილია მომდევნო 6 თვის საპროცენტო თანხა

გადასახდელი დივიდენდები

დივიდენდი მოგების ნაწილია, რომელიც ნაწილდება საწარმოს პარტნიორებზე (აქციონერებზე). საწარმოს მიერ დივიდენდების გამოცხადების დღიდან წარმოიქმნება საწარმოს ვალდებულება პარტნიორების და დამფუძნებლების მიმართ.

№	დებეტი	კრედიტი	ოპერაციის შინაარსი
1	5310	3420	დივიდენდის გამოცხადება - გაუნაწილებელი მოგების შემცირება და გადასახდელი დივიდენდის ვალდებულების აღიარება

კანონმდებლობის შესაბამისად, საწარმოს მიერ ფიზიკურ პირებზე გასაცემი დივიდენდი იბეგრება გადახდის წყაროსთან, რაც შეადგენს გადასახდელი დივიდენდის თანხის 5%-ს, ამიტომ დივიდენდიდან საშემოსავლო გადასახადის დაკავება გატარდება:

№	დებეტი	კრედიტი	ოპერაციის შინაარსი
1	3420	3390	დივიდენდის დაბეგვრა და სხვა საგადასახადო ვალდებულებების აღიარება

განვიხილოთ მაგალითი:

გამოცხადდა დივიდენდის გაცემა პარტნიორებზე 20 000 ლარის ოდენობით. აქედან 5%, ანუ 1 000 ლარი, უნდა გადაირიცხოს ბიუჯეტში, ხოლო გაცემული დივიდენდის თანხა იქნება $20\,000 - 1\,000 = 19\,000$

ბუღალტრული აღრიცხვა

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	20/01/2018	5310	3420	20 000	დივიდენდის დარიცხვა
2	20/01/2018	3420	3390	1 000	საშემოსავლოს დაკავება
3	20/01/2018	3390	1210	1 000	საშემოსავლოს გადარიცხვა
4	20/01/2018	3420	1210	19 000	დივიდენდის გაცმა

მოკლევადიან ვალდებულებებს მიეკუთვნება გადასახდელი ხელფასის ვალდებულებაც. ხელფასის დარიცხვა და გადახდა შემდეგი სახით აღირიცხება:

№	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	7410	3130	20 000	ხელფასის დარიცხვა
2	3130	3320	1 000	საშემოსავლოს დაკავება
3	3320	1210	1 000	საშემოსავლოს გადარიცხვა
4	3130	1210	19 000	ხელფასის გაცმა

საგადასახადო კოდექსის განმარტებები

საშემოსავლო გადასახადი

[[სსკ მ.79](#)]

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელია:

- ა) რეზიდენტი ფიზიკური პირი;
- ბ) არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

საქართველოს რეზიდენტად, მთელი მიმდინარე საგადასახადო წლის განმავლობაში, ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტ ხანს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში, რომელიც მთავრდება ამ საგადასახადო წელს, ან ფიზიკური პირი, რომელიც ამ საგადასახადო წლის განმავლობაში იმყოფებოდა უცხო ქვეყანაში საქართველოს სახელმწიფო სამსახურში [[სსკ მ.34](#)].

საქართველოს ტერიტორიაზე ფაქტობრივად ყოფნის დროდ ითვლება დრო, რომლის განმავლობაშიც ფიზიკური პირი იმყოფებოდა საქართველოში, აგრეთვე დრო, რომლითაც იგი გავიდა საქართველოს ფარგლების გარეთ სპეციალურად სამკურნალოდ, დასასვენებლად, მივლინებით ან სასწავლებლად [[სსკ მ.34](#)].

დაბეგვრის ობიექტი

[[სსკ მ.80](#)]

რეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისთვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

საქართველოში არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით საქმიანობის განმახორციელებელი არარეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მუდმივ დაწესებულებასთან დაკავშირებულ, საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისთვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

არარეზიდენტი ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავალი, რომელიც დაკავშირებული არ არის საქართველოში მის მუდმივ დაწესებულებასთან, იბეგრება [საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის](#) შესაბამისად გადახდის წყაროსთან გამოქვითვების გარეშე, გარდა ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს ქონების რეალიზაციით, არის საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლიდან, რომელიც მცირდება ამ პერიოდისთვის ასეთი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული გამოქვითვების თანხებით. ქონების რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება:

- ა) რეზიდენტი იურიდიული პირის ჩვეულებრივი აქციების ან პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული ნამეტი;
- ბ) [საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 21-ე ნაწილში](#) აღნიშნული აქტივების მიწოდებით მიღებული ნამეტი შემოსავალი;
- გ) [საგადასახადო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ან „მ“ ქვეპუნქტით](#) გათვალისწინებული, ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონების რეალიზაციით მიღებული ნამეტი;
- დ) სხვა ქონების რეალიზაციით მიღებული ნამეტი.

[სსკ მ.81]

ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება **20 პროცენტით**, თუ საგადასახადო კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საცხოვრებელი ფართობის ორგანიზაციაზე, იურიდიულ პირზე ან ფიზიკურ პირზე საცხოვრებელი მიზნით გაქირავების შედეგად იმ ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი, რომელიც ამ შემოსავლიდან გამოქვითვებს არ ახორციელებს, **5 პროცენტით** იბეგრება. საცხოვრებელი ფართობის გამქირავებელ პირთა რეესტრის წარმოების და საცხოვრებელი ფართობის იურიდიულ პირებზე გამქირავებელი პირების მიერ საგადასახადო შეღავათით სარგებლობის წესს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

ფიზიკური პირის მიერ საცხოვრებელი ბინის (სახლის) და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის, აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საშუალების მიწოდებით მიღებული ნამეტი შემოსავალი **5 პროცენტით** იბეგრება. ამ მიზნებისთვის აქტივის მიწოდებით მიღებული ნამეტი შემოსავალი განისაზღვრება საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

გადასახადისაგან განთავისუფლება

ამონარიდები სსკ მუხლი 82-დან⁴:

საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები:

- არარეზიდენტის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ დაწესებულებებში დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავლები;
- მიღებული გრანტი, სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია, მაგროვებადი და დაბრუნებადი ხასიათის არასახელმწიფო საპენსიო სქემიდან მიღებული პენსია განხორციელებული შენატანების ოდენობით, სახელმწიფო სტიპენდია, დახმარებებისა და ერთჯერადი გასაცემლების მიზნით ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან ან/და ბიუჯეტის სარეზერვო ფონდებიდან მიღებული თანხები;
- სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირიდან საქველმოქმედო საქმიანობის ფარგლებში მიღებული სარგებელი;
- მკურნალობის ან/და სამედიცინო მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად საქველმოქმედო ორგანიზაციიდან მიღებული სარგებელი;
- ოლიმპიურ თამაშებში, საჭადრაკო ოლიმპიადებში, მსოფლიო ან/და ევროპის ჩემპიონატებში, ევროპის თამაშებში, მსოფლიოს ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებში ან/და ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალებში გამარჯვებისათვის ან/და საპრიზო ადგილების დაკავებისათვის სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების, აგრეთვე საქართველოს ნაკრები გუნდების საექიმო პერსონალის მიერ მიღებული ფულადი და სხვა სახის ჯილდოები, აგრეთვე საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით სპორტის ინდივიდუალურ ოლიმპიურ, არაოლიმპიურ და ცალკეულ სათამაშო სახეობებში სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელებისათვის, აგრეთვე საექიმო პერსონალისათვის დაწესებული სხვა ფულადი პრიზები;
- ალიმენტი და განქორწინების საფუძველზე მიღებული ქონების ღირებულება (შემოსავალი);
- ფიზიკური პირის მიერ **2 წელზე მეტი ვადით** საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის (სახლის) მასზე დამაგრებული მიწით რეალიზაციით მიღებული ნამეტი; ფიზიკური პირის მიერ საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან **6 თვეზე მეტი ვადით** საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაციით მიღებული ნამეტი; ფიზიკური პირის მიერ **2 წელზე მეტი ვადით** საკუთრებაში არსებული აქტივების მიწოდებით მიღებული ნამეტი, გარდა გამსხვისებლის მიერ აქტივების მიწოდებამდე ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების ან/და ზემოთ მოცემული ორი შემთხვევისა. ამასთანავე, აქტივების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებად არ ითვლება მათი 2 წლის

⁴ დამატებით იხ. სსკ მ.82

შემდეგ მიწოდება ან/და ფასიანი ქაღალდების/წილის მხოლოდ ფლობა დივიდენდებისა და პროცენტების მიღების მიზნით;

- საგადასახადო წლის განმავლობაში I და II რიგის მემკვიდრეების მიერ ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება;
- საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარამდე ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულება, გარდა დაქირავებულის მიერ დამქირავებლისაგან ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულებისა;
- საგადასახადო წლის განმავლობაში III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ 150 000 ლარამდე ღირებულების, ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება;
- ფიზიკური პირისათვის (დონორისათვის) გაღებული სისხლის საკომპენსაციო კვებისათვის გაცემული თანხა;
- 2018 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს;
- პრივატიზების წესით (მათ შორის, უსასყიდლოდ) ქონების მიღების შედეგად, აგრეთვე მიწისძვრითა და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა მიერ დაზიანებული ბინების სანაცვლოდ იმავე დასახლებულ პუნქტში ან ეკომიგრანტების მიერ სხვა დასახლებულ პუნქტში ბინების უსასყიდლოდ მიღების შედეგად წარმოშობილი სარგებელი; (*გავრცელდეს 2011 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე*);
- დროებითი საცხოვრებელი ადგილის სანაცვლოდ ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის, იძულებით გადაადგილებული ფიზიკური პირის მიერ პრივატიზების პროგრამის ფარგლებში მიღებული კომპენსაციები; ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის სახელმწიფოს მიერ გადაცემული ქონების ღირებულება და ამ ქონების თავდაპირველი რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;
- ფიზიკური პირის (I რიგის მემკვიდრის) მიერ ჯამურად მის და მამკვიდრებლის/მჩუქებლის საკუთრებაში 2 წელზე მეტი ვადით არსებული მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი;
- არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი საწარმოს, ორგანიზაციის ან/და მეწარმე ფიზიკური პირის მიერ რისკის დაზღვევისა და გადაზღვევის საფუძველზე;
- არარეზიდენტის მიერ ქონების ლიზინგით გაცემიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას;
- რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი (მათ შორის, სარგებელი), რომელიც არ განეკუთვნება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს;
- სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დასახიჩრებული ან/და დაინვალიდებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურისათვის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურისათვის ან სამხედრო მოსამსახურისათვის, აგრეთვე მისი დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახზე (მემკვიდრეზე) დამქირავებლის მიერ გაცემული დახმარება;
- ლატარიიდან მიღებული მოგება, რომლის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს;
- არარეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი, თუ დაქირავებით მუშაობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე საგადასახადო წლის განმავლობაში არა უმეტეს 30 კალენდარული დღისა და შემოსავლის (ხელფასის) გადამხდელი არის არარეზიდენტი დამქირავებელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ხარჯი მიეკუთვნება არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების ხარჯებს, მიუხედავად იმისა, ეს ხარჯი ამ მუდმივი დაწესებულების მიერ არის გადახდილი თუ არა;

- 2018 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ ამ საქმიანობის ფარგლებში გაცემული ხელფასი, თუ დამქირავებლის მიერ ამ საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს;
- ადმინისტრაციული ორგანოს (დამქირავებლის) მიერ თანამშრომლისთვის (დაქირავებულისთვის) უმრავი ქონების სასყიდლით ან უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემით მიღებული სარგებელი;
- ტურისტული საწარმოს მიერ ან/და მის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე სასტუმროს ფუნქციონირებისთვის/ოპერირებისთვის მოწვეული პირის/პირების მიერ სასტუმრო ნომრის მესაკუთრისათვის კალენდარული წლის განმავლობაში არა უმეტეს 60 დღის ვადით სასტუმროს მომსახურების (სასტუმროში ცხოვრების) უსასყიდლოდ გაწევის შედეგად სასტუმრო ნომრის მესაკუთრის მიერ მიღებული სარგებელი;

საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება:

- შემდეგ ფიზიკურ პირთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე:
 - მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქეების;
 - პირის, რომელსაც მინიჭებული აქვს „ქართველის დედის“ საპატიო წოდება;
 - მარტოხელა დედის;
 - პირის, რომელმაც იშვილა ბავშვი (შვილად აყვანიდან 1 წლის განმავლობაში);
 - პირის, რომელმაც მინდობით აღსაზრდელად აიყვანა ბავშვი;
 - მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მრავალშვილიანი პირის (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის სამი ან სამზე მეტი შვილი) მიერ მაღალმთიან დასახლებაში საბიუჯეტო ორგანიზაციიდან კალენდარული წლის განმავლობაში ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ ერთ- ან ორშვილიან პირს (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი) მაღალმთიან დასახლებაში საბიუჯეტო ორგანიზაციიდან კალენდარული წლის განმავლობაში ხელფასის სახით მიღებულ 3000 ლარამდე დასაბეგრ შემოსავალზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი 50 პროცენტით უმცირდება; *(„ა.ვ“ ქვეპუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2016 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე);*
- ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 6000 ლარამდე;
- იმ პირის მიერ, რომელმაც „საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო, კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული 6000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავალი;
- მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირის მიერ მაღალმთიან დასახლებაში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული 6000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავალი, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციიდან და სახელმწიფოს მიერ ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული სამედიცინო დაწესებულებიდან ხელფასის სახით მიღებული შემოსავლისა.

82-ე მუხლის მიზნებისთვის:

ა) აქტივის საკუთრებაში ფლობის 2-წლიანი ვადა აითვლება:

- ა.ა) მარეგისტრირებელ ორგანოში საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შედგენის თარიღიდან; მარეგისტრირებელ ორგანოში უფლებრივად ერთ საგნად რეგისტრირებული აქტივის გაყოფის შემთხვევაში

მიღებული აქტივის საკუთრებაში ფლობის 2-წლიანი ვადა აითვლება გაყოფამდე არსებული აქტივის საკუთრებაში ფლობის თარიღიდან;

ა.ბ) თუ არ ხდება საკუთრების უფლების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაცია, – საკუთრების უფლების წარმოშობის მომენტიდან;

ბ) აქტივის „რეალიზაციით მიღებული ნამეტი“ იანგარიშება, როგორც:

ბ.ა) სხვაობა აქტივის მიწოდების ფასსა და მასზე საკუთრების უფლების წარმოშობისას მისი შეძენის ფასს შორის;

ბ.ბ) სხვაობა აქტივის მიწოდების ფასსა და უსასყიდლოდ მიღების მომენტში მის საბაზრო ფასს შორის, თუ აქტივზე საკუთრების უფლება უსასყიდლოდ იყო მიღებული;

გ) ქონების ჩუქებისას ან/და ანდერძით მემკვიდრეობისას I, II, III და IV რიგის მემკვიდრეებად ითვლებიან შემდეგი პირები:

გ.ა) I რიგის მემკვიდრეებად – მეუღლე, შვილი, ნაშვილები, შვილიშვილი, შვილიშვილის შვილი და მისი შვილი, მშობელი და მშვილებელი;

გ.ბ) II რიგის მემკვიდრეებად – და, ძმა, დისწული, ძმისწული და მათი შვილები;

გ.გ) III რიგის მემკვიდრეებად – ბებია და პაპა, ბებუის დედ-მამა და პაპის დედ-მამა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან;

გ.დ) IV რიგის მემკვიდრეებად – ბიძა (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდა და მამიდა.

28-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგადასახადო წლის მიხედვით გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის გამოყენების მიზნით დაქირავებული პირი ვალდებულია [საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით](#) წარუდგინოს დამქირავებელს შეღავათით სარგებლობის შესახებ საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობა. ერთზე მეტი სამუშაო ადგილის არსებობის შემთხვევაში გადახდის წყაროს, სადაც უნდა გავრცელდეს შეღავათი, განსაზღვრავს დაქირავებული პირი.

საშემოსავლო გადასახადის გადახდა ხდება დასაბეგრი ოპერაციის შესრულებისთანავე: ხელფასის გაცემისას ხელფასის გაცემისთანავე, შემოსავლის მიღებისას შემოსავლის მიღებისთანავე.

საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დეკლარაციის წარდგენა ხდება არა უგვიანეს დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

ინდივიდუალური მეწარმე წლიური საშემოსავლო გადასახადის შესახებ დეკლარაციის წარდგენს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე და ამავე ვადაში იხდის გადასახადს.

სამოქალაქო კოდექსის განმარტებები

ვალდებულებითი სამართალი

[სამოქალაქო კოდექსი](#) აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს.

ვალდებულებითი სამართალი აერთიანებს სახელშეკრულებო სამართალს, ვალდებულების შესრულებასთან, დარღვევასთან, კრედიტორის/მოვალის მიერ ვადის გადაცილებასთან დაკავშირებულ ნორმებს, ზიანის ანაზღაურების საკითხებს.

ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისგან თავის შეკავებაშიც. თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას [\[სსკ მ.316\]](#).

წარმოშობის საფუძვლის მიხედვით ერთმანეთისგან განასხვავებენ [სახელშეკრულებო](#) და [არასახელშეკრულებო](#) ვალდებულებას. სახელშეკრულებო ვალდებულების შინაარსი განსაზღვრავს არა მარტო კანონი, არამედ მხარეთა შეთანხმებაც, ხოლო არასახელშეკრულებო ვალდებულების შინაარსი მხოლოდ კანონით ან კანონითა და ერთი მხარის ნებით განისაზღვრება. მაგ: ზიანის მიყენების დროს ზიანის

მიმყენებლის მიერ მისი ანაზღაურების ვალდებულება არასახელშეკრულებო ვალდებულებათა, რადგან ის ხელშეკრულების გარეშე მაინც წარმოიშობა.

დამატებით იხ. [სსკ](#) მეექვსე კარი.

შრომის ანაზღაურება და უქმე დღეები შრომის კოდექსის მიხედვით

[[სშკ](#) მ.31]

1. შრომის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით. ამ მუხლის ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
2. შრომის ანაზღაურება გაიცემა თვეში ერთხელ.
3. დამსაქმებელი ვალდებულია ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის გადაუხადოს დასაქმებულს დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტი.

[[სშკ](#) მ.32]

1. თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება მიეცემა სრული ოდენობით.
2. დასაქმებულის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენა არ ანაზღაურდება.

[[სშკ](#) მ.33]

1. დამსაქმებელს უფლება აქვს, დასაქმებულის შრომის ანაზღაურებიდან დაქვითოს ზედმეტად გაცემული თანხა ან ნებისმიერი სხვა თანხა, რომელიც, შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე, მისთვის დასაქმებულს აქვს გადასახდელი.
2. შრომითი ანაზღაურებიდან ერთჯერადად დაქვითვის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შრომის ანაზღაურების 50 პროცენტს.

[[სშკ](#) მ.34]

შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულთან მოახდინოს საბოლოო ანგარიშსწორება არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა, თუ შრომითი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

[[სშკ](#) მ.20]

1. **უქმე დღეებია:**
 - ა) 1 და 2 იანვარი – ახალი წლის სადღესასწაულო დღეები;
 - ბ) 7 იანვარი – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღე;
 - გ) 19 იანვარი – ნათლისღება – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს გაცხადების დღე;
 - დ) 3 მარტი – დედის დღე;
 - ე) 8 მარტი – ქალთა საერთაშორისო დღე;
 - ვ) 9 აპრილი – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე;
 - ზ) სააღდგომო დღეები – დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღე; მიცვალებულთა მოხსენიების დღე – აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი (თარიღები გარდამავალია);
 - თ) 9 მაისი – ფაშიზმზე გამარჯვების დღე;
 - ი) 12 მაისი – საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის – წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე;
 - კ) 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე;
 - ლ) 28 აგვისტო – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე (მარიამობა);

- მ) 14 ოქტომბერი – მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღე;
ნ) 23 ნოემბერი – გიორგობის დღე.
2. დასაქმებული უფლებამოსილია ამ კანონით დადგენილი უქმე დღეების ნაცვლად მოითხოვოს სხვა დასვენების დღეები, რაც უნდა განისაზღვროს შრომითი ხელშეკრულებით.
 3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უქმე დღეებში დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება მიიჩნევა ზეგანაკვეთურ სამუშაოდ და მისი ანაზღაურების პირობები განისაზღვრება ამ კანონის მე-17 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით დადგენილი წესით.

კითხვები და ამოცანები თვითშემოწმებისთვის

№	კითხვა/ამოცანა
1	რას წარმოადგენს დარიცხული ვალდებულება?
2	როგორი სახით შეიძლება მოხდეს ვალდებულების დაფარვა?
3	კომპანიამ უცხოელი მომწოდებლისგან შეიძინა 1 500 ევროს საქონელი, რომლის ღირებულება უნდა დაფაროს 20 დღეში. შეძენისას კურსი 1€ = 2.8ლ. გადახდისას ევროს კურსი ლართან მიმართებაში გახდა 1€ = 2.74ლ. შეასრულეთ შესაბამისი ბუღალტრული გატარებები.
4	კომპანია „ეგრისმა“ მიიღო შეკვეთა 23 000 ლარის კონიაკის დამზადებაზე და ავანსის სახით მიიღო 3 000 ლარი. „ეგრისმა“ ჩააბარა დამკვეთს მზა პროდუქცია სრულად, რის გამოც წარმოეშვა მოთხოვნა დანარჩენ მისაღებ 20 000 ლარზე. ასახეთ ავანსის მიღება, მოთხოვნის დარიცხვა, შემოსავალი და დაფარვა.
5	ორგანიზაცია „თიქსას“ გადასახდელი აქვს „ახალი ქსელების“ სატელეფონო მომსახურებისთვის 300 ლარი. ასახეთ დარიცხვა და გადახდა.
6	თანამშრომლებზე დარიცხულია ხელფასი 6,000 ლარი. შეასრულეთ შემდეგი გატარებები: ხელფასის დარიცხვა; საშემოსავლოს დარიცხვა; საშემოსავლოს გადარიცხვა; ხელფასის გაცემა უნაღდო ანგარიშსწორებით.
7	საწარმომ აიღო უფლება სავაჭრო ნიშნის გამოყენებაზე, რაზედაც გადასახდელი აქვს როიალტი 3 000 ლარი. ასახეთ ვალდებულების დარიცხვა და გადახდა.
8	საწარმო „იმედმა“ ერთ-ერთი პარტნიორისგან აიღო 3 თვიანი სესხი 4 000 ლარი წლიური 15%-იანი განაკვეთით. ასახეთ სესხის აღება, პროცენტის დარიცხვა და გადახდა, სესხის დაბრუნება.
9	1 სექტემბერს საწარმომ გააფორმა ხელშეკრულება 3 წლიან სესხზე და მიიღო 120 000 ლარი წლიური 12%-იანი განაკვეთით. ძირითადი თანხიდან თვეში დაარიცხეთ გადასახდელი 3,333 ლარი. ასახეთ: სესხის მიღება, მიმდინარე ნაწილის დარიცხვა, მიმდინარე წლის პროცენტის დარიცხვა და გადახდა.
10	შ.პ.ს. „აიაი“ 15 სექტემბერს მიიღო შეკვეთა 20 000 აშშ დოლარის საქონელზე და მიიღო ავანსად ეს თანხა. კურსი ამ დღისთვის იყო: 1\$ = 2.6 ლ. საქონლის მიწოდება მოხდა 1 ოქტომბერს. ამ დღისთვის კი ფიქსირებული კურსია 1\$ = 2.66 ლ. ასახეთ ანგარიშებზე.
11	საწარმო აწარმოებს უალკოჰოლო სასმელებს, რომლის მწარმოებელი პერსონალის დარიცხულმა ხელფასმა შეადგინა 5 000 ლარი. შეასრულეთ ხელფასისა და საშემოსავლოს დარიცხვისა და გადახდის ოპერაციები
12	კომპანიამ შეიძინა მიწის ნაკვეთი 22 000 ლარად, შუამავლის მომსახურებისთვის გადასახდელი აქვს 1 500 ლარი. ასახეთ დარიცხვა და გადახდა.
13	საწარმოს სს „თელასის“ მოხმარებული ელექტროენერგიისთვის გადასახდელი აქვს 354 ლარი. ასახეთ ვალდებულების დარიცხვა და გადახდა.
14	საწარმომ მეკავშირე საწარმოს კრედიტით მიჰყიდა 3 000 ლარის საქონელი 10 დღეში გადახდის პირობით. 10 დღის შემდეგ დაიფარა თანხა.
15	ვინ არის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტი?
16	როგორია საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები?
17	როდის ხდება საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის წარდგენა და გადახდა?

ლექცია №7

გრძელვადიანი ვალდებულებები

გრძელვადიან ვალდებულებებს მიეკუთვნება ვალდებულებები, რომლის დაფარვის ვადა 1 წელს აღემატება. მისი დამახასიათებელი თავისებურებაა ძირითად თანხასთან ერთად პროცენტის გადახდა. ასეთი შეიძლება იყოს: გასანაღდებელი ობლიგაციები, გასანაღდებელი თამასუქები, ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე, გრძელვადიანი სესხები და სხვ.

გრძელვადიანი ვალდებულების ძირითადი თანხა და მასზე დარიცხული პროცენტი თანაბარი სიდიდით აღირიცხება მსესხებლისა და კრედიტორის ანგარიშებზე. ეს თანხები განისაზღვრება სხვადასხვა პირობიდან გამომდინარე:

- გრძელვადიანი ვალდებულებების თანხა ტოლია ამ ვალდებულების სანაცვლოდ მიღებული აქტივების რეალური/საბაზრო ღირებულებისა;
- გრძელვადიან ვალდებულებებზე პროცენტის გადასახდელი თანხა განისაზღვრება ვალდებულების წარმოშობის თარიღისთვის საპროცენტო განაკვეთისა და პერიოდის დასაწყისში დავალიანების ნაშთის საფუძველზე;
- გრძელვადიანი ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ტოლია ყველა დარჩენილი გადასახდელის მიმდინარე ღირებულებისა, რომელიც მიიღება დავალიანების წარმოქმნის დროს მოქმედი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე გადასახდელი თანხის დისკონტირებით (დისკონტირება - კრედიტის ან ფულის მომავალი ღირებულების გაანგარიშება, რაიმე პერიოდის გასვლის შემდეგ).

გრძელვადიანი ვალდებულებების აღრიცხვა ხდება შემდეგ საბალანსო ანგარიშებზე:

- 4110 - გასანაღდებელი ობლიგაციები;
- 4120 - გასანაღდებელი თამასუქები;
- 4130 - ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე;
- 4140 - გრძელვადიანი სესხები;
- 4190 - სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები.

ობლიგაციების აღრიცხვა

საწარმოს დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა გრძელვადიანი სესხები ობლიგაციებისა და თამასუქების სახით.

ობლიგაცია ფასიანი ქაღალდია, რომელიც ადასტურებს მისი გამომშვების (ემიტენტის) სასესხო ვალდებულებას, განსაზღვრულ ვადაში გადაუხადოს მის მფლობელს - კრედიტორს ობლიგაციის ნომინალური ღირებულება და ფიქსირებული პროცენტი. ანუ ეს არის ობლიგაციების სახით საწარმოში ინვესტირებული თანხების გადახდის ვალდებულება.

ობლიგაციის მფლობელსა და ემიტენტს (გამომშვებს) შორის იდება ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მხარეების უფლებებს, შეზღუდვებს, პრივილეგიებსა და სხვა პირობებს.

პროცენტის გადახდა ხდება წელიწადში ორჯერ. არსებობს ორი სახის საპროცენტო განაკვეთი: ნომინალური და საბაზრო. ნომინალური საპროცენტო განაკვეთი აიღება ობლიგაციის ნომინალური ღირებულებიდან და უცვლელია ობლიგაციის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთი დგინდება ბაზარზე, ობლიგაციის საბაზრო ღირებულებიდან. საბაზრო საპროცენტო განაკვეთი ცვალებადია.

განვიხილოთ მაგალითი:

საწარმომ 2017 წლის 2 მარტს გაასხვისა 5 წლიანი ობლიგაცია და წარმოექმნა გრძელვადიანი ვალდებულება 100 000 ლარი საპროცენტო განაკვეთი 10%-ის ტოლია. მისი გადახდა ხდება წელიწადში ორჯერ, ხოლო ძირითადი თანხის დაფარვა მოხდება 5 წლის შემდეგ.

№	თარიღი	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	02/03/2017	1210	4110	100 000	გაცემულია ობლიგაციები
2	02/03/2017	8210	3410	10 000	პროცენტის დარიცხვა
3	02/09/2017	3410	1210	5 000	პროცენტის გადახდა
4	02/03/2022	4110	1210	100 000	ობლიგაციის დაფარვა

გასანადღებელი თამასუქები

გასანადღებელი თამასუქები წარმოადგენს საწარმოს წერილობით ვალდებულებას, რომ დათქმულ ვადაში გადაიხადოს ესა თუ ის ვალდებულება.

განვიხილოთ მაგალითი:

საწარმომ შეიძინა საქონელი სამ თვეში გადახდის პირობით 15 000 ლარად დღგ-ს გარეშე.

№	თარიღი	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	03/06/2017	1610	3110	15 000	საქონლის შეძენა
2	03/06/2017	3340	3110	2 700	გადახდილი დღგ

სამი თვის შემდეგ საწარმომ ვერ შეძლო დავალიანების გადახდა და მომწოდებელს წარუდგინა 3 წლიანი თამასუქი 17 700 ლარზე წელიწადში 5 900 ლარის გადახდის პირობით.

№	თარიღი	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	03/09/2017	3110	4120	17 700	გასანადღებელი თამასუქი
2	03/09/2017	4120	3230	5 900	მიმდინარე ნაწილის გამოყოფა
3	03/09/2017	3230	1210	5 900	მიმდინარე ნაწილის გადახდა

ანალოგიურად გატარდება მომდევნო ორი წლის თანხის გამოყოფა და გადახდა.

განვიხილოთ მაგალითი:

კომპანიამ 2 იანვარს შეიძინა 20 000 ლარად შეფასებული შესაფუთი დანადგარი, რაზეც გასცა თამასუქი 2 წლის ვადით, წლიური 10%-იანი განაკვეთით. ძირითადი თანხა გადახდილი იქნება 2 წლის შემდეგ, ხოლო საპროცენტო თანხა ყოველი წლის ბოლოს.

ავსახოთ პირველი წლის ოპერაციები:

№	თარიღი	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	02/01/2017	2150	4120	20 000	გასანადღებელი თამასუქი
2	02/01/2017	8210	3410	2 000	პროცენტის დარიცხვა
3	31/12/2017	3410	1210	2 000	პროცენტის გადახდა

ავსახოთ მეორე წლის ოპერაციები:

№	თარიღი	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	02/01/2018	8210	3410	2,000	პროცენტის დარიცხვა
2	02/12/2018	3410	1210	2,000	პროცენტის გადახდა
3	31/12/2018	4120	1210	20,000	სათამასუქო ვალდებულების დაფარვა

გრძელვადიანი სესხები აღირიცხება სხვა გრძელვადიანი ვალდებულებების ანალოგიურად.

განვიხილოთ მაგალითი:

აღებულია 2 წლიანი სესხი ბანკიდან 50,000 ლარი, წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 12%. ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდა ხელშეკრულების თანახმად განხორციელდება ყოველი წლის ბოლოს, საბანკო გაანგარიშება წლების მიხედვით ბანკმა მოგვანოდა შემდეგი სახით:

№	თარიღი	სრულად დასაფარი თანხა	ძირითადი თანხა	პროცენტი
1	31/12/2017	29,584.91	23,584.9	6,000
2	31/12/2018	29,584.91	26,415.1	3169.72
ჯამი		59,169.82	50,000.00	9,169.72

ბუღალტერიაში სესხის აღება და მასთან დაკავშირებული საკითხები აისახება შემდეგნაირად:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	01/01/2017	1210	4140	50,000	სასესხო ვალდებულება
2	01/01/2017	4140	3230	23,584.9	მიმდინარე ნაწილის გამოყოფა
3	01/01/2017	8210	3410	6,000	პროცენტის დარიცხვა
4	31/12/2017	3230	1210	23,584.9	მიმდინარე ნაწილის გადახდა
5	31/12/2017	3410	1210	6,000	პროცენტის გადახდა

საგარანტიო ანარიცხების აღრიცხვა

ანარიცხი წარმოადგენს პირობით ვალდებულებას, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა წინასწარ განსაზღვრული არ არის. იგი მაშინ აღიარდება, როდესაც საწარმოს აქვს მიმდინარე მოვალეობა, შესაძლებელია მათი საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება რესურსების გასვლა საწარმოდან.

პროდუქციის გაყიდვისას გაცემული გარანტია მოქმედებს საგარანტიო პერიოდის განმავლობაში. გარანტიის თანხა აისახება იმ პერიოდის ხარჯებში, როდესაც მოხდა ამ პროდუქციის რეალიზაცია. დანახარჯები მის შესრულებაზე გაიანგარიშება მიახლოებით, გამოცდილების საფუძველზე.

საგარანტიო მომსახურებაზე გასაწევი ხარჯები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აისახება.

განვიხილოთ მაგალითი:

საწარმომ გაყიდა 500 ცალი საქონელი 1 წლიანი საგარანტიო მომსახურებით 15 000 ლარად. საწარმო ვარაუდობს, რომ საგარანტიო მომსახურება იქნება რეალიზებული საქონლის 7%, შესაბამისად, საგარანტიო მომსახურების თანხა იქნება: $15\,000 \times 0.07 = 1\,050$ ლარი.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	31/12/2017	7390	3430	1 050	ვალდებულება საგარანტიო მომსახურებაზე

თუ საგარანტიო ვალდებულებაზე გაწეული ფაქტიური დანახარჯები მეტი აღმოჩნდება და შეადგენს მაგ.: 1200 ლარს, მაშინ ადგილი ექნება გატარებას:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	30/12/2018	7390	3430	150	საგარანტიო ვალდებულება
2	30/12/2018	3430	1690	1 200	ვალდებულების შესრულებაზე დახარჯული რესურსები

თუ საგარანტიო ვალდებულებაზე გაწეული ფაქტიური დანახარჯები ნაკლები აღმოჩნდება და აღარ არის მოსალოდნელი ვალდებულების დასაფარად რესურსების გასვლა, უნდა მოხდეს უკუგატარება. მაგ.: ფაქტიური დანახარჯები აღმოჩნდა 1000 ლარი:

№	თარიღი	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	30/12/2018	3430	7390	50	ხარჯების შემცირება
2	30/12/2018	3430	1690	1 000	ვალდებულების შესრულებაზე დახარჯული რესურსები

ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე

იჯარა არის მხარეთა ურთიერთშეთანხმება, რომლის თანახმად მეიჯარე, საიჯარო გადასახდელის ან გადასახდელის სერიის მიღების მიზნით, მოიჯარეს გადასცემს აქტივის გამოყენების უფლებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში.

ბასს-ი გამოყოფს ორი სახის იჯარას, ესენია:

- ა) ფინანსური იჯარა;
- ბ) ჩვეულებრივი იჯარა.

ასეთი კლასიფიკაცია ეყრდნობა იმას, თუ როგორ არის განაწილებული იჯარით გაცემულ აქტივთან დაკავშირებული რისკები და ეკონომიკური სარგებელი მეიჯარესა (ქონების გამცემსა) და მოიჯარეს (ქონების მიმღებს) შორის. რისკი გულისხმობს სიმძლავრეთა მოცდენისა და ტექნიკურად მოძველების გამო ზარალის მიღების ალბათობას; ეკონომიკური სარგებელი კი არის აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადაში მომგებიანი ოპერაციებიდან შემოსავლის მიღების ალბათობა.

ფინანსური იჯარა გულისხმობს აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე, საკუთრების უფლება შეიძლება გადაეცეს, შეიძლება არა.

ჩვეულებრივი (საოპერაციო) იჯარა ისეთი ტიპის იჯარაა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად.

ყველა იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად, წარმოადგენს ჩვეულებრივ იჯარას. ფინანსურ იჯარად კლასიფიკაციის საფუძველი

- ა) იჯარის ხელშეკრულების თანახმად მოიჯარეს გადაეცემა აქტივის საკუთრების უფლება იჯარის ვადის დამთავრების შემდეგ;
- ბ) მოიჯარეს უფლება აქვს აქტივი შეიძინოს ისეთი ფასით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად დაბალი იქნება აქტივის რეალურ ღირებულებაზე [იმ რეალურ ღირებულებაზე, რომელიც აქტივს ექნება უფლების გამოყენების მომენტში, ხოლო იჯარის დასაწყისისთვის არსებობს გონივრული რწმენა, რომ ეს უფლება გამოყენებული იქნება];
- გ) იჯარის ვადა მოიცავს აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის ძირითად ნაწილს მაშინაც კი, როდესაც საკუთრების უფლების გადაცემა არ ხდება;
- დ) იჯარის ვადის დასაწყისისთვის მინიმალური საიჯარო გადასახდელის დისკონტირებული ღირებულება (შემცირებული მიმდინარე ღირებულება) შეადგენს იჯარით გაცემული ძირითადი საშუალების პრაქტიკულად მთლიან რეალურ ღირებულებას.

ფინანსური იჯარის თავდაპირველი აღიარება უნდა მოხდეს აქტივისა და შესაბამისი ვალდებულების სახით, საიჯარო აქტივის რეალურ ღირებულებასა და საიჯარო გადასახდელის დისკონტირებულ ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ აქტივმა შეიძლება შეინარჩუნოს ეკონომიკური აქტივის მეიჯარისთვის სარგებლის მოტანის უნარი, რასაც ნარჩენი ღირებულება ეწოდება.

გარანტირებული ნარჩენი ღირებულება მოიჯარისთვის არის ნარჩენი ღირებულების ის ნაწილი, რომელიც გარანტირებულია მოიჯარის მიერ.

განვიხილოთ მაგალითი:

შენობა, რომლის რეალური ღირებულება 65 000 ლარია, გაიცა 5 წლიანი იჯარით. ყოველწლიური გადასახადი 15 000 ლარია. იჯარის ვადის ბოლოს აქტივი უბრუნდება მეიჯარეს, რომლის გარანტირებული ნარჩენი ღირებულება იქნება 8 000 ლარი, მაგრამ საიჯარო ვადის ამოწურვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ აქტივის რეალურ ღირებულება 5 000 ლარია.

ამ შემთხვევაში საიჯარო პერიოდის განმავლობაში მოიჯარე მეიჯარეს გადაუხდის საიჯარო გადასახდელებს წელიწადში 15 000 ლარის ოდენობით და ნარჩენი ღირებულების შემცირებისთვის 3 000 ლარს, რადგან ხელშეკრულებით მოიჯარეს თავის თავზე აქვს აღებული ნარჩენი ღირებულების შემცირების რისკი.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	15/06/2017	2320	2130	65 000	აქტივის გაცემა იჯარით

განვიხილოთ მაგალითი:

იჯარით გაიცა აქტივი, რომლის რეალური ღირებულება 135 000 ლარია, იჯარის ვადა 10 წელი. ყოველი წლის ბოლოს გადასახდელია 17 000 ლარი.

საიჯარო აქტივის იჯარით გადაცემა, იჯარის ძალაში შესვლის თარიღით, ბუღალტრულად გატარდება:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	15/06/2017	2320	2150	135 000	აქტივის გაცემა

მინიმალური საიჯარო გადასახდელების (რომელსაც ანუიტეტსაც უწოდებენ) მიმდინარე (დისკონტირებული) ღირებულება გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$PVA = \frac{\left[1 - \frac{1}{(1+r)^n}\right]}{r}$$

სადაც PVA მინიმალური საიჯარო გადასახდელების (ანუიტეტის) მიმდინარე ღირებულებაა, r - პროცენტი, ხოლო n - პერიოდი.

მთლიანი საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ღირებულების გასაანგარიშებლად გამოვიყენებთ შემდეგ ფორმულას:

$$PV = FV \left[\frac{1}{(1+r)^n} \right]$$

ზემოთ მოცემული ფორმულები განვიხილოთ მაგალითის საფუძველზე:

საწარმომ ფინანსური იჯარით მიიღო შენობა. ხელშეკრულების პირობები შემდეგია:

- ვალდებულების საერთო თანხა 45 000 ლარი;
- იჯარის ვადა - 3 წელი;
- საპროცენტო განაკვეთი - 10%;
- ყოველწლიურად გადასახდელი თანხა - 15 000 ლარი.

თუ დისკონტირების პროცენტის გამოსათვლელად ზემოთ მოცემულ ფორმულაში ჩავსვათ შესაბამის მნიშვნელობებს. მივიღებთ:

$$PVA = \frac{\left[1 - \frac{1}{(1+0.1)^3}\right]}{0.1} = 2.4869$$

საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ღირებულება იქნება: $15\,000 \times 2.4869 = 37\,303$.

წლები	საიჯარო ვალდებულება	საპროცენტო ხარჯი
I	$PV = 15\,000 \left[\frac{1}{(1+0.1)^3} \right] = 11\,270$	$15\,000 - 11\,270 = 3\,730$
II	$PV = 15\,000 \left[\frac{1}{(1+0.1)^2} \right] = 12\,397$	$15\,000 - 12\,397 = 2\,603$
III	$PV = 15\,000 \left[\frac{1}{(1+0.1)} \right] = 13\,636$	$15\,000 - 13\,636 = 1\,364$
ჯამი	37 303	7 697

მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ საიჯარო ვალდებულების თანხა (ჩვენს შემთხვევაში, 45 000 ლარი) შედგება ორი ნაწილისაგან: ძირითადი თანხისაგან (37 303) და პროცენტისაგან (7 697). ამასთან, საპროცენტო

ბუღალტრული აღრიცხვა

ხარჯი განაწილებულია იჯარის მთელ ვადაზე, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულების ნაშთის მიმართ მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (10%) გამოყენებით.

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ოპერაციები ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება შემდეგნაირად: მოიჯარესთან: შენობის მიღება მიმდინარე ღირებულებით:

№	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	2130	4130	37 303	შენობის მიღება მიმდინარე ღირებულებით
2	4130	3230	11 270	მიმდინარე ნაწილის გამოყოფა
3	8210	3410	3 730	გადასახდელი პროცენტის ხარჯად აღიარება
4	3230	1210	11 270	საიჯარო ვალდებულების გადახდა
5	3410	1210	3 730	პროცენტის გადახდა

მსგავსი გატარებები (გარდა პირველი ოპერაციისა) შესრულდება ყოველწლიურად.

შენობის იჯარით გაცემის შემთხვევაში მეიჯარესთან შესრულდება შემდეგი გატარებები:

№	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	2320	2130	37,303	ფინანსურ იჯარასთან დაკავშ. მოთხოვნები
2	1470	2320	11,270	მიმდინარე ნაწილის გამოყოფა
3	1820	8110	3,730	მისაღები პროცენტის შემოსავლად აღიარება
4	1210	1470	11,270	საიჯარო შემოსავლის მიღება
5	1210	1820	3,730	პროცენტის მიღება

მსგავსი გატარებები (გარდა პირველი ოპერაციისა) შესრულდება ყოველწლიურად.

ჩვეულებრივი იჯარის აღრიცხვა

თუ აქტივის გადაცემით მეიჯარეს არ გადაეცემა ამ აქტივთან დაკავშირებული რისკი და სარგებელი, ადგილი აქვს ჩვეულებრივ იჯარას. ეს ნიშნავს, რომ მეიჯარე შემოსავლების მიღების მიზნით დროებით სარგებლობაში გადასცემს აქტივს მოიჯარეს.

საიჯარო გადასახადი მეიჯარისათვის არის შემოსავალი, ხოლო მოიჯარისათვის-ხარჯი, რაც აისახება მათ ფინანსურ ანგარიშგებაში. ჩვეულებრივი იჯარის დროს აქტივი აისახება მეიჯარის ბალანსზე. მას ჩვეულებრივ ერიცხება ცვეთა.

განვიხილოთ მაგალითი:

კომპანიამ დაიქირავა შენობის ფართი, რომლის საიჯარო თანხა შეადგენს თვეში 2000 ლარს. გადახდა ხდება ყოველი კვარტლის ბოლოს.

ყოველთვიურად გადასახდელი იჯარის თანხა აღიარდება ხარჯად.

იჯარის დარიცხვასა და გადარიცხვაზე გვექნება გატარებები:

№	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	7420	3190	2,000	იჯარის დარიცხვა
2	3190	1210	2,000	საიჯარო ვალდებულების დაფარვა

საგადასახადო კოდექსის განმარტებები

შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები

[სსკ მ.105]

ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის მიღებასთან, გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც საგადასახადო კოდექსის თანახმად გამოქვითვას არ ექვემდებარება.

თუ საგადასახადო კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყველა ხარჯი დოკუმენტურად უნდა იყოს დადასტურებული.

ძირითად საშუალებათა შეძენის, დადგმისა და სხვა კაპიტალიზებადი ხარჯები გამოიქვითება ეტაპობრივად, ამორტიზაციის ანარიცხების სახით, გარდა გადასახადის გადამხდელის მიერ საამორტიზაციო ანარიცხების სრული გამოქვითვის უფლების გამოყენების შემთხვევისა.

გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს:

- ა) მისთვის საქონლის/მომსახურების მიწოდების (მათ შორის, უსასყიდლოდ) შედეგად წარმოშობილი სარგებელი, საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით, იმ საანგარიშო წელს, როდესაც ეს საქონელი/მომსახურება გამოყენებული იქნება ეკონომიკურ საქმიანობაში;
- ბ) რეკლამის მიზნით, უსასყიდლოდ გავრცელებულ, დამოუკიდებელი სამომხმარებლო მახასიათებლების მქონე საქონელზე დარიცხული დღგ-ის თანხა, თუ ამ ოპერაციაზე არ არის გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;
- გ) წილობრივი ფასიანი ქაღალდების ან/და საერთაშორისო დეპოზიტარული ხელწერილების საფონდო ბირჟაზე (მათ შორის, უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე) განთავსებასთან და გამოშვებასთან, აგრეთვე ლისტინგის კატეგორიის/რეჟიმის ცვლილებასთან დაკავშირებული დანახარჯები. (*„გ“ ქვეპუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2012 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე*)

საქართველოს ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს, განსაზღვროს:

- ა) ცალკეული შემთხვევები, როდესაც ხარჯის დოკუმენტურად დადასტურება სავალდებულო არ არის;
- ბ) დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების გაუთვალისწინებლად ჩაითვლება ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტებად.

განვიხილოთ მაგალითი:

საწარმომ უსასყიდლოდ მიიღო 10,000 ლარის საბაზრო ღირებულების სარეკლამო მომსახურება.

მოცემულ შემთხვევაში, 10,000 ლარით გაიზრდება წლის ერთობლივი შემოსავალი და იგივე თანხა იმავე წელს გამოქვითვას დაექვემდებარება სრულად.

[სსკ მ.106]

ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება:

- ის ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, გარდა:
 - საგადასახადო კოდექსის 117-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა;
 - საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ სახელმწიფოსათვის ან/და ადგილობრივი თვითმმართველობისათვის საქონლის უსასყიდლოდ მიწოდების ან/და მომსახურების უსასყიდლოდ გაწევის შემთხვევისა;
- გართობაზე გაწეული ხარჯები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადასახადის გადამხდელი ახორციელებს გართობითი ხასიათის ეკონომიკურ საქმიანობას და ხარჯები გაწეულია ასეთი საქმიანობის ფარგლებში;
- ფიზიკური პირის მიერ პირადი მოხმარებისათვის გაწეული ხარჯები, ლატარიებიდან, კაზინოებიდან (სამორინეებიდან), აზარტული ან სხვა მომგებიანი თამაშობებიდან მიღებულ მოგებებთან დაკავშირებული ხარჯები ან ხელფასის სახით შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები;

- მოგების გადასახადის ან საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლებული შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა ამ მუხლის შენიშვნით გათვალისწინებული შემთხვევისა;
- იმ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი, რომელიც მოგების გადასახადის მიზნებისათვის არ ითვლება მიწოდებად ან რომლის მიწოდებისას შესაბამისი შემოსავალი/საბაზრო ფასი საგადასახადო კოდექსის მე-100 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად არ ექვემდებარება ერთობლივ შემოსავალში ასახვას, გარდა იმავ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა; **(გავრცელდეს 2013 წლის 31 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)**
- მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისაგან შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ სტატუსის მქონე პირის მიერ საქონლის მიწოდებით/მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლები საერთო წესით იბეგრება;
- ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისგან ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის (გარდა საგადასახადო კოდექსის 95³ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განაკვეთით დასაბეგრი საქმიანობისა) ფარგლებში შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი;
- ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირის მიერ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობასა და დამატებით განხორციელებულ საქმიანობას შორის გაუმიჯნავი ხარჯები.

შენიშვნა: საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“⁵ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირს უფლება აქვს, გამოქვითოს გათავისუფლებული შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები. ამ უფლების გამოყენების შემთხვევაში პირი ვალდებულია საშემოსავლო გადასახადით დაბეგროს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლებული შემოსავალი.

[სსკ მ.107]

1. 107-ე მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, კრედიტისათვის (სესხისთვის) გადახდილი ან/და გადასახდელი (დარიცხვის მეთოდის გამოყენების მიხედვით) პროცენტები გამოიქვითება არა უმეტეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წლიური პროცენტის ფარგლებში, შესაბამისი პერიოდის პროპორციულად.
2. საწარმოში, რომლის წილის (აქციების) 20 პროცენტზე მეტი პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებულ იურიდიულ პირს, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გამოსაქვითი პროცენტების თანხის ზღვრული ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გადამხდელის მიერ პროცენტის სახით მიღებული ნებისმიერი შემოსავლის თანხისა და პროცენტის სახით მიღებული შემოსავლისა და პროცენტის სახით გაწეული ხარჯის გაუთვალისწინებლად განსაზღვრული დასაბეგრი მოგების 50 პროცენტის ოდენობის თანხის ჯამს.

[სსკ მ.108]

1. გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, გამოქვითოს რეალიზებულ საქონელთან და მომსახურებასთან დაკავშირებული უიმედო ვალები, რომელთა მიხედვით მისაღები შემოსავლები წინა საანგარიშო პერიოდებში შეტანილი იყო ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ ერთობლივ შემოსავალში.

⁵ 2018 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს

2. უიმედო ვალების გამოქვითვა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება ჩამოწერილია და ასახულია გადასახადის გადამხდელის საბუღალტრო ანგარიშგებაში.

[სსკ მ.116]

ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ პირს უფლება აქვს, გამოქვითოს წარმომადგენლობითი ხარჯები არა უმეტეს საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავლის 1 პროცენტის ოდენობით.

წარმომადგენლობითი ხარჯი – პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯი, რომელიც მოიცავს:

- ა) პირის სახელით გამართული ღონისძიებებისათვის (პრეზენტაციები, მიღებები) გათვალისწინებულ (წვენები, მინერალური წყლები, გამაგრებელი სასმელები, ჩაი, ყავა, საუზმე, სადილი, ვახშამი, ბანკეტი) ხარჯებს;
- ბ) საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების ხარჯებს;
- გ) სუვენირების შეძენის ხარჯებს;
- დ) სტუმრების მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯებს, მათ შორის:
 - დ.ა) საკონსულო მომსახურების (ვიზების გაფორმება, ვადის გაგრძელება) ხარჯებს;
 - დ.ბ) აეროპორტში დახვედრისა და გაცილების (VIP-დარბაზის მომსახურება) ხარჯებს;
 - დ.გ) სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებს;
 - დ.დ) სასტუმრო მომსახურების (ადგილების დაჯავშნა, ცხოვრების ღირებულება) ხარჯებს;
 - დ.ე) მიღებებისა და წვეულებებისათვის გათვალისწინებულ (წვენები, მინერალური წყლები, გამაგრებელი სასმელები, ჩაი, ყავა, საუზმე, სადილი, ვახშამი, ბანკეტი) ხარჯებს.

იმისათვის, რომ ფიზიკური პირი ითვლებოდეს წარმომადგენლად, მას უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი პირისგან შესაბამისი უფლებამოსილება.

საკუთარი მუშაკებისთვის გამართული ღონისძიება (მაგალითად, საახალწლო წვეულება) წარმომადგენლობითი კატეგორიაში არ ხვდება, ვინაიდან ღონისძიებაზე ყოფნისას მუშაკი სხვა პირს არ წარმოადგენს.

იმისათვის, რომ ხარჯები აღიარდეს წარმომადგენლობითად, სასურველია შესაბამისი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა. უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი საბუთი უნდა ადგენდეს ღონისძიების მიზანს, სახეობას, მის მიმდინარეობას დროსა და სივრცეში, სტუმრების ვინაობას, ღონისძიებაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობასა და დავალების შესრულებაზე საბუთის შექმნის შესახებ მის ვალდებულებას, დასახარჯი თანხის ლიმიტს და ა.შ.

[სსკ მ.117]

ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება საწარმოს/მეწარმე ფიზიკური პირის მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული თანხა, აგრეთვე ერთობლივ შემოსავალში ასახული უსასყიდლოდ მიწოდებული საქონლის (გარდა უძრავი ქონებისა)/გაწეული მომსახურების საბაზრო ფასი, მაგრამ არაუმეტეს ერთობლივი შემოსავლიდან საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების (ამ მუხლით გათვალისწინებული გამოქვითვის გარეშე) შემდეგ დარჩენილი თანხის 10 პროცენტისა.

მაგალითად, კონკრეტულ საგადასახადო წელს:

- საწარმოს ერთობლივი შემოსავალი შეადგენს X ლარს;
- კოდექსით ნებადართული გამოქვითვები (საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული თანხების გარეშე) შეადგენს Y ლარს.

მოცემულ შემთხვევაში საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული თანხები გამოიქვითება შემდეგი წესით გამოანგარიშებული თანხის ფარგლებში:

$(X-Y) \times 10\%$, სადაც $X > Y$.

[სსკ მ.118]

დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე დამზღვევთა ან/და დაზღვეულთა მიერ გადახდილი ან/და გადასახდელი (დარიცხვის მეთოდის გამოყენების მიხედვით), ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სადაზღვევო შენატანები, გარდა დაზღვეულის მიერ საპენსიო დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით გადახდილი სადაზღვევო შენატანებისა, ექვემდებარება გამოქვითვას.

[სსკ მ.120]

გადასახადები და ჯარიმები, რომლებიც არ გამოიქვითება:

- ა) მოგების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი, რომლებიც გადახდილია ან გადასახდელია საქართველოში ან სხვა სახელმწიფოში, გარდა ფიზიკური პირის მიერ სარგებლის (გარდა დაქირავებით მუშაობით და ეკონომიკური საქმიანობით მიღებულისა) მიღებასთან დაკავშირებით გადახდილი საშემოსავლო გადასახადისა. ამ შემთხვევაში ქონების რეალიზაციით მიღებული შემოსავლის შესაბამისად გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის თანხა მცირდება ამ ქონების მიხედვით გადახდილი (მათ შორის, წინა საგადასახადო პერიოდებში) საშემოსავლო გადასახადის თანხით;
- ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და გადასახადის გადამხდელის მიერ ბიუჯეტში გადახდილი ან გადასახდელი სანქციის/ჯარიმის თანხები.

[სსკ მ.121]

ზარალის გადატანა:

1. მეწარმე ფიზიკური პირის მიერ აქტივის (გარდა ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული აქტივისა) რეალიზაციით მიღებული ზარალის კომპენსაცია ხდება იმავე სახის აქტივის რეალიზაციით მიღებული ღირებულების ნამეტით. თუ ზარალის კომპენსაცია იმავე წელს შეუძლებელია, ზარალი მომდევნო წელს არ გადაიტანება.
2. საგადასახადო წლის განმავლობაში ფიზიკური პირის (გარდა მეწარმე ფიზიკური პირისა) მიერ აქტივის რეალიზაციით მიღებული ზარალის კომპენსაცია ხდება იმავე სახის აქტივის რეალიზაციით მიღებული ნამეტით. ამასთანავე, თუ ზარალის კომპენსაცია იმავე წელს შეუძლებელია, ზარალი მომდევნო წელს არ გადაიტანება.
3. მეწარმე ფიზიკური პირის მიმართ გამოქვითვების გადამეტება ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ ერთობლივ შემოსავალზე, რომელიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან, არ გამოიქვითება ამ პირის მიერ მიღებული ხელფასის ხარჯზე. იგი გადაიტანება 5 წლამდე ვადით და დაიფარება მომავალი პერიოდების ერთობლივი შემოსავლის გამოქვითვებზე გადამეტების ხარჯზე, რომელიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან.
4. იურიდიული პირის მიმართ გამოქვითვების გადამეტება ერთობლივ შემოსავალზე გადაიტანება 5 წლამდე ვადით და დაიფარება მომავალი პერიოდების ერთობლივი შემოსავლის გამოქვითვებზე გადამეტების ხარჯზე.
5. საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების ერთობლივ შემოსავალზე გადამეტება გადატანას არ ექვემდებარება, თუ იგი წარმოშობილია ფინანსური ინსტიტუტის მიერ საერთაშორისო ფინანსური კომპანიის სტატუსით სარგებლობის პერიოდში.

[სსკ მ.122]

1. პირს უფლება აქვს, საგადასახადო კოდექსის 121-ე მუხლით განსაზღვრული ზარალის გადატანის 5-წლიანი ვადა შეცვალოს ზარალის გადატანის 10-წლიანი ვადით. აღნიშნულის თაობაზე პირმა საგადასახადო კოდექსის 121-ე მუხლით განსაზღვრული ზარალის გადატანის 5-წლიანი ვადის გასვლამდე განცხადებით უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილის დებულების გამოყენებისას პირს ზარალის დაფარვის შემთხვევაში უფლება აქვს, არჩეული ზარალის გადატანის 10-წლიანი ვადა კვლავ შეცვალოს ზარალის გადატანის 5-წლიანი ვადით, რისთვისაც მან ზარალის დაფარვიდან ნებისმიერ შემდგომ საგადასახადო წელს საგადასახადო ორგანოს უნდა აცნობოს ისევ 5-წლიან ვადაზე გადასვლის შესახებ.

სამოქალაქო კოდექსის განმარტებები

ხელშეკრულების დადება, შეცვლა და ხელშეკრულებიდან გასვლა

ხელშეკრულება გარიგების ერთ-ერთი მეტად გავრცელებული სახეა. იგი ორმხრივი გარიგებაა და ეფუძნება სამართლიანობის პრინციპს. ხელშეკრულების მხარეებს ეწოდებათ კრედიტორი და მოვალე. კრედიტორი არის ის, ვინც უფლებამოსილია ხელშეკრულების მეორე მხარეს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება. მოვალე არის ის, ვინც კრედიტორის მოთხოვნისთანავე უნდა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება.

საპირისპირო მხარეს ხელშეკრულებაში ზოგჯერ „კონტრაგენტსაც“ უწოდებენ.

[სსკ მ.327]

ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.

არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება. ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზედაც.

მხარეებმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დათქმულ დროსა და ადგილას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად უნდა შეასრულონ.

ვალდებულების შესრულების ადგილისა და დროის განსაზღვრა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია.

მაგალითად: შპს „ივერიას“ შპს „ორბისაგან“ ხის მასალა უნდა მიეღო თბილისში, „ორბმა“ კი მასალა ჩაიტანა მცხეთაში. „ივერიას“ უფლება აქვს უარი თქვას შესრულების მიღებაზე და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

[სსკ მ.329]

ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება (ოფერტი) ითვლება შეთავაზებულად, თუ ამ წინადადებაში, რომელიც მიმართულია ერთი ან რამდენიმე პირისადმი, გამოხატულია, რომ წინადადების მიმცემი (ოფერენტი) თანხმობის (აქცეპტის) შემთხვევაში მზადაა შეასრულოს თავისი წინადადება.

წინადადება, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, წარმოადგენს მოწვევას ოფერტზე, თუ ამ წინადადებაში სხვა რამ არ არის პირდაპირ მითითებული

[სსკ მ.416]

სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებებია: ზიანის ანაზღაურება, პირგასამტეხლოს გადახდა, ბეს გადახდა და სხვ., რომლებიც მხოლოდ მაშინ გამოიყენება, თუ ისინი ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული, ხოლო ზიანის ანაზღაურება - ნებისმიერ შემთხვევაში.

ნასყიდობის ხელშეკრულება ხელშეკრულების ერთ-ერთი უძველესი ფორმაა.

[სსკ მ.477]

ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საჭიონელი. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. თუ ხელშეკრულებაში ფასი პირდაპირ არ არის მითითებული, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მისი განსაზღვრის საშუალებებზე.

ნასყიდობის ობიექტი უნდა იყოს ნივთობრივად (ხარისხით) და უფლებრივად (მესამე პირის პრეტენზიისაგან თავისუფალი) უნაკლო.

ნივთის გადაცემად მიიჩნევა შემძენისთვის ნივთის პირდაპირ მფლობელობაში ჩაბარება. უძრავი ნივთის გაყიდვის ხარჯებს ანაზღაურებს მყიდველი.

ქირავნობა - ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით. დამქირავებელი მოვალეა გამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა [სსკ მ.531]. გამქირავებელი მოვალეა გადასცეს დამქირავებელს გაქირავებული ნივთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისთვის ვარგის მდგომარეობაში და ქირავნობის მთელი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს ნივთის ეს მდგომარეობა. გამქირავებელმა უნდა გადასცეს დამქირავებელს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი. გაქირავებული ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ მას აქვს დათქმული თვისებები. თუ ეს თვისებები არ არის დათქმული, მაშინ გაქირავებული ნივთი მიიჩნევა უნაკლოდ, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის.

იჯარა ქირავნობის მსგავსად წარმოადგენს ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემას.

[სსკ მ.581]

იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე (ქონების გამცემი) მოვალეა გადასცეს მოიჯარეს (ქონების მიმღებს) განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძღოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზედაც.

იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, სამოქალაქო კოდექსის [თუ 581 – 606-ე](#) მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს უფლება

[სმკ მ.35]

1. დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი.
2. დამსაქმებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში მიაწოდოს დასაქმებულს მის ხელთ არსებული სრული, ობიექტური და გასაგები ინფორმაცია ყველა იმ ფაქტორის შესახებ, რომლებიც მოქმედებს დასაქმებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებაზე.
3. დასაქმებულს უფლება აქვს უარი განაცხადოს იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, ან შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობის გამო აშკარა და არსებით საფრთხეს უქმნის მის ან მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას. დასაქმებული ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს დამსაქმებელს იმ გარემოების შესახებ, რომლის გამოც იგი უარს ამბობს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.
4. დამსაქმებელი ვალდებულია დანერგოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი პრევენციული სისტემა და დროულად მიაწოდოს დასაქმებულს სათანადო ინფორმაცია შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკებისა და მათი პრევენციის ზომების, აგრეთვე საფრთხის შემცველ აღჭურვილობასთან მოპყრობის წესების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს დასაქმებული პერსონალური დამცავი აღჭურვილობით, სახიფათო მოწყობილობა ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად დროულად შეცვალოს უსაფრთხოთი ან ნაკლებად სახიფათოთი, მიიღოს ყველა სხვა გონივრული ზომა დასაქმებულის უსაფრთხოებისათვის და მისი ჯანმრთელობის დასაცავად.
5. დამსაქმებელი ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა საწარმოო შემთხვევის შედეგების დროული ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციისათვის, პირველადი დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციისათვის.
6. დამსაქმებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით მიყენებული ზიანი და აუცილებელი მკურნალობის ხარჯები.
7. დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს ორსული ქალის დაცვა ისეთი შრომისაგან, რომელიც საფრთხეს უქმნის მის ან ნაყოფის კეთილდღეობას, ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას.
8. მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა ნუსხა, შრომის უსაფრთხოების წესები, მათ შორის, დამსაქმებლის ხარჯით დასაქმებულის სავალდებულო პერიოდული სამედიცინო შემოწმების შემთხვევები და წესები, განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

კითხვები და ამოცანები თვითშემოწმებისთვის

№	კითხვა/ამოცანა
1	რა არის ობლიგაცია?
2	რა არის თამასუქი?
3	როგორ ხდება საგარანტიო ანარიცხების აღრიცხვა?
4	განმარტეთ რა განსხვავებაა ფინანსურ და ჩვეულებრივ იჯარას შორის
5	საწარმოს აღებული აქვს შენობა იჯარით, 5 წლიანი ვადით. ბანკის მიერ გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 17%-ს. ყოველთვიურად საწარმოს გადასახდელი თანხა 500 ლარია. გადახდა უნდა მოხდეს ყოველი წლის ბოლოს. რას უდრის მომავალში გადასახდელი თანხების მიმდინარე ღირებულება?
6	კომპანიამ გააქირავა შენობის ფართი, რომლის საიჯარო გადასახდელი შეადგენს თვეში 2 000 ლარს, გადახდა ხდება ყოველი კვარტლის ბოლოს. ფართის ცვეთის წლიური თანხა შეადგენს 3 000 ლარს. როგორ აისახება მოცემული ოპერაციები მოიჯარესთან ჩვეულებრივი იჯარის შემთხვევაში?
7	როგორ აისახება მე-6 დავალებაში მოცემული გატარებები მეიჯარესთან?
8	გაცემულია მანქანა-დანადგარები იჯარით 75 000 ლარად. პირველი წლის მოთხოვნის ნაწილი 8 388 ლარია, ხოლო საპროცენტო შემოსავალი 5 250 ლარი. ასახეთ [ფინანსური იჯარის შემთხვევაში] მანქანა-დანადგარების იჯარით გაცემის, მიმდინარე გადასახდელების დარიცხვისა და მიღების ოპერაციები.
9	მე-8 მაგალითის მიხედვით ასახეთ მოიჯარის ოპერაციები მანქანა-დანადგარების აღებასთან დაკავშირებით.
10	წარმომადგენლობითი ხარჯები რამდენი პროცენტით შეუძლია გამოიქვითოს საწარმოს ერთობლივი შემოსავლიდან?
11	საწარმოს შეუძლია თუ არა უსასყიდლოდ მიწოდების გამოქვითვა ერთობლივი შემოსავლიდან? რა თანხით ხდება უსასყიდლოდ მიწოდების აღრიცხვა?
12	შეუძლია თუ არა მეწარმე სუბიექტს ზარალის გადატანა მომავალ წელს?
13	როდის ითვლება ხელშეკრულება დადებულიად?
14	რა ვალდებულება ეკისრება დამსაქმებელს შრომის პირობების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით?

ლექცია №8

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

ძირითადი საშუალებები წარმოადგენს მატერიალურ აქტივებს, რომლებიც იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის და გათვალისწინებულია ერთ წელზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს აჯგუფებენ მათი ბუნებისა და ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით შემდეგ საბალანსო კოდებზე:

- 2110 - მიწის ნაკვეთები;
- 2120 - დაუმთავრებელი მშენებლობა;
- 2130 - შენობები;
- 2140 - ნაგებობები;
- 2150 - მანქანა-დანადგარები;
- 2160 - ოფისის აღჭურვილობა;
- 2170 - ავეჯი და სხვა ინვენტარი;
- 2180 - სატრანსპორტო საშუალებები;
- 2190 - იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა.

ძირითადი საშუალებები გარდა იმისა, რომ იმყოფება საწარმოს განკარგულებაში, უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს. ბასს-ის მიხედვით, ძირითადი საშუალების ღირებულება უნდა აღიარდეს აქტივად, თუ:

- ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- ბ) საწარმოსთვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებების შეძენა, მონტაჟი

განვიხილოთ მაგალითი:

საწარმომ საქონლის გადასაზიდად შეიძინა 15 000 ლარად ღირებული ავტომობილი. იგი აკმაყოფილებს ყველა კრიტერიუმს: იმყოფება საწარმოს მფლობელობაში, გამოიყენება მომსახურების გასაწევად, გამოყენებული იქნება ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, საწარმო მისი გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და მისი ღირებულება საიმედოდაა შეფასებული. ამდენად, საწარმომ იგი უნდა აღიაროს ძირითად საშუალებად.

განვიხილოთ მაგალითი:

სტომატოლოგიურმა კლინიკამ შეიძინა მცირეფასიანი იარაღები (მაშები, საბჟენები, ბუნიკები). დამხმარე ნაწილების საკითხის განსჯის დროს საწარმომ გამოიყენა არსებითობის პრინციპი და მცირე ღირებულების სათადარიგო ნაწილები მიაკუთვნა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს (მარაგებს).

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, თავდაპირველად უნდა შეფასდეს პირვანდელი ღირებულებით. ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება მოიცავს:

1. მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი ფასდათმობის გარეშე;
2. ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.
3. აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯებს, თუ საწარმო იღებს ასეთ ვალდებულებას შეძენის მომენტში.

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არ მოიცავს:

- ახალი სიმძლავრეების, პროდუქციისა და მომსახურების ათვისების დანახარჯებს;
- პერსონალის სწავლებისა და რეკლამის დანახარჯებს;
- ადმინისტრაციულ და სხვა ზედნადებ დანახარჯებს.

ძირითადი საშუალება შემოსავალში აიღება შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე, როგორც: სასაქონლო ზედნადები, შესყიდვის აქტი, ანგარიშ-ფაქტურა და ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

თითოეული ძირითადი საშუალება აღირიცხება ცალკე ერთეულად და ენიჭება საინვენტარო ნომერი. მასზე იხსნება საინვენტარო ბარათი, სადაც მიეთითება ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები, მწარმოებლის დასახელება, წარმოების წელი, საქარხნო ნომერი, ცვეთის ტიპი, ცვეთის პროცენტი, პასუხისმგებელი პირი.

განვიხილოთ მაგალითი:

საწარმომ შეიძინა სახარატო დაზგა მომწოდებლისგან 2 600 ლარად დღგ-ს გარეშე, დღგ-ს თანხა 468 ლარია, ტრანსპორტირების ხარჯი 150 ლარი, მონტაჟის ხარჯი 200 ლარი.

დაზგის პირვანდელი ღირებულება შეადგენს: $(2\,600 + 150 + 200) = 2\,950$.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/11/2017	2150	3190	2,600	დაზგის შეძენა
2	10/11/2017	3340	3190	468	დაზგის ჩასათვლელი დღგ
3	10/11/2017	2150	3192	150	ტრანსპორტირების ღირებულება
4	10/11/2017	2150	3191	200	მონტაჟის ღირებულება

ერთ-ერთ მნიშვნელოვან გრძელვადიან აქტივს წარმოადგენს მიწა, რომლის მომსახურების ვადა განუსაზღვრელია. მიწის ნაკვეთის შეძენის დროს მისი ღირებულების გარდა გასაწევია სხვადასხვა ხარჯი: უძრავი ქონების აგენტების, ადვოკატების, მიწის ნაკვეთის გაწმენდის და მოსწორების ხარჯები, რაც, ასევე, მიეკუთვნება მიწის თვითღირებულებას.

განვიხილოთ მაგალითი:

მიწის შეძენის ღირებულება 10 000 ლარია, ბროკერის საკომისიო 300 ლარი, იურისტის - 200 ლარი, მიწის მოსწორებისთვის გაწეულია 450 ლარის ხარჯი. ამდენად, მიწის თვითღირებულება შეადგენს: $10\,950$ ლარს $(10\,000 + 300 + 200 + 450)$.

ძირითად საშუალებების შეფასებისას პირვანდელი ღირებულების გარდა სხვადასხვა ღირებულებაც გამოიყენება:

- რეალური ღირებულება - არის ის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყიდოს ან ვალდებულება დაიფაროს ბაზრის მონაწილეებს შორის (IFRS 13 – Fair Value - The price that would be received to sell an asset or paid to transfer a liability in an orderly transaction between market participants at the measurement date);
- ნარჩენი ღირებულება - არის შეფასებითი თანხა, რომელსაც საწარმო ამჟამად მიიღებდა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯების გამოკლებით, თუ აქტივს უკვე აღარ აქვს მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს მოსალოდნელი ასაკი და მდგომარეობა;
- საბალანსო ღირებულება - ის თანხაა, რომლითაც ძირითადი საშუალებები აღიარებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შემდეგ.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება:

- პერიოდით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია აქტივის გამოყენება;
- პროდუქციის ოდენობით, რომლის მიღება მოსალოდნელია ამ აქტივის გამოყენებით.

განვიხილოთ მაგალითი:

შეძენილია დაზგა 5 833 ლარად, ტრანსპორტირებაზე დაიხარჯა 300 ლარი, დამონტაჟებაზე დაიხარჯა 200 ლარის დამხმარე მასალები და 262 ლ მუშების ხელფასი. განვსაზღვროთ დაზგის პირვანდელი ღირებულება და ავსახოთ ანგარიშებზე.

დაზგის პირვანდელი ღირებულება შეადგენს: $5\,833 + 300 + 200 + 262 = 6\,595$.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/11/2012	2150	3190	5 833	შეძენა
2	10/11/2012	2150	3192	300	ტრანსპორტირება
3	10/11/2012	2150	1620	200	მონტაჟი
4	10/11/2012	2150	3130	262	ხელფასი
5	10/11/2012	3130	3320	52.4	საშემოსავლოს დარიცხვა
6	10/11/2012	3320	1210	52.4	საშემოსავლოს გადახდა
7	10/11/2012	3130	1210	209.6	ხელფასის გადახდა

ბასს-ის თანახმად საწარმოს შეუძლია ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტასთან დაკავშირებული სამუშაოების ღირებულება, როგორცაა დემონტაჟისა და ადგილმდებარეობის აღდგენის ხარჯები ჩართოს აქტივის თვითღირებულებაში, თუ საწარმო კისრულობს ასეთი ვალდებულების შესრულებას.

განვიხილოთ მაგალითი:

შეძენილია მოწყობილობა 120 000 ლარად, ტრანსპორტირების ხარჯია 10 000 ლარი, გამოყენების ვადა 15 წელი, რის შემდეგ საწარმო ვარაუდობს ამ აქტივის გაყიდვას 20 000 ლარად და იღებს ვალდებულებას მოწყობილობის დემონტაჟსა და ადგილმდებარეობის აღდგენაზე, რაც შეფასდა 5 000 ლარად. მოწყობილობის თვითღირებულება შეადგენს: $120\,000 + 10\,000 + 5\,000 = 135\,000$.

ავსახოთ ოპერაცია ანგარიშებზე:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/11/2017	2150	3190	120 000	შეძენა
2	10/11/2017	2150	3190	10 000	ტრანსპორტირების საფასური
3	10/11/2017	2150	4220	5 000	გრძელვადიანი ვალდებულება

განვიხილოთ მაგალითი:

საკონდიტრო ფაბრიკაში პროდუქციის ხარისხის ამაღლების მიზნით დანადგარს დაუყენეს ახალი ნაწილი, რომლის ღირებულებაც 8 000 ლარია. ახალი ნაწილი ზრდის დანადგარის მწარმოებლურობას და შესაბამისად დანადგარის ფასი გაიზრდება 8 000 ლარით, რაც აისახება შემდეგნაირად:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/11/2017	2150	3190	8 000	ნაწილის შეძენა

განვიხილოთ მაგალითი:

სადისტრიბუციო კომპანიას აქვს ავტომანქანები, რომლებიც სააღრიცხვო პოლიტიკით აღიარებულია ერთ სააღრიცხვო ერთეულად, ხოლო აკუმლატორი და საბურავები სათადარიგო ნაწილებად. მიმდინარე თვეში ორ ავტომობილს შეუცვალეს საბურავი, რომლის ღირებულება იყო 200 ლარი და ერთ ავტომობილს შეუცვალეს აკუმლატორი, ღირებულებით 140 ლარი.

რამდენადაც ექსპლუატაციის პერიოდში გაწეული ხარჯები არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს, იგი აღიარდება ხარჯად:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/11/2017	7380	1690	200	ავტომანქანის რემონტის ხარჯი
2	10/11/2017	7380	1691	140	ავტომანქანის რემონტის ხარჯი

საკუთარი ძალებით მშენებლობა

ბასს-ის თანახმად, როდესაც საწარმო თვითონ ქმნის აქტივს, მისი ღირებულების განსაზღვრა ხდება შემენილი აქტივების ანალოგიურად, ანუ ყველა პირდაპირი ხარჯის გათვალისწინებით.

საკუთარი ძალებით წარმოებულ (აშენებულ) ძირითად საშუალებებზე გაწეული ყველა დანახარჯი აისახება 2120 - დაუმთავრებელი მშენებლობის დებეტში, რაც იძლევა ობიექტის თვითღირებულების გამოთვლის საშუალებას, მაგრამ მასალის, შრომის და სხვა რესურსების ზენორმატიული დანახარჯები არ უნდა ჩაირთოს აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

განვიხილოთ მაგალითი:

კომპანია 4 წლის განმავლობაში აშენებდა შენობას, რომელზეც დაიხარჯა 5 000 ლარის სამშენებლო მასალები, 9 170 ლარი ხელფასი. სამუშაოების ჩაბარებისას აღმოჩნდა, რომ ორი კედელი არ შეესაბამებოდა პროექტს, რის გამოც მოხდა მისი დანგრევა და თავიდან აშენება, რაზეც დაიხარჯა 3 000 ლარის მასალა და 2 620 ლარის ხელფასი.

შენობის თვითღირებულებაში შევა $5\,000 + 9\,170 = 14\,170$ ლარი. კედლების გადაკეთებაზე დანახარჯები არ შევა აქტივის თვითღირებულებაში.

ავსახოთ მშენებლობის პროცესი:

№	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	2120	1620	5 000	მასალის დანახარჯი
2	2120	3130	9 170	ხელფასის დარიცხვა
3	3130	3320	1 834	საშემოსავლოს დარიცხვა
4	3320	1210	1 834	საშემოსავლოს გადახდა
5	3130	1210	7 336	ხელფასის გადახდა
6	8290	1620	3 000	არასაოპერაციო ხარჯი
7	8290	3130	2 620	ხელფასი
8	3130	3320	524	საშემოსავლოს დარიცხვა
9	3320	1210	524	საშემოსავლოს გადახდა
10	3130	1210	2 096	ხელფასის გადახდა

მშენებლობის დამთავრების შემდეგ შენობის შემოსავალში მიღება

№	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	2130	2120	14 170	შენობის შემოსავალში მიღება

ძირითადი საშუალებების ცვეთა

ძირითად საშუალებების ექსპლუატაციისას აღიარებული უნდა იქნას მასზე გაწეული ხარჯიც, ამ მიზნით ძირითად საშუალებებს ერიცხება ცვეთა, რომელიც არის აქტივის ღირებულების მოხმარებული ნაწილის სისტემატური გადანაწილება მისი მომსახურების ვადის განმავლობაში.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ეწოდება პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ძირითად საშუალებას შეუძლია მოიტანოს ეკონომიკური სარგებელი.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ცვეთის თანხის გადანაწილებისთვის ბასს-ი გვთავაზობს შემდეგ მეთოდებს: წრფივი, შემცირებადი ნაშთის, წარმოების ერთეულთა ჯამის მეთოდს.

ცვეთის წრფივი მეთოდი გულისხმობს ობიექტის ღირებულების თანაბარზომიერად ჩამოწერას მისი მომსახურების პერიოდში. თითოეული პერიოდისათვის ცვეთა გაიანგარიშება ცვეთადი ღირებულების გაყოფით ობიექტის ექსპლუატაციის ვადაზე.

შემცირებადი ნაშთის მეთოდის (დაჩქარებული ცვეთის), გამოყენება იწვევს ცვეთის კლებადი თანხის დარიცხვას აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში. ამ მეთოდით ცვეთა ერიცხება აქტივის ნარჩენ ღირებულებას, ე. ი. თანხას, რომელიც მიიღება აქტივის საწყისი ღირებულებიდან გასულ წლებში დარიცხული ცვეთის გამოკლებით.

წარმოების ერთეულთა ჯამის მეთოდი გულისხმობს ცვეთის დარიცხვას აქტივების მოსალოდნელი გამოყენების, ან მწარმოებლობის პროპორციულად. ამ მეთოდით ცვეთის თანხა განისაზღვრება ცვეთადი ღირებულების შეფარდებით პროდუქციის წარმოების სავარაუდო მოცულობაზე.

რადგანაც ცვეთის წრფივი მეთოდი გულისხმობს ცვეთის ერთი და იგივე თანხის დარიცხვას მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ეს მეთოდი მიზანშეწონილია იმ აქტივების მიმართ, რომელთაც თანაბრად მოაქვთ ეკონომიკური სარგებელი მთელი მომსახურების ვადის განმავლობაში.

წრფივი მეთოდი

წრფივი მეთოდით ცვეთის ნორმა განისაზღვრება ფორმულით:

$$\text{წლიური ცვეთა} = \frac{\text{პირვანდელი ღირებულება} - \text{სალიკვიდაციო ღირებულება}}{\text{სასარგებლო მომსახურების ვადა}}$$

სალიკვიდაციო ღირებულება არის შეფასებითი თანხა, რომელსაც საწარმო მიიღებს აქტივის გაყიდვიდან, თუ კი მას ამოწურული ექნება სასარგებლო მომსახურების ვადა.

განვიხილოთ მაგალითი:

საწარმომ 20,000 ლარად შეიძინა ძირითადი საშუალება და განსაზღვრა მისი გამოყენება 5 წლით. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ საწარმო ვარაუდობს აქტივის გაყიდვას 2,000 ლარად:

წლები	პირვანდელი ღირებულება	ცვეთის წლიური თანხა	დაგროვილი ცვეთა	ნარჩენი ღირებულება
1	20 000	3 600	3 600	16 400
2	20 000	3 600	7 200	12 800
3	20 000	3 600	10 800	9 200
4	20 000	3 600	14 400	5 600
5	20 000	3 600	18 000	2 000

ცხრილიდან ჩანს, რომ 5 წლის განმავლობაში ცვეთის თანხა ერთნაირია $(20\,000 - 2\,000) / 5 = 3\,600$ თანაბარზომიერად იზრდება დაგროვილი ცვეთა და ასევე თანაბარზომიერად მცირდება აქტივის ნარჩენი ღირებულება.

შემცირებადი ნაშთის, ანუ ცვეთის დაჩქარებული მეთოდი

ცვეთის თანხის გაანგარიშება შემცირებადი ნაშთის მეთოდით გულისხმობს ცვეთის თანხის გაანგარიშებას საპროცენტო განაკვეთით - პირველ წელს აქტივების პირვანდელი ღირებულებით, ხოლო შემდგომ საბალანსო ღირებულებით, ამ მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია იმ აქტივების მიმართ, რომლებიც მომსახურების პირველ წლებში იძლევიან მეტ ეკონომიკურ სარგებელს, მორალურად და ფიზიკურად მეტად ცვდებიან.

იგივე მაგალითის საფუძველზე ცვეთის დარიცხვის ნორმა 20%-ია, მაშინ დაჩქარებული ცვეთის ნორმა იქნება 40%.

წლები	პირვანდელი ღირებულება	ცვეთის წლიური თანხა	დაგროვილი ცვეთა	ნარჩენი ღირებულება
1	20 000	$20\,000 \times 40\% = 8\,000$	8 000	12 000
2	20 000	$12\,000 \times 40\% = 4\,800$	12 800	7 200
3	20 000	$7\,200 \times 40\% = 2\,880$	15 680	4 320
4	20 000	$4\,320 \times 40\% = 1\,728$	17 408	2 592
5	20 000	$2\,592 - 2\,000 = 592$	592	2 000

წლების ერთეულთა ჯამის მეთოდი

ეს მეთოდი წარმოადგენს შემცირებული თანხის მეთოდის ნაირსახეობას, რომელიც მომსახურების პირველ წლებში უფრო მეტ ცვეთას არიცხავს აქტივს, ვიდრე შემდგომ წლებში. დარიცხვისათვის გამოიყენება რიცხვთა ჯამის მეთოდი, რომელიც გამოისახება ფორმულით:

- რიცხვთა ჯამი $K = \frac{n(n+1)}{2}$, სადაც n - არის ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადა;
- $$\text{წლიური ცვეთა} = \frac{\text{დარჩენილი წლები} \times \text{ცვეთადი ღირებულება}}{K}$$
- $\text{ცვეთადი ღირებულება} = \text{პირვანდელი ღირებულება} - \text{სალიკვიდაციო ღირებულება}.$

წინა მაგალითის მიხედვით განვიხილოთ ცვეთის დარიცხვის წლების ციფრთა ჯამის მეთოდი 5 წლიან პერიოდზე:

$$K = \frac{5(5+1)}{2} = 15$$

$$\text{ცვეთადი ღირებულება} = 20\,000 - 2\,000 = 18\,000$$

წლები	პირვანდელი ღირებულება	ცვეთის წლიური თანხა	დაგროვილი ცვეთა	ნარჩენი ღირებულება
1	20 000	$5 \times 18\,000/15 = 6\,000$	6 000	14 000
2	20 000	$4 \times 18\,000/15 = 4\,800$	10 800	9 200
3	20 000	$3 \times 18\,000/15 = 3\,600$	14 400	5 600
4	20 000	$2 \times 18\,000/15 = 2\,400$	16 800	3 200
5	20 000	$1 \times 18\,000/15 = 1\,200$	18 000	2 000

მწარმოებლურობის პროპორციული მეთოდი

როდესაც ცვეთის დარიცხვას საფუძვლად უდევს აქტივის მწარმოებლურობა, ცვეთის მეთოდს ეწოდება მწარმოებლურობის პროპორციული მეთოდი, რომლის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ რაც უფრო მეტია აქტივის მწარმოებლურობა, მით უფრო მეტ ეკონომიკურ სარგებელს ვიღებთ მისგან და მით უფრო მეტი ცვეთა უნდა იქნეს დარიცხული.

მწარმოებლურობის პროპორციული მეთოდით ცვეთის დარიცხვისას ცვეთის ნორმა განისაზღვრება ფორმულით:

$$\text{წლიური ცვეთის ნორმა} = \frac{\text{პირვანდელი ღირებულება} - \text{ნარჩენი ღირებულება}}{\text{პროდუქციის წარმოების სავარაუდო მოცულობა}}$$

განვიხილოთ მაგალითი:

შემენილია დაზგა 35,000 ლარად. ნარჩენი ღირებულება 3,000 -ია. სასარგებლო მომსახურების ვადა 5 წელი, რომლის განმავლობაში იგი იმუშავებს 70,000 დაზგა-საათს. მათ შორის 1-ლ წელს 25,000 დაზგა/საათს; მეორე წელს - 15,000 დაზგა/საათს; მე3, მე4 და მე-5 წელს 10,000 დაზგა/საათს. გამოვთვალოთ 1 დაზგა/საათში აქტივის გაცვეთილი ღირებულება: $(35,000 - 3,000)/70,000 = 0.45714$

წლები	პირვანდელი ღირებულება	ცვეთის წლიური თანხა	დაგროვილი ცვეთა	ნარჩენი ღირებულება
1	35 000	$25\,000 \times 0.45714 = 11\,429$	11 429	$35\,000 - 11\,429 = 23\,571$
2	35 000	$15\,000 \times 0.45714 = 6\,857$	18 286	$35\,000 - 18\,286 = 16\,714$
3	35 000	$10\,000 \times 0.45714 = 4\,571$	22 858	$35\,000 - 22\,858 = 12\,142$
4	35 000	$10\,000 \times 0.45714 = 4\,571$	27 429	$35\,000 - 27\,429 = 7\,571$
5	35 000	$10\,000 \times 0.45714 = 4\,571$	32 000	$35\,000 - 32\,000 = 3\,000$

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯის აისახება შემდეგი გატარებით:

№	დებეტი	კრედიტი	ოპერაციის შინაარსი
1	7455	2250	ცვეთის ხარჯისა და დაგროვილი ცვეთის აღიარება

მაგალითად,

წლის ბოლოს დაზგას დაერიცხა ცვეთა 11 429 ლარის ოდენობით:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	31/12/2017	7455	2250	11 429	დაზგის ცვეთა

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარების შეწყვეტა ხდება გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც მისი გამოყენებიდან არანაირი სარგებელი აღარ არის მოსალოდნელი.

აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი საწარმოდან გასვლისას: როდესაც მიიღება გადაწყვეტილება აქტივის გაყიდვაზე, მისი ძირითად საშუალებად აღიარება უნდა შეწყდეს მიუხედავად იმისა, რომ მისი გაყიდვა მომავალ 12 თვეშია ნაგარაუდები.

განვიხილოთ მაგალითი:

საწარმომ 45 000 ლარად გაყიდა დაზგა, რომლის პირვანდელი ღირებულება 40 000 ლარია. დაგროვილი ცვეთა მოცემული პერიოდისთვის შეადგენს 5 000 ლარს, გაყიდვის ხარჯებმა (ხელშეკრულების გაფორმება, სანოტარო მომსახურება) შეადგინა 1 500 ლარი. საწარმოდან აქტივის გასვლის დროს ავსახოთ ანგარიშებზე:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1		7455	2250	5 000	ცვეთის დარიცხვა (გასულ წელს)
2	10/11/2017	1410	8190	45 000	შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან
3	10/11/2017	2250	2150	5 000	ცვეთის გადახურვა გაყიდვისას
4	10/11/2017	8290	2150	35 000	ძირითადი საშუალების ჩამოწერა ნარჩენი ღირებულებით
5	10/11/2017	8291	3190	1 500	რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯი

განვიხილოთ მაგალითი:

საამქროს ერთ-ერთ მოწყობილობას გაუფუჭდა ნაწილი. ნაწილის თვითღირებულება 1 000 ლარია, დაგროვილი ცვეთა კი 700 ლარი. შემცვლელ ნაწილში გადაიხადეს 1 200 ლარი. ამ შემთხვევაში უნდა შეწყდეს შესაცვლელი ნაწილის აღიარება, ხოლო ახალი შემცვლელი ნაწილის ღირებულება ჩაირთვება ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში.

ეს ოპერაცია ანგარიშებზე აისახება შემდეგნაირად:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/11/2017	2250	2150	700	ცვეთის ჩამოწერა
2	10/11/2017	2150	3190	1 200	ახალი ნაწილი
3	10/11/2017	8290	2150	300	ძველი ნაწილის ჩამოწერა

განვიხილოთ მაგალითი:

გაყიდულია დანადგარი 20 000 ლარად. მისი პირვანდელი ღირებულება 30 000 ლარია, ხოლო დაგროვილი ცვეთა 4 000. ავსახოთ ანგარიშებზე.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1		7455	2250	4 000	ცვეთის დარიცხვა
2	10/11/2017	2250	2150	4 000	ცვეთის გადახურვა
3	10/11/2017	1410	8190	20 000	შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან
4	10/11/2017	8290	2150	26 000	ძირითადი საშუალების ჩამოწერა

თუ აქტივის გამოყენებიდან არანაირი სარგებელი აღარ არის მოსალოდნელი იგი ექვემდებარება ჩამოწერას. ამისათვის დგება სალიკვიდაციო კომისია, რომელიც შეადგენს ჩამოწერის აქტს. მასში აისახება ლიკვიდირებული ობიექტის ტექნიკური, საპასპორტო მონაცემები, ლიკვიდაციის მიზეზი, პირვანდელი ღირებულება, საბალანსო ღირებულება.

განვიხილოთ მაგალითი:

საწარმომ ფიზიკური ცვეთის გამო მოახდინა ავტომანქანის ლიკვიდაცია, რომლის პირვანდელი ღირებულებაა 5 000 ლარი, ხოლო დაგროვილი ცვეთაც 5 000 ლარი. ლიკვიდაციასთან დაკავშირებით დაიხარჯა ხელფასი 100 ლარი. ავტომანქანა ჯარტის სახით ჩაბარდა 300 ლარად.

ავსახოთ ოპერაცია ანგარიშებზე:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/11/2017	2250	2150	5 000	ცვეთის გადახურვა
2	10/11/2017	1410	8190	300	შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან
3	10/11/2017	8290	3130	100	ხელფასის ხარჯი (ლიკვიდაცია)

უსასყიდლოდ გადაცემა

ძირითადი საშუალების უსასყიდლოდ გადაცემის დროს ჩამოიწერება აქტივის პირვანდელი ღირებულება, დაგროვილი ცვეთა, ხოლო გაწეული ხარჯები აღიარდება ზარალად.

განვიხილოთ მაგალითი:

კომპანიამ საქველმოქმედო ორგანიზაციას აჩუქა ასლების გადამღები აპარატი, რომლის პირვანდელი ღირებულება 5 000 ლარია, ხოლო დაგროვილი ცვეთა 3 500, აპარატის ტრანსპორტირებისთვის დაიხარჯა 200 ლარი.

ავსახოთ ანგარიშებზე:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/11/2017	2260	2160	3 000	ცვეთის გადახურვა
2	10/11/2017	8290	2160	1 500	ძირითადი საშუალების ჩამოწერა
3	10/11/2017	8290	3190	200	ხელფასის ხარჯი (ლიკვიდაცია)

ამ ოპერაციის შედეგად კომპანიამ განიცადა ზარალი 1 700 ლარის ოდენობით

ძირითადი საშუალებების გადაფასება

აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ საწარმომ უნდა აირჩიოს მისი შეფასების ორი მოდელიდან ერთ-ერთი, როგორც საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა და გამოიყენოს იგი ძირითადი საშუალებების მთელი ჯგუფის მიმართ. ეს მოდელია: თვითღირებულების მოდელი და გადაფასების მოდელი.

თუ საწარმომ აირჩია თვითღირებულების მოდელი, მაშინ აქტივად აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალება უნდა შეფასდეს თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ამ მიზნით აქტივებს უნდა ჩაუტარდეს ტესტი გაუფასურებაზე. აქტივი გაუფასურებულია, თუ მისი საბალანსო ღირებულება აღემატება ანაზღაურებად ღირებულებას, ანუ იმ სარგებელს, რისი მოტანაც შეუძლია აქტივს.

აქტივის აფასების ან ჩამოფასების დროს, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა შესაძლებელია განისაზღვროს ახლიდან.

განვიხილოთ მაგალითი:

საწარმო ფლობს 450,000 ლარის ნარჩენი ღირებულების ავტომანქანებს, სადაც რამდენიმე ავტომობილი ფიზიკურად და მორალურად მოძველებულია. სპეციალისტების შეფასებით, ავტომანქანების გამოყენებით შესაძლებელია მომავალში 400,000 ლარის ღირებულების სარგებლის მიღება. ამდენად ავტომანქანები გაუფასურდა 50,000 ლარით, რაც აისახება გატარებით:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/11/2017	8220	2180	50 000	აქტივის გაუფასურება

თუ საწარმომ აირჩია გადაფასების მოდელი, მაშინ თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალების ობიექტი უნდა აისახოს გადაფასებული თანხით. გადაფასება უნდა ტარდებოდეს რეგულარულად, რათა აქტივის ნარჩენი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი რეალური ღირებულებისაგან. პირველ ეტაპზე აუცილებლობას წარმოადგენს დაგროვილი ცვეთის ანგარიშის განულება, რომელიც აისახება გატარებით:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/11/2017	2200	2100	50 000	ძირითადი საშუალების ცვეთა

განვიხილოთ მაგალითი:

საწარმომ 2016 წელის პირველ იანვარს შეიძინა დაზგა, რომლის ღირებულება შეადგენს 250 000 ლარს, გადახდა განხორციელდა იმავე დღეს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით (20%). 2017 წლის 31 დეკემბერს ჩატარდა დაზგის გადაფასება, მისი რეალური ღირებულება შეადგენს 180 000 ლარს.

$$\begin{aligned} \text{აქტივის საბალანსო ღირებულება} &= \text{პირვანდელი ღირებულება} - \text{დაგროვილი ცვეთა} = \\ &= 250\,000 - 100\,000 = 150\,000 \end{aligned}$$

იმისათვის რომ იგი გაუტოლდეს რეალურ ღირებულებას 180 000, საჭიროა აქტივი აფასდეს 30 000 ლარით (180 000 – 150 000 = 30 000).

მაგალითის საფუძველზე ავსახოთ გადაფასების შედეგები:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	01/01/2016	2150	3110	250 000	ძირითადი საშუალების შეძენა
2	01/01/2016	3110	1210	250 000	ვალდებულების დაფარვა
3	31/12/2016	7455	2250	50 000	ცვეთის დარიცხვა
4	31/12/2017	7455	2250	50 000	ცვეთის დარიცხვა
5	31/12/2017	2250	2150	100 000	ცვეთის ჩამოწერა
6	31/12/2017	2150	5420	30 000	ძირითადი საშუალების გადაფასება

თუ იგივე მაგალითის საფუძველზე მოხდება 2018 წლის 31 დეკემბერს დაზგის ჩამოფასება და მისი რეალური ღირებულება გახდება 130 000 ლარი, ფინანსურად მათი ასახვა შესრულდება შემდეგი გატარებებით

ბუღალტრული აღრიცხვა

(იმისათვის რომ იგი გაუტოლდეს რეალურ ღირებულებას 130 000, საჭიროა აქტივი ჩამოფასება 14 000 ლარით (130 000 – 144 000 = - 14 000):

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	31/12/2018	7455	2250	36,000	ცვეთის დარიცხვა ($180,000 \times 20\%$)
2	31/12/2018	2250	2150	36,000	ცვეთის ჩამოწერა
3	31/12/2018	5420	2150	14,000	ძირითადი საშუალების ჩამოფასება (გადაფასების რეზერვის ანგარიშზე)

საგადასახადო კოდექსის განმარტებები

[სსკ მ.111]

ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ძირითად საშუალებათა საამორტიზაციო ანარიცხები გამოიქვეთება ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების მიხედვით.

ამორტიზაცია არ ერიცხება მიწას, ხელოვნების ნიმუშებს, სამუზეუმო ექსპონატებს, ისტორიული მნიშვნელობის მქონე ობიექტებს (გარდა შენობა-ნაგებობებისა) და სხვა არაამორტიზებად აქტივებს. ამასთანავე, ამორტიზაცია არ ერიცხება 1000 ლარამდე ღირებულების ძირითად საშუალებას და ბიოლოგიურ აქტივს. 1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალება მთლიანად გამოიქვეთება ერთობლივი შემოსავლიდან იმ საანგარიშო წელს, როდესაც იგი ექსპლუატაციაში გადაეცა, ხოლო ბიოლოგიურ აქტივზე გაწეული ხარჯი გამოიქვეთება იმ საანგარიშო წელს, როდესაც იგი ფაქტობრივად იქნა გაწეული.

ძირითადი საშუალებები, რომლებიც ამორტიზაციას ექვემდებარება, ჯგუფდება ამორტიზაციის შემდეგი ნორმების მიხედვით:

ჯგუფის №	ძირითადი საშუალებები	ამორტიზაციის ნორმა (%)
1	მსუბუქი ავტომობილები; ავტოსატრავტორო ტექნიკა გზებზე გამოსაყენებლად; ავეჯი ოფისისათვის; საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობა; სატვირთო ავტომობილები, ავტობუსები, სპეციალური ავტომობილები და ავტომისაბმელები; მანქანები და მოწყობილობა მრეწველობის ყველა დარგისათვის, სამსხმელო წარმოებისათვის; სამკედლო - საწნეხი მოწყობილობა; სამშენებლო მოწყობილობა; სასოფლო - სამეურნეო მანქანები და მოწყობილობა	20
2	სპეციალური ინსტრუმენტები, ინვენტარი და მოწყობილობა; კომპიუტერები, მონაცემთა დამუშავების პერიფერიული მოწყობილობები და აღჭურვილობა; ელექტრონული მოწყობილობა	20
3	სარკინიგზო, საზღვაო და სამდინარო სატრანსპორტო საშუალებები; ძაღვანი მანქანები და მოწყობილობა; თბოტექნიკური მოწყობილობა, ტურბინული მოწყობილობა, ელექტროძრავები და დიზელგენერატორები, ელექტროგადაცემისა და კავშირგაბმულობის მოწყობილობები; მილსადენები	8
4	შენობები, ნაგებობები	5
5	ამორტიზირებადი აქტივები, რომელიც შეტანილი არ არის სხვა ჯგუფში	15

თითოეული ჯგუფის საამორტიზაციო ანარიცხების ოდენობა გამოიანგარიშება საგადასახადო წლის ბოლოს ჯგუფის ღირებულებითი ბალანსიდან, ამ მუხლის ზემოთ მითითებული ამორტიზაციის ნორმების შესაბამისად.

შენობებსა და ნაგებობებს (შემდგომში – ნაგებობა) ამორტიზაცია დაერიცხება თითოეულ ნაგებობაზე ცალ-ცალკე. შესაბამისად, თითოეული ნაგებობა ცალკე ჯგუფად განიხილება.

საგადასახადო წლის ბოლოსთვის ჯგუფის ღირებულებით ბალანსს შეადგენს შემდეგი წესით განსაზღვრული თანხა – საანგარიშოს წინა საგადასახადო წლის ბოლოსთვის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი :

ა) მცირდება:

- ა.ა) საანგარიშოს წინა საგადასახადო წელს დარიცხული ამორტიზაციის თანხით;
- ა.ბ) ამ მუხლის მე-8 და მე-9 ნაწილების შესაბამისად წარმოებული გამოქვეითების თანხით;
- ა.გ) საანგარიშო საგადასახადო წლის განმავლობაში ჯგუფის ძირითად საშუალებათა რეალიზაციის თანხით, ხოლო ძირითად საშუალებათა უსასყიდლოდ მიწოდებისას – საბაზრო ღირებულებით;

ბ) იზრდება:

- ბ.ა) საანგარიშო საგადასახადო წლის განმავლობაში ჯგუფისათვის დამატებული, [საგადასახადო კოდექსის 148-ე მუხლის](#) თანახმად განსაზღვრული ძირითად საშუალებათა (გარდა ძირითადი საშუალებებისა, რომლებიც ამორტიზაციას არ ექვემდებარება) ღირებულებით;
- ბ.ბ) საანგარიშო საგადასახადო წლის განმავლობაში ძირითად საშუალებებზე გაწეული რემონტის ხარჯების ზღვრული დონის ზემოთ არსებული თანხით, [საგადასახადო კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის](#) შესაბამისად.

თუ საგადასახადო წლის განმავლობაში ჯგუფის ძირითად საშუალებათა რეალიზაციის თანხა, ხოლო ძირითად საშუალებათა უსასყიდლოდ მიწოდებისას – მათი საბაზრო ღირებულება, აღემატება ჯგუფის ღირებულებით ბალანს წლის ბოლოსთვის, ნამეტი თანხა ჩაირთვება ერთობლივ შემოსავალში და ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი ნულს გაუტოლდება.

თუ ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის თანხა წლის ბოლოსთვის 1000 ლარზე ნაკლებია, ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის თანხა ექვემდებარება გამოქვითვას.

თუ ჯგუფის ყველა ძირითადი საშუალება რეალიზებულია ან ლიკვიდირებულია, ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის თანხა წლის ბოლოსთვის ექვემდებარება ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას.

გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, მე-2 და მე-3 ჯგუფებზე გამოიყენოს დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმა, მაგრამ არა უმეტეს ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შესაბამისი ნორმის ორმაგი ოდენობისა.

ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ძირითად საშუალებათა საამორტიზაციო ანარიცხების გამოქვითვის უფლება არა აქვს არამეწარმე ფიზიკურ პირს.

ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგით გაცემული თითოეული ძირითადი საშუალება ცალკე ჯგუფად აღირიცხება. მასზე საამორტიზაციო ანარიცხები გამოიქვითება სალიზინგო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულების ოდენობით, რომელიც განისაზღვრება ლიზინგის პირობებისა და ამ ძირითადი საშუალების ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის გათვალისწინებით.

ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან ვადაზე ადრე შეწყვეტისას ლიზინგით გაცემული ძირითადი საშუალების ლიზინგის გამცემისათვის დაბრუნების შემთხვევაში ეს ძირითადი საშუალება რჩება იმავე ჯგუფში და შემდგომ ლიზინგით გაცემამდე მასზე საამორტიზაციო ანარიცხების დარიცხვა ჩერდება.

[სსკ მ.112]

ძირითადი საშუალებების მიმართ, გარდა საწარმოს კაპიტალში შეტანილისა, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, სრულად გამოქვითოს ამ აქტივების ღირებულება იმ საგადასახადო წელს, როდესაც ძირითადი საშუალებები ექსპლუატაციაში შევიდა.

ძირითადი საშუალებების ღირებულების სრულად გამოქვითვის უფლების გამოყენების შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი ვალდებულია იგივე მეთოდი გამოიყენოს ყველა შემდგომი შესყიდული (წარმოებული) ძირითადი საშუალების მიმართ.

ძირითადი საშუალებების ღირებულების სრულად გამოქვითვის შემთხვევაში:

- ა) აღნიშნული ძირითადი საშუალებები არ შეიტანება [საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლით](#) გათვალისწინებული ჯგუფის ღირებულებით ბალანსში;
- ბ) შემდგომში ასეთი აქტივების მიწოდებისას მიღებული ან/და მისაღები თანხები, ხოლო ასეთის არარსებობისას – საბაზრო ღირებულება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე ექვემდებარება ერთობლივ შემოსავალში ჩართვას.

ძირითადი საშუალებების ღირებულების სრულად გამოქვითვის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს უფლება არ აქვს, არჩეული გამოქვითვის ნორმა შეცვალოს 5 წლის განმავლობაში. ამასთანავე, გამოქვითვის ასეთი ნორმის არჩევა უნდა მოხდეს იმ საგადასახადო წელს, როდესაც ძირითადი საშუალებები ექსპლუატაციაში შევიდა.

ძირითადი საშუალებების ღირებულების სრულად გამოქვითვის უფლება არ ვრცელდება ისეთ ძირითად საშუალებებზე, რომლებიც არ ექვემდებარება ამორტიზაციას.

[სსკ მ.113]

არამატერიალური აქტივების ხარჯები გამოიქვითება საამორტიზაციო ანარიცხების სახით, მათი სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში, საანგარიშო პერიოდის პროპორციულად. ამასთანავე, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, 1000 ლარამდე ღირებულების არამატერიალური აქტივი მთლიანად გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან იმ საანგარიშო წელს, როდესაც შესაბამისი ხარჯი იქნა გაწეული.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრა, ამორტიზაციის ნორმა შეადგენს 15 პროცენტს.

თითოეული არამატერიალური აქტივი ცალკე ჯგუფად აღირიცხება.

ამორტიზაციას დაქვემდებარებული არამატერიალური აქტივების ღირებულებაში არ შეიტანება მათი შეძენის ან წარმოების ხარჯები, თუ ისინი უკვე გამოქვითული იყო გადასახადის გადამხდელის დასაბეგრი მოგების (შემოსავლის) გამოანგარიშებისას.

თუ არამატერიალური აქტივები ის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის თანხა წლის ბოლოსთვის 1000 ლარზე ნაკლებია, ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის თანხა გამოიქვითება.

[სსკ მ.115]

საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ თითოეულ ჯგუფში შემავალ ძირითად საშუალებათა რემონტის ხარჯების გამოქვითვა დასაშვებია ყოველწლიურად, საანგარიშოს წინა საგადასახადო წლის ბოლოსთვის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის 5 პროცენტამდე ოდენობით.

თანხა, რომელიც აღემატება ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ ზღვრულ დონეს, ზრდის შესაბამისი ჯგუფის ღირებულებით ბალანსს.

საგადასახადო კოდექსის 112-ე მუხლით გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხების სრულად გამოქვითვის უფლების გამოყენებისას რემონტის ხარჯები გამოიქვითება სრულად, ამ მუხლით განსაზღვრული შეზღუდვის გაუთვალისწინებლად.

იჯარით აღებულ ძირითად საშუალებათა რემონტის ხარჯები, თუ მისი ჩატარება ხელშეკრულების შესაბამისად გათვალისწინებული არ არის საიჯარო გადასახდელების შემცირების ხარჯზე, ექვემდებარება ძირითად საშუალებათა მიმდებთან კაპიტალიზებას და საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ქმნის ცალკე ჯგუფს, რომლის დროსაც:

- ა) გაწეული ხარჯები ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება საგადასახადო კოდექსით ძირითად საშუალებათა მიმართ დადგენილი ამორტიზაციის ნორმების მიხედვით, 15 პროცენტის ოდენობით;
- ბ) ხელშეკრულების ვადის გასვლის ან ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, თუ ხორციელდება ძირითადი საშუალების მეიჯარისთვის დაბრუნება, აღნიშნული ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი ნულს გაუტოლდება და დარჩენილი თანხა ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება. ამასთანავე, ძირითადი საშუალების მეიჯარისთვის დაბრუნება არ ითვლება მიწოდებად.

სამოქალაქო კოდექსის განმარტებები

[სსკ მ.11]

1. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა არის უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა დაბადების მომენტიდან;
2. მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე; ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე;
3. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წყდება მისი გარდაცვალებით. გარდაცვალების მომენტად ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა;
4. არ შეიძლება ფიზიკურ პირს წაერთვას უფლებაუნარიანობა.

[სსკ მ.12]

1. **ქმედუნარიანობა**, ანუ ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე;
2. სრულწლოვანია პირი, რომელმაც 18 წლის ასაკს მიაღწია;
3. ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელმაც 18 წლის ასაკის მიღწევამდე იქორწინა;
4. ქმედუნარიანად ითვლება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი (შემდგომ – მხარდაჭერის მიმღები), ანუ პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში, თუ ეს პირი აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილის პირობებს, ამასთანავე, აღნიშნული დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში;
5. მხარდაჭერის მიმღებად სასამართლომ შეიძლება ცნოს აგრეთვე არასრულწლოვანი იმ ფარგლებში, რომლებშიც, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მას თავისი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა არ სჭირდება;
6. 7 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) ქმედუნაროდ ითვლება.

[სსკ მ.25]

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს კანონით ან მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი საქმიანობა;
2. კერძო სამართლის იურიდიულ პირს (სამეწარმეოს თუ არასამეწარმეოს (არაკომერციულს)) უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული;
3. ზოგიერთი საქმიანობა, რომელთა ჩამონათვალსაც განსაზღვრავს კანონი, იურიდიულ პირს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის ან ავტორიზაციის გავლის საფუძველზე. აღნიშნული საქმიანობის განხორციელების უფლება იურიდიულ პირს წარმოეშობა ლიცენზიის/ნებართვის მიღების ან ავტორიზაციის გავლის მომენტიდან;
4. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება მისი ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან;
5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

შრომის კოდექსის განმარტებები

[სმკ მ.37]

1. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

- ა) ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას;
- ბ) შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;
- გ) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება;
- დ) დასაქმებულის მიერ თანამდებობის/სამუშაოს საკუთარი ნებით, წერილობითი განცხადების საფუძველზე დატოვება;
- ე) მხარეთა წერილობითი შეთანხმება;
- ვ) დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან;
- ზ) დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა;
- თ) დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა, თუ დასაქმებულის მიმართ ბოლო 1 წლის განმავლობაში უკვე გამოყენებულ იქნა ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა;
- ი) თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ხანგრძლივი შრომისუუნარობა – თუკი შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 60 კალენდარულ დღეს, ამასთანავე, დასაქმებულს გამოყენებული აქვს ამ კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული შევსება;
- კ) სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს;
- ლ) ამ კანონის 51-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად სასამართლოს მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გაფიცვის უკანონოდ ცნობის შესახებ;
- მ) დამსაქმებელი ფიზიკური პირის ან დასაქმებულის გარდაცვალება;
- ნ) დამსაქმებელი იურიდიული პირის ლიკვიდაციის წარმოების დაწყება;
- ო) სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შრომის შინაგანაწესი შრომითი ხელშეკრულების ნაწილია.

3. დაუშვებელია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა:

- ა) სხვა საფუძველით, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებისა;
- ბ) ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის საფუძველით;
- გ) დასაქმებული ქალის მიერ თავისი ორსულობის შესახებ დამსაქმებლისთვის შეტყობინებიდან ამ კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“-„ე“, „ზ“, „თ“, „კ“ და „მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებისა;
- დ) დასაქმებულის სამხედრო სავალდებულო ან სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევის გამო ან/და დასაქმებულის მიერ სამხედრო სავალდებულო ან სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის პერიოდში, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“-„ე“, „ზ“, „თ“, „კ“ და „მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებისა;
- ე) სასამართლოში ნაფიც მსაჯულად ყოფნის პერიოდში, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“-„ე“, „ზ“, „თ“, „კ“ და „მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებისა.

[სშუ მ.38]

1. დამსაქმებლის მიერ ამ კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ვ“, „ი“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებულია არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. ამასთანავე, დასაქმებულს მიეცემა კომპენსაცია არანაკლებ 1 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
2. დამსაქმებლის მიერ ამ კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ვ“, „ი“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებელი უფლებამოსილია არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. ამ შემთხვევაში დასაქმებულს მიეცემა კომპენსაცია არანაკლებ 2 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
3. ამ კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შრომითი ხელშეკრულების დასაქმებულის ინიციატივით შეწყვეტისას დასაქმებული ვალდებულია არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით.
4. დასაქმებულს უფლება აქვს, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე დამსაქმებლის შეტყობინების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გაუგზავნოს მას წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთების მოთხოვნის თაობაზე.
5. დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულის მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში წერილობით დაასაბუთოს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი.
6. დასაქმებულს უფლება აქვს, წერილობითი დასაბუთების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს დამსაქმებლის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
7. თუ დამსაქმებელი დასაქმებულის მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში წერილობით არ დაასაბუთებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს, დასაქმებულს უფლება აქვს, 30 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს დამსაქმებლის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. ამ შემთხვევაში დავის ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი ეკისრება დამსაქმებელს.
8. სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით.

მ.38¹.

შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით 15 კალენდარული დღის განმავლობაში სულ მცირე 100 დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტის (მასობრივი დათხოვნის) შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია მასობრივ დათხოვნამდე სულ მცირე 45 კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და იმ დასაქმებულებს, რომელთაც უწყდებათ შრომითი ხელშეკრულებები. ამ შემთხვევაში არ მოქმედებს ამ კანონის 38-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული გაფრთხილების ვადები.

კითხვები და ამოცანები თვითშეფასებისთვის

№	კითხვა/ამოცანა
1	განმარტეთ და ჩამოთვალეთ ძირითადი საშუალებები
2	როგორ დავიანგარიშოთ ძირითადი საშუალებების თვითღირებულება?
3	როგორ ხდება ძირითადი საშუალებების შემოსავალში აყვანა?
4	ახსენით ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდი
5	რიცხვთა ჯამის მეთოდი
6	რას ეფუძნება და როგორ გამოითვლება მწარმოებლურობის მიხედვით ცვეთის დარიცხვა?
7	როგორ აღირიცხება ძირითადი საშუალებების რეალიზაცია?
8	ძირითადი საშუალებების ჩამოწერა?
9	საწარმომ შეიძინა კრედიტით დანადგარი 5 000 ლარად, ტრანსპორტირებაზე დაიხარჯა სალაროდან 200 ლარი, დამონტაჟებაზე 100 ლარი, პერსონალის სწავლებაზე 300 ლარი. დაიანგარიშეთ დანადგარის თვითღირებულება და შეასრულეთ შესაბამისი გატარებები
10	გაიყიდა დაზგა 2 000 ლარად, რომლის პირვანდელი ღირებულება 3 000 ლარია, დაგროვილი ცვეთა 600 ლარი. ფული ჩარიცხულია საბანკო ანგარიშზე. შეასრულეთ შესაბამისი გატარებები
11	საგამომცემლო ფირმამ შეიძინა დანადგარი 25 000 ლარად. მომსახურების ვადა 5 წელია, ხოლო სალიკვიდაციო ღირებულება 2 500 ლარი. საწარმო ვარაუდობს, რომ ამ დანადგარით გამოუშვებს 200 000 წიგნს. პირველ წელს აქედან 70 000 - ს, მეორე წელს 55 000-ს, მესამე წელს 30 000-ს, მეოთხე წელს 25 000-ს, მეხუთე წელს 20 000-ს. გაიანგარიშეთ და ბუღალტრულად ასახეთ ცვეთა ყველა მეთოდის გამოყენებით.
12	საწარმომ გაყიდა ავტომობილი 30 000 ლარად, საბანკო ანგარიშზე გადმორიცხვით, რომლის თავდაპირველი ღირებულება 32 000-ია, გაყიდვის მომენტისათვის მასზე დარიცხული იყო ცვეთა 11 000 ლარი. ასახეთ ბუღალტრულად.
13	ჩამოიწერა ძირითადი საშუალება, რომლის თავდაპირველი ღირებულება 20 000, ხოლო დაგროვილი ცვეთა 19 500. ასახეთ ბუღალტრულად.
14	რას არ ერიცხება ამორტიზაცია?
15	საგადასახადო მიზნებისათვის ძირითად საშუალებათა რეალიზაციისას რა თანხა ჩაირთვება ერთობლივ შემოსავალში?
16	ახსენით დაჩქარებული ამორტიზაციის პრინციპი
17	კომპანიამ სკოლას უსასყიდლოდ გადასცა კომპიუტერი, რომლის თავდაპირველი ღირებულება 1 500 ლარია, ხოლო დაგროვილი ცვეთა 500 ლარი. ტრანსპორტირების ხარჯმა შეადგინა 50 ლარი. შეასრულეთ გატარებები.
18	როდიდან ერიცხება ძირითად საშუალებებს ცვეთა?
19	რას ნიშნავს ფიზიკური და იურიდიული პირის უფლებათუარსიანობა?
20	რა არის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლები?

ლექცია №9

არამატერიალური აქტივების აღრიცხვა

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის, სხვისთვის იჯარით გადაცემის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისთვის. არამატერიალურ აქტივს მიეკუთვნება: საავტორო უფლება, პატენტი, სავაჭრო ნიშანი, გუდვილი, კომპიუტერული პროგრამა, ლიცენზია, იჯარის უფლება, ფრანშიზი, საბადოს დამუშავების უფლება, იმპორტისა და ექსპორტის სპეციალური უფლებები და სხვ.

ლიცენზია - არის სახელმწიფო ორგანოსგან აღებული ნებართვა გარკვეული სახის საქმიანობის განსახორციელებლად.

კონცესია - წარმოადგენს სახელმწიფოსგან მიღებულ ნებართვას წიაღისეულისა და მიწის რესურსების განსაზღვრული პირობით გამოყენებაზე.

პატენტი - არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გამოგონების სახელმწიფოებრივ აღიარებას და ავტორს ანიჭებს უფლებას ამ გამოგონებაზე.

სავაჭრო ნიშანი - არის კომპანიების, მათი პროდუქციის დასახელება, სხვა საწარმოთა საქონლისგან განსხვავების მიზნით.

საავტორო უფლება - წარმოადგენს ლიტერატურაში, ხელოვნებასა და მეცნიერებაში შესრულებული ნაშრომების ავტორთა უფლებას.

ინტელექტუალური საკუთრება (ნოუ-ჰაუ) - მას მიეკუთვნება სამეცნიერო, მმართველობითი, კომერციული და სხვა ცოდნა-გამოცდილება, რომელიც არ არის დაცული დოკუმენტებით, მაგრამ მის გამოყენებას აპირებენ წარმოებაში, სამეცნიერო გამოკვლევებში და სხვა.

ფრანშიზი - წარმოადგენს უფლების გადაცემას ძირითადი საშუალებების, სავაჭრო მარკების, სხვა მატერიალური და არამატერიალური აქტივების გამოყენებაზე.

კომპიუტერული უზრუნველყოფის პროგრამა - არის არამატერიალური აქტივი, თუ ის არ წარმოადგენს აპარატურული საშუალებების განუყოფელ ნაწილს. თუ აპარატურა მის გარეშე ვერ იმუშავებს, მაშინ იგი მიეკუთვნება ძირითად საშუალებებს.

არამატერიალური აქტივები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- იყოს საწარმოს მიერ კონტროლირებადი;
- იძლეოდეს ეკონომიკურ სარგებელს;
- იყოს იდენტიფიცირებადი.

იდენტიფიცირებადია აქტივი, თუ იგი:

- ა) განცალკევებადია, შესაძლებელია მისი გამოყოფა საწარმოდან, გაყიდვა, გადაცემა, გაქირავება, გაცვლა.
- ბ) წარმოიქმნება სახელშეკრულებო ან სხვა იურიდიული უფლებით.

არამატერიალური აქტივებიდან მომავალში მისაღები ეკონომიკური სარგებელი მოიცავს საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს, დანახარჯების ეკონომიას და სხვა სარგებელს, რომელიც ამ აქტივების გამოყენების შედეგია.

არამატერიალური აქტივების შეძენა

არამატერიალური აქტივების აღიარების პრინციპი არ განსხვავდება სხვა იდენტიფიცირებადი ფულადი აქტივების აღიარების პრინციპებისგან. არამატერიალური აქტივები უნდა აღიარდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ა) მოსალოდნელია აქტივზე მიკუთვნებული ეკონომიკური სარგებელის საწარმოში შემოსვლა;

ბ) შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების საიმედოდ შეფასება;

არამატერიალური აქტივების საწყისი შეფასება უნდა მოხდეს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

ა) აქტივის შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრების ოდენობას;

ბ) აქტივის გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს, როგორიცაა: გასამრჯელო, რაც დაკავშირებულია აქტივის მუშა მდგომარეობაში მოყვანასთან, აქტივის შემოწმების დანახარჯები და სხვ.;

გ) აქტივის გამოყენებაზე გაწეული პირდაპირი დანახარჯები.

იმპორტის შემთხვევაში აქტივის თვითღირებულება მოიცავს მისი შესყიდვის ფასს არადაბრუნებადი გადასახადების ჩათვლით.

არამატერიალური აქტივების თვითღირებულებაში არ შედის: ადმინისტრაციული, ახალი პროდუქტის და მომსახურების ათვისების დანახარჯები, სარეკლამო, თანამშრომელთა გადამზადებისა და სხვა ზედნადები ხარჯები.

განვიხილოთ მაგალითი:

საკონდიტრო საწარმომ შეიძინა პურ-ფუნთუშეულის წარმოების ფრანშიზი (უფლება), რაშიც გადაიხადა 20 000 ლარი, ხოლო მის იურიდიულ გაფორმებაზე დანახარჯმა შეადგინა 1 500 ლ.

შემენილი ფრანშიზის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და დანახარჯს ამ უფლების ასამოქმედებლად:

№	თარიღი	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	05/07/2018	2510	3190	20 000	შემენილია ფრანშიზი
2	05/07/2018	2510	3191	1 500	გაფორმების დანახარჯი

საწარმოში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივი

საწარმოში შესაძლებელია არამატერიალური აქტივების წარმოქმნა, მაგრამ რთულია იმის შეფასება, თუ რა მომენტში არსებობს არამატერიალური აქტივი, რომელიც წარმოქმნის ეკონომიკურ სარგებელს; და რომელი მომენტისთვისაა შესაძლებელი აქტივის თვითღირებულების საიმედოდ განსაზღვრა.

იმისათვის, რომ შეფასდეს, აკმაყოფილებს თუ არა საწარმოში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივი აღიარების კრიტერიუმებს, საწარმო ახდენს აქტივის წარმოქმნის პროცესის კლასიფიკაციას.

საწარმოში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები იყოფა:

ა) სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ფაზად;

ბ) საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ფაზად.

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები არის დაგეგმილი გამოკვლევები, რომელიც მიმართულია ახალი სამეცნიერო და ტექნიკური ცოდნის მისაღებად.

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მაგალითებია: მასალების, საქონლის, პროცესების, მომსახურების ალტერნატივის ძიება, სამეცნიერო ცოდნის მიღებისკენ მიმართული საქმიანობა, ახალი და გაუმჯობესებული მოწყობილობების ფორმულირება, დიზაინი.

ამ ფაზაში საწარმოს არ შუძლია აჩვენოს, რომ არსებობს არამატერიალური აქტივი, რომელიც წარმოქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ამიტომ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დანახარჯები გაწევისთანავე აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად.

საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები არის სამეცნიერო გამოკვლევების და ცოდნის გამოყენება, ახალი და გაუმჯობესებული მასალების, პროცესების და მომსახურების გამოყენება დაგეგმვასა და პროგნოზირებაში მათი კომერციული წარმოების დაწყებამდე.

არამატერიალური აქტივი, რომელიც წარმოიქმნა საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შედეგად უნდა აღიარდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმოს შეუძლია აჩვენოს შემდეგი:

- არამატერიალური აქტივის გამოყენება ან გაყიდვა შესაძლებელია;

- დადასტურებულია, თუ როგორ წარმოქმნის არამატერიალური აქტივი მომავალ ეკონომიკურ სარგებელს (მისი ბაზრის არსებობა, გამოყენების და გაყიდვის უნარი);
- საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

საწარმოში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების თვითღირებულება მოიცავს ყველა დანახარჯს, რომელიც პირდაპირ შეიძლება იქნას მიკუთვნებული ან განაწილებული აქტივის შექმნაზე: გამოყენებული მასალებისა და მომსახურების დანახარჯები, აქტივის შექმნაში დაკავებული პერსონალის ხელფასები, გადასახადები იურიდიული უფლების რეგისტრაციაზე.

აქტივების თვითღირებულება არ მოიცავს გაყიდვის, საერთო, ადმინისტრაციულ და ზედნადებ ხარჯებს.

განვიხილოთ მაგალითი:

კომპანიის №1 პროექტი ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, ხოლო №2 პროექტი - ახალი პროდუქციის წარმოებას. სექტემბრის თვეში №2 პროექტის მიხედვით შექმნილ პროდუქტზე სარწმუნო გახდა, რომ №2 პროექტის სამუშაოები დააკმაყოფილებს საწარმოში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივის აღიარების კრიტერიუმებს. წლის ბოლომდე მის წარმოებაზე დაიხარჯა 51 400 ლარი.

გამოვიანგარიშოთ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დანახარჯები და არამატერიალური აქტივის თვითღირებულება, თუ:

მიმდინარე წლის პერიოდის ხარჯები სამეცნიერო-კვლევითი ხარჯები №1 პროექტზე და №2 პროექტზე იანვრიდან-სექტემბრამდე (არამატერიალურ აქტივად აღიარებამდე) = $139\,150 + 175\,000 = 314\,150$, საიდანაც:

- მასალის ხარჯი = $85\,650 + 120\,000 = 205\,650$;
- ხელფასის ხარჯი = $53\,500 + 55\,000 = 108\,500$.

დანახარჯები	№1 პროექტი იანვრიდან-სექტემბრამდე	№2 პროექტი იანვრიდან-სექტემბრამდე	№2 პროექტი სექტემბრიდან წლის ბოლომდე
მასალა	85 650	120 000	33 600
ხელფასი	53 500	55 000	17 800
ჯამი	139 150	175 000	51 400

ეს ოპერაციები შემდეგნაირად აისახება:

№	თარიღი	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	30/09/2017	9120	1620	205 650	მასალის ხარჯი
2	30/09/2017	9120	3130	108 500	ხელფასის ხარჯი

№2 პროექტი, როგორც არამატერიალური აქტივი, შეფასდება 51 400 ლარად, ანუ აქტივად აღიარების შემდეგ გაწეული დანახარჯების თანხით ($33\,600 + 17\,800 = 51\,400$).

ეს ოპერაციები შემდეგნაირად აისახება:

№	თარიღი	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	30/12/2017	2580	1620	33 600	მასალის ხარჯი
2	30/12/2017	2580	3130	17 800	ხელფასის ხარჯი

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება:

- ა) პერიოდით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია საწარმოს მიერ აქტივის გამოყენება;
- ბ) პროდუქციის რაოდენობით, რომლის მიღებაც მოსალოდნელია საწარმოს მიერ აქტივის გამოყენების შედეგად.

ზოგიერთ აქტივზე, როგორცაა ლიცენზია, ფრანშიზი, მომსახურების ვადა განისაზღვრება იურიდიული უფლებით. შესაძლოა ასეთი არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა იყოს უფრო ხანმოკლე, თუ კი საწარმო მიზნად ისახავს მის გამოყენებას ხანმოკლე ვადით, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს იურიდიული უფლებით განსაზღვრულ ვადას.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განისაზღვრისას მრავალი ფაქტორის გათვალისწინებაა საჭირო:

- აქტივის გამოყენების ხასიათი;
- აქტივის სასიცოცხლო ციკლი;
- ტექნიკური, კომერციული, მორალური მოძველება;
- საბაზრო მოთხოვნა აქტივიდან მიღებულ საქონელზე;
- კონკურენტების ქმედებები და სხვ.

საწარმომ უნდა შეაფასოს განუსაზღვრელია თუ არა სასარგებლო მომსახურების ვადა.

არამატერიალური აქტივების ღირებულების გეგმაზომიერი შემცირების აღრიცხვის მიზნით გამოიყენება ტერმინი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია. სტანდარტის ენით, ამორტიზაცია არის არამატერიალური აქტივების ცვეთის თანხის თანდათანობით ჩამოწერა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ამორტიზაცია ერიცხება იმ არამატერიალურ აქტივებს, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადა შეზღუდულია.

განვიხილოთ მაგალითი:

შემენილია ლიცენზია 10 000 ლარად. სასარგებლო მომსახურების ვადა 5 წელია. ბასს 38-ის მიხედვით ასეთ შემთხვევაში ლიცენზიას ამორტიზაცია დაერიცხება წრფივი მეთოდით და წლიური ამორტიზაცია ტოლი იქნება $10\,000/5 = 2\,000$

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	05/01/2018	2510	3190	10 000	შემენილია ლიცენზია
2	30/01/2018	7455	2610	2 000	ლიცენზიის ამორტიზაციის დარიცხვა

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია უნდა დაიწყოს მაშინ, როცა შესაძლებელია აქტივის გამოყენება, ხოლო უნდა შეწყდეს ორი პერიოდიდან ერთ-ერთის დადგომისას:

- აქტივი კლასიფიცირდება გასაყიდად გამიზნულად;
- შეწყდა აქტივის აღიარება.

არამატერიალური აქტივი აღრიცხვიდან მოიხსნება მაშინ, როდესაც იგი გადის საწარმოდან ან როცა მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არ არის მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

იმ არამატერიალურ აქტივებს, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადა განუსაზღვრელია, ამორტიზაცია არ ერიცხება. მას შეიძლება გააჩნდეს განახლების ვადა, რომლის დროსაც განახლება შესაძლებელია მცირე დანახარჯებით და თუ არსებობს მტკიცებულება, რომ განახლების მისაღებად ყველა პირობა დაკმაყოფილებული იქნება. ამ დროს აქტივი შეიძლება აღიარდეს განუსაზღვრელი ვადით. მაგ.: სამაუწყებლო ლიცენზია, საჰაერო გადაზიდვის უფლება, სავაჭრო ნიშანი და სხვა.

არამატერიალურ აქტივებთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვა

განვიხილოთ მაგალითი:

შემენილია პატენტი 5 000 ლარად. თანხა გადახდილი იქნება 6 თვის შემდეგ. გადახდის განვადებასთან დაკავშირებით გადასახდელი იქნება წლიური 10%.

ა) საწარმო არ ახდენს სესხის კაპიტალიზაციას (თვითღირებულებაში ჩართვას) და შეასრულებს შემდეგ გატარებებს:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	05/07/2018	2530	3110	5 000	შემენილია პატენტი
2	05/07/2018	8210	3410	250	გადასახდელი პროცენტის დარიცხვა

ბ) საწარმო ახდენს სესხზე პროცენტის კაპიტალიზაციას (თვითღირებულებაში ჩართვას) და შეასრულებს შემდეგ გატარებებს:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	05/07/2018	2530	3110	5 000	შემენილია პატენტი
2	05/07/2018	2530	3410	250	გადასახდელი პროცენტი

განვიხილოთ მაგალითი:

საწარმომ გადაწყვიტა ალტერნატიული ნაკეთობის განვითარება, რაზეც ჩატარდა საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები და დაიხარჯა 5 000 ლარის მასალები. დაპროექტებაზე დაკავებული პერსონალის ხელფასი არის 2 000 ლარი:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	05/07/2018	2590	1620	5 000	არამატერიალური აქტივის შექმნისთვის მასალების ჩამოწერა
2	05/07/2018	2590	3130	2 000	არამატერიალური აქტივის შექმნისთვის პერსონალის ხელფასის დარიცხვა

განვიხილოთ მაგალითი:

სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე საწარმო ახდენს არამატერიალური აქტივების გადაფასებას. საანგარიშგებო წლის ბოლოს 3 000 ლარად შემენილი აქტივის საბაზრო რეალური ღირებულება 2 400 ლარია. დაგროვილი (აკუმულირებული) ამორტიზაცია 500 ლარი:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	05/07/2018	2690	2590	500	არამატერიალური აქტივის გადაფასება
2	05/07/2018	8220	2590	100	არამატერიალური აქტივის ჩამოფასება

განვიხილოთ მაგალითი:

საწარმომ შეიძინა ლიცენზია 20 000 ლარად, 20 წლის სასარგებლო მომსახურების ვადით. 4 წელი ცვეთა ერიცხებოდა დაჩქარებული ამორტიზაციის მეთოდით, რამაც 5 420 ლარი შეადგინა. საწარმო ვარაუდობს, რომ აქტივს გამოიყენებს კიდევ 12 წელი და ეკონომიკური სარგებლის მიღების გრაფიკს უფრო წრფივი მეთოდი შეესაბამება.

იგი ბასს-ის თანახმად განიხილება სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილების სახით. დარჩენილი ამორტიზირებადი ღირებულება 14 580 (20 000 – 5 420) განაწილებული იქნება თანაბარზომიერად 12 წელზე: $14\,580 / 12 = 1\,215$. აქედან გამომდინარე მიმდინარე წელს ამორტიზაცია გატარდება:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	05/07/2018	7455	2610	1 215	ლიცენზიას დაერიცხა ამორტიზაცია

განვიხილოთ მაგალითი:

საწარმომ გაყიდა პატენტი 2 950 ლარად, რომლის შეძენის თვითღირებულება იყო 5 000, ხოლო გამოყენების პროცესში დარიცხული ამორტიზაცია 3 000 ლარი.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	05/07/2018	1490	8190	2 500	მოთხოვნისა და შემოსავლის აღიარება
2	05/07/2018	1490	3330	450	დღგ-ს დარიცხვა
3	05/07/2018	2630	2530	3 000	ცვეთის გადახურვა
4	05/07/2018	8290	2530	2 000	არამატერიალური აქტივის ჩამოწერა ნარჩენი/საბალანსო ღირებულებით

არამატერიალური აქტივების გადაფასება

არამატერიალური აქტივების საწყისი აღიარების შემდეგ, გამოიყენება სააღრიცხვო პოლიტიკის ორი მოდელი: თვითღირებულების ან გადაფასების მოდელები.

თუ საწარმო ირჩევს *თვითღირებულების მოდელს*, საწყისი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივი უნდა აისახოს თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ამორტიზაციისა და აკუმულირებული გაუფასურების ზარალის ოდენობით.

თუ საწარმო აირჩევს აქტივების შეფასების *გადაფასების მეთოდს*, საწყისი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივი უნდა აისახოს გადაფასებული ღირებულებით, რომელიც არის ამ აქტივის რეალური ღირებულება გადაფასების თარიღით. გადაფასების მიზნით, რეალური ღირებულება უნდა განისაზღვროს აქტიური ბაზრიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. გადაფასების შემდეგ აქტივის ღირებულება იზრდება ან მცირდება.

დავუშვათ არამატერიალური აქტივის ღირებულება გადაფასების შედეგად გაიზარდა 2 500-დან 3 000 ლარამდე. თუ იგი ადრე გადაფასებული არ ყოფილა, 500 ლარით არამატერიალური აქტივის ღირებულების ზრდა აისახება საკუთარ კაპიტალში ანგარიშზე 5420-ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	05/07/2018	2590	5420	500	არამატერიალური აქტივის გადაფასება

თუ არამატერიალური აქტივი ადრე გადაფასებული არ ყოფილა, ჩამოფასების შემთხვევაში შესაბამისი თანხა აისახება ჩამოფასებიდან ზარალის ანგარიშზე:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	05/07/2018	8290	2590	500	არამატერიალური აქტივის გადაფასება

თუ აფასებული არამატერიალური აქტივი თავდაპირველად აფასდა 500 ლარით, ხოლო შემდეგ მოხდა მისი ჩამოფასება 300 ლარით, ჩამოფასების თანხით შევამცირებთ გადაფასების რეზერვის ანგარიშს. გვექნება შემდეგი სახის გატარება:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	05/07/2018	5420	2590	300	არამატერიალური აქტივის ჩამოფასება

თუ არამატერიალური აქტივი თავდაპირველად ჩამოფასდა 300 ლარით და, შესაბამისად, ასახა ჩამოფასების ზარალის ანგარიშზე და შემდეგ მისი ღირებულება გაიზარდა 500 ლარით, მაშინ გადაფასების რეზერვს დაემატება მხოლოდ 200 ლარი, 300 ლარი კი მიეკუთვნება შემოსავლებს, რადგან იგი მიეკუთვნებოდა გასული პერიოდის ჩამოფასების ზარალის ანგარიშს.

№	თარიღი	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	05/01/2016	8290	2590	300	არამატერიალური აქტივის ჩამოფასებიდან მიღებული ზარალი
2	05/12/2017	2590	8190	300	შემოსავლად აღიარება გასულ პერიოდში ხარჯად აღიარების საფუძველზე
3	05/12/2017	2590	5420	200	არამატერიალური აქტივის აფასება

გუდვილი

გუდვილი არის მომავალი ეკონომიკური სარგებელი, რომელიც წარმოიქმნება ისეთი აქტივებიდან, რომლებიც ინდივიდუალურად ვერ განისაზღვრება და ვერც ცალკე იქნება აღრიცხული. აქტივად აღიარებას დაქვემდებარებული გუდვილი წარმოიქმნება საწარმოთა გაერთიანების შედეგად და წარმოადგენს შეძენის თვითღირებულების ნამეტს შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას შორის სხვაობაზე. საწარმოთა გაერთიანება გულისხმობს ცალკეული სამეურნეო ერთეულის ან საწარმოს ერთ ანგარიშვალდებულ სამეურნეო ერთეულად გაერთიანებას.

ზოგადად ფირმის რეპუტაციას უწოდებენ გუდვილს (goodwill - კეთილი ნება).

ვინაიდან გუდვილი აქტივად აღიარდება მხოლოდ საწარმოთა გაერთიანების შედეგად, მყიდველმა საწარმომ გაერთიანებისას შეძენილი გუდვილი აქტივად უნდა აღიაროს შეძენის თარიღით. ამავე თარიღით საწარმომ თვითღირებულებით უნდა შეაფასოს გუდვილი, რომელიც არის საწარმოთა გაერთიანების ღირებულების ნამეტი თანხა მყიდველი საწარმოს წილზე.

ამდენად, საწარმოთა გაერთიანების შედეგად შეძენილი გუდვილი არის საფასური, რომელიც გადახდილია მყიდველი საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის მიღების იმედით სამომავლოდ ისეთი აქტივებიდან, რომლებიც არ შეიძლება ინდივიდუალურად აღიარდეს. გუდვილი არ ექვემდებარება ამორტიზაციას, ამის ნაცვლად, მყიდველმა საწარმომ გუდვილს ყოველწლიურად უნდა ჩაუტაროს ტესტირება გაუფასურებაზე.

განვიხილოთ მაგალითი:

„A“ საწარმომ 1 000 000 ლარად შეიძინა „B“ საწარმოს 100%-ანი წილი. შეძენილი აქტივები შეფასდა რეალური ღირებულებით. აქტივების სტრუქტურა შემდეგნაირია: შენობა 500 000 ლარი, ავტომობილები 100 000 ლარი, სასაქონლო მარაგი 350 000 ლარი, საგადასახადო ვალდებულებები 150 000 ლარი.

კომპანიის მიერ შეძენილი წმინდა აქტივები უდრის: $(500\,000 + 100\,000 + 350\,000) - 150\,000 = 800\,000$ ლარი;

შეძენილი გუდვილი უდრის: $1\,000\,000 - 800\,000 = 200\,000$ ლარს.

„A“ საწარმო შეძენას ასახავს შემდეგნაირად:

№	თარიღი	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	05/07/2018	2130	3190	500 000	შეძენილია საწარმოს შენობა
2	05/07/2018	2180	3190	100 000	შეძენილია ავტომობილები
3	05/07/2018	1610	3190	350 000	შეძენილია საქონელი
4	05/07/2018	3190	3390	150 000	აღიარებულია საგადასახადო ვალდებულება
5	05/07/2018	2540	3190	200 000	გუდვილი
6	05/07/2018	3190	1210	1 000 000	დაფარულია ვალდებულება

საგადასახადო კოდექსის განმარტებები

არამატერიალურ აქტივებზე საამორტიზაციო ანარიცხების გამოქვითვა

[სსკ მ.113]

არამატერიალური აქტივების ხარჯები გამოიქვითება საამორტიზაციო ანარიცხების სახით, მათი სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში, საანგარიშო პერიოდის პროპორციულად. ამასთანავე, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, 1000 ლარამდე ღირებულების არამატერიალური აქტივი მთლიანად გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან იმ საანგარიშო წელს, როდესაც შესაბამისი ხარჯი იქნა გაწეული.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრა, ამორტიზაციის ნორმა შეადგენს 15 პროცენტს.

თითოეული არამატერიალური აქტივი ცალკე ჯგუფად აღირიცხება.

ამორტიზაციას დაქვემდებარებული არამატერიალური აქტივების ღირებულებაში არ შეიტანება მათი შემენის ან წარმოების ხარჯები, თუ ისინი უკვე გამოქვითული იყო გადასახადის გადამხდელის დასაბეგრი მოგების (შემოსავლის) გამოანგარიშებისას.

თუ არამატერიალური აქტივები ის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის თანხა წლის ბოლოსთვის 1000 ლარზე ნაკლებია, ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის თანხა გამოიქვითება.

სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებთან მიმართებით შემოტანილია ტერმინი „საანგარიშო პერიოდის პროპორციულად“. მოგების გადასახადის მიზნებისთვის საანგარიშო პერიოდს წარმოადგენს საგადასახადო წელი, რომელიც კალენდარული წელია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ტიპის არამატერიალურ აქტივის ღირებულება გამოიქვითება სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში ყოველ საგადასახადო წელზე თანაბარი ოდენობის საამორტიზაციო ანარიცხების მიკუთვნების გზით.

თავდაპირველად ლიზინგით გაცემული ძირითადი საშუალების სხვა მიზნებისათვის გამოყენების შემთხვევაში მისი ღირებულება განისაზღვრება იმ ჯგუფის ღირებულებითი ბალანსით, რომელშიც ეს ძირითადი საშუალება მანამდე აღირიცხებოდა [სსკ მ.148].

ძირითად საშუალებათა რემონტის ხარჯების გამოქვითვა

[სსკ მ.115]

1. საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ თითოეულ ჯგუფში შემავალ ძირითად საშუალებათა რემონტის ხარჯების გამოქვითვა დასაშვებია ყოველწლიურად, საანგარიშოს წინა საგადასახადო წლის ბოლოსთვის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის 5 პროცენტამდე ოდენობით.
2. თანხა, რომელიც აღემატება ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ ზღვრულ დონეს, ზრდის შესაბამისი ჯგუფის ღირებულებით ბალანსს.
3. საგადასახადო კოდექსის 112-ე მუხლით გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხების სრულად გამოქვითვის უფლების გამოყენებისას რემონტის ხარჯები გამოიქვითება სრულად, ამ მუხლით განსაზღვრული შეზღუდვის გაუთვალისწინებლად.
4. იჯარით აღებულ ძირითად საშუალებათა რემონტის ხარჯები, თუ მისი ჩატარება ხელშეკრულების შესაბამისად გათვალისწინებული არ არის საიჯარო გადასახდელების შემცირების ხარჯზე, ექვემდებარება ძირითად საშუალებათა მიმდებთან კაპიტალიზებას და საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ქმნის ცალკე ჯგუფს, რომლის დროსაც:

ა) გაწეული ხარჯები ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება საგადასახადო კოდექსით ძირითად საშუალებათა მიმართ დადგენილი ამორტიზაციის ნორმების მიხედვით, 15 პროცენტის ოდენობით;

ბ) ხელშეკრულების ვადის გასვლის ან ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, თუ ხორციელდება ძირითადი საშუალების მეიჯარისთვის დაბრუნება, აღნიშნული ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი ნულს გაუტოლდება და დარჩენილი თანხა ერთობლივი შემოსავლიდან არ

გამოიქვითება. ამასთანავე, ძირითადი საშუალების მეიჯარისთვის დაბრუნება არ ითვლება მიწოდებად.

განვიხილოთ მაგალითი:

საწარმოს 2010 წლის ბოლოს გააჩნია 1-ლი ჯგუფი ღირებულებით 10000. 2011 წელს საწარმომ გაარემონტა ამ ჯგუფში შემავალი ავტომობილი, რაც დაუჯდა 600 ლარი. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად საწარმოს შეუძლია გამოიქვითოს რემონტის ხარჯი არაუმეტეს წინა წლის ღირებულებითი ბალანსის 5%-ისა. ჩვენს შემთხვევაში გამოსაქვითი ხარჯი ტოლია $10000 \times 5\% = 500$ ლარის. დარჩენილი 100 ლარი კი დაემატება ჯგუფის ღირებულებით ბალანსს.

[სსკ მ.110]

გამოქვითვას ექვემდებარება ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საცდელ-საკონსტრუქტორო მომსახურების ხარჯები, გარდა ძირითად საშუალებათა შეძენის, დადგმისა და სხვა კაპიტალიზებადი ხარჯებისა.

სამეცნიერო-კვლევითი მომსახურება – ესაა დაგეგმილი საძიებო, თეორიული და ექსპერიმენტული ხასიათის მომსახურება, გაწეული განსაზღვრულ ვადაში ახალი მეცნიერული და ტექნიკური ცოდნის მისაღებად, ასევე – ტექნოლოგიის შექმნის ტექნიკური შესაძლებლობის გარკვევისათვის. ის იყოფა ფუნდამენტურ (ახალი ცოდნის აღმოჩენა) და გამოყენებით კვლევად (კონკრეტული ამოცანებისათვის ახალი ცოდნის გამოყენება).

საცდელ-საკონსტრუქტორო მომსახურება – ესაა ახალი და უფრო სრულყოფილი მასალების, მექანიზმების, პროდუქციის, ტექნოლოგიებისა და მომსახურებების დაგეგმვა და პროექტირება, სამეცნიერო-კვლევითი ან სხვა სახის ცოდნის გამოყენებით მათი კომერციული მიზნით წარმოებამდე. იგი მოიცავს სამუშაოთა კომპლექსს, რომელიც ტექნიკური დავალების ფარგლებში გაწეულია პროდუქციის საცდელ ნიმუშზე საკონსტრუქტორო (საპროექტო) და ტექნოლოგიური დოკუმენტაციის შესაქმნელად, ასევე მოიცავს მის დამზადებასა და გამოცდას. ამ სახის მომსახურებების სპეციფიკური თვისებაა ის, რომ ობიექტური მიზეზებით საგრძნობლად მაღალია იმ დასახული შედეგის მიუღწევლობის რისკი, რომელიც ტექნიკური დავალებით არის გათვალისწინებული. როგორც წესი, შედეგის შემთხვევითი მიუღწევლობის რისკს სწევს დამკვეთი.

წინამდებარე მუხლით ჩამოთვლილი მომსახურებები ექვემდებარება გამოქვითვას, როგორც ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები, მაგრამ მნიშვნელობა აქვს გამოქვითვის პერიოდს.

ჩამოთვლილი მომსახურებები ექვემდებარება მიმდინარე საანგარიშო პერიოდის გამოსაქვით ხარჯებში ჩართვას, და არა – რაიმე სახით აქტივად ასახვას ან რაიმე აქტივისათვის მიკუთვნებას.

თუ აქტივის შექმნა ცნობილი არ არის და შემდგომში აღმოჩნდა, რომ იქმნება არამატერიალური აქტივი, მაშინ საანგარიშო პერიოდის ხარჯებად ასახული და მუხლში განხილული მომსახურებები აღარ შეიტანება არამატერიალური აქტივის ღირებულებაში.

[სსკ მ.119]

1. გეოლოგიური კვლევებისა და ბუნებრივი რესურსების მოპოვების მოსამზადებელი მომსახურების ხარჯები გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან საამორტიზაციო ანარიცხების სახით, [საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლით](#) დადგენილი ამორტიზაციის ნორმის მიხედვით, 20 პროცენტის ოდენობით, ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის მიხედვით და აღირიცხება ცალკე ჯგუფად.
2. ეს მუხლი:
 - ა) ვრცელდება იმ არამატერიალური აქტივების ხარჯებზე, რომლებიც გაწეულია გადასახადის გადამხდელის მიერ ბუნებრივი რესურსების გეოლოგიური კვლევის, დამუშავების ან ექსპლუატაციის უფლების შეძენასთან დაკავშირებით;
 - ბ) არ ვრცელდება იმ არამატერიალურ აქტივებზე, რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადის დადგენა და საანგარიშო პერიოდის პროპორციულად გამოქვითვა შესაძლებელია.
3. [„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის](#) შესაბამისად, პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების მიხედვით განხორციელებული გეოლოგიური კვლევების, ბუნებრივი რესურსების მოპოვების მოსამზადებელი მომსახურებისა და ბურღვის ხარჯები გამოიქვითება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად.

კანონი მეწარმეთა შესახებ

პრეტენზიების ხანდაზმულობა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით

მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით, პრეტენზიების ხანდაზმულობის ზოგადი ვადა არის ხუთი წელი, რომელიც აითვლება მათი წარმოშობიდან, თუ კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს.

დაუშვებელია პარტნიორთა კრების, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრება შესაბამისი ოქმის შედგენიდან 2 თვის გასვლის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრება (სხდომა) მოწვეულ იქნა ან ჩატარდა კანონის ან წესდების ნორმათა უხეში დარღვევით; ამ შემთხვევაში გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა ერთი წელია [კმმ მ.15].

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

[კმმ მ.44]

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. ასეთი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც.

საწარმოს პარტნიორთა შეთანხმება პასუხისმგებლობის შემცირებაზე ბათილია მესამე პირებისათვის.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია წილებად. წილი არის მიმოქცევადი უფლება.

[კმმ მ.45]

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით.

პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი

[კმმ მ.46]

1. პარტნიორთა უფლება-მოვალეობები და წილების თავდაპირველი განაწილების წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით).
2. წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას პარტნიორთა ხმის უფლება ან/და პარტნიორთა შორის მოგების/ზარალის განაწილება არ არის მათი წილების პროპორციული.
- 2¹. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში პარტნიორებს უფლება აქვთ, თავიანთი წილების პროპორციულად მიიღონ მონაწილეობა აღნიშნული საზოგადოების კაპიტალის გაზრდაში, პარტნიორთა საერთო კრების მიერ დადგენილ ვადაში კაპიტალში შესაბამისი შენატანების სრული ოდენობით განხორციელებით, თუ ყველა პარტნიორი ამ უფლების გამოყენების სხვა წესზე არ შეთანხმდება; ამასთანავე, რომელიმე პარტნიორის მიერ აღნიშნული უფლების სრულად ან ნაწილობრივ გამოუყენებლობის შემთხვევაში შესაძლებელია კაპიტალის გაზრდის შემდეგ პარტნიორთა წილების ახალი თანაფარდობა წარმოიშვას.
3. შპს-ის პარტნიორებს უფლება აქვთ, გაასხვისონ ან დატვირთონ (დააგირავონ) წილი საზოგადოების კაპიტალში, თუ წესდებით შეზღუდვა არ არის დაწესებული.
4. დირექტორებმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ მას ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და ნება დართონ, გაეცნოს საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს.
5. თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ არ განახორციელა საკუთარი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, პარტნიორს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ, თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი მიიჩნევა სათანადო მოსარჩელედ, თუ საზოგადოება პარტნიორის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში არ აღძრავს სარჩელს მესამე პირის წინააღმდეგ ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს. სასამართლოს მიერ პარტნიორის

სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში საზოგადოება ვალდებულია აუნაზღაუროს პარტნიორს სარჩელთან დაკავშირებული, კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული სასამართლოსგარეშე ხარჯები, ადვოკატის ხარჯების ჩათვლით. საზოგადოება თავისუფლდება ამ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ იგი დაამტკიცებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილება საზოგადოებისათვის საზიანო აღმოჩნდა. თუ პარტნიორი მიჩნეულ იქნა არასათანადო მოსარჩელედ ან მისი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, პარტნიორს ეკისრება საზოგადოების მიერ კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული იმ ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება, რომლებიც წარმოიშვა პარტნიორის მოთხოვნასთან დაკავშირებით. პარტნიორის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია გადაუვადოს მას სასამართლო ხარჯების ანაზღაურება

საწარმოს მართვა

[კმმ მ.47]

1. საწარმოს პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.
2. პარტნიორთა კრების კომპეტენცია, კრების ჩატარების წესი და გადაწყვეტილების მიღების პროცედურა განისაზღვრება ამ კანონით ან/და საწარმოს წესდებით.
3. დირექტორის კომპეტენცია და პასუხისმგებლობის მოცულობა განისაზღვრება ამ კანონით ან/და საწარმოს წესდებით.
4. საწარმოს მართვის ორგანოების სტრუქტურა, შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება მისი წესდებით, ამ მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნათა დაცვით.
5. (ამოღებულია).
6. თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში იქმნება სამეთვალყურეო საბჭო, მის თავმჯდომარეზე ვრცელდება ამ კანონის 55-ე მუხლის 3 1 პუნქტის მოთხოვნა.

კითხვები და ამოცანები თვითშემოწმებისთვის

№	კითხვა/ამოცანა
1	რას წარმოადგენს არამატერიალური აქტივი?
2	რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს არამატერიალური აქტივი?
3	რა შემთხვევაში აღიარდება არამატერიალური აქტივი აქტივად?
4	როგორ განისაზღვრება არამატერიალური აქტივიდან მიღებული სარგებელი?
5	როგორ განისაზღვრება არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა?
6	განმარტეთ გუდვილი.
7	საწარმომ შეიძინა ლიცენზია 40 000 ლარად. აქტივის შეძენის ნოტარიულად გაფორმებისთვის გადაიხადა 236 ლარი, მათ შორის დღგ 36 ლარი. ასახეთ ბუღალტრულად.
8	საწარმომ შეიძინა ლიცენზია 40 000 ლარად. თანხის გადახდა უნდა მოხდეს შეძენიდან 1 წელიწადში გადასახადის გადავადებასთან დაკავშირებით საწარმო გადაიხდის 12%-ს. ასახეთ ბუღალტრულად
9	საწარმომ არამატერიალური აქტივის მიღების სანაცვლოდ გადასცა 30 000 ლარის ღირებულების შენობა. არამატერიალური აქტივის რეალური ღირებულება 30 000-ია. საწარმომ არამატერიალური აქტივთან ერთად მიიღო დამატებით 2 000 ლარი.
10	საწარმომ შეიძინა ლიცენზია 10 000 ლარად, სასარგებლო მომსახურების ვადა 5 წელია. 2 წლის განმავლობაში ლიცენზიას ერიცხებოდა ამორტიზაცია. 2 წლის შემდეგ ლიცენზია გაიყიდა 8 000 ლარად. ასახეთ ანგარიშებზე.
11	„A“ საწარმომ შეიძინა „B“ საწარმო გაერთიანების მიზნით 50 000 ლარად. სინამდვილეში ამ აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ფასი 40 000-ია. გუდვილად აღიარდა 10 000 ლარი. ასახეთ ბუღალტრულად.
12	კომპანიამ შეიძინა პატენტი 15 000 ლარად, რომლის მოქმედების ვადა 5 წელია. მას ცვეთა ერიცხებოდა წრფივი მეთოდით. კომპანიამ პატენტი გამოიყენა მხოლოდ 3 წლის განმავლობაში. პატენტის ნარჩენი ღირებულება აღიარდა, როგორც ზარალი. ასახეთ ანგარიშებზე.
13	საწარმო პირველად ახდენს არამატერიალური აქტივის გადაფასებას. 6 000 ლარად შეძენილი პატენტის რეალური ღირებულება 4 800 ლარია. მომდევნო წელს პატენტის რეალური ღირებულება გახდა 6 300 ლარი. ასახეთ ბუღალტრულად.
14	საწარმომ გასწია საკვლევი ხარჯი 5 000 ლარი, სამუშაოების ჩატარებაზე გაიცა ხელფასი 800 ლარი. მოწყობილობის საექსპლუატაციოდ პერსონალის მომზადებაზე დაიხარჯა 500 ლ. ასახეთ ანგარიშებზე.
15	საწარმო იყენებს კომპიუტერული უზრუნველყოფის პროგრამებს, რომელთა თვითღირებულება 5 000-ია. დაგროვილი ამორტიზაცია 4 000 ლარი. საწარმომ გადაწყვიტა ახალი პროგრამის შეძენა 7 000 ლარად. ასახეთ ანგარიშებზე.

ლექცია №10

შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა

შემოსავლები და ხარჯები ფინანსური ანგარიშგების ის ძირითადი ელემენტებია, რომლის საფუძველზეც საწარმოს მოგების გამოთვლა და საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას შეფასება ხდება.

ბასს 18-ის თანახმად შემოსავალი არის საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საკუთარი კაპიტალის ზრდით, რომელიც არ არის დაკავშირებული მესაკუთრეთა დამატებით შენატანთან.

შემოსავლების აღიარება უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს ეკონომიკური სარგებელი გაიზარდა აქტივების ზრდით ან ვალდებულებების შემცირებით და შესაძლებელი იქნება მათი საიმედოდ შეფასება. შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს ამონაგები წარმოადგენს. ამონაგები არის საწარმოში შემოსული ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხა, რომელიც მიიღება საწარმოში სამეურნეო ოპერაციების შედეგად და გამოიხატება საკუთარი კაპიტალის ზრდით.

არსებობს ორი სახის შემოსავალი: საოპერაციო და არასაოპერაციო.

საოპერაციო შემოსავალი დაკავშირებულია საწარმოს ძირითად საქმიანობასთან: საქონლისა და მზა პროდუქციის რეალიზაციასთან, მომსახურების გაწევასთან, ხოლო არასაოპერაციო შემოსავლები მიიღება სხვა თანამდევი სამეურნეო ოპერაციების შედეგად, როგორცაა: საპროცენტო შემოსავალი, სესხები, თამასუქები, დივიდენდები, მოგება კურსთა შორის სხვაობიდან, მოგება ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან და სხვ.

არსებობს შემოსავლების აღიარების ორი მეთოდი: დარიცხვის მეთოდი და საკასო მეთოდი.

საკასო მეთოდით შემოსავლების აღიარების მომენტად ითვლება შემდეგი ორი მოვლენიდან დროის თვალსაზრისით ბოლოს შესრულებული ფაქტი:

- ა) გადატვირთულია საქონელი, შემოსავალი აღიარდება განაღდების მომენტით;
- ბ) - თუ ავანსი მიღებულია საქონლის მთლიანი ღირებულების ოდენობით, შემოსავალი აღიარდება საქონლის გადმოტვირთვის მომენტით;
- ხოლო თუ მიღებული ავანსი არ შეადგენს საქონლის მთლიან ღირებულებას, მაშინ შემოსავალი აღიარდება მხოლოდ ავანსის თანხის ოდენობით და დანარჩენი საქონლის ღირებულება შემოსავლად

აღიარდება მისი ღირებულების სრულად გადახდის შემთხვევაში..

ავანსის მიღება გულისხმობს თანხის გადახდას საქონლის მიწოდებამდე. ამ შემთხვევაში შემოსავალი არ აღიარდება, რადგან ის გამომუშავებულად არ ითვლება. ავანსის მიღებას საწარმო აღიარებს საავანსო ვალდებულებად. შემოსავლის აღიარება უკავშირდება ვალდებულების შესრულებას.

დარიცხვის მეთოდის მიხედვით შემოსავლის აღიარებისთვის საკმარისია, რომ საკუთრების უფლება საქონელსა და მომსახურებაზე გადაეცეს მყიდველს, მიუხედავად იმისა მიღებულია თუ არა ფულადი სახსრები. ასეთი პირობით წარმოიქმნება დარიცხული შემოსავალი და დებიტორული დავალიანება.

განვიხილოთ მაგალითი:

10 აპრილს მიღებულია საქონლის ღირებულება 5 900 ლარი. მიწოდება უნდა განხორციელდეს თანხის გადახდიდან 10 დღეში. საქონლის თვითღირებულება 4 000 ლარია.

შესრულდება გატარება:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/04/2017	1210	3120	5 900	მიღებულია ავანსი
2	20/04/2017	1410	6110	5 900	მიწოდებულია საქონელი
4	20/04/2017	7210	1610	4 000	საქონლის ჩამოწერა თვითღირებულებით
5	20/04/2017	3120	1410	5 900	მიღებული ავანსის გადახურვა

მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი

ამონაგები მომსახურების გაწევიდან უნდა აღიარდეს ხელშეკრულების სტადიების მიხედვით და იმის გათვალისწინებით, შესაძლებელია თუ არა მომსახურების შედეგების, მომსახურების დანახარჯების საიმედოდ შეფასება, ასევე მოსალოდნელი უნდა იყოს ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

არსებობს მომსახურებიდან შემოსავლების აღიარების პროცენტული, განსაზღვრული სამუშაოს და დასრულებული სამუშაოს მეთოდი.

პროცენტული შესრულების მეთოდი გამოიყენება მაშინ, როდესაც კონტრაქტის პირობები ითვალისწინებს მომსახურების შესრულებას ორი ან მეტი საანგარიშგებო პერიოდის მანძილზე. ასე, მაგალითად, სამშენებლო კონტრაქტი შეიძლება ითვალისწინებდეს მშენებლობის პროცესს რამდენიმე წლის განმავლობაში და სხვ. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ საანგარიშგებო პერიოდში ამონაგების აღიარება შეიძლება განხორციელდეს შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით, საანგარიშგებო პერიოდში მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯების პროპორციულად ან სხვა შესაბამის მაჩვენებელზე დაყრდნობით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის ამონაგებში ასახვის მიზნით, უნდა დაიგეგმოს შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, მომსახურებაზე გაწეული პირდაპირი დანახარჯები და სხვა ობიექტური მაჩვენებლები. იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში მომსახურების გაწევას რეგულარული ხასიათი გააჩნია, დასაშვებია ამონაგები აღიარდეს თანაბარ ნაწილებად, მომსახურების მიწოდების პერიოდულად (რომელიც შეიძლება განისაზღვროს სამუშაოების შესრულების შესახებ პერიოდულად შედგენილი ანგარიშგების საფუძველზე). ჩვეულებრივ, თანაბარ ნაწილებად აღიარებული ამონაგები ბუღალტრულად აისახება შემდეგი გატარებით:

№	თარიღი	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	20/10/2017	1410	6190	5 000	შემოსავალი მომსახურებიდან

დასრულებული სამუშაოს მეთოდი გამოიყენება ერთდროულად რამდენიმე მიზნით. მაგალითად, მაშინ, როდესაც მომსახურების საბოლოო სახე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი დასრულების გარეშე უკვე გაწეული მომსახურების სახეები შეიძლება არც კი ჩაითვალოს შესრულებულად. ასე, მაგალითად, აუდიტორული მომსახურების პაკეტი, რომელიც გულისხმობს ქონების ინვენტარიზაციას, შეფასებას, ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, რომელიც შეიძლება არ ჩაითვალოს შესრულებულად, თუ არ იქნება ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარებული და ა. შ. აღნიშნული მეთოდის თანახმად, მომსახურების თითოეულ სახეზე გაწეული დანახარჯები აისახება როგორც დაუმთავრებელი მომსახურება, შემდეგი გატარებით:

№	თარიღი	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	20/10/2017	7190	3190	5 000	დაუმთავრებელი მომსახურება

რაც შეეხება ამონაგების აღიარებას, უნდა აღინიშნოს ის, რომ ცალკეული სახის დასრულებული სამუშაოების მიხედვით შემკვეთისგან მიღებული გადახდები შემოსავლად არ აღიარდება მანამ, სანამ ძირითადი მომსახურება არ მიიღებს დასრულებულ სახეს. ყველა სახის მომსახურების დასრულების შემდეგ, მოხდება შემოსავლების აღიარება შემდეგი ბუღალტრული გატარებით:

№	თარიღი	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	20/10/2017	1410	6190	10 000	შემოსავალი მომსახურებიდან

განსაზღვრული სამუშაოს მეთოდი გამოიყენება კონკრეტული სახის მომსახურების გაწევისას. მაგალითად, აუდიტორის შემოსავალი ქონების ექსპერტიზიდან, ფინანსური ანგარიშგების აუდიტიდან, ტურიზმის სააგენტოების მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია სასტუმროების, ბილეთების დაჯავშნასთან და სხვ.

გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა

პრაქტიკაში ზოგჯერ ხდება გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება.

განვიხილოთ მაგალითი:

საწარმომ 15 დღეში გადახდის პირობით გაყიდა 100 ერთეული საქონელი 11 800 ლარად, ერთეულის თვითღირებულება 60 ლარია.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/10/2017	1410	6110	10 000	შემოსავალი რეალიზაციიდან
2	10/10/2017	1410	3330	1 800	გადასახდელი დღგ
3	10/10/2017	7210	1610	6 000	საქონლის ჩამოწერა თვითღირებულებით

უხარისხობის გამო მყიდველისაგან დაბრუნებულია 50 ერთეული საქონელი, ხელშეკრულების პირობები არ დარღვეულა, დებიტორული დავალიანების დაფარვა განხორციელდა უნაღდო ანგარიშსწორებით:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	20/10/2017	6120	1410	5 000	საქონლის უკან დაბრუნება
2	20/10/2017	3330	1410	900	დღგ-ს კორექტირება
3	20/10/2017	1610	7220	3 000	თვითღირებულების კორექტირება
4	25/10/2017	1210	1410	5 900	დებიტორული დავალიანების დაფარვა

შემოსავლად აღიარებული 10 000 ლარის კორექტირება აისახება შემდეგი გატარებით:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	20/10/2017	6110	6120	5 000	შემოსავლის კორექტირება

ამრიგად, საქონლის უკან დაბრუნების შედეგად გადასახდელი დღგ შემცირდება 900 ლარით.

ამ მაგალითის მიხედვით განვიხილოთ საქონლის კრედიტით გაყიდვის შემთხვევაში მყიდველისთვის შეთავაზებული ფასდათმობის შემთხვევა, როდესაც მყიდველი დათქმულ ვადაზე ადრე იხდის დავალიანებას.

საწარმომ გაყიდა 7 000 ლარის თვითღირებულების საქონელი 10 000 ლარად 60 დღეში გადახდის პირობით, მაგრამ თუ იგი გადაიხდის დავალიანებას 30 დღეში, მიიღებს 5% ფასდათმობას.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/09/2017	1410	6110	10 000	გაყიდულია საქონელი
2	10/09/2017	1410	3330	1 800	გადასახდელი დღგ
3	10/09/2017	7210	1610	7 000	საქონლის თვითღირებულებით ჩამოწერა

მყიდველმა დავალიანება გადაიხადა 30 დღეში და მიიღო ფასდათმობა 5%.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/10/2017	6120	1410	500	ფასდათმობა
2	10/10/2017	3330	1410	90	დღგ-ს კორექტირება
3	10/10/2017	1210	1410	11 210	თანხის მიღება

რადგან შემოსავლად აღიარებული იყო 10 000 ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა კი შეადგინა 9 500, უნდა მოხდეს 6110-ის კორექტირება 500 ლარით.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/10/2017	6110	6120	500	შემოსავლის კორექტირება

სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება

დანახარჯების აღრიცხვა ეკონომიკური შინაარსის მიხედვით გულისხმობს შეძენილი მარაგის დანახარჯად აღიარებას შეძენისთანავე, რომელიც წლის ბოლოს კორექტირდება რეალიზაციის ფაქტობრივ დონემდე.

მაგალითად:

დავუშვათ, საწარმოს სასაქონლო მარაგი წლის დასაწყისში შეადგენს 20 000 ლარს. საწარმომ საანგარიშგებო პერიოდში სხვადასხვა დროს შეიძინა 25 000 ლარის საქონელი. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გაიყიდა 15 000 ლარის თვითღირებულების საქონელი, საანგარიშგებო პერიოდში მომწოდებელს დაუბრუნდა 2 000 ლარის საქონელი. წლის ბოლოს საწარმო ატარებს ინვენტარიზაციას და დადგინდა, რომ საქონლის მარაგი 25 000 ლარს შეადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა მარაგის კორექტირება 3 000 ლარით.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/10/2017	7290	1610	3 000	მარაგის კორექტირება

განვიხილოთ მაგალითი:

შეძენილი 5,900 ლარის საქონელი დაბრუნებულია მომწოდებელზე:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/10/2017	1610	3110	5 000	საქონლის შეძენა
2	10/10/2017	3340	3110	900	ჩასათვლელი დღე

უხარისხობის გამო უკან დაბრუნებულია 3,000 ლარის საქონელი:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/10/2017	3110	1610	3 000	საქონლის უკან დაბრუნება
2	10/10/2017	3110	3340	540	დღე-ს კორექტირება
3	10/10/2017	3110	1210	2 360	დარჩენილი ვალდებულების დაფარვა

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ხარისხის გაუარესების ან საბაზრო ფასების მნიშვნელოვანი ცვლილების პირობებში, შეძენის დანახარჯებით შეფასება აღარ იძლევა რეალურ სურათს. ამიტომ საჭირო ხდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა რეალურ ღირებულებამდე, თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ბალანსში შეცვლილი ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით აისახება, სხვაობა თვითღირებულებასა და შეცვლილ სარეალიზაციო ღირებულებას შორის წარმოადგენს მიმდინარე ზარალს.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადაფასების შედეგი აისახება სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირების ანგარიშზე. მაგ.: ჩამოფასება მოხდა 3 000 ლარით. ჩამოფასების დროს ადგილი ექნება გატარებას:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/10/2017	7185	1620	3 000	მარაგის კორექტირება

ხოლო აფასების შემთხვევაში:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/10/2017	1620	7185	3 000	მარაგის კორექტირება

განვიხილოთ მაგალითი:

ხის მასალა საწარმოში იწახება 2 წლის განმავლობაში. 2016 წლის 31 დეკემბერს მისი თვითღირებულება შეადგენდა 16 000 ლარს, ხოლო ნეტო სარეალიზაციო ღირებულება 15 200 ლარს. 2017 წლის ბოლოს ხის მასალის ღირებულება გაიზარდა და გახდა 15 500 ლარი. აღნიშნული ოპერაციები შემდეგნაირად აისახება: 2016 წლის ბოლოს ხარჯად აღიარდება 800 ლარი:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	31/12/2016	7185	1620	800	მარაგის კორექტირება

2011 წლის ბოლოს მარაგის კორექტირების ანგარიში შეამცირებს ხარჯებს 300 ლარით:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	31/12/2017	1620	7185	300	მარაგის კორექტირება

როგორც ვხედავთ 2016 წლის ზარალის (800 ლარის) ნაწილობრივი კომპენსაცია მოხდა 2017 წელს (300 ლარით).

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადაფასება შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალურად, მარაგის თითოეული ერთეულისთვის, ჯგუფურად ან მთლიანად საერთო რაოდენობის მიხედვით.

ხარჯების ცნება და კლასიფიკაცია

ხარჯები, ისევე როგორც შემოსავლები, ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია. ხარჯების ზრდა ხდება პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არ არის მესაკუთრეების კაპიტალის განაწილებასთან.

საწარმო დანახარჯებს ეწევა რათა უზრუნველყოს შემოსავლების მიღება საანგარიშგებო პერიოდში და მიიღოს ეკონომიკური სარგებლი.

დანახარჯები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

- შემოსავლების ოპერაციებთან უშუალოდ დაკავშირებული გასავლები (მაგალითად, საქონლის ან მზა პროდუქციის რეალიზაციის დანახარჯები);
- შემოსავლების ოპერაციებისგან დამოუკიდებელი გასავლები (მაგალითად, დანახარჯები საწარმოს მართვაზე, ჯარიმები, საურავები, ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან).

ასევე დანახარჯები უნდა დაჯგუფდეს მათი როლისა და დანიშნულების მიხედვით, როგორცაა: საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები.

საოპერაციო ხარჯები გაიწევა ძირითადი საქმიანობის განხორციელების პროცესში და მოიცავს:

- რეალიზებული საქონლის ან მზა პროდუქციის თვითღირებულებას;
- მიწოდების ხარჯებს;
- საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

არასაოპერაციო ხარჯები წარმოიქმნება თანამდევი საქმიანობის პროცესში და მოიცავს:

- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისს;
- საპროცენტო ხარჯებს;
- ზარალს კურსთა შორის სხვაობიდან;
- ზარალს ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან და სხვა არასაოპერაციო ხარჯებს.

მიწოდების, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომერციული (მიწოდების) ხარჯები უშუალოდ უკავშირდება რეალიზაციის პროცესს. კომერციული ხარჯების შემადგენლობაში შედის: პროდუქციის ტრანსპორტირების ხარჯი, საკომისიო მოსაკრებლები, რეკლამის ხარჯი, შენახვის ხარჯი, რეალიზაციის ოპერაციით დაკავებული პერსონალის შრომის ანაზღაურების ხარჯები და ა.შ.

განვიხილოთ ტრადიციული ოპერაციების ანგარიშზე ასახვის მაგალითები:

- წარმოდგენილია სატრანსპორტო საწარმოს ანგარიშ-ფაქტურა 900 ლარის სატრანსპორტო მომსახურებაზე:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/10/2017	7340	3190	762.00	ტრანსპორტირების ხარჯი
2	10/10/2012	3340	3190	137.16	ჩასათვლელი დღე

- დარიცხულია ტვირთის გამცილებლის ანაზღაურება:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/10/2017	7320	3130	1 125	დისტრიბუტორის ხელფასი
2	10/10/2017	3130	3320	225	საშემოსავლოს დარიცხვა
3	10/10/2017	3320	1210	225	საშემოსავლოს გადახდა
4	10/10/2017	3130	1210	900	ხელფასის გადახდა

დარიცხულია სარეკლამო მომსახურებისათვის 1180 ლ

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/10/2017	7310	3190	1 000	რეკლამის ხარჯი
2	10/10/2017	3340	3190	180	ჩასათვლელი დღე

საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს მიეკუთვნება ადმინისტრაციის მუშაკების შრომის ანაზღაურება, ადმინისტრაციული შენობის ცვეთის ხარჯი, ტელეფონის, კავშირგაბმულობის, საიჯარო ქირის, კადრების მომზადების, დაცვის და სხვა ხარჯები.

განვიხილოთ ტრადიციული ოპერაციები:

- დარიცხულია ადმინისტრაციის მუშაკთა ხელფასი 3500 ლარი.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/10/2017	7410	3130	3 500	დარიცხულია ადმინისტრაციის ხელფასი
2	10/10/2017	3130	3320	700	დარიცხულია საშემოსავლო
3	10/10/2017	3320	1210	700	გადახდილია საშემოსავლო
4	10/10/2017	3130	1210	2 800	გადახდილია ხელფასი

- დარიცხულია ადმინისტრაციის შენობის ცვეთა 600 ლარი და საოფისე აღჭურვილობის ცვეთა 200 ლარი, სულ 800 ლარი.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/10/2017	7455	2230	600	შენობის ცვეთის ხარჯი
2	10/10/2017	7455	2260	200	აღჭურვილობის ცვეთის ხარჯი

- დარიცხულია მიმდინარე პერიოდის საიჯარო ქირა 500 ლ.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/10/2017	7420	3190	500	საიჯარო ქირის ხარჯი
2	10/10/2017	3340	3190	90	ჩასათვლელი დღე

- უიმედო ვალი 1 000 ლარი აღიარდა ხარჯად.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/10/2017	7460	1415	1,000	საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯი

- გადახდილია საკონსულტაციო მომსახურებისათვის 800 ლ.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/10/2017	7450	3190	800	საკონსულტაციო ხარჯი

- დარიცხულია ქონების გადასახადი 1200 ლარი.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	10/10/2017	7465	3380	1,200	ქონების გადასახადის ხარჯი

საგადასახადო კოდექსის განმარტებები

საგადასახადო აღრიცხვის წესები

[სსკ მ.135]

1. პირისთვის (გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული პირებისა) საანგარიშო პერიოდია კალენდარული წელი;
2. რეზიდენტი საწარმოსთვის და საქართველოში არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულებისთვის (საწარმოები, რომლებიც მოგების გადასახადით იბეგრებიან საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით) საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე;
3. პირისთვის, რომელიც საშემოსავლო/მოგების გადასახადით იბეგრება საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის მე-16 ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით, ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის ნაწილში საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე (სსკ მ.309_16 ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში პირისთვის საშემოსავლო/მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი აღნიშნული საქმიანობის ნაწილში არის ამ საქმიანობის მიხედვით ყოველი საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებული ფსონების ჯამი, რომელიც იბეგრება 7%-იანი განაკვეთით. ამ შემთხვევაში პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმით წარადგინოს დეკლარაცია და იმავე ვადაში გადაიხადოს შესაბამისი გადასახადი).

[სსკ მ.97] - მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი

1. რეზიდენტი საწარმოს (გარდა ამ მუხლის მე-2, მე-8 და მე-9 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:
 - ა) განაწილებული მოგება;
 - ბ) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;
 - გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
 - დ) ამ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.
2. ორგანიზაციის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.
- [2. ორგანიზაციის, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:
 - ა) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან ან/და არ გამომდინარეობს ამ ორგანიზაციის საქმიანობის მიზნიდან (მათ შორის, არ არის დაკავშირებული საქველმოქმედო საქმიანობასთან ან არ გამომდინარეობს გრანტის ხელშეკრულების მიზნიდან);
 - ბ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა, თუ ეს არ გამომდინარეობს ამ ორგანიზაციის საქმიანობის მიზნიდან;
 - გ) ამ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი. (ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან)]
3. არარეზიდენტი საწარმოს, რომელიც საქართველოში საქმიანობას მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ახორციელებს, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მისი მუდმივი დაწესებულების საქმიანობიდან გამომდინარე, ამ არარეზიდენტი საწარმოს ან მუდმივი დაწესებულების მიერ განხორციელებული განაცემი/გაწეული ხარჯი, რომელიც გათვალისწინებულია ამ მუხლის პირველი ნაწილით.

4. არარეზიდენტი საწარმოს მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი, რომელიც საქართველოში მის მუდმივ დაწესებულებას არ მიეკუთვნება, იბეგრება გადახდის წყაროსთან გამოქვითვების გარეშე, ამ კოდექსის 134-ე მუხლის შესაბამისად, გარდა ამ მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
5. არარეზიდენტი საწარმოს, რომელიც ამ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ქონების რეალიზაციით იღებს ისეთ შემოსავალს, რომელიც დაკავშირებული არ არის საქართველოში მისი მუდმივი დაწესებულების საქმიანობასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული გამოქვითვების თანხებს შორის.
6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ქონების რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს განეკუთვნება:
 - ა) რეზიდენტი იურიდიული პირის ჩვეულებრივი აქციების ან პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;
 - ბ) ამ კოდექსის მე-8 მუხლის 21-ე ნაწილით გათვალისწინებული აქტივების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;
 - გ) ამ კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ან „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქონების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;
 - დ) სხვა ქონების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი.
7. ამ კოდექსის 98¹-98⁴ მუხლებით გათვალისწინებული გადახდების/განაცემების არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი განისაზღვრება მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების საბაზრო ფასით.
8. „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული „არსებული ხელშეკრულებებიდან“ გამომდინარე, ნავთობისა და გაზის ოპერაციების შედეგად მიღებული მოგება იბეგრება მოგების გადასახადით დაბეგვრის 2017 წლის 1 იანვრამდე მოქმედი დებულებების შესაბამისად.
9. პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში ამ საქმიანობის ნაწილში, განისაზღვრება ამ კოდექსის 309-ე მუხლის მე-16 ნაწილის შესაბამისად.
10. ამ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების მიზნებისათვის მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება იმავე ნაწილების შესაბამისად განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად.

შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის პრინციპები

[სსკ მ.136]

1. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია სწორად და დროულად აღრიცხოს შემოსავლები და ხარჯები დოკუმენტურად დადასტურებულ მონაცემთა საფუძველზე, ამ თავით გათვალისწინებული მეთოდების გამოყენებით და მიაკუთვნოს იმ საანგარიშო პერიოდს, რომელშიც მოხდა მათი მიღება და გაწევა.
2. თუ ამ თავით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გადასახადის გადამხდელი შემოსავლებისა და ხარჯების აღსარიცხავად იყენებს საკასო ან დარიცხვის მეთოდს, იმის მიხედვით, თუ რომელ მეთოდს იყენებს ბუღალტრული აღრიცხვისათვის.
3. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია სრულად აღრიცხოს თავის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია, რათა გარანტირებული იყოს კონტროლი მათ დაწყებაზე, მიმდინარეობასა და დასრულებაზე.
4. სამეწარმეო საქმიანობისათვის ქვეყნის შიგნით საქონლის ტრანსპორტირებისას, ხოლო საქონლის მიწოდებისას – მყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში (გარდა სპეციალური დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით განხორციელებული მიწოდებისა, რომლებიც მოიცავს

სასაქონლო ზედნადებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს) სასაქონლო ზედნადები უნდა გამოიწეროს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმითა და წესით. ამასთანავე, საქონლის მიწოდებისას მყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში სასაქონლო ზედნადების გამოწერისას აკრძალულია საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე შენახვა.

- 4¹. საქართველოს ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს, განსაზღვროს შემთხვევები, როდესაც სასაქონლო ზედნადები არ გამოიწერება.
5. დასაბეგრი შემოსავალი (მოგება) უნდა განისაზღვროს იმავე მეთოდით, რომელსაც გადასახადის გადამხდელი იყენებს ბუღალტრული აღრიცხვისათვის. ამასთანავე, შემოსავლის (მოგების) კორექტირება ხდება მხოლოდ ამ კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. თუ ამავე კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების მიხედვით გადასახადის გადამხდელის ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები და კოდექსით დადგენილი ზღვრული ნორმები განსხვავდება ერთმანეთისაგან, დასაბეგრი ობიექტის განსაზღვრისათვის მან უნდა გამოიყენოს ამ კოდექსით დადგენილი ნორმები.
6. ამ მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, გადასახადის გადამხდელმა აღრიცხვა უნდა აწარმოოს საგადასახადო მიზნებისათვის აღრიცხვის საკასო ან დარიცხვის მეთოდით, იმ პირობით, რომ იგი საგადასახადო წლის განმავლობაში ერთ მეთოდს გამოიყენებს.
7. ფიზიკურ პირს უფლება აქვს, შემოსავლები და ხარჯები საკასო მეთოდით აღრიცხოს.
8. დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია გამოიყენოს აღრიცხვის დარიცხვის მეთოდი.
9. გადასახადის გადამხდელის მიერ აღრიცხვის მეთოდის ნებისმიერი ასპექტის შეცვლისას დასაბეგრი შემოსავლის (მოგების) კორექტირება უნდა მოხდეს ასეთი შეცვლის წელს, იმის გათვალისწინებით, რომ დასაბეგრი შემოსავლის (მოგების) განსაზღვრასთან დაკავშირებული არც ერთი ელემენტი არ იქნება გამოტოვებული ან ორჯერ ჩართული.
10. თუ გადასახადის გადამხდელი არაფულადი ფორმით იღებს შემოსავლებს ან სწევს ხარჯებს, ასეთი შემოსავლების მიღების ან ხარჯების გაწევის მომენტი განისაზღვრება იმ წესით, რა წესითაც განისაზღვრება ფულადი ფორმით შემოსავლების მიღების ან ხარჯების გაწევის მომენტი.
11. ზოგიერთი სახის საქმიანობის განმახორციელებელ გადასახადის გადამხდელს, თუ ასეთი საქმიანობისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია დაბეგვრის განსხვავებული პირობები, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა შეიძლება დაუდგინოს ზოგიერთი სახის საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება. ამასთანავე, ზოგიერთი სახის საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები დადასტურებული უნდა იქნეს სააღრიცხვო დოკუმენტაციით.
12. გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია შემოსავლები და ხარჯები აღრიცხოს ელექტრონული ფორმით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით.
13. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო და სხვა ჯარიმები აღრიცხება საკასო მეთოდით.
14. ამ კოდექსის 98¹–98⁴ მუხლებით გათვალისწინებული ხარჯების გაწევის და სხვა გადახდების/განაცემების განხორციელების მომენტად ითვლება მათი ფაქტობრივად გაწევის/განხორციელების მომენტი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა საკასო მეთოდით

[სსკ მ.137]

აღრიცხვის საკასო მეთოდის გამოყენებისას გადასახადის გადამხდელმა:

- ა) შემოსავლები უნდა აღრიცხოს მათი მიღების ან გამოყენებისა და განკარგვის უფლების მოპოვების მომენტიდან;
- ბ) ხარჯები უნდა გამოქვითოს განაღდების შემდეგ (აღნიშნული არ ეხება ამ კოდექსის 111-ე მუხლით გათვალისწინებულ ამორტიზაციას დაქვემდებარებულ ძირითად საშუალებებს).

[სსკ მ.138]

1. აღრიცხვის საკასო მეთოდის გამოყენებისას შემოსავლების მიღების მომენტად ითვლება:
 - ა) ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას – ნაღდი ფულის მიღების მომენტი;
 - ბ) უნაღდო წესით ანგარიშსწორებისას – ფულადი სახსრების ჩარიცხვა ბანკში გადასახადის გადამხდელის მიმდინარე ანგარიშზე ან სხვა ანგარიშზე, რომლის განკარგვის ან რომლიდანაც ამ სახსრების მიღების უფლება აქვს.
2. გადასახადის გადამხდელის ფინანსურ ვალდებულებათა გაუქმების ან დაფარვის შემთხვევაში, კერძოდ, ურთიერთჩათვლის დროს, შემოსავლების მიღების მომენტად ითვლება ამ ვალდებულებათა გაუქმების ან დაფარვის მომენტი.

[სსკ მ.139]

1. აღრიცხვის საკასო მეთოდის გამოყენებისას ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება გადასახადის გადამხდელის მიერ ხარჯების ფაქტობრივად გაწევის მომენტი, გარდა ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
2. აღრიცხვის საკასო მეთოდის გამოყენებისას გადასახადის გადამხდელის მიერ ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება:
 - ა) ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას – ნაღდი ფულის გადახდის მომენტი;
 - ბ) უნაღდო წესით ანგარიშსწორებისას – ბანკის მიერ გადასახადის გადამხდელის საბანკო ან სხვა ანგარიშიდან თანხების ჩამოწერის მომენტი.
3. გადასახადის გადამხდელის წინაშე ფინანსურ ვალდებულებათა გაუქმების ან დაფარვის შემთხვევაში, კერძოდ, ურთიერთჩათვლის დროს, ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება ამ ვალდებულებათა გაუქმების ან დაფარვის მომენტი.
4. სავალო ვალდებულების ან ქონების იჯარით გაცემასთან დაკავშირებული გადასახდელის მიმართ, თუ სავალო ვალდებულების ან იჯარის ხელშეკრულების ვადა რამდენიმე საანგარიშო პერიოდს მოიცავს, ფაქტობრივად გადახდილი პროცენტის (იჯარის) თანხა, რომელიც გამოიქვითება საგადასახადო წლის განმავლობაში, არის პროცენტის (იჯარის) ის თანხა, რომელიც გამოიანგარიშება თითოეულ საანგარიშო პერიოდში დარიცხული ან დასარიცხი თანხის მიხედვით.

ფაქტობრივად გადახდილი იჯარის თანხა ხარჯად აღიარდება არაუმეტეს შესაბამის პერიოდში დარიცხული თანხის მიხედვით.

მაგალითად, დავუშვათ, 2011 წელს დარიცხულმა იჯარის თანხამ (ანუ გადახდის ვალდებულებამ) შეადგინა 300 ლარი. ამავე წელს გადასახადის გადამხდელმა გადაიხადა:

- ა) 100 ლარი (პირველი შემთხვევა);
 - ბ) 600 ლარი (მათ შორის, 300 ლარი 2012 წელს) (მეორე შემთხვევა).
- ა) შემთხვევაში 2011 წლისთვის ხარჯად აღირიცხება 100 ლარი, ხოლო
 ბ) შემთხვევაში – 300 ლარი.

იგივე წესი გამოიყენება პროცენტებთან მიმართებით.

შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა დარიცხვის მეთოდით**[სსკ მ.140]**

დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას გადასახადის გადამხდელმა შემოსავლები და ხარჯები უნდა აღრიცხოს შესაბამისად შემოსავლების მიღების უფლების მოპოვებისა და ხარჯების აღიარების მომენტის მიხედვით, შემოსავლების ფაქტობრივად მიღებისა და ხარჯების ფაქტობრივად გაწევის მომენტის მიუხედავად, გარდა ამ კოდექსის 142-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

[სსკ მ.141]

1. გადასახადის გადამხდელის შემოსავლების მიღების უფლება მოპოვებულად ითვლება, თუ:
 - ა) შესაბამისი თანხა ექვემდებარება გადასახადის გადამხდელისათვის გადახდას;

- ბ) გადასახადის გადამხდელმა შეასრულა გარიგებით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.
2. თუ გადასახადის გადამხდელი სწევს მომსახურებას, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული უფლება მის მიერ გარიგებით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დამთავრების მომენტში მოპოვებულად ითვლება.
 3. თუ გადასახადის გადამხდელი იღებს ან მას უფლება აქვს, მიიღოს შემოსავალი პროცენტის სახით ან ქონების იჯარით გადაცემით, შემოსავალი სავალო ვალდებულების ან იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის მომენტში მიღებულად ითვლება. ამასთანავე, თუ სავალო ვალდებულების ან იჯარის ხელშეკრულების ვადა რამდენიმე საანგარიშო პერიოდს მოიცავს, შემოსავალი საანგარიშო პერიოდებს შორის ნაწილდება თითოეულ საანგარიშო პერიოდში დარიცხული ან დასარიცხი თანხის მიხედვით.
 4. ბანკები სესხებზე დარიცხულ პროცენტებსა და ჯარიმებს შემოსავლად აღიარებენ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.

დარიცხვის მეთოდით ხარჯების გაწევის მომენტი

[სსკ მ.142]

1. თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას გარიგებასთან (ხელშეკრულებასთან) დაკავშირებული ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება მომენტი, როცა შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:
 - ა) შესაძლებელია გადასახადის გადამხდელის მიერ ფინანსური ვალდებულების აღების ცალსახად მიჩნევა;
 - ბ) ფინანსური ვალდებულების ოდენობა შეიძლება საკმარისი სიზუსტით შეფასდეს;
 - გ) გარიგების (ხელშეკრულების) ყველა მონაწილემ ფაქტობრივად შეასრულა თავისი ვალდებულება ამ გარიგების (ხელშეკრულების) მიხედვით და სათანადო ანაზღაურება ექვემდებარება აუცილებელ გადახდას.
2. ფინანსურ ვალდებულებაში იგულისხმება გარიგების (ხელშეკრულების) შედეგად აღებული ვალდებულება, რომლის შესრულების ძალითაც ამ გარიგების (ხელშეკრულების) მეორე მონაწილემ უნდა მიუთითოს ვალდებულების შესაბამისი შემოსავალი ფულადი ან სხვა ფორმით.
3. სავალო ვალდებულების პროცენტის ან იჯარით გაცემული ქონებიდან გადასახდელის გადახდისას ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება სავალო ვალდებულების ან იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის მომენტი. თუ სავალო ვალდებულების ან იჯარის ხელშეკრულების ვადა რამდენიმე საანგარიშო პერიოდს მოიცავს, ხარჯები საანგარიშო პერიოდებს შორის ნაწილდება მათი დარიცხვების შესაბამისად.
4. მიუხედავად ამ მუხლის პირველი-მე-3 ნაწილებისა, თუ პირი, გარდა ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტისა, იყენებს დარიცხვის მეთოდს, ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება თანხის გადახდის მომენტი, როდესაც:
 - ა) გადახდა უკავშირდება ფიზიკურ პირს, გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა;
 - ბ) მიღებული მომსახურებისათვის საკომპენსაციო თანხის გადახდა უკავშირდება არარეზიდენტ საწარმოს, რომელიც არ მიეკუთვნება არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას საქართველოში.

სამოქალაქო კოდექსის განმარტებები

საწივითო (ქონებრივი) სამართალი

ყოველდღიურად მრავალი სამართლებრივი ურთიერთობის მოწმე ვხდებით, რომელთაგან უმრავლესობა იდება ქონების თაობაზე.

ქონებას არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.

ნივთით სარგებლობა არ ნიშნავს ამ ნივთის მესაკუთრეობას. მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით, ხოლო საკუთრების შემთხვევაში მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას [სსკ მ.155, მ.170].

სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობის სხვადასხვა ფორმა არსებობს. ესენია: აღნაგობა, სერვიტუტი და უზუფრუქტი.

აღნაგობის უფლება გულისხმობს მიწის ნაკვეთის გადაცემას პირის სარგებლობაში ისე, რომ მას ჰქონდეს ამ ნაკვეთზე ან მის ქვეშ რაიმე ნაგებობის აღმართვის უფლება, ასევე ამ უფლების გასხვისების, მემკვიდრეობით გადაცემის, თხოვების, გაქირავების უფლება (აღნაგობის უფლება). აღნაგობის უფლება შეიძლება გავრცელდეს მიწის ნაკვეთის იმ ნაწილზე, რომელიც არ არის აუცილებელი აღნაგობისთვის, მაგრამ იძლევა ნაგებობით უკეთ სარგებლობის შესაძლებლობას. აღნაგობის უფლების ვადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით და იგი არ უნდა აღემატებოდეს ოთხმოცდაცხრამეტ წელს [სსკ მ.233].

უზუფრუქტი: უძრავი ნივთი შეიძლება სხვა პირს გადაეცეს სარგებლობაში ისე, რომ იგი უფლებამოსილია, როგორც მესაკუთრემ, გამოიყენოს ეს ნივთი და არ დაუშვას მესამე პირთა მიერ მისით სარგებლობა, მაგრამ მესაკუთრისგან განსხვავებით, მას არა აქვს ამ ნივთის გასხვისების, იპოთეკით დატვირთვის ან მემკვიდრეობით გადაცემის უფლება (უზუფრუქტი). ამ ნივთის გაქირავების ან იჯარით გადაცემისთვის საჭიროა მესაკუთრის თანხმობა. უზუფრუქტის გაუქმების შემდეგ მესაკუთრე ხდება არსებული ქირავნობის ან იჯარის ურთიერთობების მონაწილე [სსკ მ.242].

სერვიტუტი: მიწის ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება შეიძლება სხვა მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრის სასარგებლოდ ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული), რომ ამ მესაკუთრეს უფლება ჰქონდეს, ცალკეულ შემთხვევებში ისარგებლოს ამ ნაკვეთით, ან აიკრძალოს ამ ნაკვეთზე ზოგიერთი მოქმედების განხორციელება, ანდა გამოირიცხოს დატვირთული ნაკვეთის მესაკუთრის ზოგიერთი უფლების გამოყენება სხვა ნაკვეთის მიმართ (სერვიტუტი). სერვიტუტის დადგენის მიმართ გამოიყენება უძრავი ნივთის შეძენისათვის გათვალისწინებული წესები. საზღაური შეიძლება განისაზღვროს პერიოდული გადასახდელის სახით.

დაზღვევა

ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს უფლება აქვს დააზღვიოს თავისი ქონება მისთვის სასურველ სადაზღვევო კომპანიაში, რომელსაც მზღვეველი ეწოდება. სადაზღვევო ურთიერთობის დროს მზღვეველი შეიძლება წარმოადგინოს დაზღვევის აგენტმა. მას უფლება აქვს დადოს დაზღვევის ხელშეკრულება, შეცვალოს მისი პირობები, მოშალოს ან გააგრძელოს მისი მოქმედების ვადა.

დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება. დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი (პრემია) [\[სსკ მ.799\]](#).

მხარეთა შორის სადაზღვევო ურთიერთობის დამადასტურებელი დოკუმენტია სადაზღვევო მოწმობა-პოლისი. პოლისი უნდა შეიცავდეს:

- ა) ხელშეკრულების მხარეების ვინაობასა და მათ ადგილსამყოფელს (საცხოვრებელ ადგილს ან იურიდიულ მისამართს);
- ბ) დაზღვევის საგნისა და დაზღვეული პირის დასახელებას;
- გ) სადაზღვევო რისკის განსაზღვრას;
- დ) დაზღვევის დასაწყისსა და ხანგრძლივობას;
- ე) სადაზღვევო თანხის ოდენობას;
- ვ) სადაზღვევო შესატანის მოცულობას, მისი გადახდის ადგილსა და ვადას.

თუ დაზღვეული ქონება გასხვისდა, მაშინ დამზღვევის უფლებები და მოვალეობები გადადის შემძენზე [\[სსკ მ.833\]](#).

კითხვები და ამოცანები თვითშემოწმებისთვის

№	კითხვა/ამოცანა
1	განმარტეთ შემოსავლები და ხარჯები
2	რომელი ხარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯად?
3	ქვემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით მოახდინეთ ბუღალტრული გატარებები: - საწარმომ შეიძინა 500 ერთეული საქონელი, ვალდებულებამ შეადგინა 59 000 ლარი (დღგ-ს ჩათვლით); - საანგარიშგებო პერიოდში გაიყიდა 50 ერთეული და მოთხოვნამ შეადგინა 8 850 ლარი (დღგ-ს ჩათვლით); - მყიდველმა უკან დააბრუნა 3 ერთეული (531 ლარი დღგ-ს ჩათვლით); - საწარმოს გადასახდელი ხელფასის ვალდებულებამ შეადგინა 1 500 ლარი (დარიცხული); - უნაღდო ანგარიშსწორებით გადახდილია რეკლამის ხარჯი 800 ლარი; - საწარმომ აღიარა საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯი 400 ლარი.
4	კომპანიის ნედლეულისა და მარაგების ნაშთი წლის დასაწყისში შეადგენდა 33 000 ლარს, დამხმარე მასალების ნაშთი 6 500 ლარს, წლის განმავლობაში შეისყიდა ნედლეული და მასალები 50 000, ხოლო გაყიდული საქონლის თვითღირებულებამ 65 000, ინვენტარიზაციამ წლის ბოლოს აჩვენა შემდეგი ნაშთები: ნედლეული და მასალები 20 000 ლარი, დამხმარე მასალები 5 800 ლარი. მოახდინეთ ნაშთების კორექტირება
5	სადაზღვევო კომპანიისთვის გადახდილია 150 ლარი, ასახეთ ხარჯის დარიცხვა და გადახდა.
6	ადმინისტრაციულ შენობას დაერიცხა ცვეთა 1,200 ლარი. ასახეთ ცვეთის ხარჯის დარიცხვა.
7	გაყიდულია დღგ-ს ჩათვლით 2 950 ლარის საქონელი 30 დღეში გადახდის პირობით. თუ მყიდველი თანხას გადაიხდის 15 დღეში იგი მიიღებს ფასდათმობას 7%-ის ოდენობით. მყიდველმა თანხა გადაიხადა 15 დღეში. ასახეთ ბუღალტრულად საქონლის რეალიზაცია და გადახდა.
8	შემენილია ნედლეული კრედიტით 3 540 ლარად დღგ-ს ჩათვლით. წუნის გამო მომწოდებელს დაუბრუნდა 1 500 ლარის ნედლეული. ასახეთ ბუღალტრულად საქონლის შეძენა და დაბრუნება.
9	როგორ კლასიფიცირდება შემოსავლები?
10	როგორ კლასიფიცირდება ხარჯები?
11	რას ნიშნავს საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები?
12	როგორ ხდება დანაკლისის ჩამოწერა?
13	საგადასახადო მიზნებისთვის რა განსხვავებაა დარიცხვისა და საკასო მეთოდს შორის?
14	როგორ აღირიცხება შემოსავლები საკასო და დარიცხვის მეთოდით?
15	როგორ აღირიცხება ხარჯები საკასო და დარიცხვის მეთოდით?
16	რა ითვლება ხარჯების გაწევის მომენტად საკასო მეთოდით?
17	რა ითვლება ხარჯების გაწევის მომენტად დარიცხვის მეთოდით?
18	რა შემთხვევებში აღიარდება ხარჯი მხოლოდ გადახდისას დარიცხვის მეთოდით?
19	დარიცხვის მეთოდით რა დროს დგება შემოსავლების აღიარების უფლება?
20	როგორი საწინააღმდეგო უფლებებია აღნაგობა, სერვიტუტი და უზუფრუქტი?
21	რას მოიცავს დაზღვევის ხელშეკრულების პირობები?

ლექცია №11

საგადასახადო ვალდებულებები

საწარმოს ვალდებულება ბიუჯეტის წინაშე განსაზღვრულია საგადასახადო კანონმდებლობით. საგადასახადო ვალდებულებები მოკლევადიანი ვალდებულებებია. გადასახადების გადახდის ვალდებულების აღიარება ხდება დარიცხვის საშუალებით, ხოლო ვალდებულების დაფარვა გადასახადის დადგენილ ვადაში გადახდით. საგადასახადო ვალდებულებები აღირიცხება 3300 ჯგუფის ანგარიშებზე.

საშემოსავლო გადასახადი

საგადასახადო კოდექსის თანახმად, საშემოსავლო გადასახადის გადამხდელია რეზიდენტი ფიზიკური პირი ან არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან, ხოლო დაბეგვრის ობიექტია ერთობლივი შემოსავალი, მათ შორის ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი და ასევე ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ არის დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან და ასევე სხვა შემოსავლები.

საშემოსავლო გადასახადის დაკავება ხელფასებიდან, დივიდენდებიდან, პროცენტებიდან ხდება კანონმდებლობით განსაზღვრული განაკვეთით თანხის გაცემისთანავე.

გადასახდელი ხელფასები

საწარმოში დასაქმებული მუშაკი, რომელიც იღებს გასამრჯელოს შრომითი საქმიანობის პერიოდში, განიხილება, როგორც მოკლევადიანი გასამრჯელო.

მოკლევადიან გასამრჯელოს მიეკუთვნება:

- ა) ხელფასები;
- ბ) მოკლევადიანი კომპენსირებული გაცდენები (ბიულეტენი, შვებულება);
- გ) პრემიები;
- დ) არაფულადი გასამრჯელოები (სამედიცინო მომსახურება, მანქანით მომსახურება და სხვ.).

მომუშავე გასამრჯელოს იღებს გარკვეული პერიოდულობით (თვეში ერთხელ და სხვ.). ხელფასი წარმოადგენს ერთი მხრივ საწარმოს ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს, მეორეს მხრივ ვალდებულებას საწარმოში დასაქმებული პერსონალის მიმართ. საწარმომ უნდა აღიაროს ვალდებულება დარიცხვის გზით თვეში ერთხელ.

ხელფასებთან და სხვა მოკლევადიან განაცემებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საწარმო საგადასახადო კოდექსის მიხედვით, წარმოადგენს საგადასახადო აგენტს, რომელსაც ევალება მომუშავეთა გასამრჯელოებიდან საშემოსავლო გადასახადის დაკავება და ბიუჯეტში გადარიცხვა. ამ მიზნით აუცილებელია გავეცნოთ [საგადასახადო კოდექსის მოთხოვნებს](#) საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებით.

ხელფასის დარიცხვისთვის, იმისდა მიხედვით თუ რა ტიპის ხელფასია, გამოიყენება შემდეგი ანგარიშები:

- | | | |
|--------------------------------------|---|------------------------------------|
| 7120 პირდაპირი ხელფასი | } | წარმოების სფეროს მუშაკების ხელფასი |
| 7150 არაპირდაპირი ხელფასი | | |
| 7320 ვაჭრობის სფეროს მუშაკთა ხელფასი | | |
| 7410 ადმინისტრაციის ხელფასი | | |

ხელფასების დარიცხვის დროს, ზემოთ მოცემული ანგარიშები აისახება დებეტში, ხოლო კრედიტში 3130 - გადასახდელი ხელფასები.

ხელფასიდან საშემოსავლოს დაკავება ხდება დარიცხული ხელფასის თანხიდან 20%-ის ოდენობით და აისახება შემდეგი გატარებებით:

№	თარიღი	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	31/05/2018	7410	3130	6,250	ხელფასის დარიცხვა
2	31/05/2018	3130	3320	(6,250 × 20%) 1,250	საშემოსავლო გადასახადის დარიცხვა
3	31/05/2018	3320	1210	1,250	საშემოსავლოს გადახდა
4	31/05/2018	3130	1210	5,000	ხელფასის გაცემა

განვიხილოთ მაგალითი:

დარიცხულია საშვებულებო ვალდებულება 2,300 ლარი. საშვებულებო თანხა მიეკუთვნება მიმდინარე პერიოდის ხარჯებს. დაუშვათ დარიცხული საშვებულებო ვალდებულება ეხება ადმინისტრაციულ მუშაკს:

№	თარიღი	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	05/03/2018	7411	3490	2,300	შვებულების ხარჯი

დარიცხულია შვებულების ანაზღაურება დარიცხული საშვებულებო ვალდებულების ხარჯზე. შვებულების ანაზღაურებიდან საშემოსავლო გადასახადი იქნება 460 ლარი:

№	თარიღი	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	05/03/2018	3490	3130	2,300	დარიცხულია ხელფასი
2	05/03/2018	3130	3320	460	დარიცხულია საშემოსავლო
3	05/03/2018	3320	1210	460	გადარიცხულია ხელფასი
4	05/03/2018	3130	1210	1,840	გადარიცხულია საშემოსავლო

ესტონური მოდელი

ახალი ესტონური მოდელის შემოღების ინიციატორი არის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. მსგავსი მოდელი ესტონეთში მოქმედებს 2000 წლიდან. საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილება შევიდა 2016 წლის 1 ივნისს, კანონი ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ესტონური მოდელის შემოღების შემდეგ მოსალოდნელია ინვესტიციების ზრდა საქართველოში, უმუშევართა რიცხვის შემცირება, სამეწარმეო სექტორის გაფართოვება, ეკონომიკური კრიზისებისადმი მდგრადობის ზრდა, მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდა (GDP), ბიუჯეტის დეფიციტი (უარყოფითი).

ფინანსური ანგარიშგება, როგორც ვიცით, მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- ✓ ანგარიშგება გასული პერიოდის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ბალანსი);
- ✓ საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგება (მოგება-ზარალი)ლ
- ✓ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (Cash-flow);
- ✓ კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება;
- ✓ სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი შენიშვნები.

საწარმოების კატეგორიები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს სამიდან მინიმუმ ორს:

კატეგორია	შემოსავლები	აქტივები	თანამშრომელთა რაოდენობა
I	> 100 მლნ	> 50 მლნ	> 250
II	< 100 მლნ	< 50 მლნ	< 250
III	< 20 მლნ	< 10 მლნ	< 50
IV	< 2 მლნ	< 1 მლნ	< 10

ახალი რეგულაციის ძალაში შესვლა, წარდგენის ვალდებულება და წარდგენის ვადა:

კატეგორია	ანგარიშგების სტანდარტი	აუდიტის ვალდებულება	წარსადგენი პერიოდი	წარდგენის ვადა
I	ფასს	აქვს	2017	01.10.2018
II	მსს-ფასს (IFRS for SMEs) ან ფასს ნებაყოფლობით	აქვს	2017	01.10.2018
III	მსს-ფასს ან ფასს ნებაყოფლობით	არ აქვს	2018	01.10.2019
IV	მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი	არ აქვს	2018	01.10.2019

მოგების გადასახადის ახალი მოდელის არსის გასაგებად განვიხილოთ ქვემოთ მოცემული მაგალითი:

მოგება 100,000 ლარი	მოგება 100,000 ლარი
მოგება განაწილდა	მოგება არ განაწილდა
ბიზნესი არ არის განვითარებაზე ორიენტირებული	ბიზნესი განვითარებაზეა ორიენტირებული
მოგების გადასახადი = $100,000 \times 15\% = 15,000$	მეტი დასაქმებული
დივიდენდი 85,000	მეტი საქონელი
დივიდენდის გადასახადი = $85,000 \times 5\% = 4,250$	მეტი ძირითადი საშუალება
სახლში წაღებული თანხა = $85,000 - 4,250 = 80,750$	განვითარება/გამდიდრება

არსებითი განსხვავება ახალ და ძველ მოდელებს შორის:

ძველი მოდელი	ახალი მოდელი
დარიცხვის მეთოდი	ნაღდ ფულზე დაფუძნებული
ერთობლივი შემოსავალი	შემოსავლები ბასს-ის მიხედვით
ხარჯების გამოქვითვები კოდექსის მიხედვით	ხარჯები ბასს-ის მიხედვით
ამორტიზაცია კოდექსის მიხედვით (ჯღბ)	ფინანსური ცვეთა ბასს-ის მიხედვით
დასაბეგრი მოგება კოდექსის მიხედვით	წმინდა მოგება ⁶ ფასს-ის მიხედვით
მიმდინარე გადასახდელები (საავანსოები)	არ ხდება
ზარალის გადატანა	ზარალის გადატანა აღარ ხდება
მოგების გადასახადის გადამხდელია	
ორგანიზაცია	რეზიდენტი საწარმო
კომერციული ბანკი (2019 წლიდან)	არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულება
საკრედიტო კავშირი (2019 წლიდან)	
სადაზღვევო ორგანიზაცია (2019 წლიდან)	
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია (2019 წლიდან)	
ლომბარდი (2019 წლიდან)	

მოგების გადასახადი

რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული;
- უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
- ზღვრულ ოდენობაზე მეტად გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

⁶ წმინდა მოგება - მოგება, რომელიც შესაძლოა განაწილდეს დივიდენდის სახით

ამრიგად, მოგების გადასახადით იბეგრება:

მოგების განაწილება	დივიდენდის განაწილება
	ურთიერთდამოკიდებული პირისგან (რომელიც არ არის გადასული დაბეგვრის ახალ მოდელზე) შეძენა/რეალიზაცია საბაზროსგან განსხვავებული ღირებულებით
	ოფშორისგან შეძენა/რეალიზაცია საბაზროსგან განსხვავებულად
	მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული პირისგან ან საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებული პირისგან შეძენა/რეალიზაცია საბაზრო ფასიდან განსხვავებულად
ხარჯი, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან	უსაბუთო ხარჯი
	ეკონომიკურ საქმიანობასთან არადაკავშირებული ხარჯი
	მიკრო ბიზნესისგან საქონლის/მომსახურების შეძენა
	ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისგან საქონლის/მომსახურების შეძენა
	24%-ზე მეტი პროცენტის გადინება
	სპეციალური სავაჭრო კომპანიისგან საბაჟო ღირებულებაზე მეტი ოდენობით გაწეული ხარჯი
უსასყიდლოდ მიწოდება	საქონლის, მომსახურების და ფულის უსასყიდლო მიწოდება
	სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა და ძირითადი საშუალებების დანაკლისი
წარმომადგენლობითი ხარჯი	შემოსავლის ან ხარჯის 1%-ზე ზემოთ
	პირველ წელს წლის დასრულებამდე გაწეული ხარჯის 1%-ის ზემოთ

ზოგადი წესები:

- ხარჯების/განაცემების ფაქტობრივად გაწევა: მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტებით გათვალისწინებული ხარჯების, გადახდების ან განაცემების განხორციელების მომენტად ითვლება მათი ფაქტობრივად გაწევის/განხორციელების მომენტი.

ფაქტობრივად გაწევის მომენტად ითვლება:

- ✓ ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას - ნაღდი ფულის გადახდის მომენტი;
- ✓ უნაღდო წესით ანგარიშსწორებისას - საბანკო ანგარიშიდან თანხების ჩამოწერის მომენტი;
- ✓ არაფულადი განაცემების საქონელზე/მომსახურებაზე საკუთრების გადაცემის მომენტი;
- ✓ ფინანსურ ვალდებულებათა გაუქმების ან ურთიერთჩათვლის მომენტი.

არაფულადი ფორმით გადახდების/განაცემების განხორციელების შემთხვევაში დაბეგვრა ხდება საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასით.

$$\frac{\text{დაბეგვრის ობიექტი}}{0.85} = \text{დასაბეგრი თანხა}$$

განვიხილოთ მაგალითი:

დაბეგვრის ობიექტი - დივიდენდი 1 000 ლარი
 დასაბეგრი თანხა = $1\,000/0.85 \approx 1\,176$
 მოგების გადასახადის განაკვეთი = 15%
 მოგების გადასახადი = $1\,176 \times 15\% \approx 176$
 საანგარიშგებო პერიოდი - კალენდარული თვე
 ამრიგად, მოგების გადასახადის გამოთვლა ხდება შემდეგნაირად:

$$\frac{1\,000}{0.85} = 1\,176 \times 15\% = 176$$

განაწილებული მოგება

განაწილებული მოგება არის მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორებზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება.

დივიდენდი არის აქციონერის/მოწილის მიერ აქციებიდან, წილებიდან მიღებული ნებისმიერი შემოსავალი, რომელიც მიიღება მოგების განაწილების შედეგად და რომელსაც იურიდიული პირი უნაწილებს აქციონერებს/მონაწილეებს, კაპიტალში მათი კუთვნილი აქციების/წილების პროპორციულად ან პროპორციის დაცვის გარეშე.

განაწილებულ მოგებად ითვლება არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულების საქმიანობის შედეგად მიღებული მოგებიდან არარეზიდენტი საწარმოსთვის ფულადი ან არაფულადი ფორმით განხორციელებული განაცემი, მიუთვნებული მოგების გატანა.

მაგალითად, პოლონეთის საწარმოს საქართველოში გააჩნია მუდმივი დაწესებულება, სამშენებლო მოედანი, რომლის გამოყენებითაც იგი ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას. მუდმივი დაწესებულების ჯამური შემოსავალია 80 000 ლარი, ხოლო ხარჯი 60 000 ლარი. 20 000 ლარი არის არარეზიდენტი საწარმოს მუდმივ დაწესებულებასთან მიკუთვნებული მოგება.

მუდმივი დაწესებულება, რომელიც თავის არარეზიდენტ საწარმოს გადაურიცხავს ამ თანხას, მაშინ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საწარმოს მიერ ურთიერთდამოკიდებულ პირთან, რომელიც იბეგრება მოგების გადასახადის ძველი მოდელის მიხედვით, განხორციელებული ოპერაცია, თუ მათ შორის დადებული გარიგების ფასი განსხვავდება მისი საბაზრო ფასისგან, განაწილებული მოგების ოდენობა შეადგენს:

- გარიგების საბაზრო ფასსა და მიღებულ შემოსავალს შორის სხვაობას თუ გარიგების საბაზრო ფასი აღემატება მიღებულ შემოსავალს (საბაზრო ფასზე ნაკლებად გაყიდვა);
- გარიგების შედეგად გაწეულ ხარჯსა და გარიგების საბაზრო ფასს შორის სხვაობას, თუ გარიგების შედეგად გაწეული ხარჯი აღემატება გარიგების საბაზრო ფასს (საბაზრო ფასზე მეტად შესყიდვა).

განვიხილოთ მაგალითი:

შპს A-ს (იბეგრება ახალი მოდელით) დამფუძნებელი არის შპს B (იბეგრება ძველი მოდელით) 40%-იანი წილით. A და B საწარმოები გამოდიან ურთიერთდამოკიდებული პირები.

საბაზრო ფასზე ნაკლებად გაყიდვა: A-მ B-ს 5 000 ლარად მიჰყიდა ავტომანქანა, რომლის საბაზრო ფასია 8 000 ლარი. ამ შემთხვევაში, A-ს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი იქნება 3 000 ლარი.

საბაზრო ფასზე მეტად შესყიდვა: A-მ B-გან 70 000 ლარად შეიძინა საოფისე ფართი, რომლის საბაზრო ფასი 50 000 ლარია. ამ შემთხვევაში A-ს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი იქნება 20 000 ლარი.

საწარმოს მიერ საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ პირთან განხორციელებული ოპერაცია, თუ მათ შორის დადებული გარიგების ფასი განსხვავდება მისი საბაზრო ფასისგან, განაწილებული მოგების ოდენობა შეადგენს:

- გარიგების საბაზრო ფასსა და მიღებულ შემოსავალს შორის სხვაობას, თუ გარიგების საბაზრო ფასი აღემატება მიღებულ შემოსავალს (საბაზრო ფასზე ნაკლებად გაყიდვა);
- გარიგების შედეგად გაწეულ ხარჯსა და გარიგების საბაზრო ფასს შორის სხვაობას, თუ გარიგების შედეგად გაწეული ხარჯი აღემატება გარიგების საბაზრო ფასს (საბაზრო ფასზე მეტად შესყიდვა).

საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებული არიან მაღალმთიანი საწარმოს სტატუსის მქონე ფიზიკური პირები, ხოლო მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული პირები არიან:

- თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო;
- საერთაშორისო ფინანსური კომპანია;
- სპეციალური სავაჭრო კომპანია;
- ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტი;
- მაღალმთიანი დასახლების საწარმო;
- სასოფლო-სამეურნო კოოპერატივი;
- ვირტუალური ზონის იურიდიული პირი.


მაგალითი:

საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებული ფიზიკური პირი ყიდის ბინას საწარმოზე, ფიზიკური პირის მიერ ამ ბინის ფლობიდან გასულია 2 წელი და კოდექსის მიხედვით ნამეტი შემოსავალი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან.

საწარმომ თაღლითური გარიგებით ფიზიკურ პირს შეიძლება გადაუხადოს 20 000 ლარიან ბინაში 80 000 ლარი და შემდგომ 60 000 ლარი გამოართვას უკან. შედეგად, 60 000 ლარი არ დაიბეგრება არც საწარმოში, არც ფიზიკურ პირთან, რაც დაუშვებელია.

კონტროლირებული ოპერაციის განხორციელება, თუ ამ ოპერაციის პირობები არ შეესაბამება საბაზრო პრინციპს, განაწილებული მოგების ოდენობა არის კორექტირების თანხა. კონტროლირებადი ოპერაციები, ასევე სატრანსფერო ფასწარმოქმნა (Transfer Pricing), არის საერთაშორისო რეგულაცია და ძირითადად იყენებენ მულტინაციონალური კომპანიებისთვის. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ერთ ქვეყანაში გამყიდველის და მეორე ქვეყანაში არსებული მყიდველის ურთიერთდამოკიდებულებამ არ გამოიწვიოს ერთ ქვეყანაში მინიმალური და მეორე ქვეყანაში მაქსიმალური მოგების მიღება და გარიგებისას ფასებს აწესებენ საბაზრო ფასით, როგორც დამოუკიდებელ პირებს შორის.

განვიხილოთ მაგალითი: რა არის კორექტირების თანხა:



- 20 000 ლარი - მოიგო საბაზრო ფასთან შემცირებული ფასით
- 50 000 ლარს - მოიგებდა საბაზრო ფასით რომ გაეყიდა
- 30 000 ლარი - არის კორექტირების თანხა და დაიბეგრება მოგების გადასახადით

საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციების შეფასების მეთოდებია:

1. შედარებადი დამოუკიდებელი ფასის მეთოდი;
2. გადაყიდვის ფასის მეთოდი;
3. ფასნამატის მეთოდი;
4. ოპერაციის სუფთა მარჟის მეთოდი;
5. ოპერაციის მოგების გაყოფის მეთოდი.

საწარმოს ლიკვიდაციისას ან აქციის/წილის გამოსყიდვისას (კაპიტალის შემცირება) ფულადი ან ნატურალური ფორმით განხორციელებული გადახდა/განაცემი, რომელიც კაპიტალში პარტნიორის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობას არ აღემატება, არ ითვლება განაწილებულ მოგებად.

განვიხილოთ მაგალითი ლიკვიდაციაზე:

საწარმოს კაპიტალში დამფუძნებლის შენატანი 17 000 ლარია (იურიდიული პირი). საწარმოს ლიკვიდაცია მოხდა 2017 წლის მარტში. საწარმოს საბანკო ანგარიშზე გააჩია 20 000 ლარი, ნამეტი 3 000 ლარი.

ამ შემთხვევაში 3 000 ლარი დაიბეგრება 15 პროცენტით, 450 ლარი; $3\,000 - 450 = 2\,550$. ამ თანხას მიიღებს დამფუძნებელი ($2\,550 / 0.85 = 3\,000$).

საწარმოს პარტნიორზე განხორციელებული გადახდა ამავე საწარმოს აქციის/წილის საკუთრებაში გადაცემით არ ითვლება განაწილებულ მოგებად.

მაგალითად:

საწარმომ 2017 წელს მიღებული წმინდა მოგებიდან 60 000 ლარიდან მოახდინა პარტნიორზე გადახდა წილის საკუთრებაში გადაცემით ანუ გაიზარდა ამ პარტნიორის წილის ღირებულება - დივიდენდი გადაიტანა კაპიტალში. კაპიტალი იყო 20 000 ლარი და გახდა 80 000 ლარი. 2018 წლის ივნისში საწარმომ 50 000 ლარით შეამცირა კაპიტალი. 2018 წლის ივნისში მოგების გადასახდით დაიბეგრება 30 000 ლარი (50 000 – 20 000).

საწარმოს მიერ მეწარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრულ მეწარმე სუბიექტზე დივიდენტის განაწილება არ ითვლება განაწილებულ მოგებად და არ დაიბეგრება მოგების გადასახდით - ეს ეხება ყველა საწარმოს, გარდა ინდივიდუალური საწარმოსი და მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული პირისა.

განვიხილოთ მაგალითი:

შპს A-ს დამფუძნებელია შპს B. 2017 წლის მარტში მიღებულია გადაწყვეტილება შპს A-ს გაუნაწილებელი მოგებიდან 5 000 ლარის დივიდენდის განაწილების შესახებ. A-დან B-ზე დივიდენდის განაწილება არ ითვლება მოგების განაწილებად და არ დაიბეგრება მოგების გადასახდით. A პირდაპირ გადასცემს 5 000 ლარს დივიდენდს გადახდის წყაროსთან დაკავების გარეშე, რადგან რეზიდენტი იურიდიული პირისგან რეზიდენტ იურიდიულ პირზე გადახდილი დივიდენდები არ ბეგრება გადახდის წყაროსთან.

საწარმოს მიერ კაპიტალის შემცირებით სახელმწიფოსთვის აქტივების გადაცემა, თუ ამ საწარმოს წილის 50%-ზე მეტი სახელმწიფოს საკუთრებაშია, არ ითვლება განაწილებულ მოგებად.

მაგალითად:

საწარმოს 100%-იანი წილით დამფუძნებელია მცხეთის მუნიციპალიტეტი. საწარმოს კაპიტალში შეტანილი აქვს 50 000 ლარი. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ კაპიტალი შემცირდეს 30 000 ლარამდე და სანაცვლოდ მუნიციპალიტეტს გადაეცეს ამ საწარმოს 20 000 ლარის ღირებულების აქტივი. ეს ოპერაცია არ დაიბეგრება მოგების გადასახდით.

საწარმოს მიერ უცხოური საწარმოსგან (გარდა შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისა) მიღებული დივიდენდის განაწილება არ ითვლება განაწილებულ მოგებად. ამ თანხის იდენტიფიცირებისთვის ითვლება, რომ საწარმოს მიერ დივიდენდის განაწილებისას პირველ რიგში არადაბეგვრადი თანხა გაიცემა.

მაგალითად, საქართველოს საწარმომ მის მიერ თურქეთში დაფუძნებული საწარმოდან მიღო 10 000 ლარი დივიდენდი. თუ საქართველოს საწარმო თავის ფიზიკურ პირ დამფუძნებელზე გაანაწილებს დივიდენდს 12 000 ლარს, ჩაითვლება, რომ პირველ რიგში ნაწილდება უცხოური საწარმოდან მიღებული 10 000 ლარი დივიდენდი და შემდგომ 2 000 ლარი საწარმოს შიგნით წარმოშობილი გაუნაწილებელი მოგება. რადგან საწარმოდან მიღებული დივიდენდის განაწილება არ ითვლება მოგების განაწილებად, შესაბამისად, მოგების გადასახდით დაიბეგრება მხოლოდ 2 000 ლარი.

ხარჯს, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან, მიეკუთვნება ხარჯი, რომელიც დოკუმენტურად დადასტურებული არ არის. საგადასახადო კოდექსის მიზნებისთვის, ხარჯის დადასტურება ხდება პირველადი საგადასახადო დოკუმენტით, რომელიც არის:

- ✓ სამეურნეო ოპერაციის ამსახველი;
- ✓ წერილობითი დოკუმენტი;
- ✓ რომლითაც შესაძლებელია მონაწილე მხარეთა იდენტიფიცირება;
- ✓ აქვს თარიღი;
- ✓ მოიცავს მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების ჩამონათვალსა და ღირებულებას.

პირველადი საგადასახადო დოკუმენტი დგება არანაკლებ ორ იდენტურ ეგზემპლარად. მისი შენახვა სავალდებულოა არანაკლებ 3 წლის განმავლობაში. ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრებში ჩანაწერის შეტანის საფუძველია პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები, რომლებიც აღნუსხავენ სამეურნეო ოპერაციის მოხდენის ფაქტს.

პირველად საბუთებში უნდა აღინიშნოს შემდეგი რეკვიზიტები: დოკუმენტის დასახელება, შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ღირებულება, მონაწილე მხარეთა დასახელება, ოპერაციის ჩატარებისა და სწორად გაფორმებისთვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა.

პირველადი დოკუმენტები შედგენილ უნდა იქნეს სამეურნეო ოპერაციის მოხდენის მომენტში, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, უშუალოდ ოპერაციის დასრულებისთანავე. პირველადი დოკუმენტის დროული შედგენა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვისთვის გადაცემა უნდა განხორციელდეს საწარმოს მიერ განსაზღვრულ ვადებში გადაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

როგორც ვიცით, დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯი იბეგრება მოგების გადასახადით. მაგალითად, A საწარმომ B საწარმოს 2017 წლის მარტის თვეში აუნაზღაურა 12 000 ლარის ღირებულების მომსახურების გაწევა (საბანკო გადარიცხვით). სხვა არანაირი წერილობითი დოკუმენტი არ არსებობს, რომელიც დაადასტურებს, როდის და რა მომსახურება გაუწია B-მ A-ს. ამ შემთხვევაში, 12 000 ლარის ხარჯი ჩაითვლება, როგორც დაუდასტურებელ ხარჯად და დაიბეგრება მოგების გადასახადით. A საწარმო მარტის თვეში გადაიხდის მოგების გადასახადს $12\,000/85\% \times 15\% = 2117.65$.

ხარჯებში, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, არ შეიტანება სსკ 981 მუხლით გათვალისწინებული განაცემების (განაწილებული მოგება და უსასყიდლოდ მიწოდება), აგრეთვე გადახდის წყაროსთან დაბეგრული განაცემის განსახორციელებლად გაწეული ხარჯი. მაგალითად, ფიზიკურმა პირმა საწარმოს გაუწია 5 000 ლარიანი მომსახურება. საწარმომ ანაზღაურებისას ოპერაცია დაბეგრა გადახდის წყაროსთან, შესაბამისად, 4 000 ლარი გასცა ხელზე და 1 000 ლარი ($5\,000 \times 20\%$) გადარიცხა ბიუჯეტში. სხვა არანაირი წერილობითი დოკუმენტი არ არსებობს, რომელიც დაადასტურებს, როდის და რა მომსახურება გაუწია ფიზიკურმა პირმა საწარმოს. რადგანაც ამ შემთხვევაში ხარჯი დაბეგრილია გადახდის წყაროსთან, იგი არ ჩაითვლება დოკუმენტურად დაუდასტურებელ ხარჯად და დამატებით არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

მოგების გადასახადით დაიბეგრება ხარჯი, რომლის გაწევის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება. მაგალითად, საწარმოს საქმიანობა არის კომპიუტერული ტექნიკის რეალიზაცია და რემონტი. 2017 წლის იანვარში მან 3 დღით 500 ლარად იჯარით აიღო საკონცერტო დარბაზი. ეს დარბაზი მას არ გამოუყენებია და მისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ვერ გამოიყენებდა ეკონომიკურ საქმიანობაში და ამასთან, გამოყენების ვადაც გასული იყო. აღნიშნული 500 ლარი საკონცერტო დარბაზის იჯარის მომსახურების ხარჯია და საწარმომ გადაიხადა მარტის თვეში. იქიდან გამომდინარე, რომ ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება ხარჯის გადახდის მომენტი, საწარმო მარტის (და არა იანვრის) თვეში დაიბეგრება მოგების გადასახადით.

მოგების გადასახადით იბეგრება მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისგან შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი და ფიქსირებული გადასახადი გადამხდელის სტატუსის მქონე პირისგან შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი. სსკ-ში ცვლილებების შეტანამდე ასეთი ხარჯები არ გამოიქვითებოდა ერთობლივი შემოსავლიდან და ნიშნავდა, რომ შემდგომში იბეგრებოდა (გადასახადის გადავადება). დღეს იბეგრება გაწევის თვეში.

მიკრო და ფიქსირებული გადასახადი გადამხდელების საქმიანობის ჩამონათვალი აღწერილია საქართველოს მთავრობის დადგენილება N415 „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“. მაგალითად, საწარმომ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისგან შეიძინა ავტომობილის ტექნიკური მომსახურება 2 000 ლარად, რომელიც გადაუხადა მარტის თვეში. ხარჯი დოკუმენტურად დადასტურებულია და წერილობით დოკუმენტზე ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი და სერტიფიკატის ნომერი მითითებულია. შესაბამისად, ეს გადახდილი 2 000 ლარი დაიბეგრება მარტის თვეში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების საპროცენტო განაკვეთების დამტკიცების შესახებ მიხედვით დადგენილი წლიური საპროცენტო განაკვეთის ზემოთ კრედიტებისთვის გადახდილი პროცენტი დაიბეგრება მოგების გადასახადით (კომერციული ბანკისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემულ სესხებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთის ოდენობით).

მაგალითად, საწარმომ ფიზიკური პირისგან ისესხა 10 000 ლარი, წლიური 30%. ერთი წლის შემდეგ საწარმომ ფიზიკურ პირს უკან გადაუხადა ძირითადი და დარიცხული პროცენტი (3 000 ლარი). დადგენილი წლიური პროცენტის ზღვარია 24% ანუ 2,400 ლარი, შესაბამისად, 600 ლარი დაიბეგრება მოგების გადასახადით: $600/85 \times 15 = 105.88$ ლარი. გარდა ამისა, საწარმო გადახდის წყაროსთან დაკავშირებით $3\,000 \times 5\% = 150$ ლარს (საშემოსავლო გადასახადი).

მოგების გადასახადით, ასევე, იბეგრება სპეციალური სავაჭრო კომპანიისგან საქონლის შესაძენად ამ საქონლის საბაჟო ღირებულებაზე მეტი ოდენობით გაწეული ხარჯი. მაგალითად, სპეციალურმა სავაჭრო კომპანიამ საწარმო A-ს საბაჟო საწყობში მიიღო უცხოური საქონელი 8 000 ლარად, ამ საქონლის საბაჟო ღირებულება არის 7,000 ლარი, რომელიც ეთითება საბაჟო დეკლარაციაში. საბაჟო ღირებულებაზე მეტი თანხის 1 000 ლარს A საწარმო დაბეგრავს მოგების გადასახადით.

მოგების გადასახადით იბეგრება შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირის ან/და მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული:

- ✓ პირის მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის შესაძენად განხორციელებული გადახდა;
- ✓ პირისთვის გადახდილი, სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი პირგასამტეხლო ან/და ჯარიმა;
- ✓ პირისთვის ავანსის გადახდა;
- ✓ პირისთვის სესხის გაცემა ან/და ამ პირის მიმართ არსებული მოთხოვნის შესაძენად განხორციელებული გადახდა.

მაგალითად, საწარმომ 2017 წლის აგვისტოში ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულ პირს (შეღავათიანი დაბეგვრის ქვეყანა) ტურბინის იმპორტირებისთვის გადაურიცხა 80 000 ლარი ავანსი. მხოლოდ ასეთ პირებზე გადახდილი ავანსი იბეგრება მოგების გადასახადით: $80\,000/85 \times 15 = 14\,117.65$ ლარს საწარმო გადაიხდის აგვისტოს თვეში, მაგრამ მოგების გადასახადს დაიბრუნებს იმპორტის შემდგომ. ტურბინის საქართველოში იმპორტი ფაქტობრივად განხორციელდა 2017 წლის ნოემბერში, შესაბამისად, ავანსად გადახდილ თანხას 14 117 ლარს საწარმო ჩაითვლის (დაიბრუნებს) ნოემბერში.

მოგების გადასახადით იბეგრება ფიზიკური პირისთვის ან არა რეზიდენტისთვის გაცემული სესხის ძირითადი თანხა ან ამ პირის მიერ მესამე პირისგან აღებული სესხის დეპოზიტით უზრუნველყოფა. ეს უკანასკნელი არ ვრცელდება კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ლომბარდის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე.

მაგალითად, საწარმომ 2017 წლის აპრილში ფიზიკურ პირზე გასცა სესხი 10 000 ლარის ოდენობით, 15 %-იანი განაკვეთით. სესხის ძირითადი საწარმოს მიერ აპრილის თვეში დაიბეგრება მოგების გადასახადით: $10\,000/85 \times 15 = 1\,764.51$. 2017 წლის ნოემბერში ფიზიკურმა პირმა საწარმოს უკან დაუბრუნა 8 000 ლარი (სესხის ძირითადი თანხის ნაწილი) და შესაბამისი პროცენტი. ამ დროს, ნოემბერში, საწარმო იბრუნებს მოგების გადასახადს დაბრუნებული სესხის თანხის შესაბამისად: $8\,000/85 \times 15 = 1\,411.77$.

მოგების გადასახადით იბეგრება ზარალი, რომელიც წარმოშობილია შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისთვის ან/და მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული პირისთვის მოთხოვნის უფლების გადაცემით ან მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმით. ასევე, არარეზიდენტის, ან მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული პირის კაპიტალში შენატანის სახით განხორციელებული გადახდა.

მოგების გადასახადის უკან დაბრუნება ხდება:

- ✓ თუ მოხდა სესხის დეპოზიტით უზრუნველყოფის გაუქმება;
- ✓ გაცემული სესხის უკან დაბრუნების შემთხვევაში;
- ✓ გადახდილი ავანსის თანხის დაბრუნების შემთხვევაში;
- ✓ გადახდილი ავანსის სანაცვლოდ საქონლის/მომსახურების მიღებისას;
- ✓ შეძენილი სასესხო ფასიანი ქაღალდის, კაპიტალში წილის ან მოთხოვნის მიწოდების შედეგად თუ განხორციელდა თანხის ფაქტობრივად მიღება, პირი უფლებამოსილია თანხის ფაქტობრივად მიღების საანგარიშო პერიოდში დაიბრუნოს ადრე გადახდილი მოგების გადასახადის თანხა.

პირი უფლებამოსილია სესხის/ავანსის თანხის დაბრუნების ან საქონლის/მომსახურების ფაქტობრივად მიღების საანგარიშო პერიოდში დაიბრუნოს ადრე გადახდილი მოგების გადასახადის თანხა.

ქონების გადასახადი

ქონების გადასახადის საგადასახადო პერიოდად ითვლება კალენდარული წელი. თუ კალენდარული წლის დაწყების შემდეგ ქონება შეძენილი, რეალიზებული (გასხვისებული ან განადგურებული) ან შეძენილი და რეალიზებული იქნა, ამ წლის საგადასახადო პერიოდი ქონების გადასახადზე განისაზღვრება გადასახადის გადამხდელის საკუთრებაში ქონების ყოფნის დროის პროპორციულად.

ქონების გადასახადი გაიანგარიშება საწარმოს ბალანსზე არსებული ქონების მიხედვით (ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებული მოწყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობები და არამატერიალური აქტივები (გარდა მიწისა), ან აღნიშნული ქონების ნაწილი, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისთვის). ქონების გადასახადი საწარმოსთვის ხარჯის ანგარიშად კლასიფიცირდება და გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\text{საანგარიშგებო წლისთვის აქტივების საშუალო წლიური საბალანსო ღირებულება} = \frac{\text{წლის დასაწყისისთვის დასაბეგრი ქონების ღირებულება} + \text{წლის ბოლოს დასაბეგრი ქონების ღირებულება}}{2}$$

$$\text{ქონების გადასახადი} = \text{საანგარიშგებო წლისთვის აქტივების საშუალო წლიური საბალანსო ღირებულება} \times 1\%$$

განვიხილოთ მაგალითი:

მოცემული გვაქვს 2016 წლის და 2017 წლის ბალანსის ფრაგმენტი (ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით):

2016 წელი:

ანგარიშის N	ანგარიშის დასახელება	თანხა
2160	ოფისის აღჭურვილობა	40,000
2170	ავეჯი და სხვა ინვენტარი	10,000
2260	ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	8,000
2270	ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	2,000

2017 წელი: 2017 წლის 1 აპრილს საწარმომ შეიძინა ავტომობილი 10,000 ლარად.

ანგარიშის N	ანგარიშის დასახელება	თანხა
2160	ოფისის აღჭურვილობა	40,000
2170	ავეჯი და სხვა ინვენტარი	10,000
2180	სატრანსპორტო საშუალებები	10,000
2260	ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	16,000
2270	ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	4,000
2280	სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	1,507

2017 წლის ცვეთის ხარჯი შეადგენს 11,507 ლარს:

- ოფისის აღჭურვილობის ცვეთა 8,000 ლარს ($40,000 \times 20\% = 8,000$);
- ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა 2,000 ლარს ($10,000 \times 20\% = 2,000$);
- სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა 1,507 ლარს

$$10,000 \times 20\% \times \frac{275}{365} \approx 1,507$$

ამრიგად, დაგროვილი ცვეთა კი 21,507 ლარს:

- ოფისის აღჭურვილობის ცვეთა 16,000 ლარი;
- ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა 4,000 ლარი;
- სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა 1,507 ლარი.

2017 წლის დასაწყისში ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაა 40,000 ლარი (50,000 - 10,000 = 40,000), ხოლო 2017 წლის ბოლოს კი 38,493 (60,000 - 21,507 = 38,493) ლარი.

მიმდინარე წლის ქონების გადასახადი იქნება:

$$\frac{40,000 + 38,493}{2} \times 1\% \approx 392.47$$

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსურად, აღნიშნული თანხა აისახება, როგორც საწარმოს ხარჯი და ვალდებულება საგადასახადო ორგანოს მიმართ, ხოლო არა უგვიანეს 2018 წლის 31 მარტისა მოხდება საგადასახადო ვალდებულების ფარვა შემდეგი გატარებებით:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	31/12/2017	7465	3380	392.47	ქონების გადასახადის დარიცხვა
2	31/03/2018	3380	1210	392.47	ქონების გადასახადის გადახდა

საწარმო მიმდინარე ქონების გადასახადს იხდის წელიწადში ერთხელ - 15 ივნისამდე. ზემოთ განხილული მაგალითის საფუძველზე, მიმდინარე ქონების გადასახადის დარიცხვა შესრულდება შემდეგი გატარებით:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	12/06/2018	1791	3380	392	მიმდინარე ქონების გადასახადის დარიცხვა
2	12/06/2018	3380	1210	392	მიმდინარე ქონების გადასახადის გადახდა

2018 წლის ბოლოს თუ, მაგალითად, ქონების გადასახადი აღმოჩნდა 500 ლარი, სხვაობის გადახდა მოხდება 1 აპრილამდე:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	31/12/2018	7465	3380	500	ქონების გადასახადის დარიცხვა
2	31/03/2019	3380	1791	392	მიმდინარე ქონების გადასახადის გაქვითვა
3	31/03/2019	3380	1210	108	დარჩენილი ვალდებულების დაფარვა

ხოლო შემცირების შემთხვევაში, დარჩება აქტივის ანგარიშზე. მაგალითად: ქონების გადასახადი შემცირდა 100 ლარით, რომელიც გადავა ბალანსში, როგორც აქტივი:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	31/12/2018	7465	3380	292	ქონების გადასახადის დარიცხვა
2	12/06/2019	3380	1791	292	მიმდინარე ქონების გადასახადის გაქვითვა

აქციზის აღრიცხვა

აქციზის გადახდა ევალეზა საწარმოს, რომელიც საქართველოში აწარმოებს აქციზურ საქონელს, ახდენს აქციზური საქონლის იმპორტს ან შავი და ფერადი ლითონების ექსპორტს.

საქართველოში აქციზური საქონლის იმპორტიორი საწარმოსთვის გადახდილი აქციზი იმპორტირებული საქონლის თვითღირებულების კომპონენტია. დავუშვათ, საწარმო ახორციელებს სპირტიანი სასმელების იმპორტს და შემდგომ რეალიზაციას საქართველოში. იმპორტირებისას გადახდილი აქციზი დაემატება საქონლის თვითღირებულებას.

პირს, რომელიც აწარმოებს აქციზურ საქონელს და არის აქციზის გადამხდელი, შეუძლია მიიღოს ჩათვლა აქციზური საქონლის საწარმოებლად გამოყენებულ აქციზურ ნედლეულზე გადახდილი აქციზის ოდენობით.

მაგალითად: აქციზური საქონლის საწარმოებლად იმპორტირებულ ნედლეულზე საწარმომ გადაიხადა 2,000 ლარი აქციზი, ხოლო ნედლეულში გადახდილია 7,000 ლარი.

ავსახოთ ნედლეულის შემენა:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	30/10/2017	1620	3110	7,000	აქციზური ნედლეულის შემენა
2	30/10/2017	3360	3110	2,000	ჩასათვლელი აქციზი

ასევე, საწარმომ, შეიძინა ადგილობრივი მომწოდებლისაგან 5,000 ლარის აქციზური საქონელი, რომელზეც აქციზის გადასახადი 1,500 ლარს შეადგენდა

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	30/11/2017	1620	3110	5,000	აქციზური ნედლეულის შემენა
2	30/10/2017	3360	3110	1,500	ჩასათვლელი აქციზი

საწარმომ გამოიყენა როგორც იმპორტირებული, ასევე ადგილობრივი ნედლეული და აწარმოა პროდუქცია, რომელიც გაიყიდა ადგილობრივ ბაზარზე 12,000 ლარად, საიდანაც მწარმოებელს აქვს გადასახდელი აქციზის ვალდებულება 4,000 ლარის ოდენობით.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	30/11/2017	1410	6110	8,000	აქციზური ნედლეულის გაყიდვა
2	30/10/2017	1410	3350	4,000	გადასახდელი აქციზი

ჩასათვლელი აქციზი ტოლია 3,500 (2,000+1,500), აქციზის ჩათვლა აისახება შემდეგი გატარებით:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	30/12/2017	3350	3360	3,500	აქციზის ჩათვლა

ბიუჯეტში გადასახდელი აქციზი ტოლია $4,000 - 3,500 = 500$. აქციზის გადახდის დროს ერთის მხრივ საწარმოს აქტივებიდან გაედინება რესურსი ფულადი სახით, ხოლო მეორეს მხრივ მცირდება ვალდებულება საგადასახადო ორგანოს მიმართ.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	30/12/2017	3350	1210	500	აქციზის გადახდა

საგადასახადო კოდექსის განმარტებები

- *შემოსავალი* - არის საწარმოში შემოსული ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხა, რომელიც მიიღება საწარმოს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობიდან და გამოიხატება საკუთარი კაპიტალის ზრდით, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტიციების გარეშე (ბასს 18, სსკ 8/44);
- *საწარმო* - წარმონაქმნები, რომლებიც ახორციელებენ ან შექმნილი არიან ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად. ესენია: საქართველოს იურიდიული პირები; უცხო ქვეყნის კორპორაციები, კომპანიები, ფირმები და უცხოური საწარმოების მუდმივი დაწესებულებები; გაერთიანებები, ამხანაგობები. *საწარმოს არ მიეკუთვნება ინდივიდუალური მეწარმე*;
- *ეკონომიკური საქმიანობა* - ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის, კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა;
- *მოგება* - წმინდა მოგება, რომელიც შესაძლოა განაწილდეს დივიდენდების სახით;
- *კომპენსაცია* - პირის მიერ საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევით მიღებული ქონება ან/და სარგებელი.

მოგების გადასახადი

[სსკ მ.96]

მოგების გადასახადის გადამხდელია:

- ა) რეზიდენტი საწარმო;
- ბ) არარეზიდენტი საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ახორციელებს ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

მოგების გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს საწარმო, რომელიც არ წარმოადგენს ფიზიკურ პირს. წარმონაქმნის საწარმოდ კვალიფიცირების მიზნით, არაა აუცილებელი მას ჰქონდეს იურიდიული პირის სტატუსი.

მოგების გადასახადის მიზნებისთვის საწარმოები იყოფა ორ კატეგორიად: რეზიდენტ და არარეზიდენტ საწარმოებად.

რეზიდენტ საწარმოს წარმოადგენს საქართველოს საწარმო, ხოლო ყველა დანარჩენ საწარმოს კი – არარეზიდენტი საწარმო.

[სსკ მ.97] *დაბეგვრის ობიექტი*:

1. რეზიდენტი საწარმოს (გარდა ამ მუხლის მე-2, მე-8 და მე-9 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:
 - ა) განაწილებული მოგება;
 - ბ) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;
 - გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
 - დ) საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.
2. ორგანიზაციის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის;
3. არარეზიდენტი საწარმოს, რომელიც საქართველოში საქმიანობას მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ახორციელებს, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მისი მუდმივი დაწესებულების საქმიანობიდან გამომდინარე, ამ არარეზიდენტი საწარმოს ან მუდმივი

- დაწესებულების მიერ განხორციელებული განაცემი/გაწეული ხარჯი, რომელიც გათვალისწინებულია ამ მუხლის პირველი ნაწილით;
4. არარეზიდენტი საწარმოს მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი, რომელიც საქართველოში მის მუდმივ დაწესებულებას არ მიეკუთვნება, იბეგრება გადახდის წყაროსთან გამოქვეითების გარეშე, საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის შესაბამისად, გარდა ამ მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
 5. არარეზიდენტი საწარმოს, რომელიც ამ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ქონების რეალიზაციით იღებს ისეთ შემოსავალს, რომელიც დაკავშირებული არ არის საქართველოში მისი მუდმივი დაწესებულების საქმიანობასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული გამოქვეითების თანხებს შორის;
 6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ქონების რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს განეკუთვნება:
 - ა) რეზიდენტი იურიდიული პირის ჩვეულებრივი აქციების ან პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;
 - ბ) საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 21-ე ნაწილით გათვალისწინებული აქტივების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;
 - გ) საგადასახადო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ან „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქონების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;
 - დ) სხვა ქონების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი.
 7. საგადასახადო კოდექსის 98¹-98⁴ მუხლებით გათვალისწინებული გადახდების/განაცემების არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი განისაზღვრება მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების საბაზრო ფასით;
 8. „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული „არსებული ხელშეკრულებებიდან“ გამომდინარე, ნავთობისა და გაზის ოპერაციების შედეგად მიღებული მოგება იბეგრება მოგების გადასახადით დაბეგვრის 2017 წლის 1 იანვრამდე მოქმედი დებულებების შესაბამისად;
 9. პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში ამ საქმიანობის ნაწილში, განისაზღვრება საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის მე-16 ნაწილის შესაბამისად;
 10. ამ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების მიზნებისთვის მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება იმავე ნაწილების შესაბამისად განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად.

[სსკ მ.98]

1. მოგების გადასახადის განაკვეთია **15 პროცენტი**, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.
2. „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული „არსებული ხელშეკრულებების“ განხორციელების შედეგად ნავთობისა და გაზის ოპერაციებით მიღებული მოგება იბეგრება 10 პროცენტით, თუ ეს ხელშეკრულებები დადებულია 1998 წლის 1 იანვრამდე.

მოგების გადასახადი წარმოადგენს საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადს.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა მოგების მიმღებ სუბიექტს (გადამხდელს) ავალდებულებს თვითონ განსაზღვროს ბიუჯეტში გადასახდელი გადასახადის თანხა. ამისთვის კი გადასახადის გადამხდელი ვალდებულია აღრიცხვა აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) მიხედვით, შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, სწორად და დროულად აღრიცხოს შემოსავლები და ხარჯები დოკუმენტალურად დადასტურებული მონაცემების საფუძველზე და მიაკუთვნოს იმ საანგარიშებო პერიოდს, რომელშიც

მოხდა მათი გაწევა, სრულად აღირიცხოს ყველა ოპერაცია, რათა მოხდეს კონტროლი მათ დაწყებაზე, მიმდინარეობაზე და დასრულებაზე.

[სსკ მ.98¹] განაწილებული მოგება

1. განაწილებული მოგება არის მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება.
2. განაწილებულ მოგებად არ ითვლება:
 - ა) საწარმოს ლიკვიდაციისას ან აქციის/წილის გამოსყიდვისას ფულადი ან ნატურალური ფორმით განხორციელებული გადახდა/განაცემი, რომელიც კაპიტალში (საწესდებოსა და საემისიოში) პარტნიორის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობას არ აღემატება;
 - ბ) საწარმოს პარტნიორზე განხორციელებული გადახდა ამავე საწარმოს აქციის/წილის საკუთრებაში გადაცემით;
 - გ) „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირზე (გარდა ინდივიდუალური საწარმოსი და ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისა) დივიდენდის განაწილება;
 - დ) საწარმოს მიერ კაპიტალის შემცირებით სახელმწიფოსათვის ან/და მუნიციპალიტეტისათვის აქტივების გადაცემა, თუ ამ საწარმოს აქციების/წილის 50 პროცენტზე მეტი სახელმწიფოს ან/და მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია;
 - ე) საწარმოს მიერ უცხოური საწარმოსგან (გარდა შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისა) მიღებული დივიდენდის განაწილება.
3. ამ მუხლის მიზნებისათვის არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულებისათვის განაწილებულ მოგებად ითვლება ამ მუდმივი დაწესებულების საქმიანობის შედეგად მიღებული მოგებიდან არარეზიდენტი საწარმოსათვის ფულადი ან არაფულადი ფორმით განხორციელებული განაცემი (არარეზიდენტი საწარმოს მიერ მისი მუდმივი დაწესებულებისთვის მიკუთვნებული მოგების გატანა). მუდმივ დაწესებულებას მიეკუთვნება მოგება, რომელიც მას შეიძლება მიეღო, როგორც იმავე ან ანალოგიური საქმიანობით დაკავებულ, იმავე ან ანალოგიურ პირობებში მყოფ დამოუკიდებელ საწარმოს.
4. მოგების განაწილებად ითვლება:
 - ა) საწარმოს მიერ ურთიერთდამოკიდებულ პირთან (რომელიც მოგების გადასახადით არ იბეგრება ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით) განხორციელებული ოპერაცია, თუ მათ შორის დადებული გარიგების ფასი განსხვავდება მისი საბაზრო ფასისაგან და მათი ურთიერთდამოკიდებულება გავლენას ახდენს გარიგების შედეგზე. ასეთ შემთხვევაში განაწილებული მოგების ოდენობა შეადგენს:
 - ა.ა) გარიგების საბაზრო ფასსა და მიღებულ/მისაღებ შემოსავალს შორის სხვაობას, თუ გარიგების საბაზრო ფასი აღემატება მიღებულ/მისაღებ შემოსავალს;
 - ა.ბ) გარიგების შედეგად გაწეულ ხარჯსა და გარიგების საბაზრო ფასს შორის სხვაობას, თუ გარიგების შედეგად გაწეული ხარჯი აღემატება გარიგების საბაზრო ფასს;
 - ბ) კონტროლირებული ოპერაციის განხორციელება, თუ ამ ოპერაციის დადგენილი პირობები არ შეესაბამება საბაზრო პრინციპს. ასეთ შემთხვევაში განაწილებული მოგების ოდენობა განისაზღვრება ამ კოდექსის XVII თავით დადგენილი წესით გამოანგარიშებული კორექტირების თანხით;
 - გ) საწარმოს მიერ საშემოსავლო გადასახადისაგან/მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა) განხორციელებული ოპერაცია, თუ მათ შორის დადებული გარიგების ფასი განსხვავდება მისი საბაზრო ფასისაგან. ასეთ შემთხვევაში განაწილებული მოგების ოდენობა შეადგენს:
 - გ.ა) გარიგების საბაზრო ფასსა და მიღებულ/მისაღებ შემოსავალს შორის სხვაობას, თუ გარიგების საბაზრო ფასი აღემატება მიღებულ/მისაღებ შემოსავალს;

- გ.ბ) გარიგების შედეგად გაწეულ ხარჯსა და გარიგების საბაზრო ფასს შორის სხვაობას, თუ გარიგების შედეგად გაწეული ხარჯი აღემატება გარიგების საბაზრო ფასს.
5. ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის იდენტიფიცირებისათვის ითვლება, რომ საწარმოს მიერ დივიდენდის განაწილებისას პირველ რიგში ეს თანხა გაიცემა.

[სსკ მ.98²]

გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის

1. ამ მუხლის მიზნებისათვის ხარჯს, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, მიეკუთვნება:
 - ა) ხარჯი, რომელიც დოკუმენტურად დადასტურებული არ არის, თუ ეს ვალდებულება დადგენილია ამ კოდექსის შესაბამისად;
 - ბ) ხარჯი, რომლის გაწევის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება;
 - გ) მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისაგან შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ საქონლის მიწოდებით/მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი საერთო წესით იბეგრება;
 - დ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისაგან ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის (გარდა ამ კოდექსის 95³ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფიქსირებული გადასახადის განაკვეთით დასაბეგრი საქმიანობისა) ფარგლებში შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი;
 - ე) საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წლიური პროცენტის ფარგლების ზემოთ კრედიტისათვის (სესხისათვის) გადახდილი პროცენტი;
 - ვ) სპეციალური სავაჭრო კომპანიისაგან უცხოური საქონლის შესაძენად ამ საქონლის საბაჟო ღირებულებაზე მეტი ოდენობით გაწეული ხარჯი, გარდა იმ ხარჯისა, რომელიც ამ სპეციალური სავაჭრო კომპანიისათვის გადახდებს არ უკავშირდება.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ხარჯებში არ შეიტანება ამ კოდექსის 98¹ და 98³ მუხლებით გათვალისწინებული განაცემების (მათ შორის, განაცემისა, რომელიც მოგების გადასახადით არ იბეგრება), აგრეთვე გადახდის წყაროსთან დაბეგრილი განაცემის განსახორციელებლად გაწეული ხარჯი.
3. მოგების გადასახადით იბეგრება:
 - ა) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირის, აგრეთვე ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა) მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის შესაძენად განხორციელებული გადახდა;
 - ბ) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა) გადახდილი, სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი პირგასამტეხლო ან/და სხვა ჯარიმა;
 - გ) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა) ავანსის გადახდა;
 - დ) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის სესხის გაცემა ან/და ამ პირის მიმართ არსებული მოთხოვნის შესაძენად განხორციელებული გადახდა. ეს ქვეპუნქტი არ ვრცელდება კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ლომბარდის მიერ ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან განხორციელებულ ოპერაციებზე;

- ე) ზარალი, რომელიც წარმოშობილია შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის მოთხოვნის უფლების გადაცემით ან მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმით;
- ვ) არარეზიდენტის, აგრეთვე ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის კაპიტალში შენატანის ან აქციის/წილის შესაძენად განხორციელებული გადახდა;
- ზ) ფიზიკური პირისათვის ან არარეზიდენტისათვის სესხის გაცემა ან/და რომელიმე ამ პირის მიერ მესამე პირისაგან აღებული სესხის დეპოზიტით უზრუნველყოფა, როდესაც მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის თანხის ოდენობა შეადგენს აღებული სესხის თანხას. ეს ქვეპუნქტი არ ვრცელდება კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ლომბარდის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე;
- თ) კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ან ლომბარდის მიერ პარტნიორ არარეზიდენტზე, ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პარტნიორზე ან კაპიტალში არანაკლებ 1 პროცენტით მონაწილეობის უფლების მქონე პარტნიორ ფიზიკურ პირზე სესხის გაცემა ან/და პარტნიორის მიერ მესამე პირისაგან აღებული სესხის დეპოზიტით უზრუნველყოფა, როდესაც მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის თანხის ოდენობა შეადგენს აღებული სესხის თანხას.
4. წილობრივი ფასიანი ქაღალდების ან/და საერთაშორისო დეპოზიტარული ხელწერილების საფონდო ბირჟაზე (მათ შორის, უცხო ქვეყნის ალიარებულ საფონდო ბირჟაზე) განთავსებასთან და გამოშვებასთან, აგრეთვე ლისტინგის კატეგორიის/რეჟიმის ცვლილებასთან დაკავშირებული დანახარჯები ითვლება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯად.
 5. შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნად ითვლება ქვეყანა ან/და ქვეყნის ცალკეული ტერიტორიები, რომლის/რომელთა საგადასახადო კანონმდებლობით:
 - ა) იურიდიული პირი თავისუფლდება მოგების გადასახადისგან;
 - ბ) იურიდიული პირის მიერ მიღებულ ან/და განაწილებულ მოგებაზე დაწესებული არ არის მოგების გადასახადი ან მოგების გადასახადის განაკვეთი საქართველოში არსებული მოგების გადასახადის განაკვეთის 1/3-ს არ აღემატება.
 6. თუ, უცხო ქვეყნის ან უცხო ქვეყნის ცალკეული ტერიტორიების საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიმე იურიდიული პირის მიმართ ადგილი აქვს ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ ერთ-ერთ შემთხვევას, აღნიშნული ქვეყანა ან/და ქვეყნის ცალკეული ტერიტორიები ამ ნაწილში ითვლება შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნად.
 7. თუ შემენილი სასესხო ფასიანი ქაღალდის, კაპიტალში მონაწილეობის უფლების (აქციის/წილის) ან მოთხოვნის მიწოდების შედეგად განხორციელდა ანაზღაურება (თანხის ფაქტობრივად მიღება), პირი უფლებამოსილია თანხის ფაქტობრივად მიღების საანგარიშო პერიოდში ანაზღაურებული თანხის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის ოდენობით ჩაითვალოს და ამ კოდექსით დადგენილი წესით დაიბრუნოს ადრე გადახდილი მოგების გადასახადის თანხა.
 8. თუ მოხდა გაცემული სესხის/გადახდილი ავანსის თანხის დაბრუნება ან გადახდილი ავანსის სანაცვლოდ საქონლის/მომსახურების მიღება, პირი უფლებამოსილია სესხის/ავანსის თანხის დაბრუნების ან საქონლის/მომსახურების ფაქტობრივად მიღების საანგარიშო პერიოდში დაბრუნებული თანხის ან მიღებული საქონლის/მომსახურების საკომპენსაციო თანხის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის ოდენობით ჩაითვალოს და ამ კოდექსით დადგენილი წესით დაიბრუნოს ადრე გადახდილი მოგების გადასახადის თანხა.
 9. თუ გაუქმდა სესხის დეპოზიტით უზრუნველყოფა, პირი უფლებამოსილია უზრუნველყოფის გაუქმების საანგარიშო პერიოდში სესხის ძირითადი თანხის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის ოდენობით ჩაითვალოს და ამ კოდექსით დადგენილი წესით დაიბრუნოს ადრე გადახდილი მოგების გადასახადის თანხა.
 10. იმ ქვეყნების ან/და ქვეყნების ცალკეული ტერიტორიების ჩამონათვალი, რომლებიც ამ კოდექსის მიზნებისათვის შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნად ითვლება, ამ მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით

დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

[სსკ მ.98³] უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა

1. ამ მუხლის მიზნებისათვის საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა, რომლის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება, უსასყიდლოდ მიწოდებად ითვლება.
2. ამ კოდექსით გათვალისწინებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ან/და ძირითადი საშუალების დანაკლისი ითვლება მისი გამოვლენის მომენტში ამ საქონლის უსასყიდლოდ მიწოდებად.
3. მოგების გადასახადით არ იბეგრება უსასყიდლოდ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის ან/და ფულადი სახსრების გადაცემის შემდეგი შემთხვევები:
 - ა) კალენდარული წლის განმავლობაში საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული შემოწირულება, რომელიც მის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების 10 პროცენტს არ აღემატება;
 - ბ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან ფულადი სახსრების გადაცემა, რომელიც ამ კოდექსის 154-ე მუხლის შესაბამისად დაბეგრულია გადახდის წყაროსთან;
 - გ) ტურისტული საწარმოს მიერ ან/და ტურისტული საწარმოს მიერ ხელშეკრულების საფუძველზე სასტუმროს ფუნქციონირებისათვის/ ოპერირებისათვის მოწვეული პირის/პირების მიერ სასტუმრო ნომრის მესაკუთრისათვის კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 60 დღის ვადით სასტუმრო მომსახურების (სასტუმროში ცხოვრების) უსასყიდლოდ გაწევა;
 - დ) სახელმწიფოსათვის, მუნიციპალიტეტისათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
 - ე) საქველმოქმედო ორგანიზაციისათვის უძრავი ქონების უსასყიდლოდ მიწოდება, თუ ამ ქონების მიმღები ორგანიზაცია ქველმოქმედებას ახორციელებს ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ან/და მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ არანაკლებ ბოლო 3 კალენდარული წლის განმავლობაში;
 - ვ) ამ კოდექსის 249-ე მუხლით გათვალისწინებული თავდებობის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული თავდებობის, აგრეთვე სერვიტუტის მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა.

[სსკ მ.98⁴] წარმომადგენლობითი ხარჯების დაბეგვრა

1. ამ მუხლის მიზნებისათვის წარმომადგენლობითი ხარჯი განისაზღვრება ამ კოდექსის მე-8 მუხლის 33-ე ნაწილის შესაბამისად.
2. ამ კოდექსის 97-ე მუხლის მიზნებისათვის კალენდარული წლის განმავლობაში გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯის ზღვრული ოდენობაა წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის 1 პროცენტი, ხოლო თუ გაწეული ხარჯი აღემატება მიღებულ შემოსავალს – გაწეული ხარჯის 1 პროცენტი.
3. საწარმოს დაფუძნების კალენდარულ წელს გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯის ზღვრული ოდენობაა მიმდინარე კალენდარული წლის დასრულებამდე გაწეული ხარჯის 1 პროცენტი.

მოგების გადასახადისაგან განთავისუფლება

[სსკ მ.99]

1. მოგების გადასახადისაგან თავისუფლება:
 - ა) საბიუჯეტო, საერთაშორისო ან/და საქველმოქმედო ორგანიზაციების მოგება, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული მოგების გარდა;

- ბ) ორგანიზაციის მიერ მიღებული გრანტები, საწევრო შენატანები და შემოწირულებები;
- გ) საქართველოს ეროვნული ბანკის მოგება;
- დ) საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ჯვრების, სანთლების, ხატების, წიგნებისა და კალენდრების რეალიზაციით მიღებული მოგება;
- ე) 2018 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება ან მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები/განხორციელებული განაცემები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“-„დ“ ქვეპუნქტებით, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ასეთი მიწოდებით მიღებული შემოსავალი 200 000 ლარს არ აღემატება;
- ვ) 2018 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები/განხორციელებული განაცემები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“-„დ“ ქვეპუნქტებით;
- ზ) საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ ფინანსური ოპერაციებიდან, ფინანსური მომსახურებიდან ან/და საქართველოს არარეზიდენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული მოგება ან მოგების განაწილება;
- თ) საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული მოგება ან მოგების განაწილება;
- ი) თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული მოგება ან მოგების განაწილება;
- კ) არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი საწარმოს, ორგანიზაციის ან/და მეწარმე ფიზიკური პირის მიერ რისკის დაზღვევისა და გადაზღვევის საფუძველზე;
- ლ) არარეზიდენტის მიერ ქონების ლიზინგით გაცემიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც საქართველოში არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას არ მიეკუთვნება;
- მ) სახელმწიფოს, საქართველოს ეროვნული ბანკის, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის სასესხო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით და ამ ფასიანი ქაღალდებიდან პროცენტის სახით მიღებული მოგება ან მოგების განაწილება და საქართველოს ეროვნულ ბანკში ანგარიშებზე განთავსებულ სახსრებზე დარიცხული პროცენტებიდან მიღებული მოგება ან მოგების განაწილება. [საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების სია განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;](#)
- ნ) თიზ-ის საწარმოს მიერ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ნებადართული საქმიანობიდან მიღებული მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები/განხორციელებული განაცემები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“-„დ“ ქვეპუნქტებით;
- ო) საინვესტიციო ფონდის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების მიწოდებით ან/და ფინანსური ოპერაციებიდან ან/და ფინანსური მომსახურებიდან მიღებული მოგება ან მოგების განაწილება, თუ საინვესტიციო ფონდი საერთაშორისო ფინანსური კომპანიაა;
- პ) საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისთვის სახელმწიფოს ან/და მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ გადაცემული ქონების ან უსასყიდლოდ გაწეული მომსახურების ღირებულება;
- ჟ) ვირტუალური ზონის იურიდიული პირის მიერ შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოს ფარგლების გარეთ მიწოდებით მიღებული მოგება (მოგების განაწილება);
- რ) 2026 წლის 1 იანვრამდე ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტის მიერ სასტუმრო მომსახურების გაწევით მიღებული მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში გაწეული

- ხარჯები/განხორციელებული განაცემები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“-„დ“ ქვეპუნქტებით;
- ს) აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატების სალონის, ტოტალიზატორის მომწყობი პირების მიერ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული მოგების (გარდა მათ მიერ სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მოწყობიდან მიღებული მოგებისა) განაწილება;
- ტ) სპეციალური სავაჭრო კომპანიის მიერ ნებადართული საქმიანობიდან მიღებული მოგების (გარდა მის მიერ ეკონომიკურ საქმიანობაში 2 წელზე მეტი ვადით გამოყენებული ძირითადი საშუალების მიწოდებით მიღებული მოგებისა) განაწილება;
- უ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით ავტორიზებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობიდან მიღებული მოგება;
- ფ) „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ გაკოტრების რეჟიმში მყოფი პირის მიერ მიღებული მოგების განაწილება;
- ქ) საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის შესაბამისად ჩამორთმეული საკუთრების სანაცვლო ანაზღაურებით მიღებული მოგების განაწილება;
- ღ) მაღალმთიანი დასახლების საწარმოს მიერ ამავე მაღალმთიან დასახლებაში საქმიანობიდან მიღებული მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები/განხორციელებული განაცემები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“-„დ“ ქვეპუნქტებით, – შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში (სტატუსის მინიჭების კალენდარული წლის ჩათვლით);
- ყ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული პროცენტებიდან მიღებული მოგების განაწილება.
2. ამ მუხლის მიზნებისთვის სასტუმრო მომსახურების (გარდა ამ კოდექსის მე-8 მუხლის 33-ე ნაწილის „დ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასტუმრო მომსახურებისა) სახეებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა;
 3. ამ მუხლის პირველი ნაწილით მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული მოგების თანხის იდენტიფიცირებისთვის ითვლება, რომ საწარმოს მიერ დივიდენდის განაწილებისას პირველ რიგში ეს თანხა გაიცემა.

დეკლარაციის წარდგენა

[სსკ მ.153]

1. სამემოსავლო გადასახადის/მოგების გადასახადის შესახებ დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე წარუდგენენ:
 - ა) რეზიდენტი ფიზიკური პირი, რომლის შემოსავალიც არ იბეგრება საქართველოში გადახდის წყაროსთან;
 - ბ) საწარმო (გარდა იმ საწარმოებისა, რომლებიც მოგების გადასახადით იბეგრებიან ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით);
 - გ) არარეზიდენტი ფიზიკური პირი და საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტი საწარმო, თუ მათ მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი არ იბეგრება გადახდის წყაროსთან.
2. მეწარმე ფიზიკური პირი საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტისას საგადასახადო ორგანოს 30 სამუშაო დღის ვადაში წარუდგენს დეკლარაციას ერთობლივი შემოსავლებისა და გამოქვითვების შესახებ. ამასთანავე, შემდგომ პერიოდში გადასახადის გადამხდელს ეკონომიკური საქმიანობის განახლებამდე არ ევალება საგადასახადო დეკლარაციის წარდგენა.

3. იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სალიკვიდაციო კომისია ან გადასახადის გადამხდელი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს საგადასახადო ორგანოს. იურიდიული პირის ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის ვადაში სალიკვიდაციო კომისია ვალდებულია წარუდგინოს დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს.
4. ფიზიკურ პირს, რომელიც არ არის ვალდებული, წარადგინოს დეკლარაცია, შეუძლია წარადგინოს იგი გადასახადის გადანაწილებისა და დაბრუნების მოთხოვნით.
5. მეწარმე ფიზიკური პირი, ორგანიზაცია და საწარმო (გარდა იმ საწარმოებისა, რომლებიც მოგების გადასახადით იბეგრებიან ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით) ვალდებული არიან, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინონ დეკლარაცია საანგარიშო თვის მიხედვით გაცემული შრომის ანაზღაურების თანხების და დაკავებული გადასახადის შესახებ.
- 5¹. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია „გადახდის უზუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით სასამართლოს მიერ გამოტანილი გაკოტრების შესახებ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან 15 დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს:
 - ა) გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებამდე სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისი, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წარუდგენელი დეკლარაციები. ამასთანავე, გადასახადის გადამხდელი გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისად საშემოსავლო/მოგების გადასახადის დეკლარაციას არ წარადგენს;
 - ბ) გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებამდე სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისი, ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული წარუდგენელი დეკლარაციები. ამასთანავე, გადასახადის გადამხდელი გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისად გაცემული შრომის ანაზღაურების თანხებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ დეკლარაციას არ წარადგენს.
6. მომავალი მესაკუთრის საკუთრების უფლების რეგისტრაციამდე მარეგისტრირებული ორგანო ვალდებულია ფიზიკურ პირს აცნობოს საგადასახადო ანგარიშებისა და გადასახადის გადახდის ვალდებულების შესახებ, აგრეთვე მისი შეუსრულებლობისას ამ კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის თაობაზე:
 - ა) ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული აქტივის რეალიზაციის შემთხვევაში;
 - ბ) ფიზიკური პირის მიერ ქონების საჩუქრად მიღების (გარდა I და II რიგის მემკვიდრეების მიერ ქონების ჩუქებით მიღებისა და III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში 150 000 ლარამდე ღირებულების ქონების ჩუქებით ან/და მემკვიდრეობით მიღებისა) შემთხვევაში;
 - გ) III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში 150 000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების ჩუქებით ან/და მემკვიდრეობით მიღების შემთხვევაში.
7. III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში 150 000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების ჩუქებით ან/და მემკვიდრეობით მიღების შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადი ექვემდებარება გადახდას 2 კალენდარული წლის განმავლობაში, რომლის დროსაც დეკლარაციის წარდგენისა და გადასახადის გადახდის ვადებს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.
8. საქართველოში არსებული დიპლომატიური სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოს მოქალაქეებისთვის გადახდილი ანაზღაურების დაბეგვრის წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.
9. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ დაქირავებულისთვის გადახდილი ხელფასის დაბეგვრის წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

10. საწარმო და არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულება (საწარმოები, რომლებიც მოგების გადასახადით იბეგრებიან ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგრის ობიექტების მიხედვით) ვალდებული არიან, ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინონ დეკლარაცია მოგების გადასახადის შესახებ და საანგარიშო თვის მიხედვით გაცემული შრომის ანაზღაურების თანხების და დაკავებული გადასახადის შესახებ.

ქონების გადასახადი

[სსკ მ.200]

ცნებების მნიშვნელობა ქონების გადასახადთან მიმართებით:

1. ქონება – დასაბეგრი ქონება და მიწა.
2. მიწა – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწები.
3. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა:
 - ა) სახნავი (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბადე, საბოსტნე);
 - ბ) სათიბები (მათ შორის, ბუნებრივი და გაკულტურებული);
 - გ) საძოვრები (მათ შორის, ბუნებრივი და გაკულტურებული);
 - დ) საკარმიდამო.
4. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა – მიწა, რომელიც არ არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა.
5. ახალასათვისებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა:
 - ა) არასასოფლო-სამეურნეო სავარგული, რომელიც ტრანსფორმირდება (გადაიყვანება) სასოფლო-სამეურნეო სავარგულად. ასეთ მიწებს განეკუთვნება:
 - ა.ა) ყამირი მიწები;
 - ა.ბ) მელიორაციის (სარწყავი და დაშრობის) საშუალებით ასათვისებელი მიწები;
 - ა.გ) გაკავფვა-ამოძირკვის საშუალებით ასათვისებელი, ბუჩქნარით დაკავებული მიწები;
 - ა.დ) დატერასების საშუალებით ასათვისებელი ფერდობები;
 - ა.ე) წიაღისეულის მოპოვებისა და მშენებლობის დროს დარღვეული სარეკულტივაციო მიწები აგრობიოლოგიური პროდუქტიულობის აღდგენით;
 - ბ) დაბალინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, რომლებიც ტრანსფორმირდება (გადაიყვანება) მაღალინტენსიური სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული) მიწების სავარგულად, დაჭაობებული და დამლაშებული მიწები.
6. დასაბეგრი ქონების ადგილსამყოფელი – ადგილი, სადაც უძრავი ქონება ფაქტობრივად მდებარეობს, ხოლო მოძრავი ქონება რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. თუ არ არსებობს მოძრავი ქონების რეგისტრაციის ადგილი, დასაბეგრი ქონების ადგილსამყოფლად ითვლება ადგილი, სადაც მოძრავი ქონება ფაქტობრივად მდებარეობს.
7. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა – სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწა.
8. სამელიორაციო ინფრასტრუქტურა – სარწყავი, დამშრობი და ორმხრივი რეგულირების სისტემები, წყალსაცავები, სატუმბავი სადგურები, დამოუკიდებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობები. *(მე-8 პუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2015 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)*

[სსკ მ.201]

1. ქონების გადასახადის გადამხდელია:
 - ა) რეზიდენტი საწარმო/ორგანიზაცია – მის ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე;
 - ბ) არარეზიდენტი საწარმო – საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ქონებაზე (მათ შორის, იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ქონებაზე);
 - გ) ფიზიკური პირი:
 - გ.ა) მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (მათ შორის, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, შენობა-ნაგებობაზე ან მათ ნაწილზე), იახტებზე (კატარღებზე), შვეულმფრენებზე, თვითმფრინავებსა და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდით განსაზღვრულ მსუბუქ ავტომობილებზე;
 - გ.ბ) არარეზიდენტისაგან ლიზინგით მიღებულ ქონებაზე;
 - გ.გ) ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიზნებისთვის პირი ქონების გადასახადის გადამხდელია მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებულ, გარდაცვლილი პირის სახელზე რეგისტრირებულ ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქონებით სარგებლობა ხორციელდება იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე.

[სსკ მ.202]

1. საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების ღირებულების არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით. ამ ნაწილის მიზნებისთვის დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით), რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში მხოლოდ უძრავ ქონებასთან მიმართებით უნდა გაიზარდოს:
 - ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 3-ჯერ;
 - ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 2-ჯერ;
 - გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე – 1.5-ჯერ;
 - დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს, – ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ოდენობით.
2. დასაბეგრი ქონების ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აფასება არ ვრცელდება:
 - ა) საწარმოზე, თუ იგი მის ბალანსზე რიცხულ უძრავ ქონებას გადაფასების მეთოდის გამოყენებით აღრიცხავს და აქვს აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება. ამასთანავე, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ 4 წლის ვადით;
 - ბ) საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ სახელმწიფო საწარმოებზე.
3. საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის, გარდა ამ მუხლის 3¹ ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, ლიზინგით გაცემულ დასაბეგრი ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით. ამ ნაწილის მიზნებისთვის ლიზინგით გაცემული დასაბეგრი ქონების საბალანსო ღირებულება არის ქონების გაცემის მომენტისთვის არსებული ღირებულება, ხოლო

- ყოველი მომდევნო წლისთვის ქონების ღირებულებად ითვლება აღნიშნული ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება, რომელიც ამ ქონებას ექნებოდა ლიზინგით არგაცემის შემთხვევაში.
- 3¹ . სალიზინგო კომპანიისთვის ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე წლიური გადასახადი ლიზინგის მთელი პერიოდის განმავლობაში განისაზღვრება მის მიერ დასაბეგრი ქონების ლიზინგით პირველად გაცემის მომენტისთვის არსებული საბალანსო საწყისი ღირებულების არა უმეტეს 0.6 პროცენტის ოდენობით.
4. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელს, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა, საგადასახადო შემოწმებისას დასაბეგრი ქონების ღირებულება განუსაზღვროს საბაზრო ფასით. თუ დასაბეგრი ქონების საბაზრო ფასი აღემატება მის საბალანსო ღირებულებას:
- ა) პირს დასაბეგრი ქონების ღირებულების სხვაობაზე დაერიცხება ქონების გადასახადის ძირითადი თანხა. ამასთანავე, აღნიშნულ თანხაზე საურავი დაეკისრება მხოლოდ საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარების დღის შემდეგ 30-ე დღიდან, ხოლო აღნიშნული სხვაობა გადასახადის შემცირებად არ ჩაითვლება ;
 - ბ) პირი ვალდებულია შესაბამისი დასაბეგრი ქონების მიმართ აღნიშნული საბაზრო ფასი გამოიყენოს შემდგომი 3 საგადასახადო წლის განმავლობაში.
5. ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:
- ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისთვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.05 პროცენტისა და არა უმეტეს 0.2 პროცენტისა;
 - ბ) 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისთვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.8 პროცენტისა და არა უმეტეს 1 პროცენტისა.
6. ამ კარის მიზნებისთვის, ამ მუხლის მე-7 ნაწილის გათვალისწინებით, ფიზიკური პირის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავლებში შეიტანება ყველა შემოსავალი, მათ შორის, სარგებელი საგადასახადო შეღავათების გაუთვალისწინებლად, კერძოდ:
- ა) ეკონომიკური საქმიანობით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, გარდა ამ ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;
 - ბ) ნებისმიერი შემოსავალი, მათ შორის, სარგებელი, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან;
 - გ) დარიცხული ხელფასი;
 - დ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირისთვის:
 - დ.ა) სპეციალური რეჟიმით დაბეგრას დაქვემდებარებული დასაბეგრი შემოსავლის 25 პროცენტი;
 - დ.ბ) დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება მცირე ბიზნესის სპეციალური რეჟიმით დასაბეგრ შემოსავალს.
7. ამ მუხლის მე-6 ნაწილის მიზნებისთვის:
- ა) შემოსავლებში არ შეიტანება:
 - ა.ა) ოჯახის წევრებისაგან მემკვიდრეობით, ჩუქებით ან განქორწინების საფუძველზე მიღებული ქონების ღირებულება;
 - ა.ბ) ფიზიკური პირის მიერ (მათ შორის, I რიგის მემკვიდრის მიერ ჯამურად თავისი და მამკვიდრებლის) 2 წელზე მეტი ვადით მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის (სახლის) რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;
 - ა.გ) ამ კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქონების თავდაპირველი რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;

- ა.დ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისა და მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ აღნიშნული ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი;
- ა.ე) ამ კოდექსის 82- ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ¹“ და „ბ²“ ქვეპუნქტების შესაბამისად საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლებული შემოსავალი ;
- ბ) საქართველოს მოქალაქე არარეზიდენტი ფიზიკურ პირთან მიმართებით შემოსავლები განისაზღვრება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლების მიხედვით.
8. დასაბეგრ ქონებაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 31 დეკემბრისთვის მოქმედი განაკვეთით.

განვიხილოთ მაგალითი:

- საწარმო დარეგისტრირდა 2011 წლის 1 სექტემბერს
- 31/12/2011 მდგომარეობით საწარმოს ბალანსზე ერიცხებოდა დასაბეგრი ქონება X ლარის ღირებულებით;
- 31/12/2011 მდგომარეობით აკუმულირებულმა ცვეთამ შეადგინა Y ლარი;
- 31/12/2012 მდგომარეობით საწარმოს ბალანსზე ერიცხებოდა დასაბეგრი ქონება Z ლარის ღირებულებით;
- 31/12/2012 მდგომარეობით აკუმულირებულმა ცვეთამ შეადგინა Q ლარი;
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გადასახადის განაკვეთი განსაზღვრულია 1%-ის ოდენობით.

მოცემულ შემთხვევაში ქონების გადასახადი გაიანგარიშება შემდეგნაირად:

- 2011 წლისთვის (ამ შემთხვევაში ქონების გადასახადი გამოითვლება პერიოდის პროპორციულად):

$$\frac{X - Y}{2} \times \frac{4}{12} \times 1\%$$

- 2012 წლისთვის:

$$\frac{(X - Y) + (Z - Q)}{2} \times 1\%$$

[სსკ მ.203]

მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელია პირი საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით:

- ა) მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე;
- ბ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწაზე, რომლითაც სარგებლობს ან რომელსაც ფლობს იგი;
- გ) მის მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებულ, გარდაცვლილი პირის სახელზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიწის ნაკვეთით სარგებლობა ხორციელდება იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე.

[სსკ მ.204]

მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთი

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწებზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთები დიფერენცირებულია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და მიწის კატეგორიების მიხედვით და დგინდება 1 ჰექტარზე გაანგარიშებით, ლარში:
 - ა) სახნავისთვის (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბაღე, საბოსტნე) და საკარმიდამოსთვის;

№	ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	საბაზისო განაკვეთი (ლარი/ჰა)
		სახნავი და საკარმიდანო
1	თბილისი (გარდა თბილისის დასახლებებისა (სოფლებისა), მარნეული	100
2	ბოლნისი, გარდაბანი, თბილისის დასახლებები (სოფლები): წავკისი, კოჯორი, ტაბახმელა, შინდისი, დიდება, კვესეთი, სამადლო, კიკეთი, ნასაგურალი, ახალდაბა, დიდი ლილო, ვარკეთილი	95
3	რუსთავი, ბათუმი, გაგრა, გალი, გუდაუთა, გულრიფში, ოჩამჩირე, სოხუმი, ტყვარჩელი	94
4	ქობულეთი, ხელვაჩაური, გურჯაანი, დედოფლისწყარო	87
5	თელავი, ლაგოდეხი, სიღნაღი	86
6	ყვარელი, გორი, მცხეთა, ახმეტა, დმანისი, ერედვი, თილვი, თბილისის დასახლებები (სოფლები): დიღომი, მშრალხევი, დაბა ზაპესი, გლდანი დიდგორი, ზურგოვანა, თელოვანა, ძველი ვეძისი, აგარაკი, თხინვალი, სოფელ გლდანიდან ავჭალის დასახლებამდე – საბაღე ნაკვეთები, გიორგიშინდა – საბაღე ნაკვეთები, მუხიანის მიმდებარე საბაღე ნაკვეთები, ხევძმარის მიმდებარე „ავშიანის“ დასახლება, ლოტკინის დასახლება – სანერგე მეურნეობა, რესის მიმდებარე დასახლება, თბილისის ზღვის არსებული დასახლება	82
7	კასპი, თეთრი წყარო, სამტრედია	81
8	საგარეჯო, ქარელი, ხაშური	79
9	ქურთა, წალკა	77
10	აბაშა, ზუგდიდი	77
11	ახალქალაქი, ახალციხე	77
12	მარტვილი, სენაკი, ხობი, ფოთი	76
13	ნინოწმინდა	76
14	ახალგორი, ვანი, ზესტაფონი, ლანჩხუთი, ოზურგეთი	73
15	ბაღდათი, თერჯოლა, ხონი, ქუთაისი	71
16	წალენჯიხა, წყალტუბო, ჩხოროწყუ	67
17	საჩხერე, ცაგერი, ცხინვალი	65
18	ამბროლაური, დუშეთი, თიანეთი, ადიგენი, ბორჯომი	61
19	ასპინძა, ტყიბული, ხულო, ქედა	60
20	შუახევი, ხარაგაული, ჭიათურა, ლენტეხი, ონი, ჩოხატაური, მესტია, სტეფანწმინდა, ჯავა	56

ბ) სათიბებისა და სამოვრებისთვის (ბუნებრივი და გაკულტურებული):

№	ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	საბაზისო განაკვეთი (ლარი/ჰა)	
		სახნავი და საკარმიდანო	
1	აბაშა, ახალქალაქი, გორი, ბათუმი, ბოლნისი, გაგრა, გალი, გარდაბანი, გუდაუთა, გულრიფში, გურჯაანი, დმანისი, ზუგდიდი, თბილისი, თეთრი წყარო, თელავი, ლაგოდეხი, ლანჩხუთი, მარნეული, მცხეთა, ნინოწმინდა, ოზურგეთი, ოჩამჩირე, რუსთავი, სამტრედია, სენაკი, სიღნაღი, სოხუმი, ქუთაისი, ქობულეთი, ყვარელი, წალკა, წყალტუბო, ხელვაჩაური, ხობი, ფოთი	20	16
2	დედოფლისწყარო	20	7
3	ადიგენი, ასპინძა, ახალგორი, ბაღდათი, ბორჯომი, ვანი, ზესტაფონი, თერჯოლა, თიანეთი, კასპი, მარტვილი, საგარეჯო, საჩხერე, ტყიბული, ქარელი, ქედა, შუახევი, ჩოხატაური, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, ხარაგაული, ხაშური, ხონი, ხულო, ახალციხე	19	15
4	ამბროლაური, დუშეთი, ლენტეხი, მესტია, ონი, ყაზბეგი, ცაგერი, ცხინვალი, ჭიათურა, ჯავა	16	10
5	ახმეტა	16	5

- გ) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ტყის მიწებისთვის – ამ ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით დადგენილი შესაბამისი ოდენობით;
- დ) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით განისაზღვრება გადასახადის განაკვეთი, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ ნაწილით დადგენილი წლიური საბაზისო განაკვეთის 150 პროცენტს.
2. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთები კონკრეტული მიწის ნაკვეთისთვის, მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, გაიანგარიშება შემდეგი წესით:
- ა) გადასახადის საბაზისო განაკვეთი დგინდება წელიწადში მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე 0.24 ლარის ოდენობით;
 - ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით, შესაბამისი საბაზისო განაკვეთი მრავლდება ტერიტორიულ კოეფიციენტზე. ამასთანავე, ტერიტორიული კოეფიციენტი არ შეიძლება იყოს 1,5-ზე მეტი.
3. ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისთვის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ფორმით გამოყოფილი მიწა იბეგრება ერთ ჰექტარზე არაუმეტეს 3 ლარით. *(გაგრძელდეს 2014 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)*
4. მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისთვის მოქმედი განაკვეთების მიხედვით.
5. ქონების გადასახადით დაბეგვრის მიზნებისთვის [საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სხვა მარეგისტრირებული ორგანოების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ საგადასახადო ორგანოში წარსადგენი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის საგადასახადო ორგანოში წარდგენის წესს ადგენს საქართველოს მთავრობა.](#)

[სსკ მ.205]

ქონების გადასახადის გამოანგარიშება და გადახდა

- ქონების გადასახადის საგადასახადო პერიოდად ითვლება კალენდარული წელი.
- საწარმო/ორგანიზაცია ქონების გადასახადის დეკლარაციას შესაბამის საგადასახადო ორგანოს წარუდგენს არა უგვიანეს კალენდარული წლის 1 აპრილისა და ამავე ვადაში იხდის ქონების გადასახადს, გარდა ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა. დეკლარაციაში მონაცემები დასაბეგრი ქონების შესახებ შეიტანება გასული საგადასახადო წლის მიხედვით, ხოლო დასაბეგრი მიწის შესახებ – მიმდინარე საგადასახადო წლის მიხედვით.
- საწარმო/ორგანიზაცია ქონებაზე გადასახადს იხდის მიმდინარე გადასახდელის სახით, გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის ოდენობით, არა უგვიანეს საგადასახადო წლის 15 ივნისისა.
- თუ ქონებაზე ქონების გადასახადში მიმდინარე საგადასახადო წლის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულების ოდენობა, მათ შორის, საგადასახადო შეღავათების გათვალისწინებით, არანაკლებ 50 პროცენტით მცირდება გასულ საგადასახადო წელთან შედარებით და აღნიშნულის შესახებ გადასახადის გადამხდელი არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 ივნისისა აცნობებს შესაბამის საგადასახადო ორგანოს, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, შეამციროს ან საერთოდ არ გადაიხადოს მიმდინარე გადასახდელის თანხა.
- თუ წარმოდგენილი ფაქტობრივი წლიური შედეგების მიხედვით არ დასტურდება მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულების ოდენობის არანაკლებ 50 პროცენტით შემცირება და გადასახადის გადამხდელს საანგარიშო წლის განმავლობაში სრული ოდენობით არ გადაუხდია მიმდინარე გადასახდელი, მან უნდა გადაიხადოს საურავი ამ კოდექსის შესაბამისად, მიმდინარე გადასახდელის

- გადახდის ვადის დადგენილი თარიღიდან საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის თარიღამდე არსებულ დროის მონაკვეთში.
6. თუ წინა საგადასახადო პერიოდთან შედარებით იცვლება გადასახადის განაკვეთი, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, მიმდინარე გადასახდელი გადაიხადოს მიმდინარე წლისთვის მოქმედი განაკვეთის მიხედვით.
 7. საწარმო/ორგანიზაცია მიწაზე ქონების გადასახადს იხდის არა უგვიანეს კალენდარული წლის 15 ნოემბრისა.
 8. თუ გადასახადის გადამხდელი საწარმო/ორგანიზაცია მხოლოდ არასრული კალენდარული წლის განმავლობაში არსებობს, იგი ქონებაზე გადასახადს იხდის ამ პერიოდის პროპორციულად.
 9. თუ იურიდიული პირი კალენდარული წლის დაწყების შემდეგ დაფუძნდა, მას შესაბამისი საგადასახადო პერიოდის მიხედვით მიმდინარე გადასახდელის გადახდის ვალდებულება არ ეკისრება. ამასთანავე, მომდევნო საგადასახადო პერიოდის მიხედვით მიმდინარე გადასახდელის ოდენობა განისაზღვრება გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის სრული ოდენობით.
 10. სალიკვიდაციო კომისია ვალდებულია საწარმოს ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში წარუდგინოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს ქონების გადასახადის დეკლარაცია.
 - 10¹. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით სასამართლოს მიერ გამოტანილი გაკოტრების შესახებ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან 15 დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებამდე სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) წარუდგენელი დეკლარაციები. ამასთანავე, გადასახადის გადამხდელი გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისად ქონების გადასახადის დეკლარაციებს არ წარადგენს.
 11. ფიზიკური პირის ქონების გადასახადს გამოიანგარიშებს საგადასახადო ორგანო წარდგენილი დეკლარაციის საფუძველზე.
 12. ფიზიკური პირი ქონების გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს წარუდგენს არა უგვიანეს კალენდარული წლის 1 ნოემბრისა. დეკლარაციაში მონაცემები დასაბეგრი ქონების შესახებ შეიტანება გასული საგადასახადო წლის მიხედვით, ხოლო დასაბეგრი მიწის შესახებ – მიმდინარე საგადასახადო წლის მიხედვით.
 13. ფიზიკურ პირს უფლება აქვს, არ წარადგინოს ქონების გადასახადის დეკლარაცია, თუ:
 - ა) ამ კოდექსით დადგენილი შეღავათების გათვალისწინებით მას საგადასახადო პერიოდის მიხედვით საგადასახადო ვალდებულება არ წარმოეშობა. ამასთანავე, თუ ფიზიკური პირი გასული საგადასახადო წლის მიხედვით იყო ქონების გადასახადის მიხედვით დეკლარანტი, იგი დეკლარაციის არწარდგენის შესახებ გადაწყვეტილებას საგადასახადო ორგანოს აცნობებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმით, არა უგვიანეს საგადასახადო წლის 1 ნოემბრისა;
 - ბ) საანგარიშო წლის წინა პერიოდის მიხედვით ქონების გადასახადის დეკლარაცია წარდგენილია ან დარიცხულია ქონების გადასახადი საგადასახადო ორგანოს მიერ. წინა საანგარიშო წლის მონაცემების მიხედვით საგადასახადო ორგანო გადასახადის გადამხდელს პროგრამულად არიცხავს ქონების გადასახადს. ამ შემთხვევაში ითვლება, რომ გადასახადის გადამხდელმა განახორციელა საგადასახადო ანგარიშგება, ხოლო საგადასახადო ორგანომ მას წარუდგინა საგადასახადო მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საგადასახადო ვალდებულება შესაბამისი პერიოდის მიხედვით ბოლო დეკლარირებულის (დარიცხულის) ტოლია. ამასთანავე, თუ დეკლარირება შემდგომ განხორციელდება აღნიშნული პერიოდების მიხედვით, იგი ჩაითვლება შესწორებულ დეკლარაციად.
 - 13¹. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების საფუძველზე საგადასახადო ორგანოს მიერ მიწაზე ქონების გადასახადის დარიცხვისას პირი თავისუფლდება მიწაზე ქონების გადასახადის

დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისაგან. ამ შემთხვევაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების საფუძველზე პირს წარედგინება საგადასახადო მოთხოვნა [საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით](#).

14. ფიზიკური პირი ქონებაზე და მიწაზე ქონების გადასახადს იხდის არა უგვიანეს კალენდარული წლის 15 ნოემბრისა.
15. [ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესს](#) განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

აქციზი

[[სსკ მ.182](#)]

1. აქციზის გადამხდელია პირი, რომელიც:
 - ა) აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში;
 - ბ) ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში;
 - გ) ახორციელებს აქციზური საქონლის ექსპორტს;
 - დ) ახორციელებს ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის მიწოდებას;
 - ე) ახორციელებს მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევას;
 - ვ) ახორციელებს მობილურ ან ფიქსირებულ ქსელში არარეზიდენტი ან რეზიდენტი პირისაგან მიღებული საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურებას.
2. დამკვეთის ნედლეულით საქართველოში წარმოებულ საქონელზე აქციზის გადამხდელად ითვლება საქონლის მწარმოებელი.
3. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში პირი აქციზის გადამხდელად ითვლება მხოლოდ აღნიშნულ ოპერაციებზე.
4. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების მიზნით აქციზური საქონლის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაციისას, აგრეთვე სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (აქციზური საქონლის) კრედიტორისთვის საკუთრებაში გადაცემისას ამ ოპერაციაზე აქციზის გადამხდელად ითვლება აქციზური საქონლის შემძენი ან/და მიმღები პირი, თუ აღნიშნული ოპერაცია ექვემდებარება აქციზით დაბეგვრას [ამ კოდექსის 190¹ მუხლის](#) შესაბამისად.
5. სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული აქციზური საქონლის რეალიზაციისას ამ ოპერაციაზე აქციზის გადამხდელად ითვლება აქციზური საქონლის შემძენი პირი.

[[სსკ მ.183](#)]

აქციზით დაბეგვრის ობიექტია:

- ა) დასაბეგრი ოპერაცია;
- ბ) აქციზური საქონლის იმპორტი;
- გ) აქციზური საქონლის ექსპორტი.

[[სსკ მ.184](#)]

აქციზით დასაბეგრი ოპერაციები და დასაბეგრი ოპერაციების განხორციელების მომენტი:

- ა) მწარმოებლის მიერ საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის მიწოდების ან/და საწარმოს საწყობიდან სარეალიზაციოდ გატანის მომენტი;

- ბ) მწარმოებლის მიერ დამკვეთის ნედლეულით საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის დამკვეთისთვის გადაცემის მომენტი;
- გ) საკუთარი წარმოების აქციზური საქონლის არააქციზური საქონლის წარმოებისთვის გამოყენების დაწყების მომენტი;
- დ) ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის მიწოდების მომენტი;
- ე) საქართველოში მობილურ ან ფიქსირებულ ქსელში საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურების გაწევის მომენტი.

[სსკ მ.185]

1. აქციზით დასაბეგრი ოპერაციის, აქციზური საქონლის იმპორტისა და აქციზური საქონლის ექსპორტის თანხა განისაზღვრება:
 - ა) [\(ამოღებულია – 19.04.2011, №4547\);](#)
 - ბ) ალკოჰოლიანი სასმელისთვის – ალკოჰოლიანი სასმელის მოცულობით;
 - გ) თამბაქოს ნაწარმისთვის – თამბაქოს ნაწარმის რაოდენობით ან წონით ან/და საცალო სარეალიზაციო ფასის მიხედვით;
 - დ) ნავთობპროდუქტისთვის – ნავთობპროდუქტის წონით (მოცულობით);
 - ე) მსუბუქი ავტომობილისთვის – მსუბუქი ავტომობილის წლოვანებითა და ძრავის მოცულობით;
 - ვ) ბუნებრივი აიროვანი კონდენსატისთვის ან/და ბუნებრივი აირისთვის – აირის მოცულობით;
 - ზ) საქართველოში მობილურ ან ფიქსირებულ ქსელში საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურების გაწევის შემთხვევაში – ზარის ხანგრძლივობის მიხედვით.
2. საერთაშორისო მობილური საკომუნიკაციო მომსახურების (გარდა საქართველოში მობილურ ან ფიქსირებულ ქსელში საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურებისა) გაწევისას დასაბეგრი ოპერაციის თანხაში არ გაითვალისწინება არარეზიდენტი საწარმოსთვის გაწეული ასეთი მომსახურებიდან მიღებული თანხა.

დამატებით იხ. სსკ მ.186-194.

საწარმოს რეორგანიზაცია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით

[კმშ მ.14⁴]

1. საწარმოს რეორგანიზაციის სახეებია:
 - ა) გარდაქმნა (სამართლებრივი ფორმის ცვლილება);
 - ბ) შერწყმა (გაერთიანება, მიერთება);
 - გ) გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა).
2. პარტნიორებს შეუძლიათ ერთი სამართლებრივი ფორმის საწარმო გარდაქმნან სხვა სამართლებრივი ფორმის საწარმოდ. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილებით პარტნიორთა უფლებამოსილებები უნდა გადანაწილდეს ხელახლა, ამ სამართლებრივი ფორმისთვის დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.
3. თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, სააქციო საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად გარდაქმნის და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორის (პარტნიორთა) ხმების 75%. ყველა სხვა შემთხვევაში აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად.
4. საწარმოები შეიძლება შეერწყან ერთმანეთს. თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, სააქციო საზოგადოებაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კოოპერატივში შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორის (პარტნიორთა) ხმების 75%. ყველა სხვა შემთხვევაში აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად.

შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს, ერთი საწარმო უერთდება მეორეს (მიერთება) თუ ორი საწარმო ერთიანდება ერთ ახალ საწარმოდ (გაერთიანება). შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებით უნდა განისაზღვროს პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი, თუ ისინი არ ხელმძღვანელობენ კაპიტალში მათი წილის პროპორციულობის პრინციპით. საწარმო, რომელმაც საწარმო მიიერთა, ან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი საწარმო არის თავდაპირველი საწარმოს/საწარმოების სამართალმემკვიდრე.

5. საწარმო შეიძლება გაიყოს ორ ან ორზე მეტ საწარმოდ და მათ საქმიანობა გააგრძელონ, როგორც დამოუკიდებელმა საწარმოებმა, საკუთარი სამართლებრივი ფორმით. გაყოფის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება ითვალისწინებდეს გაყოფის შედეგად წარმოქმნილ საწარმოში ადრინდელი პარტნიორების წილობრივი მონაწილეობის შეცვლას. გაყოფის შედეგად წარმოქმნილი საწარმოები სოლიდარულად აგებენ პასუხს თავდაპირველი საწარმოს გაყოფამდე არსებული ვალდებულებებისთვის, ხოლო თავდაპირველი საწარმოს უფლებამონაცვლე საწარმო განისაზღვრება გაყოფის შესახებ გადაწყვეტილებით.
6. პარტნიორთა მიერ მიღებულ საწარმოს რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილებაზე ვრცელდება [ამ კანონის მე-14 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით](#) საწარმოს ლიკვიდაციისთვის გათვალისწინებული რეგისტრაციისა და შეტყობინების წესები. სამართლებრივი ფორმის ისეთი ცვლილებისას, რომლის დროსაც საწარმოს უნარი, დააკმაყოფილოს კრედიტორები, არ მცირდება, ასევე თუ საწარმოს მიუერთდა მისი 100%-იანი შვილობილი საწარმო, არ ვრცელდება ამ პუნქტში აღნიშნული გამოქვეყნებისა და შეტყობინების წესები, ხოლო კრედიტორებს არ წარმოეშობათ ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება. სააქციო საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად გარდაქმნა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა არ მიიჩნევა კრედიტორთა დაკმაყოფილების უნარის შემცირებად.
- 6¹. სუბიექტის რეორგანიზაციის დაწყების მოთხოვნის შემთხვევაში სავალდებულოა სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში მიეთითოს რეორგანიზაციის სახე და ინფორმაცია რეორგანიზაციის შედეგების შესახებ.
7. ვალდებულების არსებობა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმოს რეორგანიზაციით არ მცირდება კრედიტორთა დაკმაყოფილების უნარი ან არსებობს კრედიტორის თანხმობა რეორგანიზაციაზე. სახელმწიფოს მიმართ დავალიანების არსებობა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველი არ არის, თუ მოთხოვნილია სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს რეორგანიზაცია.
8. შეტყობინების მიღებიდან რეორგანიზაციის პროცესის დასრულებამდე კრედიტორები უფლებამოსილი არიან საწარმოს მოსთხოვონ ნაკისრ ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულება.
9. საწარმოების შერწყმა და საწარმოს გაყოფა რეგისტრირდება საწარმოს რეგისტრაციისთვის ამ კანონით, [„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონითა](#) და ინსტრუქციით განსაზღვრული წესების შესაბამისად შერწყმის/გაყოფის შედეგად წარმოშობილი სუბიექტის რაოდენობის შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდით.
10. საწარმოს რეორგანიზაციის დამატებითი პირობები და წესი განისაზღვრება ინსტრუქციით.

სამოქალაქო კოდექსის განმარტებები

საწივით სამართალი

ქონება, ამ კოდექსის მიხედვით, არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს [სსკ მ.147].

არსებობს ორი სახის ნივთი: მოძრავი და უძრავი [სსკ მ.148].

უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე [სსკ მ.149].

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ მფლობელობა და მესაკუთრეობა.

მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით.

მესაკუთრეს შეუძლია კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.

ერთი და იგივე ნივთი როდესაც რამდენიმე პირის საკუთრებაა, მაშინ არსებობს საერთო საკუთრება, ხოლო მესაკუთრეებს ეწოდებათ თანამესაკუთრეები.

მესაკუთრის თანხმობით, ნივთით შეიძლება სარგებლობდეს მესამე პირი. ასეთ შემთხვევაში არსებობს მოთხოვნის უზრუნველყოფის შემდეგი ფორმები:

პირგასამტეხლო - მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის [სსკ მ.417].

გირავნობა მოვალის ან მესამე პირის მოძრავი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის სხვა პირთათვის გადაცემა დასაშვებია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ფულადი, ისე არაფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, ისე, რომ კრედიტორი (მოგირავენე) იძენს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების (გირავნობის საგნის) რეალიზაციით ან მხარეთა შეთანხმებით – მისი საკუთრებაში მიღებით მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში [სსკ მ.254].

იპოთეკა - უძრავი ნივთი შეიძლება ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით (იპოთეკა).

შრომის კოდექსის განმარტებები

მივლინება

1. მივლინება არის დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სამუშაო ადგილის დროებით შეცვლა, სამუშაოს ინტერესებიდან გამომდინარე.
2. დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის მივლინებაში გაგზავნა არ მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლად, თუ მივლინების პერიოდი არ აღემატება წელიწადში 45 კალენდარულ დღეს.
3. დამსაქმებლის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადამეტების შემთხვევა მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლად.
4. დამსაქმებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები.
5. ამ მუხლით გათვალისწინებული ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული

კითხვები და ამოცანები თვითშემოწმებისთვის

№	კითხვა/ამოცანა
1	რა არის მოგება?
2	რას ნიშნავს მიმდინარე მოგების გადასახადი?
3	გაყიდულია კრედიტით წარმოებული აქციური საქონელი 10 620 ლარად დღგ-ს ჩათვლით, რომლის თვითღირებულება 6 000 ლარია, ხოლო გადასახდელი აქციზი 1 500 ლ. შეასრულეთ საქონლის გაყიდვა და თვითღირებულებით ჩამოწერა.
4	შემოტანილია იმპორტით აქციური საქონელი მთლიანი თანხით 27 000 ლარად, სადაც გადასახდელი აქციზი 2 000 ლარია, ტრანსპორტირების ხარჯი 1 000 ლ, ხოლო საბაჟო გადასახადი 400 ლ. შეასრულეთ შესყიდვის ოპერაცია.
5	31 ოქტომბერს შეიძინეს დანადგარი 12 000 ლარად. მას დაერიცხა ცვეთა წრფივი მეთოდით, 25% წელიწადში. განსაზღვრეთ დანადგარის საბალანსო ღირებულება.
6	ვინ არის აქციზის გადამხდელი?
7	როგორია აქციზის განაკვეთები?
8	რა შემთხვევაში ხდება აქციზის ჩათვლა ან თვითღირებულებაში ჩართვა?
9	რა არის აქციზით დაბეგვრის ობიექტი?
10	როგორია აქციზისაგან განთავისუფლების წესები?
11	როგორი რეორგანიზაციის სახეები არსებობს?
12	როგორ ხდება ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა?
13	რას ნიშნავს გირავნობა და იპოთეკა?
14	როგორია მივლინების ვადები და ანაზრაურების პირობები?
15	საწარმოს 2016 წლის ბოლოს აქვს 5 000 ლარის დანადგარი, ხოლო 2017 წლის 15 აპრილს შეიძინა 7 000 ლარად ღირებული ავტომობილი. დაიანგარიშეთ ქონების გადასახადი 2017 წლისთვის, თუ ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით 20%.
16	რის საფუძველზე ხდება გადასახადების დარიცხვა?
17	როგორ ხდება გადასახადის გადამხდელის მიერ გადახდილი თანხის დაბრუნება?
18	რას ნიშნავს მიმდინარე გადასახადები?
19	როგორია მათი გადახდის ვადები?
20	როგორ ხდება მიმდინარე გადასახადების აღრიცხვა?
21	ეხება თუ არა დღგ-ს და საშემოსავლოს მიმდინარე გადასახადები?
22	როგორი გადასახადია ქონების გადასახადი და ვინ ადგენს მას?
23	ვინ არის ქონების გადასახადის გადამხდელი?
24	როგორია ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი?
25	რა შემთხვევებში იზრდება ქონების გადასახადი?
26	რა ითვლება და რა არ შედის ფიზიკური პირის შემოსავლებში ქონების გადასახადით დაბეგვრის მიზნით?
27	ვინ არის მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელი?
28	როგორია მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთი?
29	როგორ ხდება ქონების გადასახადის გამოანგარიშება და როგორია გადახდის ვადები?

ლექცია №12

საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

საკუთარი კაპიტალი საწარმოს აქტივების ის ნაწილია, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ. საკუთარი კაპიტალი ბიზნესის დაფინანსების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს. იგი ორი ნაწილისგან შედგება: ავანსირებული (გადახდილი, ინვესტირებული) და რეინვესტირებული, რომელიც მიიღება შემდგომი საქმიანობის შედეგად.

მისი შემადგენლობა დამოკიდებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმასა და საქმიანობის სფეროზე. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა (შპს) და სააქციო საზოგადოებაში საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და რეზერვებისგან.

საწესდებო კაპიტალი, როგორც წესი წარმოადგენს დამფუძნებელთა შენატანებს, ხოლო რეზერვები იქმნება შემდგომი წარმატებული საქმიანობის შედეგად მიღებული მოგებიდან. რეზერვის შექმნა ზოგჯერ წესდებით მოითხოვება მესაკუთრეთა ზარალისგან დაცვის მიზნით. ასევე რეზერვი შეიძლება წარმოიქმნას ძირითადი საშუალებებისა და აქციების აფასების შედეგად (ფასის მომატების შემთხვევაში).

საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა



ზოგადად, საკუთარი კაპიტალის ყველაზე სრული სტრუქტურა ახასიათებს სააქციო საზოგადოებებს. სააქციო კაპიტალი სამეწარმეო კანონმდებლობით საწესდებო კაპიტალად იწოდება.

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს რეგისტრაციის მომენტისთვის პარტნიორების (დამფუძნებლების) მიერ განსაზღვრული შენატანის თანხის ოდენობას. იგი სააქციო საზოგადოებაში არსებობს აქციების სახით.

აქციების მფლობელებს **აქციონერები** ეწოდებათ.

აქცია წარმოადგენს სახელობით ფასიან ქაღალდს, რომელიც ადასტურებს აქციონერის საკუთრების უფლებას კაპიტალზე და სააქციო საზოგადოების ვალდებულებას პარტნიორის (აქციონერის) მიმართ. აქციონერთა ინტერესების დაცვის მიზნით აქციონერთა კრება ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც განაგებს სამეურნეო პოლიტიკას, ხოლო ამ პოლიტიკის განსახორციელებლად სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს დირექტორთა საბჭოს.

სააქციო საზოგადოების წესდებაში დაფიქსირებული გამოსაშვები აქციების მაქსიმალური რაოდენობა წარმოადგენს **გამოსაშვებად ნებადართულ აქციებს**.

გამოშვებული აქციები არის ბრუნვაში და მათ უწოდებენ ბრუნვაში არსებულ აქციებს. შესაძლებელია ბრუნვაში არსებული აქციების დაბრუნება. დაბრუნების შემდეგ ასეთ აქციებს ეწოდება **გამოსყიდული საკუთარი აქციები**.

აქციებისთვის სამეწარმეო კანონით დადგენილია ერთნაირი ნომინალური ღირებულება. საწარმოს აქცია შეიძლება იყოს **ჩვეულებრივი** ან **პრივილეგირებული**.

ერთი **ჩვეულებრივი აქცია** მის მფლობელს აქციონერთა საერთო კრებაზე აძლევს ერთი ხმის უფლებას. ე.ი. უფლებას მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მართვაში, მაგრამ ჩვეულებრივი აქცია მის მფლობელს არ აძლევს გარანტიას დივიდენდებზე.

პრივილეგირებული აქცია მის მფლობელს აძლევს უფლებას მიიღოს გარანტირებული ფიქსირებული დივიდენდი წინასწარ განსაზღვრული სიდიდით, რომელიც მფლობელს, მართალია არ ანიჭებს „ხმის“ უფლებას, მაგრამ უპირატესობას აძლევს მას, ჩვეულებრივ აქციონერთან შედარებით, დივიდენდის მიღებისა და კომპანიის აქტივების განაწილების პროცესში (მისი ლიკვიდაციის დროს).

ნომინალური ფასი ასახვას საწესდებო კაპიტალის სიდიდეს ერთ აქციაზე, რომელიც აღნიშნულია აქციაზე, სერთიფიკატზე ან რეესტრიდან ამონაწერში. საწესდებო კაპიტალი ფასდება გამოსაშვებად ნებადართულ აქციათა ნომინალური ღირებულებით. აქცია უნდა გაიყიდოს არანაკლებ ნომინალური ღირებულებით, თუმცა მისი გაყიდვა დასაშვებია ნომინალურ ღირებულებაზე მაღალ ფასად. ნამეტი თანხა წარმოადგენს საემისიო კაპიტალს.

განვიხილოთ მაგალითი:

სააქციო საზოგადოებამ გამოუშვა 15 000 ჩვეულებრივი აქცია, რომლის ნომინალური ღირებულება 2 ლარია. სააქციო საზოგადოება შედგება 5 დამფუძნებლისგან, რომელთაც თანაბარი ოდენობის კაპიტალის ინვესტირება მოახდინეს, რამაც შეადგინა 30 000 ლარი. აღნიშნული მოვლენა ბუღალტერიაში ასახება შემდეგნაირად:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	15/08/2018	1460	5110	30 000	დამფუძნებლის მიმართ მოთხოვნა
2	15/08/2018	1210	1460	30 000	ჩვეულებრივი აქციის გამოშვება

განვიხილოთ მაგალითი:

სააქციო საზოგადოებამ გამოუშვა 10 ლარის ნომინალური ღირებულების 5 000 ჩვეულებრივი აქცია. ფაქტობრივად აქციები გაიყიდა 11 ლარად. მიღებულია 55 000 ლარი. მაგალითიდან გამომდინარე ნომინალური ღირებულება ასახება ჩვეულებრივი აქციების ანგარიშზე (5110), ხოლო ნამეტი თანხა საემისიო კაპიტალის ანგარიშზე (5140).

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	15/09/2017	1210	5110	50 000	ჩვეულებრივი აქციის გაყიდვა 10 × 5 000
2	15/09/2017	1210	5140	5 000	საემისიო კაპიტალი 1 × 5 000

ზოგიერთ შემთხვევაში ხელშეკრულება ითვალისწინებს პრივილეგირებული აქციების კონვერტირებას ჩვეულებრივ აქციებად, განსაზღვრულ ვადებში და ფასებით, რომლის მიზანია აქციების დაბრუნება და ამოღება.

მაგალითად:

სააქციო საზოგადოებამ შეთანხმების თანახმად 1 ლარის ნომინალური ღირებულების 1 000 ცალი პრივილეგირებული აქცია უნდა გაცვალოს 4 ლარის ნომინალური ღირებულების 1 000 ცალ ჩვეულებრივ აქციაზე.

თავდაპირველად როდესაც განხორციელდებოდა პრივილეგირებული აქციის გაყიდვა ბუღალტერიაში გატარება ასახებოდა შემდეგნაირად:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	15/01/2012	1210	5120	1,000	პრივილეგირებული აქციის გასხვისება

პრივილეგირებული აქციის ჩვეულებრივ აქციაში კონვერტაცია და საემისიო კაპიტალის შემცირება:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	15/09/2017	5120	5110	1 000	პრივილეგირებული აქციების ჩანაცვლება ჩვეულებრივი აქციებით
2	15/09/2017	5140	5110	3 000	საემისიო კაპიტალის შემცირება

პრივილეგირებული აქციების ნომინალური ღირებულება რომ ყოფილიყო 5 ლარი, ხოლო ჩვეულებრივის 4 ლარი, მაშინ ოპერაცია აისახებოდა შემდეგნაირად:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	15/09/2017	5120	5110	4 000	აქციის კონვერტაცია
2	15/09/2017	5120	5140	1 000	საემისიო კაპიტალის ზრდა

გამოსყიდული აქციები შესყიდვის ფასით აღიარდება საკუთარი კაპიტალის ანგარიშზე. მაგ.: საწარმომ გამოისყიდა 500 ცალი საკუთარი აქცია თითო 3 ლარად

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	15/08/2017	5130	1210	1 500	აქციის გამოსყიდვა

განვიხილოთ მაგალითი

როდესაც საწარმო ახდენს გამოსყიდული აქციების გაუქმებას: კომპანიამ 5 ლარის ნომინალური და 8 ლარის საბაზრო ღირებულების 1 500 აქციიდან ახდენს 500 აქციის გაუქმებას. საემისიო კაპიტალი შეადგენს 1 000 ლარს. გაუქმებული აქცია თავისი შინაარსით იწვევს კაპიტალის შემცირებას, ავსახოთ ეს ოპერაცია:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	15/09/2017	5110	5130	2 500	აქციის გამოსყიდვა ($500 \times 5 = 2 500$)
2	15/09/2017	5140	5130	1 000	საემისიო კაპიტალი
3	15/09/2017	5310	5130	500	გაუნაწილებელი მოგების შემცირება ($2 500 - 1 000 = 500$)

ამდენად, გამოსყიდული საკუთარი აქციების ანგარიში მცირდება 4,000 ლარით, ე.ი. გაუქმებული აქციების საბაზრო ფასით.

საწესდებო კაპიტალის აღრიცხვა შპს-ში

ფულადი ან ქონებრივი შენატანები შპს-ში წარმოადგენს საწესდებო კაპიტალს და ის უნდა აისახოს საზოგადოების წესდებაში. საზოგადოების წესდება ნოტარიულად რეგისტრირდება და მასში უნდა აისახოს საქმიანობის სახეობა, დამფუძნებლები, მათი წილები, შესატანი ფულადი თანხა და სხვა.

განვიხილოთ მაგალითი:

შეიქმნა კომპიუტერული მომსახურების შპს „კომპიუტერ სერვისი“. მას ჰყავს 4 დამფუძნებელი, რომლებიც თანაბრად ფლობენ წილს კაპიტალში. ორმა დამფუძნებელმა თავის წილად შემოიტანა ორი კომპიუტერი, რომლებიც შეფასდა 2 500 ლარად. მესამემ შემოიტანა პრინტერი შეფასებული 1 000 ლარად და 250 ლარი ნაღდი ფულის სახით. მეოთხე დამფუძნებელი იღებს ვალდებულებას, რომ სამ თვეში შემოიტანს თავის წილს 1 250 ლარს ავეჯის სახით.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	15/08/2018	1460	5150	5 000	შენატანი კაპიტალის სახით

შემოტანილია კაპიტალის სახით 2 კომპიუტერი:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	15/08/2018	2160	1460	1 250	შენატანი კაპიტალის სახით პირველი პარტნიორისგან
2	15/08/2018	2160	1460	1 250	შენატანი კაპიტალის სახით მეორე პარტნიორისგან

შემოტანილია კაპიტალის სახით 1,000 ლარად ღირებული პრინტერი და 250 ლარი:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	15/08/2018	2160	1460	1 000	შენატანი კაპიტალის სახით
2	15/08/2018	1210	1460	250	შენატანი კაპიტალის სახით

ბუღალტერიაში ასახულ მონაცემებზე დაყრდნობით მეოთხე დამფუძნებლის მიმართ მოთხოვნა დარჩება 1,250 ლარი.

სამი თვის ამოწურვის შემდეგ დამფუძნებელმა შემოიტანა თავისი წილი კაპიტალი ავეჯის სახით:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	15/11/2018	2170	1460	1 250	შენატანი კაპიტალის სახით

თუ არაფულადი შენატანის ღირებულება აღემატება დათქმულ თანხას, სხვაობის თანხა არ უბრუნდება დამფუძნებელს და იგი აისახება რეზერვებისა და დაფინანსების ანგარიშზე 5490-ზე.

მაგალითად, მეოთხე დამფუძნებელმა შემოიტანა თავისი წილი კაპიტალი ავეჯის სახით, რომლის ღირებულებამ, ნაცვლად 1 250-ისა, 2 000 ლარი შეადგინა. გვექნება გატარება:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	15/11/2018	2170	1460	1 250	შენატანი კაპიტალის სახით
2	15/11/2018	2170	5490	750	შეიქმნა რეზერვი

თუ საზოგადოებიდან გადის ერთ-ერთი პარტნიორი, საწესდებო კაპიტალის შემცირება აისახება 5150 ანგარიშის დებეტში.

განვიხილოთ მაგალითი: საზოგადოებიდან გადის ერთ-ერთი პარტნიორი. დამფუძნებელთა კრებაზე გადაწყდა, რომ მას მიეცეს წილი 1 250 ლარი ფულის სახით. ავსახოთ საწესდებო კაპიტალის შემცირება:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	15/08/2018	5150	1210	1 250	გატანილია კაპიტალის სახით

რეზერვების აღრიცხვა

საწარმომ შეიძლება გადაწყვიტოს მიზნობრივი დანიშნულების რეზერვების შექმნა, როგორცაა: რეზერვი დივიდენდის გასაცემად, რეზერვი ძირითადი საშუალებების განახლებისთვის, სასაქონლო მარაგების შესაძენად და სხვ.

რეზერვების შექმნა არ არის სავალდებულო, გარდა სადაზღვევო და საბანკო დაწესებულებისა.

განვიხილოთ მაგალითი:

კომპანიამ საანგარიშგებო წელი დაასრულა 100 000 ლარის მოგებით. დამფუძნებელთა კრებაზე მიღებულია გადაწყვეტილება მოგების 20%-ის დივიდენდებად გაცემის შესახებ, 40%-ის მომავალში გაცემისა და შემდეგი რეზერვების შექმნის შესახებ: ძირითადი საშუალებების განახლებისთვის მოგების 30%-ის, ხოლო მატერიალური სტიმულირებისთვის 10%. რეზერვის სახით ხდება გაუნაწილებელი მოგების გამიჯვნა, რათა აღნიშნული თანხის გაცემა არ მოხდეს დივიდენდის სახით. ბუღალტრულად კი აისახება:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	01/01/2018	5310	3420	20 000	გასაცემი დივიდენდი
2	01/01/2018	5310	5440	30 000	ძირითადი საშუალებების განახლების რეზერვი
3	01/01/2018	5310	5450	10 000	მატერიალური სტიმულირების რეზერვი

დივიდენდი გაიცა 15 იანვარს, რაც აისახება შემდეგი გატარებით:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	15/01/2018	3420	3320	1 000	დარიხული საშემოსავლო
2	15/01/2018	3320	1210	1 000	გადახდილი საშემოსავლო
3	15/01/2018	3420	1210	19 000	გადახდილი დივიდენდი

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

მფლობელის მიერ კაპიტალის ამოღება არ აისახება არც ბალანსში და არც მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. იგი აისახება ანგარიშგებაში კაპიტალის მოძრაობის შესახებ. ანგარიშგება კაპიტალის ცვლილებების შესახებ ასახავს საკუთარი კაპიტალის ცვლილებას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

კაპიტალის მოძრაობის შესახებ ანგარიშგების მომზადებისას კაპიტალის საწყისი ნაშთი აიღება გასული პერიოდის ბალანსიდან, რომელსაც დაემატება საწარმოს საქმიანობის შედეგად საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგება (მოგება/ზარალის ანგარიშგებიდან) და მფლობელის დამატებითი შენატანი კაპიტალში (თუ ასეთს ადგილი აქვს), გამოაკლდება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კაპიტალის ამოღება მფლობელის მიერ (თუ ასეთს ადგილი ჰქონდა). მიღებული შედეგი წარმოადგენს კაპიტალის ანგარიშის ნაშთს პერიოდის ბოლოსთვის, რომელიც ასევე ასახული იქნება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის მომზადებულ ბალანსში.

განვიხილოთ მაგალითი:

შპს „ბერნარდის“ კაპიტალის ნაშთი 2016 წელს შეადგენდა 5 000 ლარს, დამფუძნებლის კაპიტალში დამატებითი შენატანი მიმდინარე წლის იანვარში იყო 2 000 ლარი ფულის სახით, სექტემბერში კი შპს „ბერნარდის“ დამფუძნებელმა განახორციელა კაპიტალის ამოღება, ძირითადი საშუალების სახით, რომლის საბალანსო ღირებულებაც 3 000 ლარს შეადგენდა, 2017 წლის წმინდა მოგებამ შეადგინა 7 500 ლარი. კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებას ექნება შემდეგი სახე:

შპს „ბერნარდი“
ანგარიშგება კაპიტალის მოძრაობის შესახებ
2012 წლის 31 დეკემბრისთვის

	ლარი
კაპიტალის ნაშთი 31.12.2011	5,000
პლუს: საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შეტანილი კაპიტალი	2,000
პლუს: საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება	7,500
მინუს: საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კაპიტალის ამოღება	(3,000)
კაპიტალის ნაშთი 31.12.2012	11,500

საგადასახადო კოდექსის განმარტებები

თანამფლობელობა

[სსკ მ.143]

1. ამხანაგობის ან სხვა მსგავსი წარმონაქმნის, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს და საგადასახადო კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად საწარმოდ ითვლება, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი განისაზღვრება საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.
2. ამხანაგობის წილის მფლობელი ვალდებულია ამხანაგობიდან მისთვის მიკუთვნებული მოგების წილი (შემოსავალი) შეიტანოს შესაბამისი საანგარიშო პერიოდის ერთობლივ შემოსავალში.
3. ამხანაგობა ვალდებულია საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის შესაბამისად გადახდის წყაროსთან დაბეგვრის მისი წილის მფლობელი საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელად დაურეგისტრირებელი ფიზიკური პირისთვის განაწილებული შემოსავალი.
4. ამხანაგობის წევრს უფლება აქვს, ამ მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად მისთვის გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადი ჩაითვალოს წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრისას გადასახდელი გადასახადების თანხაში.
5. ამხანაგობის ზარალი მიეკუთვნება მის მფლობელებს მათი წილის შესაბამისად. ამასთანავე, ამხანაგობის ზარალი მის მფლობელებზე არ ნაწილდება და მფლობელის ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება.
6. ამხანაგობის მფლობელის წილი ზარალი შეიძლება გამოიქვითოს მხოლოდ ამ ამხანაგობაში მისი წილი დასაბეგრი მოგების (მომავალი წლის/წლების) ხარჯზე. ზარალის გადატანა ხორციელდება საგადასახადო კოდექსის 121-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი წესით.
7. ამხანაგობის ზარალი, რომელიც მის მფლობელს მიეკუთვნება, ამ მფლობელის მიერ სხვა ამხანაგობაში მონაწილეობის შედეგად მიღებული მოგების ხარჯზე არ გამოიქვითება.
8. ამხანაგობის მიერ მისი წევრისთვის წილის სანაცვლოდ საქონლის/მომსახურების მიწოდება საქონლის/მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდებად არ ითვლება.
9. ამ მუხლის მე-2, მე-5, მე-6 და მე-7 ნაწილების დებულებები არ ვრცელდება ამხანაგობის წევრზე, რომელიც მოგების გადასახადით იბეგრება საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით.
10. ტურისტული საწარმოს მიერ ფიზიკური პირისგან შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის მიღება, სასტუმრო ნომრებად/აპარტამენტებად გამოყენება და სასტუმროს ფუნქციონირების ორგანიზება საგადასახადო კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ამხანაგობად არ ითვლება.

შემოსავლები და გამოქვითვები გრძელვადიანი კონტრაქტების მიხედვით

[სსკ მ.144]

1. თუ გადასახადის გადამხდელი აღრიცხვისას დარიცხვის მეთოდს იყენებს, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემოსავლები და გამოქვითვები გრძელვადიანი კონტრაქტების მიხედვით, საგადასახადო წლის განმავლობაში პროპორციულად, მათი ფაქტობრივი შესრულების შესაბამისად.
2. გრძელვადიანი კონტრაქტის მიხედვით ფაქტობრივი შესრულების მოცულობა განისაზღვრება საგადასახადო წლის ბოლომდე კონტრაქტის ფარგლებში გაწეული ხარჯების კონტრაქტით გათვალისწინებულ ერთობლივ ხარჯებთან შეპირისპირებით.

გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების წესი

[სსკ მ.154]

1. გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალუა საგადასახადო აგენტს, რომელიც არის იურიდიული პირი, საწარმო/ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი, კერძოდ:
 - ა) პირი, რომელიც დაქირავებულს უხდის ხელფასს, გარდა:
 - ა.ა) თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ საქართველოს რეზიდენტი დაქირავებულისთვის გადახდილი ხელფასისა;
 - ა.ბ) არარეზიდენტის მიერ დაქირავებულისთვის გადახდილი ხელფასისა, როდესაც ასეთი ხარჯი არ მიეკუთვნება არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების ხარჯებს;
 - ბ) პირი, რომელიც პირს უხდის პენსიას, გარდა იმ პენსიისა, რომელიც გაიცემა სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში;
 - გ) პირი, რომელიც იხდის [საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილით](#) განსაზღვრულ გადასახდელებს;
 - დ) საწარმო/ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც გაწეული მომსახურების ღირებულებას უნაზღაურებს ფიზიკურ პირს, რომელსაც არ აქვს გადასახადის გადამხდელის მოწმობა;
 - ე) წამახალისებელი გათამაშების, სამორინეს (აზარტული ტურნირის მოწყობის ნაწილში), აზარტული კლუბის (აზარტული ტურნირის მოწყობის ნაწილში), ლოტოს, ბინგოსა და ლატარიის მომწყობი პირი, რომელიც ფიზიკურ პირს უხდის მოგებას.

შენიშვნა: ფიზიკური პირის მიერ მოგებისას, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, სამორინეს, აზარტული კლუბის, ტოტალიზატორის, სათამაშო აპარატების სალონის მომწყობი პირი აღნიშნული საქმიანობის ნაწილში ვალდებულია შეასრულოს საგადასახადო აგენტისა თვის ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები;

- ვ) პირი, რომელიც პირს უხდის სტიპენდიას, გარდა სახელმწიფო სტიპენდიისა;
- ზ) რეზიდენტი საწარმო, რომელიც პირს უხდის დივიდენდს;
- თ) პირი, რომელიც პირს უხდის პროცენტს;
- ი) პირი, რომელიც ფიზიკურ პირს უხდის როიალტს;

კ) [\(ამოღებულია – 08.11.2011, №5202\);](#)

- ლ) [„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 26-ე პუნქტით გათვალისწინებული](#) საბროკერო კომპანია, გადასახადის გადამხდელად არარეგისტრირებული პირის ფასიანი ქაღალდების რეალიზაციის შემთხვევაში, ასეთი რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის გაცემისას;
 - მ) პირი, რომელიც უსასყიდლოდ გადასცემს ქონებას ფიზიკურ პირს, რომელსაც არ აქვს გადასახადის გადამხდელის მოწმობა, გარდა ამ პირის მიერ ამავე ფიზიკური პირისთვის საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარამდე ღირებულების ქონების უსასყიდლოდ გადაცემისა;
 - ნ) სსზ-ის სტატუსის მქონე იურიდიული პირი – [საგადასახადო კოდექსის 133¹ მუხლით](#) გათვალისწინებულ შემთხვევებში;
 - ო) ტურისტული საწარმო – საგადასახადო კოდექსის 133² მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
2. გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავებისას:
 - ა) გადასახადის დაკავებისა და ბიუჯეტში მისი გადარიცხვისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება შემოსავლის გადამხდელს;
 - ბ) გადასახადის თანხის დაუკავებლობის შემთხვევაში შემოსავლის გადამხდელი ვალდებულია ბიუჯეტში შეიტანოს დაუკავებელი გადასახადის თანხა ფაქტობრივად გადახდილი ანაზღაურების შესაბამისად და მასთან დაკავშირებული სანქციები;
 - გ) შემოსავლის გადამხდელის სახელით გადასახადისა და სანქციების თანხა შეიძლება გადაიხადოს შემოსავლის მიმღებმა.

3. პირი, რომელიც ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გადახდის წყაროსთან აკავებს გადასახადს, ვალდებულია:

- ა) ბიუჯეტში გადარიცხოს გადასახადი პირისთვის თანხის გადახდისთანავე, ხოლო განაცემის არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში – შესაბამისი თვის ბოლო რიცხვში;
- ბ) ხელფასის გადახდისას შემოსავლის მიმღებ ფიზიკურ პირს მისი მოთხოვნის შემთხვევაში მისცეს ცნობა ამ პირის გვარისა და სახელის, შემოსავლის თანხისა და სახეობის, აგრეთვე დაკავებული გადასახადის (თუ გადასახადი დაკავებული იყო) თანხის მითითებით;
- გ) ცნობა შემოსავლის მიმღები პირის სარეგისტრაციო ნომრის, გვარისა და სახელის, საცხოვრებელი ადგილის მისამართის, საანგარიშო პერიოდისთვის შემოსავლის საერთო თანხისა და დაკავებული გადასახადის საერთო თანხის მითითებით:
- გ.ა) წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს არა უგვიანეს გადასახადის დაკავების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა;“.
- გ.ბ) გადასცეს შემოსავლის მიმღებ პირს მისი მოთხოვნის შემთხვევაში.

3¹. საქართველოს ფინანსთა მინისტრი უფლებამოსილია ცალკეული კატეგორიების გადამხდელთათვის დაადგინოს ინფორმაციის წარდგენის ამ მუხლის მე-3 ნაწილის „გ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულისგან განსხვავებული ვადები.

4. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული საგადასახადო აგენტი ვალდებულია , [საგადასახადო კოდექსის 153 -ე მუხლის მე -5 ნაწილით](#) დადგენილ ყოველ საანგარიშო პერიოდზე , არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა , [საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესითა და ფორმით](#) საგადასახადო ორგანოში წარადგინოს დეკლარაცია განხორციელებული განაცემების დაბეგრასთან დაკავშირებით .

5. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ხელფასის მიმართ საგადასახადო ვალდებულების შესრულების მიზნით დაქირავებული უფლებამოსილია [საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით](#) თვითონ შეასრულოს გადასახადის გამოანგარიშების, დეკლარირების და ბიუჯეტში გადახდის ვალდებულებები. ასეთ შემთხვევაში არარეზიდენტ დამქირავებელს ეხსნება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების ვალდებულება.

რეზიდენტი საწარმოს მიერ ფიზიკური პირისთვის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ან არარეზიდენტი საწარმოსთვის გადახდილი დივიდენდები იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 5-პროცენტიათი განაკვეთით [სსკ მ.130].

არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების ან რეზიდენტის მიერ ან მათი სახელით გადახდილი პროცენტები იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 5-პროცენტიათი განაკვეთით [სსკ მ.131].

არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების ან რეზიდენტის მიერ ან მათი სახელით რეზიდენტი ფიზიკური პირისთვის (გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა) გადახდილი როიალტი იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 20-პროცენტიათი განაკვეთით [სსკ მ.132].

დამატებით იხ. [სსკ მ.134](#)

კითხვები და ამოცანები თვითშემოწმებისთვის:

№	კითხვა/ამოცანა
1	რას წარმოადგენს საკუთარი კაპიტალი და რისგან შედგება იგი?
2	განმარტეთ საწესდებო კაპიტალი
3	განმარტეთ რეზერვები
4	როგორ არის დაყოფილი კაპიტალი სააქციო საზოგადოებაში?
5	განმარტეთ ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციები
6	რას ნიშნავს გამოსყიდული საკუთარი აქციები და საემისიო კაპიტალი?
7	შპს-ს ერთ-ერთმა დამფუძნებელმა შეიტანა საწარმოს ანგარიშზე 10 000 ლარი საწესდებო კაპიტალის სახით, ხოლო მეორე დამფუძნებელმა შეიტანა 10 000 ლარად ღირებული ავტომობილი. მესამე დამფუძნებელზე წაყენებულია 2 წლიანი მოთხოვნა 10 000 ლარი საწესდებო კაპიტალზე. პირველ წელს აქედან მან უნდა შემოიტანოს 5 000 ლარის ღირებულების 5 კომპიუტერი, ხოლო მეორე წელს 5 000 ლარად ღირებული ავტომობილი. შეასრულეთ შესაბამისი გატარებები.
8	ერთ-ერთმა დამფუძნებელმა გადაწყვიტა საზოგადოებიდან გასვლა. მას მიეცა თავისი წილი 10 000 ლარი. აქედან: 5 000 ლარი ნაღდი ფულის სახით, ხოლო 5 000 ავტომობილის სახით. ასახეთ ანგარიშებზე.
9	საწარმომ წლის ბოლოს მიიღო მოგება 15 000 ლარის ოდენობით. გადაწყდა რეზერვის შექმნა 10% ძირითადი საშუალებებისთვის, ხოლო 5% ახალი ტექნოლოგიის დანერგვისთვის.
10	საწარმომ გამოაცხადა დივიდენდის გაცემა 8 000 ლარის ოდენობით. გადასახდელ დივიდენდს დაერიცხა საგადასახადო ვალდებულება 5%-ის ოდენობით. შეასრულეთ დარიცხვისა და გადახდის გატარებები.
11	სააქციო საზოგადოებამ გამოუშვა 20 ლარის ნომინალური ღირებულების 16 000 ჩვეულებრივი აქცია. აქედან 15 000 ცალი გაიყიდა 22 ლარად, უნაღდო ანგარიშსწორებით.
12	გადაწყდა, რომ 10 000 ლარის აქციებს აქციონერები შეიძენენ ერთ აქციას 21 ლარად. თითოეულ აქციაში გადაიხდიან ნომინალურზე 1 ლარით მეტს.
13	კომპანიამ გაცვალა 20 ლარის ნომინალური ღირებულების 1 000 ცალი პრივილეგირებული აქცია, 25 ლარის ნომინალური ღირებულების 1 000 ცალ ჩვეულებრივ აქციაზე
14	სააქციო საზოგადოებამ უკან გამოისყიდა 500 ცალი აქცია 55 000 ლარად. ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 100 ლარია. გამოსყიდულიდან 400 ცალი აქცია გაიყიდა 44 500 ლარად.
15	კომპანიამ უნაღდო ანგარიშსწორებით გაყიდა ძირითადი საშუალება 20 000 ლარად, რომლის საბალანსო ღირებულება 18 000 ლარია.
16	ვის ევალება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება?
17	რა განაკვეთით იბეგრება დივიდენდები? პროცენტები? როიალტი?
18	როდის წარედგინება საგადასახადო ორგანოს დეკლარაცია განაცემების შესახებ?
19	როდის წარედგინება საგადასახადო ორგანოს დეკლარაცია განაცემების დაბეგვრასთან დაკავშირებით?
20	განმარტეთ თანამფლობელობა

ლექცია №13

ინვესტიციების აღრიცხვა

საზოგადოდ, ინვესტიცია არის აქტივი, რომელსაც ფლობს საწარმო საკუთარი სიმდიდრის გასაზრდელად. ტრადიციულად ინვესტიციის ცნება გულისხმობს სხვა საწარმოს საწესდებო კაპიტალში მონაწილეობას დივიდენდის მიღების მიზნით. მას ასევე უწოდებენ წილობრივ ინსტრუმენტს. საწარმო ინვესტიციებს შეიძლება ფლობდეს:

1. დამატებითი ფულადი სახსრების მიღების წყაროს სახით;
2. კომერციული ურთიერთობების გასაძლიერებლად;
3. კომერციული უპირატესობის მისაღებად.

მოქმედების ხანგრძლივობიდან გამომდინარე ინვესტიციები იყოფა მოკლევადიან (მიმდინარე) და გრძელვადიან ინვესტიციებად. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან იმით, თუ რა ვადით აქვს განსაზღვრული ხელმძღვანელობას მათი შენარჩუნება: 1 წლით, თუ დროის უფრო ხანგრძლივი პერიოდით. მოკლევადიანი ანუ მიმდინარე ინვესტიციები ეწოდება ისეთ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად რეალიზდება და რომელთა შენარჩუნება არ არის გათვალისწინებული 1 წელზე მეტი ხნით. გრძელვადიანი ინვესტიცია არის ყველა სხვა ინვესტიცია, რომელიც არ არის მოკლევადიანი. მათ არ იძენენ სწრაფი რეალიზაციით ფულადი სახსრების მისაღებად. ინვესტორის მიზანია ხანგრძლივ პერიოდში სისტემატურად მიიღოს შემოსავალი დივიდენდის და პროცენტის სახით და გაზარდოს კაპიტალი საინვესტიციო საკუთრების ღირებულების გადიდების გზით.

ინვესტიციების შემადგენლობაში უდიდესი ხვედრითი წილი უკავია ინვესტიციებს ფასიან ქაღალდებში. ფასიანი ქაღალდები არის დადგენილი ნიმუშით შედგენილი დოკუმენტები, რომლებიც გამოხატავენ გარკვეულ ქონებრივ ან სასესხო დამოკიდებულებას, რომელიც წარმოიშვება ფასიანი ქაღალდების გამომშვებსა და მის მფლობელს შორის. ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება: აქციები, ობლიგაციები, შემნახველი და სადეპოზიტო სერთიფიკატები და სხვა.

ანგარიშთა გეგმა ითვალისწინებს ინვესტიციების აღრიცხვას მისი ტიპების მიხედვით. გამოყოფილია ანგარიშთა ორი ჯგუფი 1300-მოკლევადიანი ინვესტიციები და 2400 - გრძელვადიანი ინვესტიციები. ცალკე ანგარიშებია გათვალისწინებული საწარმოთა ფასიან ქაღალდებში განთავსებული ინვესტიციებისა (1310; 2410) და სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში განთავსებული ინვესტიციების (1320; 2420) აღრიცხვისთვის.

ეკონომიკური შინაარსით ეს ანგარიშები აქტიური ანგარიშებია. დებეტში აისახება საწარმოს მიერ ინვესტიციების განთავსებისა და ფასმატების ოპერაციები, ხოლო კრედიტში-ინვესტიციების გაყიდვისა და განაღდების ოპერაციები.

ფინანსური აქტივი საწარმომ უნდა შეაფასოს მისი რეალური ღირებულებისა და ოპერაციის იმ დანახარჯების ჯამით, რომელიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენას. ანუ აქტივის თავდაპირველი შეფასება ხდება თვითღირებულებით.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პრაქტიკაში აქციების შეძენა ხორციელდება ბანკის ან ბროკერის საშუალებით. მაგ: საწარმომ შეიძინა 500 ცალი აქცია, თითოეული 20 ლარად. ბროკერს მომსახურებისთვის გადაუხადა 200 ლარი. აქციების თვითღირებულება იქნება $(500 \times 20) + 200 = 10\,200$

აქციების შეძენა ბუღალტრულად გატარდება შემდეგნაირად:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	12/11/2017	1310	1210	10 000	შეძენილია აქციები
2	12/11/2017	1310	3150	200	საკომისიო გადასახდელები

მაგალითად: A საწარმომ შეიძინა B საწარმოს აქციების 80 პროცენტი 200 000 ლარად. განზრახულია აქციების შენარჩუნება განუსაზღვრელი ვადით.

№	თარიღი	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	12/11/2017	2410	1210	20 000	შემენილია აქციები

მაგალითად:

სს „ვაზიანმა“ შეიძინა შ.პ.ს „მარანის“ 2 000 აქცია თითო 3 ლარად . გადაწყვეტილია აქციების 1 წელზე მეტი ხნით შენარჩუნება.

№	თარიღი	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	12/11/2017	2410	1210	6 000	შემენილია აქციები

საინვესტიციო პოლიტიკის ცვლილების გამო სს „ვაზიანმა“ გაყიდა 800 ცალი აქცია, თითოეული 10 ლარად

№	თარიღი	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	12/11/2017	1210	2410	2 400	აქციების გასვლა საწარმოდან
2	12/11/2017	1210	8190	5 600	არასაოპერაციო შემოსავალი

რადგანაც აქციები შემენილი იყო 3 ლარად, 800 აქციის თვითღირებულება იქნება 2 400 ლარი. შედეგად მიღებულია არასაოპერაციო შემოსავალი 8 000 ლარი, ხოლო მოგება შეადგენს 5 600 ლარს.

განვიხილოთ ინვესტიციაზე პროცენტის დარიცხვა. დარიცხვის მეთოდის გამოყენება გულისხმობს სამეურნეო ოპერაციებისა, მოვლენების აღიარებას და მათი მოხდენისთანავე ასახვას იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც ეს ოპერაციები მიეკუთვნებიან. დარიცხვის მეთოდით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ინფორმაციის მომხმარებელს აცნობს არა მხოლოდ იმ ოპერაციებს, რომლებიც მოიცავს ფულადი საშუალებების მიღებასა და გადახდას, არამედ მომავალში გასანაღდებელ ვალდებულებებსა და მისაღებ მოთხოვნებს.

საწარმო წილობრივი მონაწილეობითა და ფასიანი ქაღალდებით გამომუშავებულ შემოსავლებს აღიარებს დარიცხვის მეთოდის საფუძველზე. ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული პროცენტი, დივიდენდი, დანაკარგები ან შემოსულობები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება როგორც ხარჯი ან შემოსავალი. აქედან გამომდინარე საწარმო ვალდებულია გამომუშავებული და მიუღებელი შემოსავალი აღიაროს შემოსავლად (8110-არასაოპერაციო შემოსავლები) და დარიცხულ მოთხოვნად (1800-დარიცხული მოთხოვნები).

განვიხილოთ დარიცხული მოთხოვნის აღრიცხვის ტიპური მაგალითები.

სააქციო საზოგადოების მიერ გამოცხადებულია დივიდენდები 6 000 ლარის ოდენობით. საწარმო განცხადების გამოქვეყნების დღიდან აფიქსირებს, რომ სააქციო საზოგადოებიდან ეკუთვნის დივიდენდები, რაც აისახება საბუღალტრო გატარებით:

№	თარიღი	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	12/11/2017	1810	8120	6 000	გამოცხადდა დივიდენდი

კუთვნილი დივიდენდის მიღება კი ბუღალტრულად გატარდება:

№	თარიღი	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	12/12/2017	1210	1810	6 000	მიღებულია დივიდენდი

ანალოგიურად მისაღები პროცენტის შემთხვევაში გვექნება:

№	თარიღი	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	12/11/2017	1820	8110	6 000	დარიცხულია მისაღები პროცენტი

პროცენტის მიღება კი გატარდება:

№	თარიღი	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	12/12/2017	1210	1820	6 000	მიღებულია პროცენტი

განვიხილოთ მაგალითი:

01.09.2017 შ.პ.ს. „პროგრესმა“ შეიძინა სს „კალასის“ 500 ობლიგაცია 10 000 ლარად წლიური 36%-იანი განაკვეთით, პროცენტის ყოველი მომდევნო თვის 1 რიცხვამდე მიღების პირობით. ფასიანი ქაღალდების შენარჩუნება იგეგმება 1 წლამდე ვადით.

მომდევნო თვის პროცენტის გაანგარიშებისთვის გამოვიყენოთ 365 დღიანი მეთოდი:

$$10\,000 \times 36\% \times \frac{30}{365} = 3\,600 \times \frac{30}{365} = 295.89$$

01.10.2017 შ.პ.ს. „პროგრესის“ ანგარიშზე ჩაერიცხა დარიცხული პროცენტი.

01.11.2017 შ.პ.ს. „პროგრესმა“ გაყიდა ობლიგაციების ნახევარი 250 ცალი თითოეული 20 ლარად. შევასრულოთ შესაბამისი გატარებები:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	01/09/2017	1310	1210	10,000	შემენილია ობლიგაციები
2	30/09/2017	1820	8110	295.89	ობლიგაციებს დაერიცხა საპროცენტო თანხა
3	01/10/2017	1210	1820	295.89	ჩარიცხულა საპროცენტო თანხა
4	01/11/2017	1210	1310	5,000	გაყიდულია ობლიგაციები

გრძელვადიანი ინვესტიციების მიმდინარე ნაწილი

როდესაც გრძელვადიანი ინვესტიციის ნაწილის განადგობის ვადა 12 თვეზე ნაკლებია, უნდა მოხდეს მისი რეკლასიფიკაცია, ანუ გრძელვადიანი ინვესტიციისთვის მოკლევადიანის სტატუსის მინიჭება და შესაბამის ანგარიშზე გადატანა.

მაგალითად:

საწარმომ შეიძინა გრძელვადიანი ინვესტიცია 50 000 ლარად, საიდანაც მიმდინარე წელს უნდა მიიღოს ინვესტირებული თანხის ნაწილი 10 000, რაც აისახება გატარებით:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	12/11/2017	2410	1210	50 000	შემენილია ობლიგაციები
2	01/01/2018	1330	2410	10 000	გრძელვადიანი ნაწილიდან მიმდინარე ნაწილის გამოყოფა
3	05/01/2018	1210	1330	10 000	მიმდინარე ნაწილის ჩარიცხვა

განვიხილოთ მაგალითი:

საწარმომ 5.12.2017 წელს შეიძინა აქციები 10 000 ლარად 5 წლით, ყოველწლიურად ძირითადი თანხის მიღების პირობით. აქედან 2018 წლის თებერვალში საწარმომ უნდა მიიღოს 2 000 ლარი. 2018 წელს საწარმომ 2 000 ლარი უნდა გადმოიტანოს მიმდინარე ნაწილის ანგარიშზე (1330). საწარმოს ანგარიშზე აღნიშნული თანხა ჩაირიცხა 2018 წლის 10 თებერვალს.

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	05/12/2017	2410	1210	10 000	შემენილია აქციები
2	01/01/2018	1330	2410	2 000	მისაღებია გრძელვადიანი აქციების მიმდინარე ნაწილი
3	10/02/2018	1210	1330	2 000	ჩარიცხულია გრძელვადიანი აქციების მიმდინარე ნაწილი

საგადასახადო კოდექსის განმარტებები

საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირები

[სსკ მ.34]

1. ფიზიკურ პირებად ითვლებიან:
 - ა) საქართველოს მოქალაქეები;
 - ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეები;
 - გ) მოქალაქეობის არმქონე პირები.
2. საქართველოს რეზიდენტად, მთელი მიმდინარე საგადასახადო წლის განმავლობაში, ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტ ხანს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში, რომელიც მთავრდება ამ საგადასახადო წელს, ან ფიზიკური პირი, რომელიც ამ საგადასახადო წლის განმავლობაში იმყოფებოდა უცხო ქვეყანაში საქართველოს სახელმწიფო სამსახურში.
3. საქართველოს ტერიტორიაზე ფაქტობრივად ყოფნის დროდ ითვლება დრო, რომლის განმავლობაშიც ფიზიკური პირი იმყოფებოდა საქართველოში, აგრეთვე დრო, რომლითაც იგი გავიდა საქართველოს ფარგლების გარეთ სპეციალურად სამკურნალოდ, დასასვენებლად, მივლინებით ან სასწავლებლად.
4. საქართველოს ტერიტორიაზე ფაქტობრივად ყოფნის დროს არ მიეკუთვნება დრო, რომლის განმავლობაშიც ფიზიკური პირი იმყოფებოდა საქართველოში:
 - ა) როგორც დიპლომატიური ან საკონსულო სტატუსის მქონე პირი ან ასეთი პირის ოჯახის წევრი;
 - ბ) როგორც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელი, ან როგორც საქართველოში უცხო ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში მყოფი პირი ან ასეთი პირის ოჯახის წევრი, გარდა საქართველოს მოქალაქისა;
 - გ) ერთი უცხო ქვეყნიდან მეორეში საქართველოს ტერიტორიის გავლით გადაადგილებისას;
 - დ) სამკურნალოდ ან დასასვენებლად.
5. საქართველოს ტერიტორიაზე ფაქტობრივად ყოფნის დღედ ითვლება დღე, რომლის განმავლობაშიც ფიზიკური პირი იმყოფებოდა საქართველოში, მიუხედავად ამ ყოფნის ხანგრძლივობისა.
6. საქართველოს რეზიდენტობა, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული შემთხვევისა, შეიძლება მიენიჭოს მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილ პირს საქართველოს ფინანსთა და იუსტიციის მინისტრების მიერ განსაზღვრული წესითა და პირობებით. მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილი პირი არის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირი.
- 6¹. თუ არ დგინდება ფიზიკური პირის რეზიდენტობა რომელიმე ქვეყნის მიმართ, ამ ფიზიკური პირის მიერ საგადასახადო ორგანოსთვის მ ი მართვის შემთხვევაში იგი ჩაითვლება საქართველოს რეზიდენტად, თუ იგი საქართველოს მოქალაქეა.
7. საქართველოს არარეზიდენტად ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ამ მუხლის მიხედვით არ არის რეზიდენტი.
8. რეზიდენტის ან არარეზიდენტის სტატუსი დგინდება ყოველი საგადასახადო პერიოდისათვის. ამასთანავე, ის დღეები, რომელთა მიხედვითაც ფიზიკური პირი წინა საგადასახადო პერიოდში ჩაითვალია რეზიდენტად, არ გაითვალისწინება მომდევნო საგადასახადო პერიოდში რეზიდენტობის დადგენისას.

სამოქალაქო კოდექსის განმარტებები

წუნდებული პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობა

[სსკ მ.1009]

1. წუნდებული პროდუქტის მწარმოებელი პასუხს აგებს ამ პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის, მიუხედავად იმისა, იმყოფებოდა თუ არა იგი სახელშეკრულებო ურთიერთობაში დაზარალებულთან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა:

- ა) მას ეს პროდუქტი არ გაუტანია სარეალიზაციოდ;
- ბ) საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება იმის ვარაუდი, რომ ნაკლი, რომელმაც ზიანი გამოიწვია, პროდუქტს არ ჰქონდა სარეალიზაციოდ გატანისას;
- გ) მწარმოებელს პროდუქტი არ უწარმოებია არც გასაყიდად ან სხვა კომერციული მიზნით, არც თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში;
- დ) პროდუქტს აქვს ნაკლი, რომელიც სარეალიზაციოდ მისი გატანისას შეესაბამებოდა იმ დროს მოქმედ ნორმებს;
- ე) შეუძლებელი იყო ნაკლის აღმოჩენა მეცნიერებისა და ტექნიკის იმ დონის გათვალისწინებით, რომელიც არსებობდა სარეალიზაციოდ პროდუქტის გატანისას.

2. პროდუქტის ნაწილის მწარმოებლის პასუხისმგებლობა ასევე გამორიცხულია, თუ ნაკლი გამოწვეულია იმ პროდუქტის კონსტრუქციით, რომლის შემადგენელიც გახდა ეს ნაწილი.

3. მწარმოებლის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მცირდება ან საერთოდ გამორიცხება, თუ ზიანის დადგომა გამოიწვია დაზარალებულის ან მის ნაცვლად პასუხისმგებელი პირის ბრალეულმა მოქმედებამ.

4. მწარმოებლის პასუხისმგებლობა არ მცირდება, თუ ზიანი გამოწვეულია პროდუქტის ნაკლით და იმავდროულად მესამე პირის მოქმედებით.

[სსკ მ.1010] წუნდებული პროდუქტის ცნება:

1. პროდუქტი წუნდებულად მიიჩნევა, თუ იგი არ უზრუნველყოფს იმ საიმედოობას, რომელიც, ყველა გარემოების გათვალისწინებით, მოსალოდნელი იყო ამ პროდუქტისაგან.
2. პროდუქტი არ მიიჩნევა წუნდებულად მხოლოდ იმის გამო, რომ მოგვიანებით უფრო უკეთესი პროდუქტი იქნა ბრუნვაში შეტანილი.

[სსკ მ.1011]

1. პროდუქტი არის ყველა მოძრავი ნივთი და ნივთთან დაკავშირებული მომსახურება, თუნდაც ეს ნივთი იყოს სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის შემადგენელი ნაწილი. ამ კოდექსის მიზნებისათვის „ნივთი“ არ მოიცავს სურსათის პირველად პროდუქტს და ნადირობის შედეგად მოპოვებულ პროდუქტს. „პროდუქტი“ ასევე მოიცავს ბაზარზე განთავსებულ საქონელს, მიუხედავად იმისა, განკუთვნილია თუ არა იგი უშუალოდ საბოლოო მომხმარებლისათვის, რომელიც მიწოდებულია ან სხვაგვარად არის ხელმისაწვდომი კომერციული ან არაკომერციული მიზნებისათვის.
2. მწარმოებლად მიიჩნევა პირი, რომელმაც აწარმოვა საბოლოო პროდუქტი, ძირითადი ელემენტი ან პროდუქტის ნაწილი. მწარმოებლად მიიჩნევა ასევე ყველა, ვინც საკუთარი სახელით, სასაქონლო ან სხვაგვარი განმასხვავებელი ნიშნით გამოდის, როგორც მწარმოებელი.
3. მწარმოებლად მიიჩნევა აგრეთვე პირი, რომელსაც პროდუქტი გააქვს გაყიდვის, გაქირავების ან სხვა ფორმით, სამეურნეო მიზნით, თავისი საქმიანობის სფეროში, ამ კოდექსით გათვალისწინებული პირობების დაცვით.
4. თუ შეუძლებელია მწარმოებლის ვინაობის დადგენა, მაშინ ყოველი მიმწოდებელი მიიჩნევა მწარმოებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი დაზარალებულს მოთხოვნიდან 1 თვის ვადაში წარუდგენს მწარმოებელს ან იმ პირს, რომელმაც მას ეს პროდუქტი მიაწოდა. ეს წესი გამოიყენება საიმპორტო საქონლის მიმართაც, როცა შეუძლებელია თავდაპირველი გამსაღებლის ვინაობის დადგენა, მიუხედავად იმისა, რომ მწარმოებლის სახელი ცნობილია.

კითხვები და ამოცანები თვითშემოწმებისთვის:

№	კითხვა/ამოცანა
1	რას წარმოადგენს ინვესტიცია?
2	რა მიზნით ახორციელებს საწარმო ინვესტირებას?
3	როგორ ხდება ინვესტიციების კლასიფიკაცია?
4	შპს „პროგრესმა“ 19.12.2016 წელს შეიძინა უნადლო ანგარიშსწორებით სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები 400 აქციის სახით 40 000 ლარად, 24%-იანი წლიური განაკვეთით, 1 წლამდე ვადით. 31.12.2016 ში მის საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხა მისაღები პროცენტები. 03.02.2018 წელს აქციების ფასი დაეცა 15 000 ლარამდე და შ.პ.ს. „პროგრესმა“ მოახდინა მათი რეალიზაცია 15 000 ლარად. ასახეთ ბუღალტრულად: ფასიანი ქაღალდების შეძენა; პროცენტის დარიცხვა; საპროცენტო თანხის ჩარიცხვა; ინვედტიციების რეალიზაცია.
5	საწარმომ შეიძინა უნადლო ანგარიშსწორებით სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები 8 000 ლარად 2016 წლის 1 მაისს. საპროცენტო განაკვეთი 15%-ია. მისი განაღდების ვადაა 2021 წლის 1 იანვარი (5 წლიანი). საწარმომ 5.06.2017 მიიღო მაისის თვის საპროცენტო თანხა, რომელიც მას ჩაერიცხა საბანკო ანგარიშზე. 15.03.2018 წელს საწარმომ მიიღო ძირითადი თანხის ნახევარი (4000 ლ), რომელიც გადმორიცხული იქნა მის საბანკო ანგარიშზე. გავატაროთ ბუღალტრულად: ინვესტიციების შეძენა; მაისის თვის საპროცენტო თანხის დარიცხვა; მაისის თვის საპროცენტო თანხის მიღება; გრძელვადიანი ინვესტიციის მიმდინარე ნაწილის დარიცხვა; მიმდინარე ნაწილის მიღება;
6	2009 წელს საწარმომ შეიძინა 60,000 ლარის ძირითადი საშუალებები, რომლებსაც ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით 10 წლის განმავლობაში. საწარმოს შემდგომ პერიოდში შეძენა არ განუხორციელებია. გამოიანგარიშეთ ქონების გადასახადი 2017 წლისთვის.
7	რას ნიშნავს წუნდებული პროდუქტი და რა პასუხისმგებლობა ეკისრება მის მწარმოებელს?

ლექცია №14

ბუღალტრული ბალანსი

ბუღალტრული ბალანსის არსი და მნიშვნელობა

ბუღალტრული ბალანსი (საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება) წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. იგი ასახავს საწარმოს აქტივებს, ვალდებულებებს და საკუთარ კაპიტალს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის აღქმის მიზნით ბალანსი იყოფა ელემენტებად და მუხლებად. ელემენტებად დაყოფას საფუძვლად უდევს ეკონომიკური მახასიათებლები. ამ თვალსაზრისით, ბალანსში გაერთიანებულია, ერთი მხრივ, საწარმოს ეკონომიკური რესურსები და, მეორე მხრივ, მისი დაფინანსების წყაროები. ეკონომიკური რესურსები ბალანსში წარმოდგენილია აქტივების სახით, ხოლო დაფინანსების წყაროები კი - ვალდებულებისა და საკუთარი კაპიტალის სახით.

ბალანსში მუხლების წარდგენას საფუძვლად უდევს ბასს 1-ის ნორმები. სტანდარტი განმარტავს, რომ ბალანსში აუცილებელია აისახოს ქვემოთ ჩამოთვლილი მუხლები შესაბამისი თანხებით:

- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები;
- საინვესტიციო ქონება;
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები;
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები;
- ძირითადი საშუალებები;
- არამატერიალური აქტივები;
- ბიოლოგიური აქტივები;
- ფინანსური აქტივები;
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები;
- ფინანსური ვალდებულებები;
- მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები;
- გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება;
- საკუთარი კაპიტალი.

ფინანსური ინფორმაციის მომხმარებელთა ინტერესებიდან გამომდინარე პრაქტიკაში მიღებულია აქტივებისა და ვალდებულებების დაჯგუფება ვადის მიხედვით (გრძელვადიანი და მიმდინარე). საწარმომ ცალ-ცალკე უნდა ასახოს გრძელვადიანი და მიმდინარე აქტივები და ვალდებულებები.

ბასს 1 არ განსაზღვრავს წარსადგენი ბალანსის ფორმატს ბალანსის მუხლების განლაგების თანმიმდევრობის თვალსაზრისით. ასევე არ განსაზღვრავს როგორი უნდა იყოს ბალანსი, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური. მისაღებია ლიკვიდურობის ზრდადობის ან კლებადობის, ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატი.

შესაძლებელია ზოგიერთი სტანდარტი ან სამართლიანი წარდგენის პრინციპი მოითხოვდეს საბალანსო მუხლების ქვეჯგუფებად დაყოფას და მათი დასახელებისა და თანხების განცალკევებულად მითითებას. შესაბამისად საწარმოს უფლება აქვს დამოუკიდებლად განსაზღვროს რა ფორმით წარადგინოს ბალანსი, თუმცა ეს არ გულისხმობს, რომ ინფორმაციის მომხმარებელი აუცილებელი ინფორმაციის გარეშე დარჩეს.

საცდელი ბალანსი

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სადებეტო და საკრედიტო ნაშთების დაჯამებისთვის გამოიყენება საცდელი ბალანსი.

საცდელი ბალანსი წარმოადგენს მთავარი წიგნის ანგარიშების სიას ნაშთების მითითებით და მისი შედგენა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. მთავარი წიგნის თითოეული ანგარიშის მიხედვით განისაზღვრება ნაშთები;

2. ნაშთები გადავა საცდელი ბალანსის „დებეტის“ ან „კრედიტის“ სვეტში;
3. ჯამდება „დებეტისა“ და „კრედიტის“ სვეტები.

საცდელ ბალანსში დებეტისა და კრედიტის თანხების ტოლობა მიუთითებს ჩანაწერების სისწორეზე.

განვიხილოთ ოპერაციების სარეგისტრაციო ჟურნალიდან მთავარი წიგნის ანგარიშებზე გატარებების ოპერაციების გადატანა: საწარმო „კოლხეთი“ იწყებს ფუნქციონირებას 2010 წლის 1 იანვრიდან. იანვრის თვის სარეგისტრაციო ჟურნალის მონაცემები ასეთია:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	05.01.2017	1460	5150	4 000	დამფუძნებლის მიმართ მოთხოვნა
2	05.01.2017	1210	1460	4 000	დაფარულია მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე
3	06.01.2017	2170 3190	3190 1210	1 500 1 500	შემენილია ავტოფურგონი უნადლო ანგარიშსწორებით
4	07.01.2017	1610 3111	3111 1210	1 720 1 720	შემენილია საქონელი უნადლო ანგარიშსწორებით
5	08.01.2017	1610	3110	2 145	შემენილია საქონელი კრედიტით
6	09.01.2017	1410 7210 1110	6110 1610 1410	2 840 2 000 2 840	გაყიდულია საქონელი 2 840 ლარად, საქონლის თვითღირებულებამ შეადგინა 2 000 ლარი, თანხა მიღებულია სალაროში
7	10.01.2017	1410 7210	6110 1610	1 895 1 645	გაყიდულია საქონელი კრედიტით, საქონლის თვითღირებულებამ შეადგინა 1 645 ლარი
8	11.01.2017	3110	1110	1 350	დაიფარა მომწოდებლის ვალი სალაროდან
9	12.01.2017	1110	1410	780	მიღებულია დებიტორისგან თანხა სალაროში
10	13.01.2017	7420	3190	120	გაწეულია იჯარის ხარჯი
11	14.01.2017	7435	3190	50	გაწეულია დაზღვევის ხარჯი
12	15.01.2017	7425	3190	25	გაწეულია საკანცელარიო ხარჯი
13	16.01.2017	1110	3210	3 000	აღებულია მოკლევადიანი სესხი

საცდელ ბალანსში მუდმივი ანგარიშები გამოიყენება ბალანსის შესადგენად, ხოლო დროებითი ანგარიშები მოგება - ზარალის ანგარიშგების შესადგენად. გავიანგარიშოთ ნაშთები ანგარიშებზე.

ანგარიშის დასახელება	სადებეტო ნაშთი	საკრედიტო ნაშთი
<i>მუდმივი ანგარიშები</i>		
1110 ნაღდი ფული ეროვნული ვალუტით	5 270	
1210 ფული საბანკო ანგარიშებზე	780	
1410 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1 115	
1610 საქონელი	200	
2170 ძირითადი საშუალებები	1 500	
3110 ვალდებულებები მოწოდებიდან		795
3190 სხვა ვალდებულებები		195
3210 სასესხო ვალდებულება		3 000

5150 საწესდებო კაპიტალი		4 000
დროებითი ანგარიშები		
6110 შემოსავალი რეალიზაციიდან		4 735
7210 თვითღირებულების ხარჯი	3 645	
7420 იჯარის ხარჯი	120	
7435 დაზღვევის ხარჯი	50	
7425 საკანცელარიო ხარჯი	25	
ჯამი	12 725	12 725

ასევე ცალკე გამოიყოფა წინასწარ მიღებული ავანსები, დარიცხული ანუ კუთვნილი, მაგრამ ჯერჯერობით მიუღებელი შემოსავლები.

დარიცხვის მეთოდის თანახმად, შემოსავლების აღიარება ხდება მათი გამომუშავებისას, ხოლო ხარჯებისა იმ ოდენობით, რაც ამ შემოსავლების მისაღებად არის გაწეული.

საცდელი ბალანსის შედგენის შემდეგ უნდა გადაიხუროს დროებითი (შემოსავლებისა და ხარჯების ამსახველი) ანგარიშები.

№	თარიღი	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	31.12.2017	6110	5330	4 735	შემოსავლების დახურვა
2	31.12.2017	5330	7210	3 645	შესყიდვის თანხის მიკუთვნება მოგება ზარალის ანგარიშისთვის
3	31.12.2017	5330	7420	120	იჯარის ხარჯების გადახურვა
4	31.12.2017	5330	7435	50	დაზღვევის ხარჯების გადახურვა
5	31.12.2017	5330	7425	25	საკანცელარიო ხარჯების გადახურვა

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ შედგება მოგება-ზარალის ანგარიშგება და ბალანსი.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და ბოლოს შეიძლება ჰქონდეს საქონლის ნაშთის გარკვეული ოდენობა. დამოკიდებულება საქონლის ნაშთებს, შესყიდვასა და რეალიზებული საქონლის თვითღირებულებას შორის გამოისახება ფორმულით:

$$\text{სასაქ. - მატ. ფას. საბ. ნაშთი} = \text{სასაქ. - მატ. ფას. საწყისი ნაშთი} + \text{შესყიდვები} - \text{რსთ}$$

$$\text{რსთ} = \text{სასაქ. - მატ. ფას. საწყისი ნაშთი} + \text{შესყიდვები} - \text{სასაქ. - მატ. ფას. საბოლოო ნაშთი}$$

საწარმო „კოლხეთის“ მაგალითზე რეალიზებული საქონლის თვითღირებულება = 3,865 – 220 = 3,645

მოგება-ზარალის ანგარიშგების შედგენისას ინფორმაცია საქონლის საწყისი ნაშთებისა და შესყიდვების შესახებ საცდელი ბალანსიდან აიღება, ხოლო საბოლოო ნაშთები ინვენტარიზაციით დგინდება.

შპს. „კოლხეთის“ ანგარიშგება მოგება-ზარალის შესახებ	
ერთობლივი შემოსავალი	4 735
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(3 645)
საერთო მოგება	<u>1 090</u>
იჯარის ხარჯი	(120)
დაზღვევის ხარჯი	(50)
საკანცელარიო ხარჯი	(25)
მოგება დაბეგრამდე	<u>895</u>
მოგების გადასახადი	<u>134.25</u>
წმინდა მოგება	<u>760.75</u>

საცდელ ბალანსში მოცემული მუდმივი ანგარიშებისა და მოგება-ზარლის ანგარიშგებაში გამოთვლილი მოგების საფუძველზე შევადგინოთ შპს. „კოლხეთის“ ბალანსი:

აქტივები	თანხა	თანხა
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	5 270	
ფული საბანკო ანგარიშებზე	780	
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1 115	
სასაქონლო მატერიალური მარაგი	220	
ძირითადი საშუალებები	1 500	
სულ აქტივები	8 885	
ვალდებულებები		
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან		795
სხვა ვალდებულებები		195
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება		3 000
მოგების გადასახადის ვალდებულება		134.25
სულ ვალდებულებები		4 124.25
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		4 000
წმინდა მოგება		760.75
სულ კაპიტალი		4 760.75
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		8 885

როგორც ვხედავთ საწარმო „კოლხეთის“ ბალანსში აქტივების ჯამია 8 885 ლარი, რომელიც ტოლია ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის ჯამის, რომელიც ასევე 8 885 ლარის ტოლია.

ზოგიერთი შემოსავალი ან ხარჯი თავისი შინაარსით შეიძლება არ განეკუთვნებოდეს მიმდინარე პერიოდს. ამიტომ საცდელ ბალანსში ასახული შემოსავლებიდან და ხარჯებიდან უნდა გამოიყოს მიმდინარე შემოსავლებისა და ხარჯების წილი. ე.ი. შესრულდეს სათანადო კორექტირებები.

ასეთი კორექტირებების შედეგად წინასწარ გაწეული ხარჯებიდან, გამოიყოფა მიმდინარე პერიოდზე მისაკუთვნებელი ხარჯი. მაგალითად: თუ საწარმომ ნოემბერში წინასწარ გადაიხადა 1 წლის დაზღვევის თანხა 1 200 ლ, გადახდილი სადაზღვევო თანხიდან უნდა გამოვყოთ 2 თვის კუთვნილი ხარჯი (ნოემბერი და დეკემბერი) და მივაკუთვნოთ მიმდინარე პერიოდის ხარჯებს ($1\,200/12 \times 2 = 200$).

ამ შემთხვევისთვის შევასრულოთ შესაბამისი გატარებები:

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	31.11.2017	1790	3190	1 200	წინასწარ გადახდილი დაზღვევის თანხა (დარიცხვა)
2	31.11.2017	3190	1210	1 200	წინასწარ გადახდილი დაზღვევის თანხა
3	31.12.2017	7435	1790	200	დაზღვევის თანხის ნაწილის ხარჯად აღიარება

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

შპს „განთიადმა“ მიმდინარე 2017 წელს განახორციელა შემდეგი სამეურნეო ოპერაციები:

№	ოპერაცია
1	გამოცხადდა საწესდებო კაპიტალის შევსება, რაც შეადგენს 50 000 ლარს
2	საბანკო ანგარიშზე შეტანილია საწესდებო კაპიტალი 48 000 ლარი
3	სალაროში ანგარიშვალდებულმა პირმა შემოიტანა 2 500 ლარი ბანკიდან
4	შემენილია დანადგარი კრედიტით 17 110 ლარად დღგ-ს ჩათვლით
5	1 თვის შემდეგ გადახდილია მომწოდებლისთვის 17 110 ლარი უნაღდო ანგარიშსწორებით
6	შპს „ალფასგან“ შემენილია ორი სახეობის ნედლეული. ნედლეული „ა“ 6 432 ლარად და ნედლეული „ბ“ 5 168 ლარად (დღგ-ს გარეშე)
7	შპს „ალფასთვის“ გადახდილია 13 418 ლარი
8	ი/მეწარმემ, რომელიც არაა დღგ-ს გადამხდელი, საწარმოს გაუწია მომსახურება, რაზედაც გადახდილია 250 ლარი
9	დებიტორისგან, რომლის დავალიანება გასულ წელს ჩამოიწერა, მიღებულია 5 000 ლარი
10	ანგარიშვალდებულ პირზე სალაროდან გაიცა 1 000 ლარი
11	ანგარიშვალდებულმა პირმა შეიძინა საწარმოსთვის სკამები 944 ლარად დღგ-ს ჩათვლით
12	დარჩენილი 56 ლარი მან დააბრუნა სალაროში
13	დარიცხული და გაცემულია ადმინისტრაციის ხელფასი 1 500 ლარი უნაღდო ანგარიშსწორებით
14	დარიცხულია ძირითადი საშუალებების ცვეთა წრფივი მეთოდით (20%)
15	დაუმთავრებელ წარმოებას გადაეცა 4 000 ლარის „ა“ ნედლეული და 2 500 ლარის „ბ“ ნედლეული
16	მიღებული 6 500 ლარის მზა პროდუქცია
17	მზა პროდუქცია მთლიანად გაყიდულია 9 204 ლარად დღგ-ს ჩათვლით და ჩამოწერილია თვითღირებულებით
18	საწესდებო კაპიტალის სახით შეტანილია 2 000 ლარი ღირებულების კომპიუტერი
19	უნაღდო ანგარიშსწორებით მიღებულია დებიტორული დავალიანება 9 204 ლ
20	მომსახურებიდან შემოსავალმა შეადგინა დღგ-ს ჩათვლით 5 900 ლარი
21	დარიცხულია მოგების გადასახადი

შევიტანოთ მონაცემები მთავარ წიგნში:

№	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი
1	1460	5150	50 000	მოთხოვნა საწესდებო კაპიტალის შევსებაზე
2	1210	1460	48 000	საწესდებო კაპიტალის შევსება
3	1430	1210	2 500	მოთხოვნა ანგარიშვალდებული პირის მიმართ
	1110	1430	2 500	სალაროში ანგარიშვალდებული პირის მიერ თანხის შეტანა
4	2150	3190	14 500	დანადგარის შეძენა
	3340	3190	2 610	მომწოდებლისთვის გადახდილი დღგ
5	3190	1210	17 110	ვალდებულების დაფარვა
6	1620	3110	6 432	შეძენილის „ა“ სახის ნედლეული
	1620	3110	5 168	შეძენილის „ბ“ სახის ნედლეული
	3340	3110	2 088	მომწოდებლისთვის გადახდილი დღგ
7	3110	1210	13 688	ვალდებულების დაფარვა
8	7490	3190	250	მომსახურების ხარჯი
	3190	1210	250	ვალდებულების დაფარვა
9	1410	8190	5 000	დებიტორული დავალიანების აღდგენა
	1110	1410	5 000	დებიტორული დავალიანების დაფარვა
10	1430	1110	1 000	მოთხოვნა ანგარიშვალდებული პირის მიმართ
11	2170	1430	944	ანგარიშვალდებული პირის მიერ ძირითადი საშუალების შეძენა
12	1110	1430	56	სალაროში ანგარიშვალდებული პირის მიერ თანხის შეტანა
13	7410	3130	1 500	დარიცხულია ადმინისტრაციის ხელფასი
	3130	3320	300	გადასახდელი საშემოსავლოს ვალდებულება
	3320	1210	300	საშემოსავლოს გადახდა
	3130	1210	1 200	ხელფასის გადარიცხვა
14	1630	1620	4 000	დაუმთავრებელ წარმოებას გადაეცა „ა“ სახის ნედლეული
	1630	1620	2 500	დაუმთავრებელ წარმოებას გადაეცა „ბ“ სახის ნედლეული
15	1640	1630	6 500	მზა პროდუქციის მიღება
16	1410	6110	7 800	შემოსავალი რეალიზაციიდან
	1410	3330	1 404	გადასახდელი დღგ
	7210	1610	6 500	საქონლის ჩამოწერა თვითღირებულებით
17	2160	1460	2 000	საწესდებო კაპიტალის შევსება
18	7455	2250	2 900	ძირითადი საშუალებების ცვეთა
	7455	2260	400	ძირითადი საშუალებების ცვეთა
	7455	2270	188.8	ძირითადი საშუალებების ცვეთა
19	1210	1410	9 204	დებიტორული დავალიანების დაფარვა
20	1410	6190	5 000	შემოსავალი მომსახურებიდან
	1410	3330	900	გადასახდელი დღგ

ამ მაგალითის მიხედვით ფინანსური და საგადასახადო მოგება ტოლი არ იქნება შემდეგი გარემოებების გამო:

1. ფინანსური მაჩვენებლებით ძირითად საშუალებებს ერიცხება ცვეთა;
2. საგადასახადო მიზნით 1 000 ლარამდე ძირითადი საშუალებები ვალდებული ვართ გამოვქვითოდ სრულად;
3. კაპიტალის სახით შეტანილ ძირითად საშუალებას უნდა დავარიცხოთ ამორტიზაცია საგადასახადო მიზნით;

4. საგადასახადო მიზნით დანადგარს შესაძლებელია დავარიცხოთ, როგორც ამორტიზაცია, ასევე გამოვქვითოთ სრულად (საწარმოს პოლიტიკიდან გამომდინარე დანადგარს ერიცხება ამორტიზაცია). შევადგინოთ საცდელი ბალანსი:

ანგარიშის დასახელება	სადებეტო ნაშთი	საკრედიტო ნაშთი
<i>მუდმივი ანგარიშები</i>		
1110 ნაღდი ფული ეროვნული ვალუტით	4 556	
1210 ფული საბანკო ანგარიშებზე	24 156	
1410 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5 900	
1620 ნედლეული	5 100	
2150 მანქანა დანადგარები	14 500	
2160 ოფისის აღჭურვილობა	2 000	
2170 ავეჯი და სხვა ინვენტარი	944	
2250 მანქანა დანადგარების ცვეთა		2 900
2260 ოფისის აღჭურვილობის ცვეთა		400
2270 ავეჯის და სხვა ინვენტარის ცვეთა		188.8
3330 გადასახდელი დღგ		2 304
3340 ჩასათვლელი დღგ	4 698	
5150 საწესდებო კაპიტალი		50 000
<i>დროებითი ანგარიშები</i>		
6110 შემოსავალი რეალიზაციიდან		7 800
6190 შემოსავალი მომსახურებიდან		5 000
7210 გაყიდული შეძენილი საქონელი	6 500	
7410 შრომის ანაზღაურება	1 500	
7455 ცვეთის ხარჯი	3 488.8	
7490 სხვა საერთო ხარჯი	250	
8190 არასაოპერაციო შემოსავალი		5 000
ჯამი:	<u>73 592.8</u>	<u>73 592.8</u>

შევასრულოთ დღგ-ს, შემოსავლების და ხარჯების გადახურვის ოპერაციები:
დავიანგარიშოთ ფინანსური მოგება:

შპს „განთიადის“ ანგარიშგება მოგება -ზარალის შესახებ	
ერთობლივი შემოსავალი	17 800
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(6 500)
საერთო მოგება	<u>11 500</u>
ხელფასის ხარჯი	(1 500)
ცვეთის ხარჯი	(3 488.8)
სხვა საერთო ხარჯი	(250)
მოგება დაბეგვრამდე	<u>6 061.20</u>
მოგების გადასახადი	<u>909.18</u>
წმინდა მოგება	<u>5 152.02</u>

გავიანგარიშოთ საგადასახდო მოგება:

შპს „განთიადის“ ანგარიშგება მოგება -ზარალის შესახებ	
ერთობლივი შემოსავალი	17 800
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(6 500)
საერთო მოგება	<u>11 500</u>
ხელფასის ხარჯი	(1 500)
ამორტიზაციის ხარჯი	(3 300)
სრულად გამოქვითული 1000 ლ-მდე ძირითადი საშუალებები	(944)
სხვა საერთო ხარჯი	(250)
მოგება დაბეგვრამდე	<u>5 506</u>
მოგების გადასახადი	<u>825.9</u>
წმინდა მოგება	<u>4 680.1</u>

შევასრულოთ ფინანსური მოგების ამსახველი გატარებება, რომელიც გადაიხურება მოგება ზარალის ანგარიშზე, ხოლო სხვაობა ფინანსურ და საგადასახდო მოგებას შორის აისახება, როგორც გადავადებული

№	თარიღი	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი (პირველი ნაწილი)
1	31.12.2017	3330	3340	2 304	დღგ-ს გადახურვა
№	თარიღი	დებიტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი (მეორე ნაწილი)
1	31.12.2017	6110	5330	7 800	შემოსავლების დახურვა
2	31.12.2017	6190	5330	5 000	შემოსავლების გადახურვა
3	31.12.2017	5330	7210	6,500	გაყიდული საქონლის თვითღირებულების გადახურვა
4	31.12.2017	5330	7410	1,500	შრომის ანაზღაურების გადახურვა
5	31.12.2017	5330	7455	3 488.8	ცვეთის გადახურვა
6	31.12.2017	5330	7490	250	სხვა საერთო ხარჯის გადახურვა
7	31.12.2017	8190	5330	5 000	არასაოპერაციო შემოსავლის გადახურვა

საგადასახდო ვალდებულება, წმინდა მოგება კი გადაიტანება გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე

№	თარიღი	დებეტი	კრედიტი	თანხა	ოპერაციის შინაარსი (მეორე ნაწილი)
1	31.12.2017	9210	3310	909.18	ფინანსური მოგების აღიარება
2	31.12.2017	3310	4210	83.28	გადავადებული საგადასახადო ვალდებულების აღიარება საგადასახადო მოგება/ზარალის საფუძველზე
3	31.12.2017	5330	9210	909.18	მოგების გადასახადის გადახურვა მოგება ზარალის ანგარიშზე
4	31.12.2017	5310	5330	5 152.02	გაუნაწილებელი მოგება

შპს „განთიადი“
2012 წლის ბალანსი

აქტივები		
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	4 556	
ფული საბანკო ანგარიშებზე	24 156	
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5 900	
სასაქონლო მატერიალური მარაგი	5 100	
მანქანა დანადგარები	14 500	
მინუს: მანქანა დანადგარების ცვეთა	(2 900)	
ოფისის აღჭურვილობა	2 000	
მინუს: ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	(400)	
ავეჯი და სხვა ინვენტარი	944	
მინუს: ავეჯის და სხვა ინვენტარის ცვეთა	(188.8)	
გადახდილი დღგ	2 394	
სულ აქტივები	<u>56 061.20</u>	
ვალდებულებები		
მოგების გადასახადის ვალდებულება		825.9
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება		83.28
სულ ვალდებულებები		<u>909.18</u>
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		50 000
წმინდა მოგება		5 152
სულ კაპიტალი		<u>55 152.02</u>
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		<u>56 061.20</u>

საგადასახადო კოდექსის განმარტებები

იმპორტის გადასახადი

გადასახადის გადამხდელი:

იმპორტის გადასახადის გადამხდელია პირი, რომელიც საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე გადაადგილებს საქონელს, გარდა ექსპორტისა.

დაბეგვრის ობიექტი იმპორტის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადმოკვეთისას საქონლის სატარიფო ღირებულება, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

იმპორტის გადასახადის განაკვეთები

იმპორტის გადასახადის 12-პროცენტთან განაკვეთით იბეგრება შემდეგი საქონლის სატარიფო ღირებულება:

- შინაური ფრინველი ცოცხალი, ანუ შინაური ქათამი;
- ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა;
- ხორცი ცხვრისა ან თხისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული;
- საკვები სუბპროდუქტები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორების, ცხვრების, თხების, ცხენების, ვირების, ჯორების ან ჯორცხენების, ახალი, გაცივებული ან გაყინული და საკვები სუბპროდუქტები;
- შინაური ფრინველისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული.
- რძე, ნაღები, იოგურტი, კეფირი, შედედებული რძე;
- ფრინველის კვერცხი,;
- თაფლი;
- კარტოფილი, პომიდორი, კომბოსტო, სტაფილი, ჭარხალი და სხვა ბოსტნეული;
- ბანანი, ციტრუსი, და სხვა ხილი და კაკალი;
- ფქვილი, ბურღულეული;
- ძეხვი და ანალოგიური პროდუქტები;
- შაქარი და შაქრის საკონდიტრო ნაწარმი;
- ხილის წვენები, ჩაის, ყავის ექსტრაქტები, მინერალური წყლები;
- აბაჯანები, შხაპები ნიჟარები და სხვა სანიტარული ნაწარმი;
- ჭურჭელი;
- ხე-ტყის მასალა; და სხვა

იმპორტის გადასახადის 5-პროცენტთან განაკვეთით იბეგრება შემდეგი საქონლის სატარიფო ღირებულება:

- ყველი და ხაჭო, ღორის ხორცი, თმის საშუალებები, საშუალებები პარსვამდე, პარსვის დროს ან პარსვის შემდეგ გამოსაყენებელი, ინდივიდუალური დანიშნულების დეზოდორანტები, შედგენილობები აბაჯანის მისაღებად, თმების მოსაცილებელი და სხვა საპარფიუმერო, კოსმეტიკური ან ტუალეტის საშუალებები;
- ქაღალდი, ბამბა, ქეჩა ან ფეტრი და უქსოვადი მასალები, გაჟღენთილი ან დაფარული საპნით ან სარეცხი საშუალებით;
- ვაქსები და საცხები ფეხსაცმლისთვის, პოლიროლები და მასტიკები ავეჯის, იატაკის, ავტომობილების ძარების, მინების ან ლითონებისთვის, საწმენდი პასტები და ფხვნილები და ანალოგიური საშუალებები;
- რეზერვუარები, ავზები, ცისტერნები;
- საკანცელარიო და სასკოლო ნივთები;
- ტანსაცმელი;
- კარები, ფანჯრები;
- კაბელები და სხვა ელექტრული გამტარები;

ალკოჰოლის შემცველი საქონელი იბეგრება იმპორტის გადასახადის შემდეგი განაკვეთებით (euro/%vol/HL ნიშნავს, რომ ერთ ჰექტოლიტრზე (100 ლიტრზე) გადასახადელი იმპორტის გადასახადის თანხა შეადგენს იმპორტის გადასახადის განაკვეთის ნამრავლს მოცემულ საქონელში ალკოჰოლის პროცენტული შემცველობის მაჩვენებელზე).

იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია:

- ა) საქონლის იმპორტი სტიქიური უბედურებისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით;
- ბ) იმ საქონლის იმპორტი, რომელიც გათვალისწინებულია გრანტის შესახებ ხელშეკრულებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად განსაზღვრული წესით;
- გ) იმ საქონლის იმპორტი, რომელიც ფინანსდება გრანტებით ან უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოს ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტით, რომელიც არანაკლებ 25 პროცენტის ოდენობით შეიცავს გრანტის ელემენტს.

საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფა

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფად განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

- საგადასახადო გირავნობა, იპოთეკა;
 - ქონებაზე ყადაღის დადება;
 - ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია;
 - საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა;
 - გადასახადის გადამხდელის სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება;
 - მესამე პირზე გადახდევინების მიქცევა.
- რიგითობას ირჩევს საგადასახადო ორგანო.

მიმდინარე კონტროლის პროცედურები

პირის საქმიანობის მიმდინარე კონტროლის პროცედურები ხორციელდება წინასწარი შეტყობინების გარეშე, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის ბრძანების საფუძველზე.

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს გადასახადის გადამხდელის შემოსავლების, საქონლის/მომსახურების მიწოდების მოცულობის, დაქირავებულ პირთა რაოდენობის დადგენის მიზნით განახორციელოს გადასახადის გადამხდელის ეკონომიკურ საქმიანობაზე დაკვირვება და ქრონომეტრაჟის ჩატარების გზით ამ საქმიანობის გამოკვლევა. ქრონომეტრაჟი ტარდება არა ნაკლებ 7 დღის განმავლობაში.

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს გადასახადის გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობის ადგილზე უფლებამოსილი პირის 6 თვემდე ვადით მიმაგრებით განახორციელოს საგადასახადო მონიტორინგი.

დარღვევის ფაქტების გამოსავლენად საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს განახორციელოს გადასახადის გადამხდელისაგან საქონლის საკონტროლო შესყიდვა და გამოვიდეს როგორც ფსევდო მომხმარებელი.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირს უფლება აქვს საგადასახადო კონტროლის განხორციელების მიზნით ჩაატაროს პირის ტერიტორიების, შენობა-ნაგებობების, ძირითადი საშუალებისა და ფასეულობების დათვალიერება.

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს გამოსცეს ინვენტარიზაციის ჩატარების ბრძანება.

საგადასახადო შემოწმება

საგადასახადო შემოწმება შეიძლება იყოს კამერალური და გასვლითი. კამერალური საგადასახადო შემოწმება ტარდება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის ბრძანების საფუძველზე ამ ბრძანებით განსაზღვრულ კონკრეტულ საკითხზე.

გასვლითი საგადასახადო შემოწმება ტარდება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების საფუძველზე. გადასახადის გადამხდელს შემოწმების დაწყებამდე არანაკლებ 10 დღისა ეგზავნება შეტყობინება წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

საგადასახადო სამართალდარღვევათა სახეები და პასუხისმგებლობა

საურავი არის საგადასახადო სანქცია, რომელიც პირს ეკისრება საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში გადასახადის თანხის გადაუხდელობისთვის. საურავი შეადგენს გადასახადის თანხის 0,06 %-ს ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

დეკლარაციის წარდგენის ვადის დარღვევა იწვევს პირის დაჯარიმებას გადასახადის თანხის 5%-ის ოდენობით.

პირის მიერ გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის წესის დარღვევა იწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირება, თუ ის გამოწვეულია საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის მომენტის შეცვლით, შემცირებული გადასახადის თანხის 10%-ის ოდენობით, სხვა შემთხვევაში 50%-ის ოდენობით. ხოლო 50000-ზე მეტი თანხით შემცირება იწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

საწარმოს ლიკვიდაცია

1. საწარმოს პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის დაწყების შესახებ. პარტნიორებს, წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან დირექტორს (დირექტორებს), შეუძლიათ განსაზღვრონ ის პირები, რომლებიც ახორციელებენ ლიკვიდაციას (ლიკვიდატორები). პარტნიორები საერთო კრებაზე იღებენ გადაწყვეტილებას საწარმოს ლიკვიდაციის დაწყების შესახებ, რის შემდეგაც იწყება კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესი.

3. პარტნიორთა გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან, რის თაობაზეც მარეგისტრირებელი ორგანო დაუყოვნებლივ აცნობებს საგადასახადო ორგანოს.

4. საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციის მოთხოვნასთან ერთად მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს ინფორმაცია, სადაც მიეთითება საწარმოს ყველა ცნობილი კრედიტორის დაკმაყოფილების ვადები.

საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციისთანავე საწარმოს პარტნიორებმა საწარმოს ყველა ცნობილ კრედიტორს უნდა გაუზიარონ წერილობითი შეტყობინება ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ, რომელშიც უნდა აღინიშნოს კრედიტორთა დაკმაყოფილების ვადები. საწარმოს ქონების რეალიზაციის დაწყებამდე საწარმო (ლიკვიდატორი) ვალდებულია ნებისმიერ პირს მოთხოვნისთანავე მიაწოდოს საწარმოს ცნობილ კრედიტორთა დაზუსტებული სია. საწარმოს შეუძლია აღნიშნული დაზუსტებული სია გამოაქვეყნოს პერიოდულ გამოცემაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებაში.

5. საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 90-ე დღისა საწარმომ (ლიკვიდატორმა) უნდა დაიწყოს ამ საწარმოს ქონების რეალიზაცია საბაზრო ფასით ან აუქციონის წესით და ამგვარი რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხები განათავსოს სასამართლოს ან ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე.

დეპოზიტზე განთავსებული თანხების ან მიბარებული ქონების პარტნიორთა შორის განაწილებამდე აღნიშნული თანხების ან ქონების განკარგვა შესაძლებელია მხოლოდ კრედიტორთა დაკმაყოფილების მიზნით. ლიკვიდაციის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე კრედიტორები უფლებამოსილი არიან, საწარმოს მოსთხოვონ ნაკისრ ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულება.

6. ლიკვიდაციის პროცესის განმავლობაში დაუშვებელია საწარმოს ქონების გასხვისება (გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად რეალიზაციისა ან/და საწარმოს ქონებით კრედიტორების დაკმაყოფილებისა), დატვირთვა ან კრედიტორების საზიანოდ სხვა ქმედების განხორციელება.

7. კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესის დასრულების შემდეგ პარტნიორები საერთო კრებაზე ამტკიცებენ საწარმოს სალიკვიდაციო ბალანსს და ხელს აწერენ გადაწყვეტილებას საწარმოს ლიკვიდაციის დასრულების შესახებ.

საწარმოს ლიკვიდაციის პროცესი უნდა დასრულდეს საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 4 თვისა.

შრომითი დავა

დავა არის შრომითი ურთიერთობის დროს წარმოშობილი უთანხმოება, რომლის გადაწყვეტაც შედის შრომითი ხელშეკრულების მხარეთა კანონიერ ინტერესში.

დავა წარმოიშობა მხარის მიერ მეორე მხარისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით უთანხმოების შესახებ.

შრომით ურთიერთობაში დავის წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს

ა) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა

ბ) შრომითი ხელშეკრულების ან შრომის პირობების დარღვევა

დავის განხილვა არ იწვევს შრომითი ურთიერთობების შეჩერებას

ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობის დროს წარმოშობილი დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით ან სასამართლოსთვის მიმართვით.

შემათანხმებელი პროცედურების (მოლაპარაკებების) დაწყების შესახებ მხარე მეორე მხარეს უგზავნის წერილობით შეტყობინებას, სადაც ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული დავის წარმოშობის საფუძველი და მოთხოვნები.

მეორე მხარე ვალდებულია წერილობითი შეტყობინება განიხილოს და თავისი გადაწყვეტილება აცნობოს მხარეს შეტყობინების მიღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

კითხვები და ამოცანები თვითშემოწმებისთვის:

№	ტესტი/ამოცანა
1	რას წარმოადგენს ბალანსი?
2	რა მუხლებისაგან შედგება იგი?
3	რომელი ანგარიშებია მუდმივი?
4	რომელია გადასახური ანგარიშები?
5	ბალანსის შედგენამდე რა მაკორექტირებელი გატარებებია საჭირო?
6	როგორ დგება საცდელი ბალანსი?
7	როგორ დგება საბოლოო ბალანსი?
8	შეადგინეთ საცდელი და საბოლოო ბალანსი შემდეგი მონაცემების მიხედვით:
	საწარმოს სალაროში შეტანილია საწესდებო კაპიტალი 10 000
	საწარმომ შეიძინა 2 კომპიუტერი თითო 1 200 ლარად ნაღდი ფულით
	შემენილია საქონელი კრედიტით 5 000 ლარად სალაროდან
	დაფარულია მომწოდებლის დავალიანება 2 600 ლარი სალაროდან
	შემენილია აქციები 3 000 ლარად ნაღდი ფულით
	აქციას დაერიცხა მისაღები საპროცენტო თანხა 5%
	გაყიდულია 1 500 ლარის საქონელი ნაღდი ფულზე
	გაყიდულია კრედიტით 4 000 ლარის საქონელი
	გადახდილია იჯარის 800 ლარი სალაროდან
	გადახდილია ინტერნეტის 100 ლარი სალაროდან
9	შეადგინეთ საცდელი და საბოლოო ბალანსი შემდეგი მონაცემების მიხედვით:
	XYZ კომპანიის საბანკო ანგარიშზე დამფუძნებლის მიერ შეტანილია 20 000 ლარი
	საწესდებო კაპიტალის სახით შეტანილია 5 000 ლარად ღირებული ავტომობილი
	შემენილია კრედიტით 10 000 ლარის საქონელი
	გაყიდულია კრედიტით 8 000 ლარის საქონელი
	ბანკიდან სალაროში მიღებულია 3 000 ლარი
	დებიტორის მიერ დაფარულია დავალიანების ნაწილი 5 000 ლარი
	მისაღებია საპროცენტო თანხა 500 ლარი
	გაწეულია რეკლამის ხარჯი 1 500 ლარი გადარიცხვით
	დაზღვევისთვის გადახდილია 700 ლარი საბანკო ანგარიშიდან
	სალაროდან ანგარიშვალდებულ პირზე გაცემულია 500 ლარი
	ანგარიშვალდებულმა პირმა შეიძინა საკანცელარიო ნივთები 500 ლარის.
	გადახდილია სავაჭრო ვალდებულების ნაწილი 6 000 ლარი

ლექცია №15

ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ

განვიხილოთ თავებში ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აქცენტი კეთდებოდა დარიცხვისა და შესაბამისობის სააღრიცხვო კონცეფციების მნიშვნელობაზე, რომელთა საშუალებით გამოითვლება მოგება, რომელიც წარმოადგენს სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში საწარმოს მესაკუთრეებისათვის შექმნილ დამატებით სიმდიდრეს. თუმცა, საწარმოსათვის მნიშვნელოვანია ფულადი სახსრების გენერაცია, ისევე როგორც მოგების მიღება. მოგების ზრდა არ განაპირობებს აუცილებლად ფულადი სახსრების ზრდას და პირიქით. ამასთან უდავოა, რომ ამგვარად, ფული სამეურნეო საქმიანობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რადგან ფულის საშუალებით ხდება ხელფასების გადახდა, კრედიტორული დავალიანების დაფარვა, ხარჯების ანაზღაურება და სხვა. შესაბამისად, საწარმოს მართვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს ფულადი სახსრების მოძრაობას.

მოგება წარმოადგენს მოცემულ სააღრიცხვო პერიოდში საწარმოს ნეტო აქტივების ზრდას.

აღნიშნული ზრდა შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ფულადი სახსრების ან სხვა აქტივების სახით. მაგალითად:

- გრძელვადიანი აქტივების შეძენა;
- დებიტორული დავალიანების ზრდა;
- მარაგების ზრდა;
- ინვესტიციების ზრდა.

შესაძლოა საწარმოს ვალდებულებები შემცირდეს, ანუ უფრო მეტი ოდენობით ფულადი სახსრები დაიხარჯა მოცემულ წელს მომწოდებლებისათვის უფრო სწრაფად გადასახდელად, ვიდრე გასულ წელს.

მოგებასა და ფულად სახსრებს შორის ზემოთ აღწერილი განსხვავებების გამო, საჭიროა ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადება, რომელიც დახმარებას გაგვიწევს:

- საწარმოს საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღებაში;
- საწარმოს ლიკვიდობის მდგომარეობის შეფასებაში;
- ინფორმაციის მომხმარებლებისათვის საწარმოში ძირითადი ტიპის ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში;
- სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში;
- საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი და სხვა სახის ფულადი სახსრების ნაკადების განსაზღვრაში.

ფულადი ნაკადების არსი და მისი მნიშვნელობა

საწარმოს ფულადი ნაკადების საკუთარი არხები გააჩნია. ისინი ზოგადად შეიძლება შემდეგი სახით წარმოვადგინოთ:

ფულადი ნაკადები

საწარმოში შემოდინება	საწარმოდან გადინება
• დამფუძნებელთა შემონატანი; • სავაჭრო ამონაგები; • დებიტორებიდან შემოსული თხნები; • გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფული; • მიღებული საიჯარო გადასახადები; • მიღებული პროცენტები და დივიდენდები.	• ხელფასის გადახდა; • მარაგის შესყიდვა; • კრედიტორული დავალიანების დაფარვა; • გრძელვადიანი აქტივების შეძენა; • იჯარის, გათბობის, დაზღვევის და სხვა ხარჯების გადახდა; • გადასახადების გადახდა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება სამ მთავარ ნაწილად (ჯგუფად) იყოფა. ბასს 7 განმარტავს, რომ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში უნდა აისახოს ფულადი ნაკადები სააანგარიშგებო პერიოდში, რომელიც დაჯგუფებული იქნება: **საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობად.**

ფულადი სახსრები ნიშნავს ნაღდ ფულს და დეპოზიტებს.

ფულადი სახსრების ეკვივალენტები არის მოკლევადიანი მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ფულადი ნაკადები ნიშნავს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემოსვლასა და გასვლას.

საოპერაციო საქმიანობა არის საწარმოს ძირითადი შემოსავლების მომტანი საქმიანობა. საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების ოდენობა ითვლება საწარმოს საქმიანობის შეფასების მთავარ ინდიკატორად, რადგან იგი მიუთითებს, რამდენად საკმარისია საწარმოს ძირითადი საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები სესხების დასაფარად, საწარმოო სიმძლავრის შესანარჩუნებლად, დივიდენდების გადასახდელად და ახალი ინვესტიციების განსახორციელებლად, ისე, რომ მან არ გამოიყენოს დაფინანსების გარე წყაროები. **საოპერაციო საქმიანობის** გამოთვლა შესაძლებელია **პირდაპირი** და **არაპირდაპირი** მეთოდებით.

საინვესტიციო საქმიანობა არის გრძელვადიანი აქტივებისა და იმ სხვა ინვესტიციათა შეძენა და რეალიზაცია, რომლებსაც არ მოიცავს ფულადი სახსრების ეკვივალენტები. საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები გვიჩვენებს, მომავალი შემოსავლისა და ფულადი ნაკადების შექმნილ რესურსებზე გაწეულ დანახარჯებს.

საფინანსო საქმიანობა არის ისეთი საქმიანობა, რომლის შედეგად რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება საწარმოს საკუთარი კაპიტალი და ნასესხები საშუალებები.

საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადები

შემოდინება	გადინება
• საქონლის გაყიდვიდან და მომსახურებიდან მიღებული ფულადი სახსრები; • როიალტებიდან, საკომისიო გადასახადებიდან და სხვა შემოსავლებიდან მიღებული ფულადი სახსრები; • სადაზღვევო თანხების სახით მიღებული ფულადი სახსრები; • კომერციული გარიგებისა და კონტრაქტებთან დაკავშირებით მიღებული ფულადი სახსრები.	• საქონლისადა მომსახურების შეძენაზე გადახდილი ფულადი სახსრები; • თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები; • გადასახადების დასაფარად გასული ფულადი სახსრები; • კომერციული გარიგებისა და კონტრაქტებთან დაკავშირებით გადახდილი ფულადი სახსრები.

საინვესტიციო საქმიანობის ფულადი ნაკადები

შემოდინება	გადინება
• გრძელვადიანი აქტივების გაყიდვით მიღებული ფულადი სახსრები; • საკუთარი კაპიტალის ან წილის გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები; • გაცემული ავანსების ან სესხების დასაფარად მიღებული ფულადი სახსრები.	• გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები; • საკუთარი კაპიტალის ან წილის შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები; • ავანსად ან სესხად გაცემული ფულადი სახსრები.

საფინანსო საქმიანობის ფულადი ნაკადები:

შემოდინება	გადინება
• აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების (თამასუქების, ობლიგაციების, გირაოების და სხვა სესხების) გამოშვებით მიღებული ფულადი სახსრები; • აღებული მოკლე და გრძელვადიანი სესხები (პროცენტის გარეშე).	• აქციების შეძენისას მესაკუთრეთათვის გადახდილი ფულადი სახსრები; • ფინანსური იჯარის დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები; • დაფარული მოკლე და გრძელვადიანი სესხები (პროცენტის გარეშე).

საწარმოს ძირითადი საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების განსაზღვრის ორი მეთოდი არსებობს: პირდაპირი და არაპირდაპირი.

პირდაპირი მეთოდის დროს განისაზღვრება ფულადი ნაკადების შემოდინება და გადინება კატეგორიების მიხედვით. არაპირდაპირი მეთოდის დროს კი წმინდა მოგება და ზარალი კორექტირდება არაფულადი ოპერაციების, საინვესტიციო და ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული ან გადახდილი ფულადი ნაკადების სიდიდით.

ბასს უპირატესობას ანიჭებს ანგარიშების შედგენის პირდაპირი მეთოდის გამოყენებას. ამ მეთოდის გამოყენებისას მიღებული და გადახდილი ფულადი სახსრების შესახებ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს საბუღალტრო წიგნების ჩანაწერები, ბალანსის მონაცემები, მოგება-ზარალის ანგარიშგების მუხლები.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესადგენად ვისარგებლოთ სააქციო საზოგადოება „ლევილის“ ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშგების მონაცემებით.

სს „ლევილის“ მოგება/ზარალი 2017წ.	
ერთობლივი შემოსავალი	3 200
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	(2 540)
საერთო მოგება	660
ადმინისტრაციული ხარჯები	(98)
ცვეთის ხარჯი	(200)
ხელფასის ხარჯი	(100)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	262
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული მოგება	20
საპროცენტო ხარჯი	(15)
შემოსავალი ინვესტიციებიდან	73
ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი	(140)
მოგება დაბეგვრამდე	200
მოგების გადასახადი	30
წმინდა მოგება	170

1. წლის განმავლობაში 290 000 ლარად გაიყიდა მანქანა დანადგარები, რომლის თვითღირებულება 300 000 ლარს, ხოლო დაგროვილი ცვეთა 30 000 ლარს;
2. მიმდინარე წელს გადახდილი იქნა 5 000 ლარი სასესხო ვალდებულება.

სს „ლევილის“ ბალანსი		
გრძელვადიანი აქტივები	2017 წ	2016 წ
ძირითადი საშუალებები	1 245	860
დაგროვილი ცვეთა	(340)	(170)
ძირითადი საშუალებების ნეტო საბალანსო ღირებულება	905	690
მოკლევადიანი აქტივები		
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	103	107
დებიტორული დავალიანება	95	89
მოთხოვნები მისაღებ პროცენტებზე	12	8
ფულადი სახსრები		13
სულ მოკლევადიანი აქტივები	210	217
სულ აქტივები	1 115	907
აქციონერთა საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	138	120
საემისიო კაპიტალი	80	70
	218	190
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	196	16
გაუნაწილებელი მოგება	150	100
სულა აქციონერთა კაპიტალი	564	306
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	365	500
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	365	500
მოკლევადიანი ვალდებულებები		
კრედიტორული დავალიანება	99	26
გადასახდელი ხელფასი	13	10
გადასახდელი დივიდენდი	20	5
გადასახდელი პროცენტი	17	21
გადასახდელი მოგების გადასახადი	37	39
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	186	101
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და აქციონერთა კაპიტალი	1 115	907

საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადების გასაანგარიშებლად გამოვიყენოთ ფინანსური ანგარიშგების ზემოთ მოტანილი კომპონენტები და ბუღალტრული ანგარიშები (გაანგარიშების შედეგად მიღებული მაჩვენებლები მითითებულია მუქი შრიფტით).

1. დებიტორული დავალიანება 1410

დებეტი	თანხა	კრედიტი	თანხა
2016 წ ნაშთი 3/დ	89 000	მყიდველებისგან მიღებული ფული	3 194 000
ერთობლივი შემოსავალი	3 200 000	2017 წ ნაშთი 3/ბ	95 000
	3 289 000		3 289 000

2. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები 1610

დებეტი	თანხა	კრედიტი	თანხა
2016 წ ნაშთი 3/დ	107 000	რეალიზებული საქონლის თვითღ.	2 540 000
საქონლის შესყიდვა	2 536 000	2017 წ ნაშთი 3/ბ	103 000
	2 643 000		2 643 000

3. კრედიტორული დავალიანება 3110

დებეტი	თანხა	კრედიტი	თანხა
მომწოდებლისთვის გადახდილი ფული	2 561 000	2016 წ წაშთი პ/დ	26 000
		შესყიდვები	2 536 000
2017 წ წაშთი პ/ზ	99 000	ადმინისტრაციული ხარჯი	98 000
	2 660 000		2 660 000

4. გადასახდელი ხელფასები 3130

დებეტი	თანხა	კრედიტი	თანხა
ხელფასის სახით გადახდილი ფული	97 000	2016 წ წაშთი პ/დ	10 000
2017 წ წაშთი პ/ზ	13 000	ხელფასის ხარჯი	100 000
	110 000		110 000

5. გადასახდელი პროცენტები 3410

დებეტი	თანხა	კრედიტი	თანხა
გადახდილი პროცენტები	19 000	2016 წ წაშთი პ/დ	21 000
2017 წ წაშთი პ/ზ	17 000	დარიცხული პროცენტები	15 000
	36 000		36 000

6. გადასახდელი მოგების გადასახადი 3310

დებეტი	თანხა	კრედიტი	თანხა
გადახდილი მოგების გადასახადი	32 000	2016 წ წაშთი პ/დ	39 000
2017 წ წაშთი პ/ზ	37 000	დარიცხული მოგების გადასახადი	30 000
	69 000		69 000

7. გაუნაწილებელი მოგება 5310

დებეტი	თანხა	კრედიტი	თანხა
დარიცხული დივიდენდი	1 200 00	2016 წ წაშთი პ/დ	100 000
2017 წ წაშთი პ/ზ	150 000	დარიცხული მოგების გადასახადი	170 000
	270 000		270 000

8. გადასახდელი დივიდენდები 3420

დებეტი	თანხა	კრედიტი	თანხა
გადახდილი დივიდენდი	105 000	2016 წ წაშთი პ/დ	5 000
2017 წ წაშთი პ/ზ	20 000	დარიცხული მოგების გადასახადი	120 000
	125 000		125 000

9. ძირითადი საშუალებები 2150

დებეტი	თანხა	კრედიტი	თანხა
2016 წ წაშთი პ/დ	860 000	გასვლა	300 000
შემენილი გადახდილი ფული	505 000		
ძირითადი საშ. გად. რეზ. (196 000-16 000)	180 000	2017 წ წაშთი პ/ზ	1 245 000
	1 545 000		1 545 000

10. მოთხოვნები მისაღებ პროცენტებზე 1820

დებეტი	თანხა	კრედიტი	თანხა
2016 წ. ნაშთი პ/დ	8 000	მიღებული პროცენტები	69 000
საპროცენტო შემოსავალი	73 000	2017 წ. ნაშთი პ/ზ	12 000
	81 000		81 000

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	3 194 000	
მომწოდებლებისათვის გადახდილი ფული	(2 561 000)	
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(97 000)	
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	536 000	
გადახდილი პროცენტები	(19 000)	
გადახდილი მოგების გადასახადი	(32 000)	
გადახდილი დივიდენდი	(105 000)	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		380 000
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(505 000)	
მანქანა-დანადგარების გაყიდვიდან მიღებული ფული	290 000	
მიღებული პროცენტები	69 000	
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(146 000)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსულობანი აქციათა ემისიის შედეგად	28 000	
გრძელვადიანი სესხების დასაფარად გადახდილი ფული	(135 000)	
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(107 000)
სავალუტო კურსის ცვლილების ზეგავლენა ფულად სახსრებზე		(140 000)
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის		(13 000)
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		—

არაპირდაპირი მეთოდით საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული წმინდა ფულადი ნაკადების გასაანგარიშებლად წმინდა მოგება და ზარალი კორექტირდება შემდეგი მუხლებით:

- საანგარიშგებო პერიოდში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში, საოპერაციო მოთხოვნებსა და ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებები;
- არაფულადი მუხლები, როგორებიცაა: ცვეთა, ანარიცხები, გადავადებული გადასახადები, უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული სამურნეო ოპერაციებიდან მიღებული არარეალიზებული შემოსავლები და ხარჯები, მეკავშირე საწარმოებს შორის გაუნაწილებელი მოგება.
- საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადების ამსახველი სხვა მუხლები.

საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრების გასაანგარიშებლად, მოგების კორექტირება შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:

მოგება

+ ცვეთა
+ დარიცხული პროცენტი
+ გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ზარალი
- გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული მოგება
- საინვესტიციო შემოსავალი
= მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე
(+/-) დებიტორული დავალიანების ცვლილება (შემცირება/ზრდა)
(+/-) მარაგების ცვლილება (შემცირება/ზრდა)
(+/-) კრედიტორული დავალიანების ცვლილება (შემცირება/ზრდა)
= ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან
- გადახდილი მოგების გადასახადი
- გადახდილი პროცენტები
- გადახდილი დივიდენდი
= წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

ფულადი ნაკადების ანგარიშგება არაპირდაპირი მეთოდით

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	200 000	
შესწორებები შემდეგი მუხლებით:		
ცვეთა	200 000	
დარიცხული პროცენტი	15 000	
შემოსავალი ინვესტიციებიდან	(73 000)	
ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი	140 000	
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული მოგება	(20 000)	
მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	462 000	
დებიტორული დავალიანების ზრდა	6 000	
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება	4 000	
კრედიტორული დავალიანების ზრდა	76 000	
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	536 000	
გადახდილი პროცენტები	(19 000)	
გადახდილი მოგების გადასახადი	(32 000)	
გადახდილი დივიდენდები	(105 000)	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		380 000
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(505 000)	
მანქანა-დანადგარების გაყიდვიდან მიღებული ფული	290 000	
მიღებული პროცენტები	69 000	
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(146 000)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსულობანი აქციათა ემისიის შედეგად	28 000	
გრძელვადიანი სესხების დასაფარად გადახდილი ფული	(135 000)	
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(107 000)
სავალუტო კურსის ცვლილების ზეგავლენა ფულად სახსრებზე		(140 000)
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის		(13 000)
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		—

ამოცანა

სააქციო საზოგადოება „მერკური“-ს ბალანსი

	2017 წელი	2016 წელი
	(ათასი ლარი)	(ათასი ლარი)
აქტივები		
ძირითადი საშუალებები	278	110
ძირითადი საშუალებების ცვეთა	(48)	(30)
სულ გრძელვადიანი აქტივები	230	80
მიმდინარე აქტივები		
საქონლის მარაგი	88	92
დებიტორული დავალიანება	66	34
ნაღდი ფული საღაროში	-	14
სულ მიმდინარე აქტივები	154	140
სულ აქტივები	<u>384</u>	<u>220</u>
საკუთარი კაპიტალი		
ჩვეულებრივი აქციები	60	32
საემისიო კაპიტალი	89	16
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი	16	10
გაუნაწილებელი მოგება	35	32
სულ საკუთარი კაპიტალი	<u>200</u>	<u>90</u>
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სასესხო თამასუქები 10%-იანი	40	80
სასესხო თამასუქები 15%-იანი	80	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	<u>120</u>	<u>80</u>
მიმდინარე ვალდებულებები		
კრედიტორული დავალიანება	24	36
მოგების გადასახადი	2	4
დივიდენდები	4	10
ბანკის ოვერდრაფტი	34	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	64	50
სულ ვალდებულებები	<u>184</u>	<u>130</u>
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	<u>384</u>	<u>220</u>

სააქციო საზოგადოება „მერკურის“ მოგება ზარალის ანგარიშგება	
	(ათასი ლარი)
ერთობლივი შემოსავალი	95
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(30)
საერთო მოგება	<u>65</u>
საოპერაციო ხარჯები	(40)
საპროცენტო ხარჯი	(16)
მოგება დაბეგვრამდე	<u>9</u>
მოგების გადასახადი	<u>2</u>
წმინდა მოგება	<u>7</u>

ანგარიშგებასთან ერთად მოცემულია დამატებითი ინფორმაცია:

1. საწარმო დივიდენდების გადახდას აწარმოებს წელიწადში ერთხელ. წინა წელს დარიცხული დივიდენდის გადახდა ხდება მიმდინარე წლის დასაწყისში. მიმდინარე წლის დარიცხული დივიდენდი შეადგენს 4 000 ლარი;
2. მიმდინარე წელს საწარმოს არ გაუყიდია ძირითადი საშუალება;
3. აქციებისა და თამასუქების გამოშვება მოხდა 2017 წლის 1 იანვარს;
4. ყველა სახის სესხით სარგებლობისათვის გადახდილი პროცენტების განაღდება განხორციელდა 2017 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

დანართი 1.

ანგარიშთა გეგმა

აქტივები	
1000 მიმდინარე აქტივები	
1100 ნაღდი ფული სალაროში	
1110	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში
1120	ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში
1200 ფული საბანკო ანგარიშებზე	
1210	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში
1220	უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში
1230	უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში
1290	ფული სხვა საბანკო ანგარიშებზე
1300 მოკლევადიანი ინვესტიციები	
1310	მოკლევადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში
1320	მოკლევადიანი ინვესტიციებისა ხელმწიფო ფასიან ქაღალდებში
1330	გრძელვადიანი ინვესტიციების მიმდინარე ნაწილი
1390	სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები
1400 მოკლევადიანი მოთხოვნები	
1410	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან
1415	საექვო მოთხოვნების კორექტირება
1420	მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ
1430	მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ
1440	მოთხოვნები ხელმძღვანელებისა და სამეთვალყურეო ორგანოების წევრების მიმართ
1450	მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხიდან
1460	კაპიტალის შევსებაზე პარტნიორების გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი
1470	გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი
1480	მომწოდებელზე გადახდილი ავანსები
1490	სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები
1500 მოკლევადიანი სათამასუქო მოთხოვნები	
1510	მიღებული მოკლევადიანი თამასუქები
1520	მიღებული გრძელვადიანი თამასუქების მიმდინარე ნაწილი
1600 სასაქონლო-მატერიალური მარაგი	
1610	საქონელი
1620	ნედლეული და მასალები
1630	დაუმთავრებელი წარმოება
1640	მზა პროდუქცია
1690	სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი
1700 წინასწარ გაწეული ხარჯები	
1710	წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება
1720	წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა
1790	სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი

1800 დარიცხული მოთხოვნები	
1810	მისაღები დივიდენდები
1820	მისაღები პროცენტები
1890	სხვა დარიცხული მოთხოვნები
1900 სხვა მიმდინარე აქტივები	
1910	სხვა მიმდინარე აქტივები
2000 გრძელვადიანი აქტივები	
2100 ძირითადი საშუალებები	
2110	მიწის ნაკვეთები
2120	დაუმთავრებელი მშენებლობა
2130	შენობები
2140	ნაგებობები
2150	მანქანა-დანადგარები
2160	ოფისის აღჭურვილობა
2170	ავეჯი და სხვა ინვენტარი
2180	სატრანპორტო საშუალებები
2190	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა
2200 ძირითადი საშუალებების ცვეთა	
2230	შენობის ცვეთა
2240	ნაგებობის ცვეთა
2250	მანქანა-დანადგარების ცვეთა
2260	ოფისის აღჭურვილობის ცვეთა
2270	ავეჯის და სხვა ინვენტარის ცვეთა
2280	სატრანპორტო საშუალებების ცვეთა
2290	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის ცვეთა
2300 გრძელვადიანი მოთხოვნები	
2310	მიღებული გრძელვადიანი თამასუქები
2320	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები
2330	მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე
2340	გადავადებული საგადასახადო აქტივი
2390	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები
2400 გრძელვადიანი ინვესტიციები	
2410	გრძელვადიანი ინვესტიციების საწარმოთა ფასიან ქაღალდებში
2420	გრძელვადიანი ინვესტიციები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში
2430	მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში
2490	სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები
2500 არამატერიალური აქტივები	
2510	ლიცენზიები
2520	კონცესიები
2530	პატენტები
2540	გუდვილი
2590	სხვა არამატერიალური აქტივები

2600 არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	
2610	ლიცენზიის ამორტიზაცია
2620	კონცესიების ამორტიზაცია
2630	პატენტების ამორტიზაცია
2640	გუდვილის ამორტიზაცია
2690	სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია
ვალდებულებები	
3000 მიმდინარე ვალდებულებები	
3100 მოკლევადიანი ვალდებულებები	
3110	მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები
3120	მიღებული ავანსები
3130	გადასახდელი ხელფასები
3140	როიალტი
3150	საკომისიო გადასახდელები
3160	ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე
3170	ვალდებულებები მეკავშირე საწარმოს წინაშე
3190	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები
3200 მოკლევადიანი სესხები	
3210	მოკლევადიანი სესხები
3220	სესხები პარტნიორებისაგან
3230	გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი
3300 საგადასახადო ვალდებულებები	
3310	გადასახდელი მოგების გადასახადი
3320	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი
3330	გადასახდელი დღგ
3340	გადახდილი დღგ
3350	გადასახდელი აქციზი
3360	გადახდილი აქციზი
3370	სოციალური გადასახადები
3390	სხვა საგადასახადო ვალდებულებები
3400 დარიცხული ვალდებულებები	
3410	გადასახდელი პროცენტები
3420	გადასახდელი დივიდენდები
3430	ვალდებულება საგარანტიო მომსახურებაზე
3490	სხვა დარიცხული ვალდებულებები
4000 გრძელვადიანი ვალდებულებები	
4100 გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	
4110	გასანადღებელი ობლიგაციები
4120	გასანადღებელი თამასუქები
4130	ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე
4140	გრძელვადიანი სესხები
4190	სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

4200 გადავადებული გადასახადები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	
4210	გადავადებული მოგების გადასახადი
4220	სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები
4300 ანარიცხები	
4310	საპენსიო უზრუნველყოფის ანარიცხები
4320	სხვა ანარიცხები
4400 გადავადებული შემოსავალი	
4410	გადავადებული შემოსავალი
5000 საკუთარი კაპიტალი	
5100 საწესდებო კაპიტალი	
5110	ჩვეულებრივი აქციები
5120	პრივილეგიური აქციები
5130	გამოსყიდული საკუთარი აქციები
5140	საემისიო კაპიტალი
5150	საწესდებო კაპიტალი შპს-ში
5200	პარტნიორთა კაპიტალი (შეზღუდული ქონებრივი პასუხისმგებლობის არმქონე საზოგადოებებში)
5210	პარტნიორთა კაპიტალი
5300 მოგება/ზარალი	
5310	გაუნაწილებელი მოგება
5320	დაუფარავი ზარალი
5330	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი
5400 რეზერვები და დაფინანსება	
5410	სარეზერვო კაპიტალი
5420	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი
5430	ინვესტიციების გადაფასების რეზერვი
5490	სხვა რეზერვები და დაფინანსება
6000 საოპერაციო შემოსავლები	
6100 საოპერაციო შემოსავლები	
6110	შემოსავალი რეალიზაციიდან
6120	გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა
6190	სხვა საოპერაციო შემოსავლები
7000 საოპერაციო ხარჯები	
7100	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (პროდუქციის მწარმოებელ და მომსახურების სფერო)
7110	ძირითადი მასალების დანახარჯები/შემძენა
7120	პირდაპირი ხელფასი
7130	სოციალური დანარიცხები პირდაპირ ხელფასზე
7140	დამხმარე მასალების დანახარჯები/შემძენა
7150	არაპირდაპირი ხელფასი
7160	სოციალური დანარიცხები არაპირდაპირ ხელფასზე
7170	ცვეთა და ამორტიზაცია
7180	რემონტის დანახარჯები
7185	სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება
7190	სხვა საოპერაციო ხარჯები

7200 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (სავაჭრო საწარმოებისთვის)	
7210	გაყიდული/ შეძენილი საქონელი
7220	შეძენილი საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა
7290	სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება
7300 მიწოდების ხარჯები	
7310	რეკლამის ხარჯები
7320	შრომის ანაზღაურება და საკომისიო გასამრჯელო
7330	შრომის ანაზღაურებაზე დანარიცხები
7340	ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები
7390	მიწოდების სხვა ხარჯები
7400 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	
7410	შრომის ანაზღაურება
7415	სოციალური დანარიცხები
7420	საიჯარო ქირა
7425	საოფისე ინვენტარი
7430	კომუნიკაციის ხარჯები
7435	დაზღვევა
7440	რემონტი
7445	კომპიუტერის ხარჯები
7450	საკონსულტაციო ხარჯები
7455	ცვეთა და ამორტიზაცია
7460	საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები
7465	სხვა საგადასახადო ხარჯი
7490	სხვა საერთო ხარჯები
8000 არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	
8100 არასაოპერაციო შემოსავლები	
8110	საპროცენტო შემოსავლები
8120	დივიდენდები
8130	არასაოპერაციო მოგება
8190	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი
8200 არასაოპერაციო ხარჯები	
8210	საპროცენტო ხარჯები
8220	არასაოპერაციო ზარალი
8290	სხვა არასაოპერაციო ხარჯები
9000 განსაკუთრებული და სხვა შემოსავლები და ხარჯები	
9100 განსაკუთრებული შემოსავლები და ხარჯები	
9110	განსაკუთრებული შემოსავლები
9120	განსაკუთრებული ხარჯები
9200 სხვა ხარჯები	
9210	მოგების გადასახადი